

K 195 657
3

სახელი მავალითის

ვაჟავი

କୁଳାଳ ପାତାଳମଣି

ଶର୍ମିଳା



„କୁଳାଳମଣି“
ଟଥେଲୁଟେଲୁ

1985

08(0992) + 902.7(c)(=99962.1) + 8019 - 1

~~835 (2) P
8-101~~

1) සුම්භා

2) සුම්භා යුතු

සිරගර මියාලුදීමාන් තිංහින්දම්බ පාලුම්බාව නා එකිනෙකුරුම්බා, තිංහින්දම්බා මෝනරුව නැමිනුයේමාස්තාන් නා පාස්සින්දම්බා නාවලුත්ත්තාප්‍රාන් මාසාලු මෝස්ත්, ඇත්තා දෙ උක්තියේද දායාත්ත්වයේ. මියාත්ත්වයා මාත මින්නින්දම්බා නා නාවලුත්ත්තාප්‍රාන් මිට්කුදා. "අභ්‍යාගා" මින්නින්දම්බා, තිංහින්දම්බා, රුමින්දාලු මෝන්ඩ්‍රො පාලුම්බාව නා


නී මි අ අ අ අ අ අ අ :
කුදාන්ත ආචාර්යාවලට
ඉත්තා එම්පූදාචාර්ය

පොරුව තාමෙන්ස්

195-654
Y

© "මියාලුදා" 1986

70803-93
11 —————— 130-85
M-603(08)-85



რ მ დ ა ე თ რ ი ნ ი ს პ ა ნ

ქართულ მთილთა თავისებური, არქაული ყოფა თდითგანც იძყნობდა ხახელმწიფოს შემართველობა, მაგრაურითა და მკვლევრითა კურიდების. განხატულებულ ინტერესს იწვევდა ის ტრადიციული ადამიერი, რელიგიურ-მითოსური წარმომადგენები და სამართლებრივ-მირალური ნიმუშები, რომელიც აქ აღიარებულებოდნენ. მაგრამ წარხული მისი კითხვების, ძირისადად, ცლაკება პაროვნებებია აკეთებულიანი. მთილთა ყოფას სხვადასხვა მხარის შეხწევა შეხვდებოდა ჩაუკანის ოცდათანი წლებითან გადაიქცა რელიგიურ-ხახელმწიფოური ხატმეჭ. ცნობილშია ეთნოგრაფია და ხაზითვით მოდებისა მ. მაგალითის დადა შრომა გახსა უშაგის ხისამდგენლის შეხახწევლად. მიხი წიგნი „ფიდეი“ 1932 წელს მოწყობილი მხარისმართვის ექსპედიციის შეიქმნა მოპოვებულ მასალების საუზღველზე შექმნა. სამრიობის წინამდებრივობის ავტორი აღნიშვნა და... უშაგის ეს სიაშეცვლა ღლებ განვითარებს და ხოცალუ-კუთხოსმიტურ გარდა ტექსტების. ხადაც ხოცალისტურ შექნებლიბათან და მეურნეობის რეანისტრუქცია-კოლექტივისცაბათონ იხსინის შევლი უშავრი ყოფა თავისი დამიხსახათებელი შრევლებით და იმავა ურობ პარალელიად ხაზითვითა და ავტორი მაგრამ საჭიროა ამ წარმავლის ღრულები შექმნალი, რომ უშაგის ხოცალუ-კუთხოსმიტურ წარხული ვართინობა წერილი წრიშმდგრადი. შეკვლევარი კრიტიკ ათვალისწინებს მხარისმართვის მაჯალის მოპოვებისათვეს გაწეული ღრულები შრომის განვითარების იგი შეჯარ სწავლის და მოხდენილი აცნობს მკაფევლის უშაგის ახტორის, ეთნოგრაფიას, ფოლკლორს, მითოსურ და რელიგიურ წარმომადგრენებს. აგრო-რი ამ კუთხის ხოცალუ-კუთხოგრაფიული ყოფის თავისებურებების მეტელი და ახალი შექმნალების მშენების დამრისხმილების ხასიათი აკრიტიკითა და აღწერის. ახალი დროს ბევრი ტრადიციული ადამიერი, რომელიც წერილიად და იმულიგურური ხაფუქველი გამოიცავს და მოზღვირების ან სრული დავიწყების გარდებულ ქანის დაშრობითად. ახეთ კითხრებაში ტაქალებისათვის, და არა მარტო მათთვის, ბევრი რამ იყო აუზურებულობის ბურუსათ მოცული. ამდენად, ზოგიერთი ფაქტი ფასდებოდა წუხარ, ასაღო ცხოვრების სემოქმედებით აღძრული სუბიექტური განწყობილებები სშინაგ წაერთოდა ხოლო წარხული მოვლინიათ გაზრენა-შეფასებებით და ამით თვალშემთხვედ მნიშვნელობას უცვლიდა მათ ეს პროცესი თანდათან ძლიერდებოდა, ფართოვდებოდა და ჯერ კადეც მეცნიერებად შეუხსავდებო „ანტრეშულ ტელეტურას“. ტრადიციულ ადამ-წესებს ეს დაუუმნებულ ყოფას წარხულის უძრავი გადანაშთად აქცვდა. ძევტა და ახალი ცხოვრების გზავარებანზე ს. მაგალითის ბევრი დახავიწყებლად განწირულ, ქართული კულ-ტურის იძრითისათვეს კა შეტან ხაჭირი მახალას, როგორც იტყვიან, „ხულხა შოუხწრიო“.

б. მაკალათიდ ფუნგის წარხელდა და აწყობიშა, ტრადიციულ ხაზოგადობა უძრიგ-ხაურთიერთ ნირიმების, ხალვთის რიტუალების, ასაზომის, ჩავუდებების და და, ხახვადობა, ამ ფუნგის მიზნების დამოარჩევის ფაქტის ხახათის მაღალ თვისებების; თავისუფლებისმოყვარეობას, ხილმაცემას, შიძიებ შრომის გამომომას. ხილმაცემის ხავერდების, და უეპრო მელექებობის გამოხატულ ხილადებს. პოეტურ ბუნებას. „ფუნგი“ კლავ მიხცემს ხაზრთოს იხეთ მეცნიერებებს, როგორიცაა ასტრიდა, ხოცილობა, კონკრეტურ გრაფია, მითოლოგია. ლატრუტურულისმცოდნერისა, რეალისტისა და მათლივის ისტორია. ქართული კულტურის ხორცი პრობლემებით დაინტერესებული დამატანი ხ მაკალათის შრომებს გვერდზე ქრისტიანობით, მისხადალებელია ამ პაბლიოგრაფიულ იშვიათობად ქართველი ნაშრომების მეორედ გამოცემის ფაქტი.

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა თ ბ ა

ფშავი ცნობილია ჩვენში ვაჟა-ფშაველას ხასელით, ხადაც მთის
ეს პიეტი დაიბადა და მოღვაწეობდა.

ვაჟას ახასიათებდა მთის ბუნების სიდიადის შეგრძნება და მი-
სი პოეზიაც გაუღენითილია ველური ბუნებისა და დევ-გმირების
რომანტიკით. ფშავლების სოციალ-ეკონომიკური ტკავილება
ვაჟას თავისი პოეზიის ხაგნად არ უქცევა და ამ მხრივ ფშავის
ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ.

მართალია, ფშავლებზე ვაჟას და დ. სიზანიშვილს
შოგბოვებათ ქართულ პერიოდიკაში ფრიად საყურადღებო ეთნო-
გრაფიული ხახიათის ნარკვევები, მაგრამ ფშავის მთლიანი ისტო-
რიულ-კულტურული მიმოხილვა ჩვენ დღემდე არ მოგვეპოვება.

ამავე დროს, დღევანდელ შენებლობასთან დაკავშირებით, ხაბ-
ჭოთა ხაზოგადოებას აინტერესებს ფშავის ყოფა-ცხოვრების ხა-
ნამდვილის გაცნობა. მით უმეტეს, ფშავის ეს ხინამდვილე დღეს
განიცდის დიდ სოციალ-ეკონომიკურ გარდატეხას, ხადაც სოცი-
ალისტურ შენებლობასთან და მეურნეობის რეკონსტრუქცია-კო-
ლექტივიზაციასთან ისპობა ძველი ფშაური ყოფა თავისი დამახა-
ხიათებელი მოვლენებით და, ამავე დროს, მყარდება ახალი ხაზოგა-
დოებრივი ცხოვრება. მაგრამ ხაჭიროს ამ წარმავალის დროული
შესწავლა, რომ ფშავის სოციალ-ეკონომიკურ წარსულზე ვიქონი-
ოთ სწორი წარმოდგენა. მით უმეტეს, ასეთ შესწავლას მოითხოვს
თვით საბჭოთა ხელისუფლება, რომ მთაში აწარმოოს გეგმანი და
მიზანშეწონილი მუშაობა. სწორედ ასეთ მიზანს იხახავდა ხაქართ-
ველოს გეოგრაფიული ხაზოგადოება, როდესაც მან მოაწყო 1932
წელს ფშავის ყოფა-ცხოვრების შემსწავლელი ექსპედიცია, რო-
მელმაც მთელი ზაფხულის განმავლობაში ადგილზე იმუშავა და

შეკრიბა დიდი ხამხარეთმცოდნეო მახალა. ეს მახალა დამუშავდა
ამ მონოგრაფიას ხახით, წილმელშიც ფშავის წარმავალი ყოფა ხაკ-
მალდ არის მოცემული და გაშუქებული.

დასასრულ, ამ მუშაობაში ხელის შეწყობისა და ცნობების მოწო-
დებისათვის მაღლობას მოვახსენებ ფშავის მცხოვრებლებს: ზუ-
რაბ და პელაგია სელაშვილები (ახალი); ელიზ-
ბარ, გიორგი და თამარ ელიზბარაშვილები, ბა-
ჭურ ბადრი შვილის, ლადო ბალიაურის, ალექსა-
ლა ნათელა თჩიაურების (შუაფხა); პავლე და თა-
მარ რაზიკა შვილების, ივანე ბაიაშვილის და
დარეჯან თანდილაშვილის (ჩარგალი).


ფშავის შესწავლისა და ამ შრომის დაბეჭდვის ხაქმები განსა-
კუთრებული დგაწლი მიუძღვით: გეოგრაფიული საზოგადოების
თავმჯდომარის მოადგილეს აკაკი კაჭახიძეს და ხაზოგა-
დოების მდიგანს კაკო მარს, რომლებსაც მაღლობას მოვახ-
ხენებ.

წიგნში მოთავსებული ფოტო-სურათები გადაღებულია ჩემ მიერ
და დაზიადებულია გეოგრაფ. საზოგადოების ფოტო-ლაბორატო-
რიაში.

ნახატები და ნახაზები შეასრულებ მხატვრებმა: ლ. წილო-
სან მა და ლ. გრიგოლიამ.

ყდა დამზადა მხატ. ნინო თამამ შეკვეთის.

ხერგი მაკალათია



1. გეოგრაფიული მდებარეობა

ფშავრი მოსახლეობა დღეს გაფანტულია მდინარე არაგვის, ილტოსა და ალაზნის სათავეებში. ფშავლები ცხოვრობენ აგრეთვე გომბორში, ერწო-თიანეთსა და შირაქში. მაგრამ ფშავის ძირეული მოსახლეობა და მისი ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია მოქცეულია ფშავის არაგვის ხეობაში, რომლის სამხრეთი საზღვარი იწყება შარახევიდან და ორწყალ-ფშავის ხევით (შუაფხოუკანი ფშავი) მიემართება აღმოსავლეთით და ეკვრის კავკასიონის მთავარ ქედს. მიიტომ ჩენ აქ ფშავის გეოგრაფიულ და სოციალ-ეკონომიკურ გამოკვლევაში შევეხებით მხოლოდ არაგვის ფშავის ძირეულ მოსახლეობას და არა ეთნოგრაფიულ ფშავს, რომლის უმეტესი ნაწილი ქართლსა და კახეთშია გაფანტული.

ფშავი მდებარეობს ფშავის არაგვის ხეობაში: ჩრდილოეთის განედის $42^{\circ}15'$ — $42^{\circ}30'$ და აღმოსავლეთის გრძედის $62^{\circ}25'$ — $62^{\circ}50'$ შუა. რომელსაც უჭირავს დახსლოებით 550 კვ. კმ სიბრტყე.

ფშავის საზღვარია: ჩრდილო-აღმოსავლეთით კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც მას აღმოსავლეთით ჰყოფს თუშეთისაგან და ჩრდილოეთით კი პირიქითი ხევსურეთისაგან. დასავლეთით საზღვრავს პირაქეთი ხევსურეთი და გუდამაყარ-მთიულეთი, სამხრეთით დუშეთის რაიონი (შიდა ქართლი).

ფშავის მთავარი მდინარე არაგვია, რომელშიც იწყებიან ფშავის კავკასიონის მაღალი და დაბრამული მწვერვალებიდან გაღმონახეთქი ნაკადები. ფშავის არაგვის სათავე ბოთანა-ბორბალოშია (3.135 მ), რომელიც უმთავრესად შედგება სამი შენაკადისაგან: ბოთანას წყალი, ასისხევი და ბოგოჩარის ხევი. კავკასიონიდან დაქანებული არაგვი უკანაფშავიდან თანდათანობით დავაკებით მიმდინარეობს და აქ მას უერთდება წაწადა და ვარეულა ახალთან, მა-



არაგვის ხეობა შეკარგულისთან

თურქეულა (მათურის წყალი) დამისტესთან და ნაროულა და თეთრახევა შუაფხოსთან.

აღმოსავლეთით მომდინარე ფშავის არაგვი შუაფხოდან შვიდი კილომეტრის დაშორებით უხევეს სამხრეთით და აქ ის უერთდება ხევსურეთის არაგვს „ხევსურულას“, სადაც იქმნება ეგრეთ წოდებული „ორწყალი“ (ფშავ-ხევსურეთის არაგვი).

ორწყალიდან (1.154 მ) შეერთებული არაგვი სამხრეთის მიმართულებით ეშვება და ჟინვალთან უერთდება მთიულეთის არაგვს და ეს გაერთიანებული არაგვი მცხოვარს ერთვის.

თავისი მორფოლოგიური აგებულებით ფშავის ქედებსა და მიდამოს ახასიათებს იურასა და ცარცის ჯიშების სიუხვე, რომელიც მოცემულია ფიქალების, ქვაქვიშებისა და შემდეგ თეთრი და ფერადი ქვეირის სახით¹.

ფშავის ხეობა სამხრეთით დაგეზებულია, რომლის დაბლობის ნაწილი აგებულია ზემო ცარცის ჯიშებით. იურას ჯიშები კი შედგება შავთიხოვანი ფიქალისაგან, რომელსაც მთსახლეობა საიღმშენებლო მასალად ხმარობს. მაღაროდან იურას ფიქლებს და ქვაქვაშებს ცარცის ფერადი ქვაეირები ცვლიან. სამხრეთის მიმართულებით ფშავის ვიწრო ხეობა თანდათანობით დაბლდება და ხეობაც იშლება. ჩარგლის კარიდან კი ჩნდება ტერასებიანი დავაკებანი².

ფშავის ზედაპირი სამხრეთით დაგეზებულია და ის თუშეთ-ხევსურეთთან შედარებით უფრო დაბალია, რომლის საშუალო ჰიდსომეტრიული მდებარეობა 3 000 მ არ აღმატება, ამიტომ ფშავის მიდამოს არ ამშვენებენ თეთრწვერად შევერცხლილი მყინვარწვერები.

ფშავის ფიზიკურ-გეოგრაფიულ ილნაგობასთან, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 1 000—3 000 მ აღწევს, დაკავშირებულია მისი ჰავის ცვალებადობაც. ამიტომ ფშავის სამხრეთის ნაწილში (ზალაროს თემში) შედარებით უფრო ზომიერი და თბილი ჰავა, ვიდრე

¹ С. Симонович, Геологические наблюдения в области бассейна Главной или Мтиульской Арагви, в пределах Душет, уез. Тифлис. Губ. (Материалы для Геологии Кавказа, серия 3, кн. 2. Тифлис, 1899 г. გვ. 105—114).

² И. Карк, Геология долин Пшавской и Хевсурской Арагви; აღ. გვახიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, ტ. 1, გეომორფოლოგია, ტფლისი, 1926 წ., გვ. 104—106.

ქავეასიონის ძირში მდებარე უკანა ფშავები. მაგრამ პავის მხრივ ზოგადად ფშავის ხეობა უნდა მიეკუთვნოს მთის ტყების პავის ზოლს. ფშავში ზომიერად ცივა. წლის საშუალო ტემპერატურა ქვე-მო საფეხურზე 11° -ია, ხოლო ზემოთ 5° -დღე ჩამოდის. ზამთარი ცივია (იანვრის ტემპერატურა ქვემოთ 6° -ია, ზემოთ 12°). გაზაფხული გვიან დგება, ზაფხული თბილია, შემოდგომა კი მზიანი.

ატმოსფეროს ნალექების წლიური ასოდენობა საშუალოა 1 000-დან 1 200-მდე. წვიმიანი და ნისლიანი ამინდები უფრო ზაფხულობით იცის.

ფშავის ბუნებრივი სიმდიდრე გამოკვლეული და შესწავლილი არ არის, ამიტომ ჩვენ არ ვიცით ფშავის მთებში თუ რა საბადოებია ჩამარხული. ამ მხრივ ეს კუთხე ჩვენთვის ჯერჯერობით უანობია. მინერალური წყლებით ფშავი ღარიბია. ცნობილია მხოლოდ ჩარგლის ვეძა, რომელიც ჩარგლის პირდაპირ არაგვის გაღმა კლდიდან გამოდის. ეს მომღაშო ვეძა რეინანარევია. მას სვამენ კუჭნაწლავით დაავადებულნი, ქარებიანები კი ამ ვეძას აცხელებენ და აბაზანებს იღებენ.

სამაგრეროდ, ფშავი მდიდარია მცენარეულობით და მთელი მისი მიღამო შუაფხომდე შემოსილია ხშიროთლოვანი ტყით. პირმზეში იზრდება: მუხა, იფანი და რცხილა. პირჩრდილში: წიფელა და თელა. მთის მწვერვალზე არყია. ტყის ჯიშებში სჭირდობს: მუხა, წიფელი, ნეკერჩხალი და რცხილა. უთხოვარი დაცულია კაწილხევის ტყეში, რომლის მოჭრა აერძალულია. ფიჭვი იზრდება კუდოს ტყეში (მაღაროს ზემოთ). მრავალია ტყის მსხალი, გაშლი და თხილი. იზრდება და ხარობს კაქლის ხეც, რომელიც უკანაფშავის თემში, სოფ. შუაფხოშიც კი იზრდება.

ორწყალ ზემოთ, ფშავის არაგვის სათავისა და კავეასიონის ქედის მიმართულებით ტყე თანდათანობით მცირდება, ის ბუჩქნარზე გადადის და მწვერვალებზე ალპიურ მდელოთი იცვლება. სადაც ფართო სათიბები და საძოვრებია. ასეთი იალალებით მდიდარია უკანაფშავის თემი, რომელიც უმთავრესად მესაქონლეობას მისდევს.

ფშავის მიღამოში ბუდობენ ფრინეელები: არწივი, ოჩი, შავარდენი, როჭო, სოვი (სვავი), ქორი, ძერა, ყოვი (ყვავი), ჭეა, ყორანი, მწყერი, გვირილა, ქერონა ჩიტი (ბელურა), ღობემძვრალი,



სიღი ფშავების არაგვშე

ბოლოცეცხლა, სახნაურა, მერცხალი, მწივანა, გუგული, ოფოფი,
ჩხიკვი, შაშვი, შინტლინქა, წიპრანა, პრანწია.

ნადირი: მგელი, დათვი, მელია, კურდლელი, მაჩვი, კინდოლი,
ფსიტი, შველი, ქლაბი (ზღარბი), ციყვი და სხვა.

ქვეწარმავალი: გველი შხამიანი და უშხამო, ფსლიქვი (ხვლიქი),
ბაყაყი და სხვ.

თევზები: კალმახი, ორაგული, ფიჩხული და მურწა.

**భూశాఖరం సెంట్రల్ బోిస్ సాక్షేపణమైర్ డా మెయినమీర్ తా గ్వార్ రెండ్
చుక్కాచుశాబిస్ తింగి**

కోడ్	సెంట్రల్	ఎ	గ్వార్ రెండ్
1	అంతింశః	6	ప్రాంగంశ్వింలం.
2	అందం	19	భీరుశ్వింలం, గ్రండ్ ర్హుమాశ్వింలం, భీరుశ్వింలం, భీరుశ్వింలం, గ్రండ్ ర్హుమాశ్వింలం, లోమింగ్ శ్వింలం, క్రెలాశ్వింలం, ప్రార్గ్లాశ్వింలం.
3	భీరుశ్వింలం	7	కొమ్మురాశ్వింలం, భీరుశ్వింలం, కొమ్ముశ్వింలం.
4	బ్రాంచ్ ర్హుమాశ్వింలం	5	బొమ్మింగ్ శ్వింలం, ఫ్రెండ్ ర్హుమాశ్వింలం.
5	గ్రండ్ ర్హుమాశ్వింలం	21	త్యుర్మింగ్ శ్వింలం, స్ట్రుంగ్ శ్వింలం, నాఫిర్లాశ్వింలం, భీరుశ్వింలం, మ్యూలాశ్వింలం, భీరుశ్వింలం, భీరుశ్వింలం, భీరుశ్వింలం, తాండ్రింగ్ శ్వింలం, ప్రాంగ్ శ్వింలం, కొమ్మురాశ్వింలం.
6	ప్రెంచ్ శ్వింలం	7	బొమ్మింగ్ శ్వింలం, ఫ్రెండ్ ర్హుమాశ్వింలం:
7	ప్రాంగ్ శ్వింలం	10	క్రెప్చురాశ్వింలం, సోక్కురాశ్వింలం.
8	మాట్లాశ్వింలం	27	కిబ్లాశ్వింలం, ట్రిట్యూలాశ్వింలం, క్రెప్చురాశ్వింలం, తాండ్రాశ్వింలం, క్రిస్టింగ్ శ్వింలం, తాండ్రింగ్ శ్వింలం, క్రిస్టింగ్ శ్వింలం.
9	మిస్రింగ్ ట్రాంప్	27	మిస్రింగ్ శ్వింలం.
10	మెట్రిం	6	ట్రిప్పులాశ్వింలం, మిటిప్పులాశ్వింలం.
11	ప్రాంగ్ ర్హుమాశ్వింలం	16	కొర్కురాశ్వింలం, లోప్పుకారాశ్వింలం, క్రమ్మింగ్ శ్వింలం, టాంస్క్రూరాశ్వింలం, లెంస్క్రూరాశ్వింలం, స్ట్రోంగ్ శ్వింలం.
12	ప్రాంగ్ ర్హుమాశ్వింలం	11	ప్రాంగ్ ర్హుమాశ్వింలం, ట్రిప్పులాశ్వింలం, ప్రాంగ్ ర్హుమాశ్వింలం, ఏమిర్ ర్హుమాశ్వింలం, ఏమిర్ ర్హుమాశ్వింలం.
13	ప్రెంటిం	3	ప్రెంటిం శ్వింలం, క్రెప్చురాశ్వింలం.
14	ప్రోట్రిం	26	ప్రోట్రిం శ్వింలం, ప్రోట్రిం శ్వింలం, ప్రోట్రిం శ్వింలం, ప్రోట్రిం శ్వింలం, ప్రోట్రిం శ్వింలం, ప్రోట్రిం శ్వింలం.
15	ప్రాంగ్ ర్హుమాశ్వింలం	14	ప్రాంగ్ ర్హుమాశ్వింలం, గ్రండ్ ర్హుమాశ్వింలం, ప్రాంగ్ ర్హుమాశ్వింలం, ప్రాంగ్ ర్హుమాశ్వింలం.

16	წითელაურთა	9	ჩიაშვილი, ბაიდაური, გოგიაშვილი, ბუჩქაშვილი, მოკვერაშვილი, ჩოფანაშვილი.
17	ჭიდალი	8	მურლეაშვილი, კოტელაშვილი, წელაური.
18	ჭიჩო	6	ჩილოგაური, ხიზანიშვილი, ბურდული.
19	ხოშირა	7	გელაშვილი, გამიაური, ხახაშვილი, მისრიაშვილი, ნაყეთაური, ტეტიაშვილი.

მ ა ღ ა რ ი ც ა რ ი ს თ ი მ ი

1	არბაჩინი	8	ბატარაშვილი, ბერუპლიაშვილი, ცეიიფაშვილი:
2	აფშო	34	ბუსურიშვილი, ერდანანაშვილი, მშედლეური, მარბა- რაშვილი, დექუწიაშვილი, მახრიშვილი, წერაურაშვი- ლი, ყმალაშვილი.
3	გომერშარი	46	მახაური, წყილაური, თაგვაშვილი, ღურბელაშვილი, მეზტაშვილი, ხადაშვილი, ბექაური, ვაჩერიშვილი, ბურიაშვილი, ლარჯონაშვილი, სულიაშვილი, ბე- რიკულიშვილი, რაგაშვილი, ბულალაშვილი.
4	გუდარაძი	7	მარტიაშვილი, გურასპაული, ზურაბაშვილი, ჯრაჭ- კიშვილი.
5	ენო	6	მალალიშვილი, მარწყვაშვილი, უძილაური, წევრო- შვილი.
6	კაწილხევი	35	ანთაური, ცაბაურაშვილი, ხორნაული, ზარიძე.
7	კუდო-ხილიანა	37	თანდილაშვილი, კაკაბლიშვილი, ტუნტურიშვილი, განგრიაშვილი, ნაერიაშვილი, ბაიაშვილი, ქისტაური, თურმინაული, გელიაშვილი, ღონიერაშვილი, თალა- შვილი, წელაშვილი.
8	კუპეშია	10	ხორანაული, ბუღნიაშვილი, ბერიძიაშვილი, ჩოხე- ლიშვილი, ტექქისიშვილი.
9	მალარო	14	გელაშვილი, ბეყოშვილი, საფარაშვილი, განაშვილი, ცფორსაშვილი, ივანიშვილი, ციხელიშვილი.

10	მიგრაციალთა	40	ბურთხაშეცვლი, სულხანიშეცვლი, სესიაშეცვლი, მშეცვლური, ბალაშეცვლი, მაჩიხოშეცვლი, ნარიძანიშეცვლი.
11	ქალილო	5	ნაყენური, ფიცხელაური.
12	ყოფნა	15	მარაშეცვლი.
13	შარახევი	28	ჭინქარაული, ტუქსიშეცვლი, ბორაშეცვლი, წიკლაური.
14	ნარგალი	49	ჟამიაშეცვლი, მოლოდინაშეცვლი, ბაჩიაშეცვლი, მარტივიშეცვლი, კობაიძე, რაზიკაშეცვლი, პარცვალაშეცვლი, ბუკაცებეცვლი, გორჩამაული, თიბელაშეცვლი, ფადიურაშეცვლი, ბარაშეცვლი, ვეზაგური, პირქუშაშეცვლი.
15	ხომი	34	ნაყროზაშეცვლი, ფოთოლაშეცვლი, ხაჩიშეცვლი, ჯაკობაშეცვლი, იანერაშეცვლი, გარაშეცვლი, წელაშეცვლი, თურმანაული, ლონიერაშეცვლი.

თევზს იჭირენ ნემსკავით, ბალით, ჩინგლით და წყლის დაწურვით. თევზის დასაჭირად ხმარობენ აგრეთვე მოწნულ „გუდულას“ (ფაცერი).

გეოგრაფიულად ფშავი მდებარეობს ქართლ-კახეთის საზღვარზე და წარმოადგენს ამ ორი კუთხის მთიანეთს. მაგრამ ტერიტორიულ-აღმინისტრაციულად ფშავი წინათ კახეთის პროვინციაში შედიოდა.

ვახუშტიანის თავის გეოგრაფიაში ფშავი კახეთის აღწერაში შეაქვს და ტერიტორიულადაც მას აკუთვნებს: „ხოლო ხევსურეთის ომოსავლეთის მთას იქით არის ფშავი, რომელსა შუაში უდის არავი და მოერთვიან ხევნი აღმოსავლით დასავლეთიდამ. და ვინაიდგან ფრიად მაგარ არს ქვეყანა ესე და უბრძოლველი მთითა და კლდითა და ტყითა, ამისათვის იმყოფებიან მშეცვლად, და სიმწირი-სათვის მონიბენ ეისაც უცყრაესთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ. ხოლო მზღვრის ფშავს: აღმოსავლით, მთა კავკასიდამ ჩამოსული; სამხრით, მთა ამასა და თიანეთს შორისი. ჩრდილო კავკასი ამასა და ღლილეს შორისი. დასავლით, მთა კავკასიდამ ჩამო-

სული სამხრით ამასა და ხევსურეთს შორის. არამედ ძველად ეწოდა
ამ ორთა ხეობათა (ფშავ-ხევსურეთს) ფხოელნი და აწ უწო-
დებენ ესრეთ¹.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ფშავის
ხეობა კახეთის რაიონში, ყოფილ თიანეთის მაზრაში, შედიოდა.
ღლეს კი საქართველოს ახალ დარაიონებისთან დაკავშირებით ეს
კუთხე აღმინისტრაციულად კახეთს გამოეყო და ღუშეთის რაიონს
(ქართლი) მიეკუთვნა.

ფშავი შედგება ორი თემსაბჭოსაგან: მაღაროსკარისა — სოფ. მაღაროსკარში და უკანაფშავისა — სოფ. შუაფხოში.

უკანი ფშავის თემში ირიცხება: 19 სოფელი, 212 კომლი,
552 მამაკაცი და 510 ღედაკაცი.

მაღაროს თემში: 13 სოფელი, 358 კომლი, 732 მამაკა-
ცი და 701 ღედაკაცი.

სულ ორივე თემში ირიცხება 2495 სული მცხოვრები².

ფშავლების რაოდენობა ამ ორი თემით არ განისაზღვრება. ჩვენ
თავშივე აღვნიშნეთ, რომ ფშავლების უმრავლესობა გადასახლებუ-
ლია ქართლ-კახეთის მხარეში. გასახლების ეს პროცესი დაიწყო
მე-19 საუკუნის დასაწყისში, რომელიც გამოწვეული იყო მკონი-
მიური პირობებით, უმთავრესად, ადგილის სივიწროვისა და მე-
ცხვარეობის განვითარებისთან დაკავშირებით. ფშავლები დასახლე-
ბული არაან იორის ხეობაში და შეადგენენ არტანის თემსაბჭოს.

ფშავლებია აგრეთვე გომბორში, ერწო-თიანეთში და პანკისის
ხეობაში ჩიასახლებულნი. შირაქშიც ბევრი ფშაველია გასახლებული
და აქ შეადგენენ ქვემო-ქვედის თემსაბჭოს. ამ უკანასკნელ 1909—
1922 წლებში ფშავლები დასახლდნენ ნაფარეულში და სოფ. ვაკე-
ში (ახალი სოფელი). ლაფანიურში მათი რიცხვი 250 კომლამდე
აღწევს.

¹ ვახტაშტრი, საქართველოს გოგორაფია, ტფილისი, 1904 წ. (მ. ჯანაშვილის გამოცემა), გვ. 139—140.

² სტატისტიკური ცნობები შეკრებილია ადგილზე და ამოღებულია თემსაბჭოების ოფიციალური საბუთებიდან.

გადასახლებული ფშაველები დუშეთის რაიონშიც არიან გაფანტული. აქ ყველაზე მჭიდრო ფშავერი მოსახლეობა უინგალს ზემოთ იწყება სოფ. გუდრუბიდან — შარახევამდე (ფშავის საზღვრამდე), სადაც ფშაველების 18 სოფელია, 496 კომლი და 1972 სული ორივე სქესის მცხოვრები. ამგვარად, ფშაველების დიდი უმრავლესობა, დაახლოებით, 10 000-მდე სული, ქართლ-კახეთშია გასახლებული და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

გზები ფშავი უგზონბისა გამო დღემდე მოწყვეტილი და ძნელ მისავალი კუთხე იყო. მისი მთავარი გზა არაგვის ხეობაშია მოქცეული და ეს კინტრო და სახიფათო ბილიკი დღეს უკვი წარმოადგენს განიერ და ვაკე გზას, სადაც ურემიც კი თავისუფლად გაიღლის. ფშავ-ხევსურეთის ამ გზის გაყვანა-გაგანიერება საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო ამ ორიოდე წლის წინათ და განხრახულია ორწყლიდან ამ გზის გარმძლება უკანაფშავამდე და ბარისახომდე (ხევსურეთი). გზაზე მუშაობა წარმოობს.

არაგვის ეს გზა დუშეთიდან იწყება. ის გაივლის სოფ. ჯიქურა-ულთკარს და არაგვის ხეობით მიდის უინგალში. ეს გზა უხვევს ფშავ-ხევსურეთის არაგვის ხეობაში და მიდის მაღაროს კარის ოემში. შემდეგ გაივლის ჩარგლის კარზე და ორწყალზე, სადაც ფშავ-ხევსურეთის არაგვი ერთდება, ფშავის გზა აქ აღმოსავლეთით შეუხვევს და შედის უკანაფშავის თემში. არის მეორე გზაც, რომელიც სამხედრო გზიდან ანანურთან უხვევს მთიულეთის არაგვის ხეობით და სოფ. უინგალში გამოდის, საიდანაც ფშავის გზაც გადის.

ამ ორ მთავარ გზასთან ფშავი მოსაზღვრე კუთხეებთან მრავალი ბილიკითაა გადაკვანძული. მთიულეთ-გუდამაყრისაკენ ბილიკი ვაღდადის სოფ. კაწილხევზე და ლუთიუმ-წინამხარით ის გუდამყარზი ჩადის.

პირიქით ხევსურეთში ფშავიდან ორი ბილიკი გადადის: ერთი სოფ. მათურიდან გაივლის მათურის ლელის გადასავალზე (3 167 მ) და ხახაბოში ჩადის. მეორე უკანაფშავიდან მიდის ანდაკის გადასავალზე (2 736 მ) და არღოტში ეშვება.

პირაქეთ ხევსურეთში ფშავის გზა მიდის ორწყალზე და აქედან ხევსურეთის არაგვის ხეობით ეს გზა ბარისახოში შედის.

თუშეთის ბილიკი მიღის უკანაფშავიდან ბორბალოს გადასავალზე (3 135 მ) და გომეწრის ალაზნის ხეობაში ჩადის.

ფშავიდან კახეთში უინგალ-არანის-თიანეთის შარაგზასთან არსებობს აგრეთვე რამდენიმე საცალფეხო ბილიკი: სოფ. ახალიდან (1 842 მ) და უკანაფშავიდან ბილიკი გადაღის ფუტკარულის ქალზე (2 920 მ) და ორის ხეობაში ჩადის.

ასეთივე ბილიკი მიღის სოფ. მუქოლან მისელურისა და სასუეს თავის გადასავალით და ის ართანის საზოგადოებაში ჩადის.

მაღარის თემიდან ორისაკენ გზა გადის ჩარგლიდან, ხილიანიდან და შარახევიდან.


6

2. ისტორიული მიმოხილვა

ფშავის ხეობაში არქეოლოგიურ-ისტორიული გამოკვლევა ჯერ არავის უწარმოებია და ის ამ მხრივ სრულიად შეუსწავლელია. აქ არც შემთხვევითი ხსიათის არქეოლოგიურ აღმოჩენებს ჰქონია ადგილი, რომ ფშავისაძლებელი იყოს ფშავის შორეულ წარსულის გაშუქება. ამასთანავე, ფშავი ისტორიული ძეგლებით და ნაშთებით დარიბია და ამიტომ მკვლევარი საშუალებას მოკლებულია, ფშავის ისტორიული მიმოხილვა შორეული წარსულიდან დაიწყოს. რაც შეეხება წერილობით ცნობებს, ესეც ერთობ მცირეა. ქართულ მატიანეში და ისტორიულ საბუთებში ფშავზე მეტად მოკლე და ნაწყვეტი ცნობებია შემონახული. მისი გამო ძნელია ფშავის ისტორიული წარსულისა და მისი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სწორი და მთლიანი სურათის მოცემა.

ქართული მატიანის უძველეს ცნობებში ფშავ-ხევსურეთი იხსენიება ფხოვად, ფშავლები და ხევსურები კი — ფხოვები¹.

¹ ვაჲუ შტი, სქართველოს გეოგრაფია, ტფილისი, 1914 წ., გვ. 127, 140; „მოქცევა ქართლისა“ (E. Такайшвили, Описание рукописей о-ва рас-прост. Грамотности, т. II, вып. 4, Тифлис, 1906—1912, გვ. 716); ქართლის ცხოვრება, მარამ დედოფლისეული ვარიანტი, ე. თაყაშვილის გამოცემა, ტფილისი, 1906 წ. გვ. 107; ივ. ჭავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, ტფილისი, 1914 წ., გვ. 301.



ფხოელები პირველად მოხსენიებულია „მოქცევად ქართლისაა“¹-ში, რომელთა შესახებ ნათქვამია, რომ, როდესაც წმ. ნინომ იბერიის სამეფო ქრისტიანობაზე მოაქცია (323 წ.) შემდეგ: „წარვიდა წმიდა ნინო, და ეპისკოპოსი იოანე, და მათ წარატანა მეფემან ერის-თავი ერთი. და მოვიდეს, და დადგეს წობანსა, და მოუწოდეს მთი-ულთა, პირუტყვისა სახეთა-მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოელთა, გუდამაყრელთა და უქადაგეს მათ ჯვარი ქრისტეანთა ჭეშმარიტი. ხოლო მათ არა ინებეს ნათლისღმბად. მაშინ ერისთავმან მე-ფისამან მცირედ წარმართა მახვილი მათხედა, და ძლევით შემუსრ-ნა კერპნი მათნი.

გარდამოვიდეს მუნით და დადგეს უალეთსა, და უქადაგეს ერწო-თიანელთა, ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელიღეს. ხოლო ფხოელთა დაუტევეს ქვეყანა მათი, და გარდავიდეს თუშეთს, და სხენიცა მთიულელნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არმედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარები... რომელნიმე უკანასკნელ მოაქციონა აბიბოს ნეკრესელ ებისკოპოსმან, რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმარ-თობასავე დღესამომდე“².

ამ საუკრადლებო ცნობებიდან იჩკვევა, რომ მეოთხე საუკუნეში ფხოეი (ფშავის ხევი) დასახლებული ყოფილა და ფხოელებს ქრის-ტიანობა ნებით არ მიულიათ. ამის გამო წარმართ ფხოელებს ხელი-სუტლებისაგან დევნაც კი განუცდიათ და მათი ნაწილი მეზობელ თუშეთში გახიზნულია. აქედან უკვე აშეარა, რომ ფშავის ხევში მო-სახლეობა აღრე გაჩენილა, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს პირ-ველი საუკუნისა. ფხოეის ისტორიული ტერიტორია მემატიანეს ასე აქვს შემთხვერგლული: „გუდამაყრის ხეობის აღმოსავლეთით ფხო-ელთა მთებზე არის ფხოელი, რომელსაც აღმოსავლეთით დი-დოეთი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით თუშეთი საზღვრავს“². ფშავის ხევი (ფხოვი) დღესაც ამავე საზღვრებშია მოქცეული.

შემდეგ საუკუნეებში ფხოელნი მოხსენიებულია კახეთის ქორი-კოზის კვირიკე II დიდის დროს (1014 წ.), როდესაც მან კახეთი

¹ ქართლის ცხოვრება. ტ. I. ჸ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფილისი, 1897 წ., 83, 134.

² ივ. ჯოვანი ზოლი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 301.

ხელმეორედ დაიპყრო და ახალი საერისთაოები განაწესა, ნათქვამია:
 „...მეორე (ერისთავი) დასვა კვეტე რისა და მისცა უჯარმას ზე-
 მოთი ორთა მთათა შორის, რომელ არიან კახეთისა და კუხეთისა
 ვიდრე კავკასამდე და გარდაღმალ. ეს არს ერწო-თიანეთი, ფ ხ თ-¹
 ვ ე ლ ნ ი, ძურძული და ღლილვი“-ო¹.

ამ მოკლე ცნობიდან იჩევევა, რომ ფხოვი საშუალო საუკუნეებ-
 ში შედიოდა კვეტერის საერისთაოში.

XIII საუკუნეში, თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში, დაახ-
 ლოებით 1212 წელს, ფ ხ თ-ე ლ ე ბ ი და ღიდოელები გამდგარან
 და ამ ამბოხების მოსასპობად საჭირო გამხდარი იქ დამსჯელი ლაშ-
 ქრის გაგზავნა: „მათ უამთა იწყეს კაცთა მთეულთა განდგომად,
 ფ ხ თ-ე ლ თ ა და დიღოთა. დიღონი... უჩინარ რასმე ეშმაკს თაყ-
 ვანის-სცემენ. ხოლო ფ ხ თ-ე ლ ნ ი ჯუარის მსახურნი არიან და
 რიცხიასიასა იჩემებინ. მათ იწყეს რბევად, ხოცად და ტყვეობად,
 ცხადად და ღამით. მაშინ მოუწოდა მეფემან თამარ ათაბაგსა იგანეს
 და ყოველთა მთეულთა, დვალთა, ცხრა-ზმელთა, მოხევეთა, ხადელ-
 თა, ჭართალთა და ერწო-თიანელთა, მისცნა იგანე ათაბაგსა, და წა-
 რავლინა მათ-ზედა. ხოლო იგანემ გონიერად ყო, აღვიდა მთასა ხა-
 დისამა, და წარვლო წვერი მთისა, და წარდგა მთისა ფ ხ თ-ე ლ-
 თ ა და დიღოთასა, რომელი ეს არავის ექმნა, არცა პირველ უა-
 რცა შემდგომად. ერთ-კერძო დაურჩა ძურძულებითი, და ერთ-კერძო
 დიღოებითი და ფხოველი. ცნეს მისელი ათაბაგისა, მოვიდეს ძღვნითა
 მეფენი ძურძულანი, მოსცეს ლაშქარი და დაუდგეს გვერდსა, და
 იწყეს ზეიდამ ბრძოლა, ტყვეობა და კვლა, და რბევა, და დაწვა. და
 მოწყვიდნეს ურიცხვი კაცი დიღო და ფ ხ თ-ე ლ ი. და დაყუნეს
 სამნი თოუენი ივნისი, ივლისი და აგვისტოსი. მაშინ შეიწრებულთა
 ათაბაგისაგან მოსცეს მეფელები, და აღუოქვეს მსახურება და ხარა-
 ჭა, და მოსცეს პირი სიმტკიცისა. ქმნეს ზავნი, და წარმოასხნა მეფე-
 ლები, და ესრეთ გამარჯვებულნი მოვიდეს წინაშე მეფისა, და პრევა
 ივანე ათაბაგმან მეფესა თამარს; პო ძლიერ მეფეო, ქმნა ბრძა-
 ნება შენი, და მოვათხრენ ურჩნი ბრძანებისა შენისანი, დიღოეთ
 და ფ ხ თ-ე ლ ნ ი“-ო (ჭართლის ცხოვრება, გვ. 484—485).

¹ ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფილისი,
 1913 წ., გვ. 151.

შემატიანის ამ ფრიად საყურადღებო ცნობაში, სამწუხაროდ, რა არის ნათევამი, თუ რა პოლიტიკურ-ეკონომიკური ხსიათის მიზეზებით იყო გამოწვეული ფხოელების და დიდოელების (ლექა-ბის) ეს ამბოხება. მხოლოდ ირკვევა, რომ ამბოხება ყოფილა ძლიერი და სამეფოსათვის საშიში. ამიტომ ხელისუფლება იძულებული გამხდარა მეამბოხეთა წინააღმდეგ გაეგზავნა ძლიერი სარდალი ათა-ბაგი ივანე მხარგრძელი. ათაბაგის ლაშქარი კავკასიონის ქედის გადალახვით მეამბოხეთა მხარეში შეჭრილა და სამი თევის ბრძოლის შემდეგ ეს ამბოხებაც ჩაუქრია.

ძლეულ ფხოელებს მორჩილების ნიშნად მიუციათ მძევლები და ხარაჭა. ფხოვის ისტორიაში ამ ამბოხებას საბედისწერო მნიშვნელობა უნდა ჰქონდა. მეფის ლაშქარმა ეს მხარე ცეცხლით და მახვილით შემუსრა და გაანადგურა. ამას მოწმობენ აქ ღლესაც დარჩე-ნილი ძველ ნასოფლართა ნანგრევები შუაფხოს მიღამოში (ხოვლე-ვი, სოფ. თხილიანასთან, ქანიში და სხვ.).

ამ დროიდან ამ მხარეს სახელიც ეცვლება და ფხოვის ნაცელად შემდეგ საუკუნეებში ის ფ „შავა“ დ იხსენიება. მისი ძველი ისტო-რიული სახელი ფ „ხვი“ დღეს მხოლოდ ერთ სოფელს შუაფხოს შერჩენია, რომელიც ფხოვის არსებობის უტყუარი მოწმეა. შესაძლებელია, ეს შუაფხო XII საუკუნეში თავისი პოლიტიკურ-ეკონო-მიკური მნიშვნელობით ფხოვის ცენტრი ყოფილიყო, სადაც დაუ-ლია ფშავის ძლიერი სალოცავი იახსარის ხატი და ნასოფლართა ნანგრევები.

ფხოელების სახელშოდებაც ამ გეოგრაფიული ფხოვიდან უნდა ყოფილიყო წარმოშობილი. მაგრამ ამბოხების შემდეგ ფხოვის ხე-ობასაც სახელი ფხოვი ეცვლება, რომლის ნაცელად შემოდის „ფ „შავი““.

რაც შეეხება სახელი ფ „შავის წარმოშობას, შესაძლებელია, ეს სიტყვა დაკავშირებული იყოს „ფშა“-სთან, რაც ნიშნავს ფშა-ურად მდინარის ნაპირიდან გამომდინარე წყაროს¹. ასეთი ფშანი წყაროები ბევრია უკანაფშავის თემში.

მაგრამ მეამბოხე ფხოელების დასამორჩილებლად არ კმარიდა

¹ ამასთან ერთად, პ. იოსელიანს ფშავის სახელის ასახსნელიც სხვა მოსაზრებებიც მოჰყავს (იხ. პ. იოსელიანი, «Пшавия», გაz. Кавказ, 1872 г., № 134).

მხოლოდ სამხედრო ძალაზე დამყარება, მქევლებისა და ხარისხის აღება, საჭირო იყო ამასთანავე მათი სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური შემომტკიცება. მით უმეტეს, რომ ფხოელები, მართალია, ოფიციალურად ქრისტიანებად და ჯვარის მსახურად ითვლებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში ისევ წარმართები იყვნენ და მუხსის ანგელოზს / თაყვანსა ცეკვედნენ. ეს მუხა ხალხური გადმოცემით ლაშარის „ხმელ გორზე“ მდგარა და თემის მთავარ სალოცავად ითვლებოდა თურმე. თამარის პრინცეპით აქ ეკლესია აუშენებიათ, რომლისათვის თამარს თავისი ძის, ლაშა გიორგის სახელზე ვერცხლის ჯვარი შეუწირავს და ამ გორსაც ლაშარის ჯვარი დარქმევია.

ამასთანავე, ცრუმორწმუნებული წარმართ ფხოელებში რომ ჩაენერგათ თამარის პიროვნების ღვთაებრივობის რწმენა, ლაშარის გალმა გორზე, ეგრეთ წოდებულ „ღვთებული“, აუგიათ თამარის სამლოცველო თამარ ნეცედ წოდებული.

ამგვარად, მეამბოხე ფხოვის იდეოლოგიურ-პოლიტიკური შემომტკიცების მიზნით, აქ წარმოიშვა თამარ მეფისა და მისი ძის, გიორგი ლაშას სამლოცველო, შეიქმნა მათი თაყვანისცემის კულტი, რომელსაც ცრუმორწმუნე ფშავი დღესაც თამარ-ლაშარობით ლოცულობს.

ამასთანავე, ისიც აღსანიშნავია, რომ ივანე მხარგრძელის შესახებ ფშავში ზოგიერთი ცნობა დღემდე შემონახულა. წინათ ლაშარობა-თამარობას ხევისბერები, დამწყალობლების დროს, ივანე მხარგრძელსაც იხსენიებდნენ თურმე. თამარ მეფის საჯარეში, ღელეში, დღესაც დაცულია სავარძლისცებურად მომრგვალებული ქვის საჯდომი, რომელსაც მხარგრძელის საჯდომს უწოდებენ. გადმოცემით, მხარგრძელი აქ ჯდებოდა თურმე და საჯარეში შეკრებილი ფხოელების ხევისბერების ბჭობა-თათბირს უსმენდაო.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან წყდება ფშავის შესახებ ისტორიული ცნობები და ჩვენ არ ვიცით, თუ რა ბედი ეწია მას შემდეგ საუკუნეებში. შესაძლებელია, ფხოელებმა ისარგებლეს მონალების შემოსევით, საქართველოს ფეოდალური მონარქიის დაშლა-დაცემით, ისევ განდგნენ და ეწეოდნენ დამოუკიდებელ თემურ ცხოვრებას. ამას მოწმობს XV საუკუნის ერთი ისტორიული ცნობა.

როდესაც საქართველო სამ სამეფოდ გაიყო და კახეთის მეფიდ დაჯდა გორგი I დაეითის ძე (1471—1492 წწ.), მემატიანის ცნობით, მას საერისთაოები გაუუქმებია და ამის ნაცვლად მოურაობა შემოუღია: „გიორგიმ დაიპყრა სრულიად კახეთი; მაშინ მოსპონ ერისთავი პერ-ჯახთა შინა და დასხნა მოურავი დიდთა და მცირეთა ადგილთა... ამათ არა მორჩილებდენ თუშნი და ფშავები ვს ურნი, არამედ დიდოეთი ერთგულებისათვის დავითისა ერთგულოებდნენ ამათ და მსახურებდენ“-ო (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 158).

იქედან ირკვევა, რომ ფშავი ისევ გამდგარა და არ ემორჩილებოდა კახთა მეფებს და მათ მოურავებს.

ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცივია კახეთის მეფეს ლევან II (1520—1574 წწ.) და განუზრახავს ფშავის შემომტკიცება, რომელსაც შისთვის პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ფშავის მხარე დარაჯობდა კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის საზღვაოს და წარმოადგენდა კახეთის ერთგვარ საფრის. ფშავის კავკასიონზე გადადიოდა ჩრდილოეთის ბილიები, საიდანაც შემოდიოდნენ განსაკუთრებით ქისტ-ჩაჩნები. ამიტომ ფშავის ხევს კახეთის სამეფოს თავდაცვისათვის სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა. ამას გარდა, ფშავლები კარგი მოლაშქრები იყვნენ და ბეგარის გაღებაც შეეძლოთ. ამის გამო ლევანი შესდგომია ფშავის შემორიგების საქმეს: „ამას წინათა კახთა მეფეთა ორლარა მორჩილებდენ ფშავები ვსურნი და თუშნი და ამან ლევან დაიპყრნა არა ძალითა, არამედ აღუთქვა, რათა ცხოვარი მათნი უვნოდ მმოვარიყუნენ კახეთს და მისცა შეწირულობა ლაშას ჭუარსა თიანეთს შინა და მთერითგან მისცემენ ლაშქარსა და ბეგარასა“-ო (იხ. ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, გვ. 107; ვახუშტი, საქარ. ცხოვრება, გვ. 163).

ამგვარად, ლევან მეფესა და ფშავს შორის მომხდარა შეთანხმება, რომლის ძალით ფშავლებს მეფისათვის უნდა ეძლიათ ლაშქარი და ბეგარა, სამაგიეროდ, მეფეს ფშავლების ცხვრისათვის უნდა დაეთმო კახეთში ზამთრის საძოვრები. ამ პირობის სიმტკიცის ნიშნად, მეფეს ფშავლების მთავარ სალოცავ ლაშარისათვის შეწირულებაც მიურთმევია.

სანამ ჩვენ ფშავის ისტორიის შემდეგი საუკუნეების განხილვაზე გადავიღოდეთ, საქიროდ მიგვაჩინია ზოგადად შევეხოთ, თუ როგორი იყო ფშავის თემის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების წყობილება.

უნდა აღვინიშნოთ, რომ ფშავის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება თემურ წყობილებას არ გასცილებია. მისი დამოკიდებულება საქართველოსა და კახთა მეფეებთან ნომინალური ხასიათისა იყო, რაც განისაზღვრებოდა ლაშქრისა და ბეგარის გალებით.

აღმინისტრაციულად ფშავი შედიოდა ჯერ კვეტერის საერისთაოში, შემდეგ კი ერწო-თიანეთის სამოურაოში.

საეკლესიო მმართველობის მხრივ ფშავი ეკუთვნოდა ხარჭაშოს საეპისკოპოსოს (იხ. ვახუშტი, საქარ. გეოგრაფია, გვ. 137).

ერისთავ-მოურავები მეფის ბრძანებით ფშავის ხევში ჰკრებდნენ მოლაშქრებს და ხარგხსაც იღებდნენ. მაგრამ მათ უფლება არ ჰქონდათ ფშავის შინაურ საქმეებში ჩარეულიყვნენ, რომელსაც თემური ადათის მიხედვით ხევისბრები განავებდნენ.

თემური მმართველობის მხრივ, მთელი ფშავი 12 თემად იყო: გაყოფილი და თითოეულ თემს გვარის ხევისბერი განავებდა.

ხევისბერის სათავეში იდგა თავხევისბერი, რომელსაც ყველა ხევისბერი ემორჩილებოდა. თავხევისბერს ეკითხებოდა სათემო საქმეები. ის ხელში ლაშარის დროშით და ჯერით აფიცებდა და წინ მიუძღვდა საომრად მიმავალ ლაშქარს.

ხევისბერთა შორის საზოგადოებრივ-აღმინისტრაციული ფუნქცია ასე იყო განაწილებული: თითოეულ თემში საქმეებს აწესრიგდებდა თემის ხევისბერი და გვარის ბჟევები. თუ საქმეს ხევისბერი ვერ გადატრიდა ან ეს მისთვის სამძიმო იყო, მაშინ თავხევისბერს მიმართავდნენ, რომლის გადაწყვეტილება თემისათვის სავალდებულო იყო, თავხევისბერს ებარა ლაშარის დროშაც.

ლაშქრობისა და ზავის საქმეს არჩევდა და წყვეტდა ოორმეტივე თემის საერთო ყრილობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა თავხევისბერი. ამისათვის იწვევდნენ ყველა თემის ხევისბრებს და გვარის საპატიო მოხუცებს, რომლებიც იყრიბებოდნენ მთურხევასთან დამატეს მინდორზე ან დელეში, სადაც ლამის თევით დგებოდნენ და

თან თავიანთი სურსათიც მიპქონდათ. თემების ამ ყრილობაზე წყდებოდა ზავისა თუ ლაშქრობის საქმე და აქედან თავხევისბრივი წინამდლობით ცველანი ლაშარის გორაზე აღიოღნენ. ლაშარში თავხევისბერი გამოიტანდა დროშას და ცველანი ფიცსა დეილნენ. თუ მტერზე გალაშქრება გადაწყდებოდა, თავხევისბერი ხელში დროშით ლაშქარს წინ გაუძღვებოდა და ცველა თემი ერთად იბრძოდა.

ამ ბრძოლის ეპიზოდებით მდიდარია ფშავერი ეპოსი, რომელ შიაც გალექსილია მებრძოლთა თავდადება და ვაჟკაცობა.

ამ მხრივ საყურადღებოა ფშავლების ბრძოლა ზურაბ არაგვის ერისთავთან. ამ ბრძოლის შესახებ ისტორიული ცნობები ქართულ მატიანეში არ მოიპოვება, მაგრამ მისი გალექსილი ეპიზოდები და გადმოცემანი ფშავში დღემდე შემონახულა.

ზურაბ არაგვის ერისთავმა (1619—1629) ისარგებლა ქართლ-ჯანეთის სამეფოს დასუსტებით და განიხრახა თავისუფალი მთიელები, რომლებიც უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდნენ, დაცყრო და თავის უმებაღ ექცია. ძლიერმა ზურაბმა დიპლომატიური ხერხებით ეს ვერ შეძლო. მაშინ ის შეუდგა მთიელების დაპყრობის სამზადისს.

პირველი ზურაბმა მთიელეთ-ხევისაკენ გაილაშქრა და ძლიერი ბრძოლის შემდეგ ეს მხარე დროებით დაიპყრო¹. შემდეგ ფშავ-ხევ-სურეთისაკენ გაილაშქრა და ორწყალში ჩაეიდა.

ორწყალთან ზურაბს ფშავ-ხევსურები შებრძოლებიან:

ფშავში ამოხვედ, ზურაბო,
ლალას და კულუბს ელიო.
ფშავლებმა გამოგაქციეს,
დღე დაგაყენეს ცხელით.

¹ ნ. ურბნელი, ისტორიული კულტურული სახალხო პოეზიისა, ზურაბ არაგვის ერისთავი, ივერია, 1888 წ., № 238, 241; სერ. მაკალათია, მთიელეთი, ტფილისი, 1930 წ., გვ. 28.

კართანას გადასაყალში
მსახუროთ გვეიდეს ხელიო,
თვალიეს რო მოვმართე,
იქ მოგაგონდა ცხენიო.

ორწყალთან ფშავლებს ზურაბი დაუმარცხებიათ და გამარჯვე-
ბულ ხალხს ეს ამბავი ასე გაულექსია:

არ კი გოთხარა, ზურაბო,
ფშავლების ხელი სენია;
შენ ეგ არ დაგიგრებავ,
არცა რა მოგისმენია.
ორწყალში შემოგოვლია,
ხალიჩა მოგიფენია;
მანდ მოგივიდენ ფშავლები,
დღე დაგაყენს ცხელია,
სირბილით ჩამოგვლიეს
არავინ ჭალა გრძელია,
კართანას გადასეესა
მსახუროთ გაეიდეს ხელია,
თვალიერი ცეკველ
იქ მოგაგონდა ცხენია.

მაგრამ ამ პირველ დამარცხებას შეუპოვარი ზურაბისათვის გუ-
ლი არ გაუტეხია და მას ფშავში ხელმეორედ გაულაშქრია. ფშავ-
ლები ზურაბს მათურის თავთან შებრძოლებიან და ის აქაც დაუმარ-
ცხებიათ:

ზურაბ, რა უკვენ ლაშქარნი,
ნაკრეფნი შეიდის თვისანი,
ჩაუშეენ მათურაშია,
თვალნი გაგიწყრეს ხთისანი;
დაგახვდეს ფშავლიშვილები,
არწივნი მალლის მთისანი;
შემოგენიენს მთაშედა,
გაწითლებინეს ქვიშანი.

ბოოოს ზურაბს განუზრახავს იერიში მიეტანა ფშავლების ლა-
შარის ჭვარზე, რომლის ყმად მთელი ფშავის-ხევი ითვლებოდა.

ზურაბს ჭავრი ქულაეს თრისა:
ზენა მთის, ქვემოთ ბარისა:
ხევსურეთს კორმეშავისა,
ფშავში ლაშარის გვარისა.

ზურაბმა კარგად იცოდა, რომ ლაშარის ჭვრის ხელში ჩაგდებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა ფშავის ხევის დასაპყრობად, რადგანაც ეს ადგილი იყო თემური ფშავის რელიგიური და პოლიტიკური ცენტრი. აქ ესვენა ლაშარის დროშა და აქვთ წყდებოდა სათემო საქმეები, საიდანაც თავხევისბერი მოუწოდებდა ფშავლებს ზურაბის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისაკენ, რადგანაც „ლაშარის ყმათ სხვისი ყმობა არ მაუდისო“.

ზურაბს ლაშარი შეუყრია და ლაშარის გორს მისდგომია. ფშავლები ლაშარში გამაგრებულან და ზურაბს შებრძოლებიან:

ზურაბის ცხენი ტიალი
ქერსა არა სქამს მოისამა,
წავა და ბარით მოუტანს,
ჭავრსა არა სქამს მტრისასა:
„ეგებ ჭავრს ამოვიყრიდი
ფშავში ლაშარის ჭვრისასა“.

ძლიერი ბრძოლის შემდეგ ზურაბს აქ გაუმარჯვია და ლაშარის ჭვარი აუღია. შურისძიების მიზნით, ხალხური გადმოცემით, ზურაბი შესდგომია ლაშარში მდგარ „ბერმუხს“ მოჭრას. ზურაბის ამ საქციელს ცრუმორწმუნე ხალხი სასოწარკვეთით თურქე შესცე-
როდა, რადგანაც ფშავლების რწმენით ამ მუხაში სადგურებდა მუ-
ხის ანგელოზი, რომელიც მოლაშერეთა მფარველი და წინამდობლი
იყო. ამიტომ მუხის მოჭრით ლაშარს მფარველი ანგელოზი განშო-
რდებოდა და თემის ძლიერებაც გიქრებოდა. ეს კი თემისათვის დიდ
უბედურებას მოასწავებდა.

მაგრამ, გადმოცემით, ზურაბმა ამ ბერმუხის მოჭრა ვერ შეძლო თურქე, რადგანაც, რამდენ ცულს დაპერავდნენ, ნაფოტი ისევ მუხის ტანს ეკეროდა და მაგრდებოდა. მაშინ ერთ უკანაფშაველს, გვარად აფციაურს, თემისათვის უდალატნია და ზურაბისათვის ურჩევია, მუხისათვის კატის სისხლი წაესვა. ასეც მოქცეულან. მუხა იმწამსვე
წაქცეულა და ანგელოზიც მოშორებია.

ბეგერსა ლაშარის ფვარსა,
 ხმელს გორჩედ ედგა შერ-მუხა,
 წევერს ება შიბი ოქროსა,
 ზეცას ავილი კიბითა.
 სულძალმა ერისთვიშვილშა
 აბუბორუნა მირითა,
 შანიშლე იმის ქე არის,
 ის ამაგებს ჭირითა.

ზურაბის ამ საქციელს მთელი ფშავი იუმხედრებია, ხალხი ამ-
 დაგრა და დამარცხებული ზურაბი ლაშარიდან გაქციულა:

ორწყულში ჩავა ზურაბი,
 ქალია ჩიქილიანი;
 ჩაეცანება მსახურთა:
 „სანა რა მექნა ტიალი?“

ამგვარად, ხანგრძლივი ბრძოლის მიუხედავად, ზურაბმა შიონიც
 ვერ შეძლო თავისუფალი ფშავის დამორჩილება და თავის ყმად
 ჰელვა.

დამარცხებული ზურაბი ბოლოს ფშავლებს შერიგებია, და
 ცოდვის მონანიების მიზნით, შებლალულ ლაშარისათვის ზარი მი-
 ურთმევია.

1629 წელს თეიმურაზ I ეს ზურაბ ერისთავი ღალატით მოაკა-
 ლევინა და ფშავ-ხევსურეთმაც დაისვენა:

გაგზავნეთ მახარობელი,
 ფშავ-ხევსურეთში ჩაფარი,
 საფურცლეს მოქლეს ზურაბი,
 ძილ დაიძინონ ზაგარი.
 ფშაველ-ხევსურთა უთხარით,
 ქცათთ დაისნან აბჯარი,
 შაულავთ ერისთვიშვილი
 აღარ შავალის ლაშეარი.

ზურაბის შემდეგ ერთს ფუძნარელ ქივჭავაძეს მოუნდომებია
 ყმად დაჭერა და ამ მიზნით მას კიდევაც გაულაშქრია ფშავში, მაგ-
 რამ ფშავლებს ეს მებატონეც დაუჭრიათ.

ბრალია შენი სიკეთილი,
ღირჩნარში ჰავჭავაძეო,
თავში გვირს სამი ნახმლევი
ზედ ერბო-კვერცხი გაძეო.

ასეთი მეღვარი ბრძოლით ფშავლებმა თავი დაალწიეს ფეოდა-
ლების ბატონიშვილ ულელს და თავიანთი თემური თავისუფლებაც
ბოლომდე შეინარჩუნეს.

ხალხური გადმოცემით, როდესაც შაპ-აბასმა ქართლ-კახეთი მო-
აოხრა, მას განუხრახავს ფშავის დაპყრობა და ლაშარის განძის
ხელში ჩაგდება. შაპს ერთ თავის ქვეშევრდომ ხანისათვის ჩაუბა-
რებია დიდი ჯარი და ლაშარის დასარბევიდ გაუგზავნია. ფშავ-ხევ-
სურეთს ეს გაუგია და სპარსელების ლაშქარს დახვედრიან არაგვის
ვიწრო გასავალში, ეგრეთ წილებულ ნაწვეთაში, შეუკრავთ გზა და
იქვე მოუხოციათ. დახოცილთა სისხლს, ხალხური თქმულებით,
არაგვის წყალი წითლად შეულებია და ის ორი კეირია არ დაილე-
ოდა.

ფშავის-ხევს თავდაცვა უხდებოდა აგრეთვე მეზობელი ტომები-
საგან, რომლებიც ნადავლისა და ტყვეების გატაცების მიზნით მას
თავს ესხმოდნენ და ამ კუთხეს იყლებონენ.

ამ მხრივ, ხალხური თქმულებით, მძიმე იყო თუშების თარეში,
რომლებსაც ფშავში მეკობრად და ჯარად თურმე უვლიათ. თუშ მე-
კობართა მეთაური დავით თილისძე ყოფილა, თუშური თქმულე-
ბით კი — გორგი თილისძე სოფ. კვავლილან. თილისძის ლაშქარი
თუშეთიდან უკანაფშავში გადადიოდა და იტაცებდა ფშავლების
ცხვარ-საქონელს, იყლებდა სოფლებს და ნადავლით უკანვე ბრუნ-
დებოდა. ამ მეკობარ თუშებსა და ფშავლებს შორის გადმწყვერი
ბრძოლა სოფ. ხოშარაში მომხდარა:

თუშთა ქნეს სამღვთო წოდათა,
სალმერთოდ დაკლეს ხარიო;
ღმერთო, შენ ჩაგვასწივლნოდი
ხოშარისანი გზანიო.

თუშ მეკობარნი ფშავლებს გაუფრთხილებიათ:

თუშინ, ხოშარის ნე ჩახვალო,
ხოშარა ეკლიანია,

შეი სამნი მგელნი ბუდობენ,
სამნიცე ლექვიანნია.
თუ ჩახვალო, კელარ ამოხვალო,
გიორგი ეტლაანია.

თილისძე თავისი ლაშქრით ფშავში გადმოსულა, სოფლები აუკლია და ხოშარისაკენ წასულა. მას ექ ფშავლები დახვედრია და ხოშარაში მომხდარა გადამწყვეტი ბრძოლა. ფშავლებს თუშები დაუმარცხებიათ და დიდის ზარალით თილისძე გაქცეულა. ხალხური გადმოცემით, ხოშარაში მრავალი თუში დახოცილა და ფშავლებს მათი ჩითები (ნაქოვი ჭრელი ფეხსაცმელი), გოდრებით უზიდიათ.

სოფ. ხოშარაში დახოცილი თუშების საფლავებს ექვედესაც უჩვენებენ, რომელსაც საკმაო დიდი ფართობი უჭირავს. ამ ბრძოლაში ფშავლებში გმირობა გამოუჩენია სუმელჯი წოწყურაულს.

ხოშარაში დამარცხებული თილისქე ამ ამბავს დედას ასე მო-
უთხრობს:

- მოხველა, თილის ობოლი, რა ამბავ მოკიტანის? — ერთ შე მოგვიყელ, დედაო, სხვა ბევრი ვერ მოღილა წყურევილის შაჩქებული მხელარი ჩამოღილდა. დავდინა ხმაშის გორბა, იქ წყლის არ გამოდეამა, ვიწრო-ვიწრომა ხევსულმა, მოკლედ ფშავების დრენამა, უწყალოდ გაღმომდინარმა სანაოურისა ენამა. წონეურა-კლის ისარი ჯელივით შამოწილდა, შეიგ მოღილდა გარშია ცხენების შეცდრები სცვილდა, შორს დაერჩი, ახლოს ვერ მივეღლ, ისევ იმასა სწილდა. ჩაგვარა არყილოშია აემს ნიავება ქარმა, სუმელიკ წონეურა-კლიმა ყელლილინის ქმარმა, მაგის გამოკრულ ისარისა ვერ დაუფირა ფარმაო, მაგის ჩაბოცილ თუშები ანდაქს გარიცყა ლვარმაო, იმდენ ჩითა გახადეს, გოდრით გოყება ფარმაო.

ნოშარაში დახოცილი თუშების ცოლების მოთქმა ფშავლებს ასე გაულექსიათ:

¹ სანათა ხოშარელი ქალი ყოფილა: მას ამ ბრძოლაში შეიღი და კიარეც თურმე მოკულეს, მაგრამ გამზარბეჭლი სანათა ქუშვლებს მაინც ამხრევებდა თურმე და გაძახოდა: „უდიალებო, გაწულოთ“.

ზოგთა თქვენს: გომში შეკრეოთ, შეელორთ დაუკატით კარები,
ზოგთა თქვენს: ტყეზი გაუშეოთ, დაგალონ ნალ-ლურსმანები,
ზოგთა თქვენს: უკალმ დავაძიმიოთ, ზედა ჩეკნ შეცხდოთ კალები,
ზოგთა თქვენს: კახეთს ჩავიღეთ და იქ შეიირთოთ ქმარები.

ამის შემდეგ თუშებს ფშავლებისათვის შერიგება უთხოვიათ. ამ
მიზნით თილისძე ლაშარობას ფშავში მისულა და ლაშარის გვარი-
სათვის თეთრი ქორა ხარი მიუყვანია:

ლაშარს თილიძე მოვიდა, დაჭადა დადგულად ხარა,
შამოეხვინ ფშავლები, როგორც ბარონსა უმანია
„შენ იქ არ მოგეხველებოდა, დიდი ჰქენ ცოდო-ბრალია,
დაწერი, დასტავე ხოშარა, ცამიზი აუშევ აღია,
შეპყარე დიაცუმაშვილნი, კალოდ გალეწე მკვლარია,
ნაყეთაურის კერხოსა შენ შეხსენ რეინის კარია,
სალუდე დასპერ ქობები, ღმერთს მისდიოდა ჩემია“.

აქაზე თილისძეს უპასუხნია:

დაიცათ, ლალო ფშავლებო, მალოცეთ თქვენი ჩვარია,
სამხეფშიად მამიყენანია თეთრი ქორა ხარი.
მაშინის გვერიგოფეთ, როცა გამოვლენ შითანია,
გავიდეს იალაზედა ჩენი და ოქენი ცხვარია,
ვისაი ცეხლეს თოფები, ვისიცა სცრიდეს ხმალია,
უბის-თაეს დანათლებიან თილისძის ცხენის ნალნია.

ბოლოს ორივე მხარე მაინც შერიგებულან და ფშავლები და თუ-
შები იქვე ძმად გაუიცულან. ამის სიმტკიცის ნიშნად ლაშარში სა-
მანი ჩაუსვამთ, თუშებს ლაშარში თავიანთი საგარე გაუმართავთ და
ლაშარის ყმად გამხდარან.

ამის შემდეგ ფშავლები და თუშები დამეგობრებულან და მტერ-
საც ძმურად თურმე ებრძოდნენ:

„თუშენ, ფშაველნო, ხევსურნო,
ლაშერი გავაზიაროთ,
ჩეკნ ერთურთს მხარი უჭიროთ,
მტერი კი დავაზიანოთ“.

ასთ კავშირს მოითხოვდა თუშ-ფშავ-ხევსურების საერთო პო-
ლიტიკურ-ექონომიური ინტერესები, რომ მათ შეერთებული ძალით
ვინ

შესძლებოდათ თავდაცვა მოძალადე ფეოდალებისა და ქისტ-ლეკებ-თათრების თარეშისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე მო-ელოდა მათ თემურ თავისუფლებას და ცხვარ-საქონელს.

ამას კარგად გრძნობდნენ თვით ეს მთიელებიც და სამიერი ერ-თად იბრძოდნენ ბახტრიონის იღებაში.

1658 წელს კახეთის გამგებელმა სელიმ-ხანმა ბახტრიონსა და ალავერდში თათრები დაასახლა. სელიმ-ხანი ხელს უწყობდა ალვა-ნის (ალონის) ველზე ლეგების თავისუფალ თარეშს, სადაც ზამთრო-ბით დგებოდა ფშავ-თუშეთის ცხვარი და მოთარეშე ლეკებიც ამ ცხვარ-საქონელს იტაცებდნენ.

ამიტომ თუშებმა ბახტრიონშე პირველად ფშავ-ხევსურებს მო-უწოდეს:

„ჩვენაც ხომ თქვენი ძმინი ვართ
სისხლით, ხორცით და ჩერელით,
მტერმა დაგვჩიგრა, გვიშვილეთ,
გაუტეხელნ გულიოა“ (ვაჟა).

თუშების მოწოდებას ფშავლები გამოეხმაურნენ და სალაშქროდ ბახტრიონისაკენ დაიძრნენ. ამ ლაშქრობის ეპობეა მხატვრულად მოცემულია ვაჟა-ფშაველის „ბახტრიონში“ და ჩენ აქ მოვიყვანთ მის ზოგიერთ ნაწყვეტს.

ივსება ლაშარის გორი
ქორ-შვარლენების ფარითა:
ღროშები გზას უკურთხებენ
უღრით, აშენილის ტარითა.

ფშავ-ხევსურეთის ლაშქარი შეყრილა ლაშარში და აქ წესია-მიბრ სამრეოო გადაუხდიათ:

სამღეთო ქნეს ფშაველ-ხევსურთა,
დაკლეს ხარი და ცხვარი.
ჩამისხდნენ ბელელს, საჭარეს
გარს შემოერტყა ჭარია.
შველის თან უდგა საგზოო,
საწეაროდ ნადუღარია.

აღიდეს ლაშეარის ჭვარი
თამარის ნაჩუქარია;
ხევისბრობს ბერი ლუხუში
ხმატებილად მაუბარია.
გმირთა ქებით და ღიღებით
გული ვერ მოუფხანია.

ლაშეარიდან ხევისბრის ლუხუშის წინამძღვრობით ეს ლაშეარი
ბახტრიონისაკენ დაძრულა და ზაალ ერისთავის ლაშეარს შეერთე-
ბია. 1659 წელს ბახტრიონი ქართველებმა აიღეს და დამარცხებუ-
ლი სელიმ-ხანი გაიქცა, რომლის შესახებ მატიანეში ნათევამია:
„ზაალ ერისთავმან შემოიტიცა საყმონი თვისნი და ფ შა ვ-ხ ე ვ-
ს უ რ-თ უ შნ ი, წარუძღვნა ძე თვისი და მიუხდეს პირველად ბახ-
ტრიონს, მოსრნეს და მოსწყვიტნეს თათარნი, მერმე ილავერდს და
შემდგომად ყოველსა კახეთსა—ო (ვახუშტი, საქარ. ცხოვრება,
გვ. 189).

ბახტრიონის ოლებაში ფშავლებში გმირობა გამოუჩენია:

— ვინ მოგილოცოთ სახელი,
ვინა ხართ სახელიანი?
— პირველ — ობოლი კვირია,
სახე აქვს ნაოელიანი.
შეორე — ლელა ბაჩლელი,
ქალ ხელფარტენიანი.
შესამე — ბერი ლუხუში
კურთხეულგამდელიანი,
შეოთხე — ზოშარეული
აღწიეთ მხარჯვერიანი;
შეხუთე გივით სუმელჭია,
მოვყავის ნაჭრევიანი.

ამგვარად, ფშავლებს ბახტრიონის ოლებაში თავი უსახელებიათ
და გამარჯვებული დაბრუნებულან.

ბახტრიონის ოლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თუშ-ფშავ-ხევ-
სურეთის ეკონომიკისათვის. როგორც ჩვენ აღნიშნეთ, ამ მთი-
ელებს ალვანის ველზე კახთ მეფეებისაგან დათმობილი ჰქონდათ
ზამთრის საძოვრები. თათრების ბახტრიონში გამაგრება საფრთხეს
უმზადებდა ფშავ-თუშების მესაქონლეობას და განადგურებით ემუ-
შრებოდა. ამას ფშავლები კარგად გრძნობდნენ და ბახტრიონის ოლე-
ბისას თავდადებით იბრძოდნენ.

ფშავლები თუშ-ხევსურებთან მონაწილეობას იღებენ თეიმურაზ I და მოსკოვის მეფის ილექსი მიხეილისძის შორის დიპლომატიურ მიმოწერაში და 1657 წელს თავითონთი სახელით მოსკოვში აგზავნიან ელჩებად ხევისბრებს და სთხოვენ მეფე ალექსის ქვაშეგრძომობასა და მფარველობას.

ჩენ აქ მოვიყვანთ ამ 1657 წლის დოკუმენტის ტექსტს:

„ა. დიდო და ყოვლის მშყრობელო ბატონო, დიპლ მეუეც და ყოველთ ქრისტიანეთ ხელმწიფევე, ალექსი მიხილის შეილო ყოველის მშყრობელო შენის ბრძანებითა ჩენის დედოფალსა და ბატონის შვილსა კაცი ებომა, და ჩენი ქვეყნის კაცი და ეგბარებინა, რომ ჩენიც იმ დიდის ხელმწიფის ხელთ ვართო, და ოქენეცა მისი ყმანი შეიქმნათ და ოქენეც ამის დაუკარით თავიო. აწე... ხელმწიფევე, ჩენი ხელმწიფეც თქენითან არის. და ჩენიც თუშეთის და ხევსურეთის და უშავის ქვეყანათა, სამთავ ქრისტიანთ ქვეყანასა პირობა ვავინია და ზურგი მოგვიძამს ერთმანეთისათვის და ელჩები გმირებიგზანია. ხევის ბრძან სოზამე მაქსამიჩ, და გრიგოლ სიღორინი და ბაკელ იგანიჩ, და შენი ყმანი შეექნილვართ და თავი დაგვიკრაის, როგორც თქენენი ბრძანება იქნება, ჩენი მისი მქელნი ვართ: ჩენია ერთი ღმერთი ვაცით და მეორე ხელმწიფე თეიმურაშ. ჩენ მაგარს ალაგს ვართ და არას კაცს შეეცროვებით. ამდენი ხანი არის საქართველოს ყავნი ემზრების და ჩენ არც შემოგვიშები ყავნის კაცი, და სალაც მოგვიხელებია, მოგვიყდას და მისი სარდარი გაგვიქცევია, და ლაშევარი გაგვიწყერია: აწე, დიდო ხელმწიფევე, ჩენი ხელმწიფე ყავნია ჭავალინა, და ზურგი აღარ სიით გვერნდა, და მლუთისაგნ გვერდებოდით, რომ ერთი შენი ბრძანება და კაცი მოგვისლიყო: აწე მოგვივიდა შენი ბრძანებაცა და ჩენის დედოფლის კაციცა, და ოქენენი ბრძანება გაგვითავებია, და შენ შემოგხეწინეართ, და შენთვის თავი დაგვიკრავს, გვიმსახურე და ვალაშერე, ამდენით შენი ყმანი შეექნილვართ“¹.

ასეთივე დიპლომატიური ხასიათის წერილი გაუგზავნეს თუშ-ხევსურებმა 1658 წელს მოსკოვში მეფე ალექსი მიხეილის ძეს:

„დიდო და ყოვლის-მშყრობელო ხელმწიფევე, ყოველ ქრისტიანეთ ჩელულის დამამტკიცებელო, სრულებ საქრისტიანოს საჭედ-მშყრობელო და ყოველთ ურჩულოთ გამაქარებელო, დიდის მოსკოვის ტახტზე მჯდომელო და სრულ საქრისტიანოს ზურგო და სიქადულო, დიდებულო ხელ-

¹ M. Броссе, Переписка Грузинских царей с Российскими Государами от 1659—1770 г., СПБ, 1861 г., гл. 74—75.

შეიცვლეთ: მცვოთ გვირჩვინოსან მეტყველ მეტყველ და დღი მეტყველ ბატონი
ლეველს მიზიდილის შეიღია: თქვენმა მონდობილმა კვეყანამა თუშეთმა აკვ-
სურმა და ფშვება სრულ ერთობითა თავი დაგვირჩას, და თქვენს ნადგომს
შეიწა კმოხევნიგადათ: აგრევე ამს წინათვა, და დღი ხელმწიფევე, ჩვენი ი
გლობები გახტელით და სრულად ერთობილთა თავი დაგვირჩით და ასრუ-
ლოვასხსნეთ, რომე, ჩვენ ერთი ღმერთი ვიცით და მეორე, საქართველოს
ხელმწიფე, მეტყველ თემიტრაშ და ჩვენ სხვის ურჩულოს კაცის ხელქეცით
არა ცუოფილვართ, თუ არ ქრისტიანის ხელმწიფის უმნის ცუოფილვართ
და ცვიდსახურებია და ახლა, ჩვენს ხელმწიფესა ურჩულომ ცეკვის დას-
ძლევა და, რაღაც ჩვენი ხელმწიფე თქვენ ხელ ქვეშ არის, დადო ხელ-
მწიფევ, ჩვენც თქვენს ხელ ქვეშ შევიქნებით და არც უსიყვალოდ
ურჩულოს კაცის უმნის არ შევიდლიან, თუ არ ქრისტიანის ხელმწიფის,
და ახლა, მაღლო ხელმწიფევე, ჩვენი ელჩები რომ გამომრუნვებუ-
ლით, და ჩვენის ბატონის რძლის კაცი ივანე მაჭავაძეს შეიღია და თერგზე
რომ მოსულ იყვნეს, ჩვენი ხელმწიფე წინ შემომყრობა, და ერთი ჩვენი ი
ლჩი იქ დაეპირა და ორი კიდევ გამოშუო და ერთი თავისი კაცი ივანე
მაჭავაძეს შეიღია და ასრუ ებძინა ჩვენს ხელმწიფესა ჩვენთვის, რომე
ცერთი ღმერთი იციდეთ, და მეორე, ეს დადი ხელმწიფევი. როგორაც
ამისამ ბრძანებაშ დაგარიგოსთ, ისრე ქვითო, და სხვის კაცისათვის არამე
თავი მოგიღირებითო, და ან სხვა კაცი თქვენს კვეყანიში შემოგეშვიათო".
შევიდა ჩვენი ელჩებიც და ჩვენის ხელმწიფის გამოგზაურილი კაციცა, და
ჩვენთვის მრავალი წყალობა გებრძანებინა და მავათი ბედნიერი ხელი
დაუტებია, ასრე გებრძანა, „ჩემი უმანი შევეტნით და შემსახურეთ და
ვისაც ვეტერო, უმტერეთო. თუ რამ დაგვირდეს, შემატყობინეთო, და
ლაშევას მოვაშველებო, და თუ ჩემი ლაშევარი ვამოუძაო, ან ლექშედა
ან სხვაგნით, თქვენ მზას იყენითო, რა ხან ჩემი ბრძანება მოგიღიდეს,
შეიყარენით და ჩემს ლაშევარში გერივენით და მილაშევრეთო". და
სხვა მრავალი წყალობა გებრძანა ჩვენთვინა: ღმერთმან ბედნიერის ხელ-
მწიფის წირის სანაცვალონი გვამყოფოს, და მავათი დღე ერთი ათასად
ქნას: ჩვენ არა ღირს ვიყვენით, რომ ბედნიერის ხელმწიფეს ჩვენთვის
წყალობა ექნა: ახლა კიდევ ელჩები ვახტელით დის ხელმწიფესა რე
კაცი. ნაუმ ივანეს შეიღია, პეტრო ნაუმის შეიღია, ალექსანდრე აბრამის
შეიღია, მიხაილ გრიგოლის შეიღია, გრიგოლ მიხაილის შეიღია, ივანე ივა-
ნის შეიღია, სემონ ზავარის შეიღია, კუშმა სემონის შეიღია გამოგვი-
გზავნია და შევიტავთ, რომ ჩვენ ხელმწიფე თქვენთვის წამოსულა და
როგორაც თქვენი ბრძანება მამივა, ისრე ვიქ. და ისრე გმისახურებთ
(ხ. ხრისტი, პეტრი, გვ. 229—230).

ორივე ეს წერილი შედგენილი იყო თემიტურაზ 1 კარნაბით, რომელიც შაპ-აბასისაგან დევნილი ფშავ-ხევსურეთში იმაღლებოდა და ქედან ცდილობდა მოსკოვის მეფის დამარცხებით კახეთიდან სპარ-

სელების განდევნას და თავის ტახტის აღსდენას. ამ მიზნისათვის საჭირო გამხდარა ფშავ-ხევსურეთის დიპლომატიური ენით მეტყველება.

XVIII საუკუნეში, თეიმურაზ II (1744—1760 წწ.) და ერეკლე II (1760—1798 წწ.) დროს, თუშ-ფშავ-ხევსურეთს, როგორც ჩრდილოეთის მოსახლეობებს, მეტი პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევათ. აქედან შემოდიოდნენ ქისტ-ჩაჩნები, განსაკუთრებით ლეკები, რომლებიც ქართლ-ქახეთში დათარეშობდნენ და მოსახლეობას იკლებდნენ. ამიტომ, როდესაც, ერეკლე II ლექების თარეშის საალაგმავად მორიგი ლაშქრობა დაწესა, მან ამ ბეგრისაგან თუშ-ფშავ-ხევსურები გაათავისუფლა. რადგანაც ისინი ლექების საზღვარს ისედაც იცავდნენ².

ამასთანავე, თეიმურაზ II და ერეკლე II თუშ-ფშავ-ხევსურეთში ჩშირად იხილებოდნენ და ამ მთიელებისაგან ადგენდნენ პირად შეკველ საიმედო რაზმებს.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში რუსეთის თვითმკრიბელური რევიტის დამყარებამ ჩვენს მთიელებშიც დიდი მღელვარება გამოიწვია, რასაც მოპყვა ხევ-მთიულეთის ამბოქება³.

მეამბოხეებმა ფშავ-ხევსურეთს მოუწოდეს და შეიარაღებული ძალით დამარება სთხოვეს. ამ მოწოდებას პირველად ფშავლენი გამოეხმაურნენ და ლაშქრობის სამზადისაც შეუდგნენ. ეს შეიტყო ფშავ-ხევსურეთის ბოქაულმა დურმიშხან ჩილოყაშვილმა და იმ წამსვე მთავარმართებლის მოადგილეს ვოლკონსკის აცნობა, ფშავლები და ხევსურები ამბოხებას პირებენ და როგორ მოვიქციო. ვოლკონსკიმ ფშავლების დასაწყინარებლად გაგზავნა ალექსანდრე მაყაშვილი და დავით ქობულაშვილი, გაატანა მათ ფშავლების დასასაჩუქრებლად ასი თუმანი ფული იმ პირობით, რომ ფშავ-ხევსურებს მთიულეთის ამბოხებაში მონაწილეობა არ მიეღოთ⁴.

¹ მორიგი ლაშქრის განჩინება (კრებული I, ტფილისი, 1871 წ., გვ. 141).

² Бутков, Материалы для истории Кавказа, т. I, СПБ, 1879 г., გვ. 288.

³ ა. ფრთხელი, მთიულეთი, 1804 წ., ტფილისი, 1896 წ.; სერ. მაკალათითი, მთიულეთი, ტფილისი, 1930 წ., გვ. 34—38.

⁴ Акты собран. Кавк. Археографич. комис., т. II. Тиф., 1869 г., ув. 320. გვ. 320. ი. Рапорт от 12-го июля 1804 г., № 95.

გაგზავნილი ელჩების ცდამ და ქრთამმა გასჭრა და ფშავლებში მთიულეთის ამბოხებაში მონაწილეობაზე ხელი აიღეს.

ამასთანავე, ფშავლები თხოვდნენ ვოლკონსკის, რომ ფშავისათვის ცალკე მოურავი დარიშნა და ფიცა სდებლნენ, ამბოხებაში მონაწილეობას არ მივიღებთ (Акты, т. II, გვ. 325; ა. ფრონელი, გვ. 193).

ამგვარად, ფშავლებმა თავი შეიკავეს და მთიულეთის ამბოხებაში მონაწილეობა არ მიიღეს.

შემდეგ, როდესაც ტახტის მაძიებელი ბატონიშვილები იულონი და ფარნაოზი მთიულეთში გადმოვიდნენ და მეამბოხეთა მესვეურობა იყისრეს, მაშინ ფარნაოზმა სიყვარულით და ნდობით სავსე წერილი გაუგზავნა ფშავლებს, რომელშიც ის ფშავლებს სთხოვდა რუსეთში გალაშქრებას და ამბოხებაში მონაწილეობის მიღებას (იხ. Акты, т. II, გვ. 136—137; ა. ფრონელი, გვ. 259).

მაგრამ არც ფარნაოზის ამ წერილმა გასჭრა და ფშავ-ხევსურიბმა ფარნაოზს უარი შეუთვალეს (Акты, т. II, გვ. 331—332; ფრონელი, გვ. 307).

ამასთანავე ფშავლებმა მიიღეს სპარსეთში გახიზნული ოლექსანდრე ბატონიშვილის ფიორმანიც. ჩვენ აქ მოვიყვანთ ოლექსანდრეს ამ წერილის ტექსტს:

„ე. საქართველოს მეუღლე ალექსანდრე სიუვარულით მოგვითხვავ ერთობლივ ჩვენს უნდა უმა დაშვეთ. მერე თუ ჩვენს ამბავს იყითხავთ, აქ ფამბაქში მოვეღოთ თორმეტი ათასის კუშილბაშის კაცით და უარის დარწყულისან სარდალი ჩვენთან არის. ამას და გარდა ქართლიულამაც და კარეთიდამაც თავადნა ანაურნენ და გლეხნიც მრავალი არავან ჩვენთან; და კიდევ განახისა შემზარებისა და სხვა ჩვენის თათრების და ელების ჯარებიც აქ ჩერებთან არიან: ყველის ამბავს იყითხავთ, ერვენს ბრძანდება ას ორმოც ათასის კაცით, და ერვენს არმტ რუსს ჭარა არის, იმას შემოადგი და მეჩინში შეამწყვდია წერ სამი ათასი რუსი შეტი მოულავთ, ამასგანდა არც შინიდამ კარში უშვებენ რუსსა და პარც არავის გარედამ უშვებენ რუსებთან კაცსა, შიმშილ და პავადმეორუობა ხომ სულ ასე ვეად გაცილება, ცაცერი ოცდა ათა და ორმოცი შეტი ყველება რუსი. ამას გარდა ექ ფამბაქში უარა ქრისიასაც დგას ცოტა რამ რუსი გასეც ასე შემოვსალეთ ღრთით რომ ან დღეს და ან ხვალ თურნა ჩბაც არ გავსცეთ, მარტო შიმშილი ამოსწყვეტს, ნანევარი შეტი ჩვეა გავსწავერეთ: ხუთას რუსი წამოსულიყო აქეთ ფამბაქისავენ პურის წიაღებად, ჩვენც ამბავი მოგვიყიდა. მაშინვე ჭარით წამოვედით ექ ფამბაქში ერთი სოფელ არის სომა-

ლი პეტრი, აქ დაცხედით ოცდა ერთს მ თვეს ლეთის შორწყალებითა და შეკრევითა ასე დაცხამარცხეთ, გაფრწყვიტეთ და დამტკრინდით თვეისა. ზარ-ბაზნებით, რომ ერთი ცოტხილი იღარსად გადარჩინმილო. ახლა ჩვენ და თქვენ დაიდ დიდის ხნის ბატონ-ყმანა ვართ; თქვენც კარგად იცით: ჩვენს მამას და პაპას თქვენის გულისათვის მრავალჯერ სისხლი დაუჭირეთ და ყოველთვის მამაშვილურათ ყვარებითართ და ეგრეთვე თქვენც ყო-ველთვის ჩვენის ოქანისათვის მრავალჯერ სისხლი დაგიტეციათ.

ათას სამასი წელიწადი არის, რომ ჩვენი ერთგული უჭინი უმანი ხართ და ახლაც თქვენი დიდი ერთგულობა და დიდი სამსახური გვესმის, და როგორც ერთგულად ირგებით, ვიღირე მაგ საქმეზე დეჭითად იყვათ და ლეთის მოწყალებით, როგორც სანატრელს მამას ჩვენს მეუფე ერეკლეს უყარდით და გწყალობდათ, უმეტესად ჩვენგან წყალობაცა და სიყვარული გვეწებათ: ახლა ჩვენს ძმას ფარნავაზს გამოიისტუმრებთ ლეთით მან-დეთ ფარით და როგორც ჩვენი სბრუყა და პაზრი არის, ის გამოიიცხა-დებს და გაცნობებთ.

მარიამობისთვის. ქ(22), ქორონიკონს „უქბ“ (490)-1802 წ.

აზის ბეჭედი: ალექსანდრე

ფშაველებმა ამ შემთხვევაშიც თავი შეიცავეს, განზე გადგნენ და იმღრინდელ გართულებულ პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებდნენ. ეს გარემოება იმით თუ აიხსნებოდა, რომ ფშავი თავისი გოგრაფიული მდებარეობით დაშორებული იყო პოლი-ტიკური ბრძოლის ცენტრებს: ერთის მხრით, დარიალის ხეობასა და სამხედრო გზას, სადაც იმპერიალისტურ რუსეთს მთიულ-მოხე-ვები ებრძოდნენ, მეორეს მხრით, ფშავის ქისტ-ლეკებიც შედარებით ნაკლებად აწუხებდნენ, რაღონაც მ მხრივ მის საფარს ხევსუ-რეთ-თუშეთი წარმოადგენდა, განსაკუთრებით თუშეთი, რომელიც ხანგრძლივ იგერიებდა ლეკების გამანადგურებელ თარეშს.

ამასთანავე, ფშავი უველა ამ პოლიტიკურ მშებს თავისი თემური ინტერესით ზომედა, რომელსაც კერ არ ევემა მონარქიული რუსეთის გარისა და მოურავ-ჩატრების მწარე მათრახები, ამიტომ თუ ფშავი იჩენდა უმოქმედობას იმ დროის აფორიაქებულ პოლი-ტიკურ ცხოვრებაში.

XIX საუკუნეში რუსეთის კაპიტალიზმის ჩვენში განმტკიცებას მოჰყვა ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა და საზო-გადოებრივი ცხოვრებაც ბარში და მთაშიც სწრაფად იცვლება.

რუსეთის სავაჭრო კაპიტალმა შეარყია მთიცელების თემურისათვის. ცხოვნება და თანდათანობით შლიდა მათ თემური ადა-ჩევევებსაც. ამ კაპიტალისტურ ორომტრიიალში, რასაკვირველია, ფშავიც მოქეცა და მისი თემობრივობაც ირღვეოდა.

კაპიტალისტურმა ურთიერთობამ ხელი შეუწყო ფშავის შესაჭონლეობის განვითარებას და აქაც წარმოიშენენ მსხვილი მეცნიერები, რომლებიც თავიანთ ფარას ათასობით ითვლიდნენ.

მოსახლეობის შეძლებულმა ნაწილმა სავაჭრო მიზნით ბარად (კახეთში) დაიწყო გასახლება. მასთანავე, ისპობა თემური ადათები და მყარდება მონარქიული რუსეთის წყობა და სამართალი. მას მომჟვა მოურავის, ჩაფრებისა და მამასახლისების თარეში, ხარჯისა და ბეგარის აკრეფა, მექრთამეობა და სხვ.

ამგარად, ფშავის საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეში მოქანენ გაბატონებული ჯგუფები და დაიწყო მოსახლეობის ქონებრივი და უფლებრივი დოფერენციალი.

მაგრამ იმპერიალისტური რუსეთის ტყვეობაში მოქეცაული ფშავი სხვა მთიცელებთან ერთად მოკლებული იყო კულტურულ-ეკონომიკურ მშენებლობას და ის უვიციბისა და უკულტურობის მორევში იხრჩობოდა.

მხოლოდ ამ დიდმა რევოლუციამ გათავისუფლა ფშავის ხევი შეფის ტყვეობისაგან და ფშავი დღეს უკვე შეძლებარია რეკონსტრუქციისა და სოციალისტური მშენებლობის ვზახე.

3. მკონივრი გლობარიონი

ფშავლები ეწევიან მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას, მაგრამ ფშავის სოფლის მეურნეობაში უფრო მნიშვნელოვანი მეცნიერება ამ მხრივ ფშავს თემდევ ჩვენს მთიცელებში მეორე ადგილი უჭირავს. მაგრამ სანამ ჩვენ შევუდგებოდეთ ფშავის დღევანდელი სოფლის მეურნეობის დახასიათებას, საჭიროა მოკლედ შევეხოთ, თუ როგორი იყო წინათ ფშავში მიწათმფლობელთან ბის სატემა.

XIX საუკუნეებდე ფშავი თემური წყობილებით ცხოვრობდა და

მიწაც ფშავის ხევის 12 თებერვალი იყო განაწილებული. მიწის კერძო ინდივიდუალური საკუთრება აქ არ არსებობდა და თებერვალში შემავალ ოჯახებს მიწა თანაბრად უნაწილდებოდა. ცხვარ-საქონელიც განსაზღვრული პყველათ და ქისტ-ჩაჩან-ლექების შიშით მომთაბარეობა—საც ვერ ეწეოდნენ.

რუსეთის ბატონობის ჩეენში დამყარებას მოჰყვეა კავკასიის და პყრობა და ქისტ-ლექების თარეშის ალაგმვა. ამასთანავე, დატრიალდა რუსეთის სავაჭრო კაპიტალი და განმტკიცდა კერძო საკუთრების სისტემა.

ამ ახალმა ეკონომიკურმა ურთიერთობამ დააჩქარა ფშავში თემობრივი წყობილების და მიწათმფლობელობის ძეელი წესების რღვევა, სადაც შემოდის მიწის ყიდვა-გაყიდვის რუსული დაკინონებული სისტემა. ამით ისარგებლეს შეიძლებულმა ოჯახებმა და დაიწყეს განაყარ და გასახლებულ მეკომურთა ადგილ-მამულების შესყიდვა. ამგვარად, წარსული საკუნის მეორე ნახევრიდან ფშავში მიწით ვაჭრობამ მიიღო ფართო ხასიათი და აქ წარმოიშვა, როგორც ფშაველები იტყვან, „გამხვივნებული“ მესაკუთრენი, რომელთა ხელში მოექცა სათემო მამულების დიდი და საკუთეოს ნაწილი.

გლეხობის უმამულო და მცირე მესაკუთრე ნაწილი ამის წინა-ობმდევ იბრძოდა და მოითხოვდა მიწაზე კერძო საკუთრების და ყადვა-გაყიდვის მოსპობას. მაგრამ მოსახლეობის შეძლებული ნაწილი სარგებლობდა მეფის კანონებით და ყველგან თავისი გაქვნდა. მავინ გალატაკებულმა გლეხობამ პროტესტის ნიშნად მეფის ხაზინას გადასახადების გალებზე უარი განუცხადა, სანამ მიწათმფლობელობის ძეელი თემური სისტემა აღდგენილი არ იქნებოდა და ყველა მიწაც მეკომურთა შორის თანაბრად არ განაწილდებოდა.

გლეხების ამ მოძრაობამ ფშავში მიიღო ხაშიში ხასიათი. მეფის მთავრობა იძულებული გამხდარა დათმოპაზე წასულიყო და მთაში მიწების პერიოდული დაყოფას სისტემა შემოედო. შეძლებული ოჯახების ყოველგვარი ხრისების მიუხედავად, ასეთი დაყოფა მთაში დაიწყეს 1870 წლიდან და დიდის სიძნელით ნაწილობრივად მაინც გატარდა.

С. М. Мачабели. Экономический быт государства. крестьян Тионет. уезда, Тифлис губ. (Материалы для изучения экономич. быта госуд. крестьян Закавк. края, т. V, Тифлис, 1887 г., гл. 373—375).

ამ მხრივ ფშაველებმა მეტი ინიციატივა და წებისყოფის სიმრავა და გამოიჩინეს და მიწების პერიოდული დაყოფის სისტემა თავი-ანთ თემებში მთლიანად გაატარეს, რომელსაც ექვემდებარებული იყო გერმანის ცდა, რომ მოესპორო მიწათმულობელობის ფორმის აღდგენის ცდა, რომ მოესპორო მიწაზე კერძო საკუთრება და ამით დროებით მაინც შეენელებინათ უმიმულო და გაღატაებული გლეხობის გულისწყრომა.

მთავრობის განკარგულებით ჩქარა შედგა ადგილობრივი პირებისაგან არჩეული კომისია, რომელიც შეუდგა მიწების ორიცხვისა და მათი დაყოფა-განაწილების საქმეს. მიწებიც გაიზომა და კენჭის ყრით ის ყველა მეკომურს თანაბრად გაუნაწილდა. ამასთანავე დაწესდა, რომ ყოველ ოც წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მომხდა-რიყო მიწების ასეთი პერიოდული დაყოფა.

ფშაველები ამას დღესაც იცავენ და ვადის გასვლისთანავე შეუდგებიან მიწების ახლად განაწილებას, რასაც ექვემდებარება. რასაც ექვემდებარები არ არის ურთის სახიან-სათესი მიწა ფშავში შედარებით მცირეა და მისი 1/3 უვარებელია. საყანე მიწები ასეა დაყოფილი: სახატო, კარისპირის, ნაწილარი, სამთო ნაწილარი (მთაზეა) და სახირხატო (უვარებელი). ამათში სახატო მიწები წილის ყრაში არ შედიოდა. ის ხატს ეკუთვნოდა და ხელუხლებელი იყო. ხატის მამულებს წინათ ხატის ყმები ამუშავებდნენ და მოსავალიც ხატს ხმარდებოდა. ამ სახატო მიწებს ფშავში საემაო დიდი ფართობი უჭირავს და ლირსებითაც უკეთესია. სახატო მამულებით ხატის მსახურნი სარებლობდნენ და აქედან კარგი შემოსავალიც ჰქონდათ. ჩევოლუციამ ხატებს მამულები ჩამოართვა, მაგრამ ცრუმორწმუნე გლეხობა მაინც ვერ ბედას ხატის ამ მამულების წილში ჩაგდებას და კერძო დამუშავებას. ამიტომ თემსაბჭოებს განზრახული აქვთ ამ სახატო მიწების ორიცხვა და მთლიანი კოლექტივის იქ მოწყობა.

რაც შეეხება კარისპირის მიწებს, რომლებიც კარ-მიდამოს აქრავთ, მაღაროს თემში წილში არ გარდება, რაღაც ამ თემში მოსახლეობა გათხოვს და მეკომურნი განცალკევებით და მოშორებით სახლობენ. უკანათშავის თემში კი, სადაც მოსახლეობა შეჯუფულია, კარისპირის მიწაც წილში ჰქონდა. სხვა დანარჩენ მიწებზე წილი იყრება.

წილის ყრა მოსახლეობის ზრდა-ცვალებადობასთან არის დაკავ-

შირებული, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ათ თუ ხუთმეტ წელი წადში ერთხელ მაინც უნდა ჩატარდეს. წილის ყრის დროს სოფელი შეიქრიბება, ირჩევს მიწის მზომელებს, რომლებიც ხელში საბლებით (საბელი = 12 მეტრის) მიწის ყველა ნაკვეთს გაზომავენ და ავკარგის ერთმანეთთან შეფარდებით მიწების ფართობის მთელ ჭამს გაყოფენ მექომურთა რიცხვზე. წინათ წილის ყრის დროს მექომური თავის ნიშნით დაჭდეულ ჩხირს მიიტანდა. ამ ჩხირებს ქულში ჩაპყრიდნენ და ბერიყაცები მიწის ნორმას დაასახელებდნენ. ამავე დროს ერთი ვიწერ თვალხუჭვით ქუდიდან ჩხირს იღებდა და ვისიც ნაკლევი იყო, წილის მიწაც მას ერგებოდა. დღეს წილის ყრა დახვეული ქალალდით იციან, რომელშიც საწილე მიწის ნორმაა ონიშნული.


წილის ყრის დროს, ვისაც კარისპირის მიწა ნორმაზე ზედმეტი აღმოაჩნდება, მას მოუქრიან და მეორე მექომურს ამით ნორმას შეუვსებენ. წილის ყრის დროს აგრეთვე ითვალისწინებენ მექომურთა ინტერესებსაც და მათ შორის შესაძლებელია მიწის ნაკვეთების გაცელაც. მაგრამ ნაწილარი მიწის იჯარით გაცემა ან გაყიდვა აკრძალულია და სეუთი შემთხვევაც ფუშავში არ ყოფილა. ვინც ხელმოქლეა და მუშა საქონელი და იარაღი არა აქვს, მას შეუძლია ნაწილარის საზიაროდ გაცემა, ან სეუთ შეუძლო კომლს იმდენს იძლევენ, რამდენის დამუშავება მას შეუძლია. ნაწილარი მიწის დაუმუშავებლად დაგდებაც არ შეიძლება, მაშინ მას ნაწილარი ერთმევა და სხვებს გაუნაწილებენ.

მაგრამ მიწის ამვერი განსაზოგადოებით, რასაკვირველია, ფუშავში ქონებრივი უთანასწორობა არ ისპობა, რადგანაც შრომა და იარაღ-საქონელი გაერთიანებული არ არის.

ადგილმდებარეობის მიხედვით ეს მიწები ასეა დაყოფილი (შუაფხოს თემში): პრიმზითი, ჩრდილო, ჭალები, ნიჯობი, კლდეთავი, ხიდანი, ჭანიშო, სიპურანი, მაშარა, საკვირაო და სხვ. იქაური მიწები ურწყავია და ჭირნახულის მოსავალი უფრო ამინდზეა დამოკიდებული, მაგრამ მიწის დასვენება-განოყირებასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა. ფუშავლებმა ეს ძარგად იციან და საყანე მიწებს საქონლის ნეხვით სამ წელიწადში ერთხელ მაინც ანოყივრებენ. კარისპირის მიწის განოყირება შედარებით იოლია, სადაც ბოსლებიდან საქონლის ნეხვს ჭინებით ეზიდები-

ან. ძნელია მთის მიწების განყივრება. აღვილი შორი და ძნელი მისასვლელია. ამიტომ მთის ყანებში საქონლის ჭოგს აყენებენ და სუ ანოვივრებენ. ამ მიზნით ზოგს მთის ყანებზე ზაფხულის ბო-
სელი აქვს გამართული და, ვისაც ბევრი საქონელი ჰყავს, მას
სთხოვს საქონლის ბოსელში დაყენებას. თუ მიწა არ ნოკირდება,
მაშინ მას ორ-სამ წელიწადს ერთხელ მაინც ასვენებენ ან არადა
თესლს უცვლიან.

მიწას დამუშავებას ფშავები მარტის გასელისას იწყებენ. მიწას ხნავენ ხის გუთნით, რომელშიც შებმულია ერთი უღელი ხა-



ବ୍ୟାକ୍ ପରିଚୟ ଓ ବ୍ୟାକ୍ ତାନ୍ତ୍ରିକତା

ბოსტანში და კარისპირის მიწაზე თესენ „ს ჭრაფა ს ი-მინდა“ და „ტრუპებას“ (კრუპა). სიმინდი აქ უფრო მაღარის თემში ითვესბა, სადაც შედარებით უფრო ზომიერი ჰავა და სიმინდიც დამწიფებას ასწრებს.

აგვისტო-სექტემბერში ფშავში ყანა მწიფდება და ჭირნახულის აღედასაც შეუდგებიან. მკიან ნამგლით და თითებზე ნის სა-თითურებს იყეობენ. მკაში ცველანი მუშაობენ, ქალებიც და ქაცებიც. ნამგლის ერთ მოსმას ხელეურს უწოდებენ. ამ ხელეური-საგან ულოთი ძნები იკვრის. ძნებს ანგარიშობენ და აწყობენ ხუთ-ხუთად. ერთ ხუთეულ ძნას უკანაფშავში „ხადურა“-ს უწოდებენ, ჩარგალში კი „წერა“-ს. ძნას აგებენ ხუთულებად და ერთ ხუთულაში ორმოც წერას ანგარიშობენ. აქაურ ერთ კალოში ჩვეულებრივად ერთი ხუთულა ძნა დადის. დიდად აგებულ ძნას კი „მუხლის ძნას“ უწოდებენ, რომელშიც 5—10 კალა.



მიწის ხენა

მკაში იციან სანაცვლოდ შველა, ქირით აყვანა და იგრეთვე მუშის შეყრა (ნადი). ნადს წინ უძლვის მესვეური და, როცა მკას მორჩებიან, მესვეური ასე დაილოცება: „მიუხვი-მოუხვი, არისა ბარისა, მთისა ბარისა. ხანზე მოქილო, ხანზედამც გაილეწები, გოდრად ჩიდი, ძველად გადი, მოხმარდი ბატრონსა: ვაეგის ქორწილში, ქალების დათხოვებაში, ბებრების დამარხვაში. ნუ ვაძოულევ თონეში კუტებს და საპურეში პურსაო“. მუშები დაიძახებენ, გაუმარჯოს!

პური ილეწება საფრის ან ველის კალოხე. მაგრამ რადგანაც მთიდან ძნების ჩამოზიდვა ძნელია, ზოგი ფშაველი გლეხი კალის სამ-ოთხ ალაგას გამართავს და იქვე ადგილზე ლეწავს. კალოხე ჭირნახული ხარების ფეხებით ილეწება. სვილას კი სიბზე ხელით

სცემენ და ისე ლეწავენ. სეილის ჩალას „ყარტს“ უწოდებენ და სახლის სახურავად ხმარობენ.

გალეჭილ პურს გაანივებენ და შემდეგ ორწყავენ. აქაური საწყაო კოდი და ლიტრაა. ფშავლები კოდში ათ ლიტრას ანგარიშობენ და ლიტრაში კი 12 გირვანქას. კოდით ორწყული პურეული წონით განსხვავდებიან: კოდი ქერი — 2 ფუთია, დიდა და სვილა — 3 ფუთი. განიავებულ ჭირნახულს მოწნულ გოდრებში ინახავენ და ზედ საქონლის ნეხვით გადალესენ.

აქაურ დღიურზე, რომელიც ექვს საბელს უდრის, ითესება ერთი კოდი ქერი და, საშუალოდ, ერთ სამად იძლევა. მაგრამ ჭირნახული ფშავში ყველა თემში ერთგვარად არ მოდის. უკანაფშავის თემში ჭირნახულის მოსავალი ნაკლებია, რადგანაც



ძნის გალაზილვა და მარტი ა. ავალიშვილი


ვარგისი მიწა აქ მცირეა, პავაც ცივია და მოსახლეობის 50%-ს თავისი მოსავალი წლის ბოლომდე არ ყოფნის. უკანაფშავლები სიმინდს დუშეთიდან ეზიდებიან, ქერს კი ხევსურეთში საკლავზე და მატყლზე ცვლიან. რაც შეეხება მაღაროს თემს, აქ საყანე მიწა უკეთესია, პავაც ზომიერია და ჭირნახულიც შედარებით მეტი მოდის. ამასთანავე, ეს თემი ახლოს არის ერწო-თაბანეთთან და დუშეთიან და პურეულის მომარავების მხრივ უზრუნველყოფილია.

ჭირნახულის დაფქვას და ზამთრის სარჩოს მომარავების ფშავლები შემოდგომიდანვე შეუდგებიან. საფქვავს ცხენებით და ვარებით წისქვილში ეზიდებიან. წისქვილი აქ კერძო და ჯერით იძლევიან. ჯერი ერთი წლით ღირს ერთი ლიტრა კარაქი და, ვინც ამას გაიღებს, მას უფლება ეძლევა წლის განმავლობაში რამდენიც უნდა დაფქვას.

ბალ-ბოსტანი ფშავში იშვიათია, განსაკუთრებით უკანაფშავის თემში. მაღაროს თემში კი ზოგან პატარა ბალჩები გვხვდება. აქაურ ბოსტანში ითესება მცირეოდენი კარტოფილი, ნიორი და ლობიო.

1931 წელს ფშავში დაიწყო საკოლმეურნეო მოძრაობა და შუაფხოს თემში ჩამოყალიბდა ერთი კოლექტივი, რომელშიაც გეროთიანებულია რამდენიმე მეკომური.

მიწათმოქმედებასთან ფშავები მესაქონლეობასაც მისდევენ, განსაკუთრებით მეცვარეობას. მეურნეობის ეს დარგი შემოსავლიანია და ფშავებს ამ მხრივ თუშების შემდეგ მეორე იდგილი უჭირავთ. წინათ ფშავში შეძლებული მეცვარეებიც იყ-



გნენ, რომელთა შორის აქ დღესაც ცნობილია შუაფხოელი პავლი ჩარბოლაშვილი, რომელსაც 5 000-ზე მეტი ცხვარი ჰყოლია.

ფშავში მეცხვარეობას უკანაფშავის თემის სოფლები მისდევენ და ყველაზე მეტი ცხვარი ამ თემშია. მეცხვარეობის განვითარებას აქ ხელს უწყობს ქარგი საძოვრები და ფართო იალალები.

ფშავის მეცხვარეობას თავისი ისტორია იქნა, რომელიც დაწინაურების გზას დაადგა კავკასიის დაპყრობისა და ქისტ-ლეების თარეშის ალავშის შემდეგ, როდესაც მთაში შედარებით მშვიდობიანობაც დამყარდა. ამს მოჰყვა, როგორც ჩვენ უკვე ოლენიშნეთ, ფშავში თემური წყობილების დაშლა, კერძო მესაკუთრე ჯგუფთა წარმოშობა, რომლებიც დაადგნენ აშკარა კაპიტალისტურ გზას და ხელი მიჰყვეს ცხვარ-საქონლის მოშენებას.

ამ მხრივ ფშავში დაწინაურებული უკანაფშავის თემი, სადაც მსხვილი მეცხვარეები წარმოიშვნენ. მათ ხელში ჩაიგდეს სათემო საძოვრები და ლარიბი მწყემსების ექსპლოატაციით მდიდრდებოდნენ. ამასთანავე, ეს შეძლებული მეცხვარეები საბალახოს იხდიდნენ არა საქონლის რაოდენობის მიხედვით, არამედ წილის მიწის კვალობაზე. მიწა კი ფშავში მეცხვებულებს თანაბარი ჰქონდათ და წილის ყრის დროს მდიდარსა და ლარიბს ერთგვარი ნორმა ეძლეოდა. სახელმწიფო გადასახადებიც მიწის ამ ნორმაზე იყო გამოანგარიშებული და ლარიბი და მდიდარი ფშაველი სახაზინო გადასახადსაც თანაბრიდ იხდიდა. ამით სარგებლობდნენ მდიდარი მეცხვარეები, რომლებიც თავიანთ ცხვრებს ათასობით აძოვებდნენ სათემო საძოვრებზე, გადასახადს კი იხდიდნენ იმდენს, რამდენსაც ათი ცხვრის მეპატრონე ლარიბი ფშაველი.

ამის წინააღმდეგ ლარიბი გლეხობა იბრძოდა და 1885 წელს, როდესაც დაიწყო გადასახადების ხელახალი გაწერა, შუაფხოს თემის ლარიბმა გლეხობამ მოითხოვა, რომ საბალახო გადასახადი გაეწერათ საქონლის სულადობის მიხედვით (იხ. მაცაბელი, გვ. 488).

1880-იანი წლების სტატისტიკური ცნობების მიხედვით, ფშავის ცხვარს ყოფილ თიანეთის მაზრაში თავისი რაოდენობით მეორე ადგილი ეჭირა და შეიცავდა 71 288 სულს (24%). ცხვარი კერძო მეცხვარეს ქარგ შემსავალსაც აძლევდა. მაგალითად, თითოეულ ორას ცხვარზე მეცხვარეს წმინდა შემოსავალი 123 მა-

ნეთი რჩებოდა (იხ. მაჩაბელი, გვ. 462—463). აქედან იდეილი წარმოსადგენია, თუ რამდენი მოგება რჩებოდა მდიდარ მეცხვარეს, რომელიც თავის ფარის ათასობით ითვლიდა. მოგების ეს კაპიტალი უვიც ფშაველ მეცხვარეს ჩარჩულ სარგებელზე ჰქონდა გასესხებული. ის არ ფიქრობდა ამ კაპიტალის წარმოებაში გამოყენებაზე, რომ ამით თავის პრიმიტიულ მეცხვარეობაში რამე კულტურულ-ტექნიკური გაუმჯობესება შეეტანა.

ამასთანავე, ფშავის პირობებში შეძლებულ მეცხვარეს არ შეეძლო ამ კაპიტალით მიწის შესყიდვა და მსხვილ მემამულედ გადაქცევა. კერძო საკუთრების შეძენის მაღა კი დიდი ჰქონდათ და ამ მიზნით მათ დაიწყეს ფშავის ხევიდან კახეთში გადასახლება, სადაც მებატონეთა მამულები თავისუფლად იყიდებოდა. ფშაველი მეცხვარები უფრო სახლდებოდნენ იორის ხეობაში, რომელიც შირაქთანაც მარჯვედ იყო. აქ ყველაზე შეძლებული მეცხვარები ცხოვრობდნენ ლიშოსა და ორთანში.

ამგვარად, ჩვენს მთიელებში კაპიტალისტურ გზას ჭერ თუშები ღააღენენ და მეცხვარეობასთან დაკავშირებით დაიწყეს ბარად გასახლება და კახეთში დაიკავეს ზემო და ქვემო ალვანი. თუშებს ჩქარა ფშაველებიც მიჰყნენ და ფშაველი მეცხვარები დასახლდნენ იორზე, გომბორზე, ერწო-თიანეთსა და შირაქში.

ფშაველების ცხვარი ზამთარში შირაქში ბინაღრობდა, ზაფხულში თრიალეთზე. ცხვარში დაქირავებული მწყემსები მუშაობდნენ. სამას ცხვარს ერთი მწყემსი ჰყავდა მიყენებული. კარგ მწყემს მეცხვარე წლიურად 40 თოხლს აძლევდა. თუ ეს ას ცხვარს გადააჭარბებდა, შემდეგ უკლებდა და წლიურად 20—25 თოხლამდე უმატებდა. ამასთანავე, ხარჯი: საქალმე, ჭერი, საბალახე და სხვა მეცხვარისა იყო. ნაპარავი და ნაღირის ნაზარალევი მწყემსს უნდა ეზღო. ზოგჯერ მეცხვარე მწყემსს ოთხი წლის პირობით იყვანდა და გასამრჯელოში თავიდანვე 60—80 სანაშენი ცხვარს მისცემდა. ვადის გასვლისას მას შეძლო ეს ცხვარი ნაშენ-ნამატით გაეყვანა და ცალკე წასულიყო. მაგრამ ანგარიშის გასწორების დროს მეცხვარე მწყემსს გამოუბრიდა ნაპარავს, ნაღირის ნაზარალევს, სესხიც თუ ემართა, სარგებელზე სარგებელს

¹ სერ. მაკალეთი, თუშეთი, ტფილისი, 1933 წ., გვ. 51.

უანგარიშებდა და ბოლოს ზოგჯერ მწყემსს ხელცარიელს სტუმ-
რებდა.

დღეს კი სოფლის მეურნეობის კოლექტივიშაციის გამო ფშავ-
ში შეძლებულ მეცხვარებს ცხვარი ჩამოერთვათ და მათ მიერ
მწყემსების ექსპლოატაციის მით ბოლო მოვლო.

აქაური ცხვარი დღეს უკვე კოლექტივშია გაერთიანებული და
შეუცხოს თემში სულ 5 მესაქონლეობის არტელია ჩამოყალიბე-
ბული: შუაფხოში, უძილურთაში, უკანაფშავში, ახადში და მუ-
ქოში. არტელში შემოღებულია სანარდო სისტემა და თითოეულ
წევრს შემოსავლიდან ეძლევა სულ საქონელზე 5%, დანარჩენი
ნაწილდება შრომის მიხედვით. არტელს აქვს თავისი წესდება,
ჰყავს არჩეული გამგეობა, თავმჯდომარე და სარევიზიო კომისია.
აოტელის საქონლის ზრდა უდრის 30%-ს. არტელი ჯერ ახალია
და ტექნიკურად მოუწყობელი. მას არა აქვს შესაფერისი ბინა და
ხელსაწყო-იარაღები, ამიტომ ცხვრის მოელა-მოშენება და რძის
ნაწარმის დამზადება ისევ ძველი მამაპაპური ჩვეულებით მიმდი-
ნარეობს.

ფშავლების ცხვარი. შემოღომილან შირაქში მიღის და გაზა-
ფხულამდე იქ ჩამოდის. მაისის პირველ რიცხვებში ცხვარი ფშავში
ბრუნდება და აქაურ იალაზზე ძოვს. საძოვრებზე ცხვრის ბინე-
ბია გამართული, სადაც ცხვარი ღამე დგება და რძის პროდუქ-
ტებს ამზადებენ. აქვე ინახება ბარგი და ცხოვრობს მეცხვარე და
სარქალო.

ცხვრის დოლი გაზაფხულზე იწყება. ცხვარი ერთ ბატყანს
იგებს, იშვიათად — ორს. ახლად მოგებულ ბატყნებს ყურჩე ნი-
შანს — სერს უკეთებენ და ამ მიზნით ყურს სხვადასხვა ფორმით
ამოსჭრიან: მოთლილი, წათლილი, ყურამოხვრეტილი, ყურმო-
ჭრილი, დანის-პირა, ისრიკილი, ჭდე, ფრთე და სხვ.

ცხვრის ფარას გადათვლიან ოცობით: ერთი ოცი, ორი ოცი,
სამი ოცი, შეიდი ოცი ცხვარი და სხვ. მერე ასებზე გადავლენ: თე-
რომეტას, თორმეტას და სხვ. მაგალითად, იტყვიან: თექვესმეტ
ას შეიდოცი ცხვარი (1 740); თვრამეტოცხუთი ცხვარი (365).

ფშაური ცხვარი თეთრია, შავი იშვიათად ურევია, არის ჭრე-
ლი და მოწითალოც. ასაკის მიხედვით ცხვრებს ასე აჯგუფებენ:
თოხლი, შიშაქი, ჭედილა და ყოჩი. ცხვრის მოელა-მოშენების საქ-

მიანობა და ჟველის დამზადების წესები ფშავში იგივეა, რაც თუ-
შეთში. ფშავლებისა და თუშების ცხეარი ზამთრობით შირაქში
ერთად დგანან და ფშავლებიც თუშურ მეცხვარეობას კარგად
იცნობენ და მათი გამოცდილებით ხელმძღვანელობენ (იხ. ს. მა-
კალათია, თუშეთი, გვ. 50—60).

ნარჩენ შრატს ქვაბში მოადულებენ და ხაჭოს ამოილებენ. ფშა-
ური ცხვრის ყველი ღალამოხსდელია და ის თუშური ყველისაგან
არაფრით განსხვავდება. კვერცული ყველი იწონს 10—12 გრძენ-
ქამდის და გულაში თავსდება ასეთი 4—6 კვერცული.

ცხვარი იქრიშება გაზაფხულზე და შემოდგომაზე და თითო ცხვარი წლიურად იძლევა ორ კილო მატყლს. აქაურ ცხვარს ხშირად გურება სახადი და სხვადასხვა სნეულებანი:

დურალი. ცხვარს მძღოლებს, მაღას ჰყარგავს და ხდება (დაილერიალება). უმტრისი იხოვება. ამის წამლობა არ იკინა.

ԿՅԱՅՈՂ օ. Տաեօլոց դա Եթօրին Քյացեց ԹՇՌՇԿԵՑ Հասկրուս, Եղալու գամոտերուս դա ԹՇԻՔՑ ՄԱՍԱՎԵՑ Տայալուսացան Եթօրու օթօպքած Քյացո Մասրիցուսօ, Խորկը Քամեն.

3 ე პ ე ლ ი ცხვარს ღვიძლში უჩინდება და ხოცავს. წამლიდ
ხმარობენ ხარისხით ბალას, რომელსაც ნაყავენ, მარილს გაურე-
ვენ და ისე აჭმევენ.

ରେଟ୍ୟୁଲ୍ ଫ୍ରେଂଚ୍‌ମ୍ୟୁନିଶନ୍ ପାରିଷରେ କୌଣସି କରାଯାଇଥାଏବା, ଅଗନନ୍ଦ ଦୀର୍ଘତଃରେ ଦାଖଲାଯାଇଥାଏବା,

წიტა შატკანს უჩნდება, ფალარეონია და ცხვარი იშვიათად რჩება.

ჭია ცხვარს ნაწლავში უჩნდება.

თუ რქული მუწუკებს აყრის ცხვარს ჩლიქებზე და ტურპირზე, ცხვარი იხუთება და ვერცა ძოვს.

• სისხლის მოსვლა. ცხვარს მუცელში სისხლი ჩაეჭიდავ, თუ დროზე მიუსწრეს და თვალიდან სისხლი გამოუშვის, ცხვარი რჩება, თუ არა და კვდება.



გარიაში კარაქის შედლება


დაზარალებული მეცხვარის დახმარების მიზნით ფშავები ოჩი არ იციან. ოჩხარის პატრონი არაყს გამოხდის და მეზობლებს დაიწვევს. ყველანი მივლენ, დაილოცებიან და იქვე იწევიან ოჩხარის პატრონს ცხვრით თუ პურით.

ფშავლებს მსხვილფეხა საქონელიც ჰყავთ: ხარი, ძროხა და ცხენი. მათ შორის აქ შედარებით ძროხა მეტია და ფშავლებიც კარაქ-ერბოს დამზადებას უფრო მისდევენ. მაგრამ საქონლის მომრავლება ზამთრის საკვების მომარავებაზეა დამოკიდებული,

ამიტომ, ვისაც მეტი თივის დამზადებისა და შეძენის საშუალება იქნა, მას მეტი ძროხები ჰყავს. ყოველ შემთხვევაში, შეძლებულ ფშაველს ათ ძროხაზე ნაკლები დღესაც არა ჰყავს, ღარიბს კი ერთი ძროხა თუ გააჩნია.

თიბეას ფშავში მკათათვეში იწყებენ და პირველად შეუდგებიან „ყორული“-ს (ყორეშემოვლებული სათიბია) გათავის და შემდეგ გადადიან მთის სათიბებზე. თიბავენ ცელით ნაფთევ ვად და, როცა ნათიბი გაშრება, აქუჩებენ ხაჭირ ირად. მა ხაჭირს სათარის ააგებენ, გადაუჭერენ საბელს და მთიდან ზურგით კალამდე ჩაიტანენ. აქედან მარხილზე უდებენ და სოფელში ჩაქვთ. ბოსლის მახლობლად ხაჭირს სარუკად (ზეინია) აგებენ. ზამთარში ერთ სულ საქონელს აქ უნდება 7 სათარი თივა. ერთი სეთარი თივა ფშავში სამ ვირვანქა კარაქად ფასობს. ზამთარში თუ თივა შემოაკლდებათ, მაშინ ტყეში მიდიან, ნეკერს ამტკრევენ და საქონელს ამით კვებავენ.

თივის სახლში მოტანა იციან თოვლში. მთიდან თივის ჭალამდე ჩამოათრევენ და აქედან ხარით, „მარტუღლით“ თითო თივა, კავით ან საბლით მაგრა შეკონილი, უნდა გამოაბან ერთ ხარს და ისე მიათრიონ სახლში. თუ გზა გაფუჭებულია, მაშინ თივის უღელი ხარით მიათრევს „ყალებით“, მარხილის მაგვარი შეკრული ფიცრებით ან ორტოტა „მანჯიკა“ ჭოხით.



ფშავრი გარია

ზაფხულში საქონელი იალაღზეა გაშვებული. ხარებს ცალქო სახაროვნებელი აძოვებენ, ძროხებს კი საძროხეზე, საღაც „სამთო ქოხებია“ იგებული. ძროხებს აქ ქალები უდგანან, წველიან და კარაქს ამზადებენ. კარაქს დღვებავენ ხის ჩხუტში

ან ვარიაში. ჩხუტში ნაღებს ნახევრამდე ჩასხამენ, მდლვებავი დედავაცი აიღებს ბარნელს, დადგება ჩხუტთან და ამ ბარნელით დღვებავს. ვარიას „კუჩებით“ მაღლა ჩამოპყიდვებენ და ფეხით არწევენ. დღვებას უნდღებიან თითქმის ნახევარი დღე. თუ რძე შეცივებულია, ორ-სამჯერ ცხელ წყალს ჩასხამენ და ისე დღვებავენ. შედღვებილ კარაქს ხელით ამოკრიფავენ და მას გუნდებად დააკეთებენ. ნარჩენ დოს ქვაბით ცეცხლზე შედგამენ და ხაჭოს აკეთებენ. კარაქს შემდეგ ადნობენ და ერბოდ ამზადებენ. ფშაური ერბო გემრიელია და მასზეა ნათქვამი:

აური ქართლისა, ლვინო კახისა,
ჟველი თუშისა, ერბო ფშაველია-ო.



ჩხუტში კარაქსის შედღვება

ფშავში უფრო ცხენები ჰყავთ. სელი, განსაკუთრებით ტვირთის გაღაზიდვა და ცხენიც ფშავში

გაწურულ ხაჭოს მარილს მოაყრიან, გაზელავენ, გუნდებად იღებენ და აშრობენ. ეს ხმელა ხაჭო ფშაველის ჩვეულებრივი შექამანდია.

ლორს ფშავლები არ ჭამენ და არც აშენებენ. ხალხის თქმით, ლორის ჭამას მათ იახსარის ხატი უკრძალავს და ამ ხატის შიშით ცრუმორწმუნე ფშაველი ლორის ხორცის ჭამას გაურბის.

უცხენოდ ძნელია მთაში მიმოსვლა, განსაკუთრებით ტვირთის გაღაზიდვა და ცხენიც ფშავში

თათქმის ყველას ჰყავს. მსხვილფეხა საქონელი ფშავში დღეს მხოლოდ შუაფხოს თემშია კოლმეურნეობაში გაერთიანებული, სხვა გან კი კერძო მეპატრონეთა ხელშია. შუაფხოს მესაქონლეობას არტელში ქალებს შორის შრომა განაწილებულია და ნამუშევრის მიხედვით წევრებს უნაწილდებათ: კარაქი, ერბო, ყველი და ხაჭო. არტელის საძროხე ბინები ჯერ მოუწყობელია, ტექნიკური დისინი გაუმჯობესებული არ არიან და რძის ნაწილშის დამზადებაც მოძველებული წესებით წარმოებს.

1932/33 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო არტელში ზოგიერთ გაუმჯობესებათა შეტანა. ამ მიზნით შუაფხოში და უკანაფშავში შენდება ახალი გეგმის გომურები, სადაც მოწყობა რძის ნაწილშის ქარხანა სეპარატორებითა და ახალი ტექნიკური მოწყობილობით.

ფშავლები ფუტკრის მოშენებასაც მისდევენ. ფუტკარი ხის გეჭაში ან ხოკერშია მოთავსებული. საფუტკრე სვილის ყარტითაა დახურული. ხოკერი ბლისა და თელის ქრექისაგან არის გაქეთებული. როცა თაფლის ამოღება უნდათ, ასეთ საშუალებას ხმარობენ: ღმერ წაიღებენ მდინარეზე ფუტკრით საქსე ხოკერს, წყალში ჩაუშვებენ, გაუშუავენ და შოთებს ისე აცლიან. ფუტკარი თუ გეჭაშია, მას „სწველენ“ და ზამთრისათვის ცოტა სარჩის უტოვებენ. ერთი ძირი ფუტკარი იძლევა 15 გირვანქა თაფლს. ექაური თაფლი გარგი ლირსებისაა.

ფშავის ექონომიკური მდგომარეობის გასაცნობად ჩვენ აქ მოიყვანთ 1931/1932 წლის სისოფლო-სამეურნეო ოწერის სიახ:



କ୍ରମିକ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ନଂ	ବ୍ୟକ୍ତିଗତ ନାମ						
1	2	3	4	5	6	7	8
1	ପ୍ରଦୀପଚନ୍ଦୁରାଜ	16	34,00	6,90	19,30	0,60	24
2	କୋଣାରା	7	10,50	2,75	4,25	0,25	19
3	ବିଶ୍ଵମାତ୍ରାରା	3	3,00	1,00	2,00	0,90	—
4	ଶ୍ରୀପଟ୍ଟନାୟକ	26	43,00	19,50	23,00	—	10
5	ପ୍ରଦୀପଚନ୍ଦୁରାଜ	9	12,00	1,50	4,50	0,3	1
6	ପରିପାଳି	6	4,50	1,25	2,75	0,35	25
7	କଣ୍ଠରା	19	32,00	6,00	13,50	0,80	—
8	ପାତ୍ରରା	27	49,50	10,35	19,85	1,20	9
9	ପାଦବୀରାଜ	14	24,50	3,50	9,00		4
10	କରାତରା	6	12,00	1,50	5,00	0,20	9
11	ପିଲାହି	3	4,50	1,25	2,75	0,20	1
12	ପିଲାହି	6	12,00	2,25	4,75	0,25	6
13	ପ୍ରଦୀପଚନ୍ଦୁରାଜ	7	12,00	3,50	3,75	—	—
14	ପ୍ରଦୀପଚନ୍ଦୁରାଜ	21	14,00	4,25	12,75	100	31
15	ପାତ୍ରରା	10	15,00	3,00	5,00	0,30	15
16	ପାତ୍ରରାଜ	5	7,0	—	6,00	0,10	—
17	ପ୍ରଦୀପଚନ୍ଦୁରାଜ	11					
18	ପାତ୍ରରାଜ	7	37,00	6,05	24,25	1,15	—
19	ପାତ୍ରରାଜ	8					

11080

სარგები	მდგრადი ჩატარების ჩატარების მდგრადი	მდგრადი გადასახადი	მდგრადი გადასახადი	სრული დოკუმენტის მეურნეობის შეძლოვასასა და დოკუმენტის შეძლოვასასა და	გადასახადი	გადასახადი	გადასახადი
17,00	70	16	300	1964	267	66	
5,25	63	6	121	1202	156	26	
2,50	24	1	42	365	28	11	
20,00	200	24	500	638	212	114	
14,00	58	5	212	1242	126	36	
—	49	7	206	1034	110	23	
32,00	110	19	420	2104	340	78	
39,00	100	19	472	4346	400	134	
5,50	91	11	426	1893	200	46	
4,50	79	3	89	870	120	22	
—	46	1	38	542	40	17	
10,50	74	5	116	1386	178	25	
5,50	44	4	37	799	87	24	
19,00	154	19	400	3733	524	68	
15,00	113	12	643	2730	430	50	
5,00	2	—	18	508	55	30	
38,0	199	34	879	1035	243	179	

ୟେତ୍ତ	ସମ୍ବନ୍ଧିତ ବିଷୟ	ପ୍ରମିଳା	ସାହିତ୍ୟ	ବୈରଦାଲ	ମୂଲ୍ୟ	ଜୀବିତ ଅନୁଭବ (ମୂଲ୍ୟ)
1	ବୋଲିମ୍	34	6,25	28	34,75	—
2	ଫାର୍ମାଚେକ୍ସିପି	35	5।	29,75	18,75	69
3	ପାଇସିକ୍ସି	10	12,25	8,00	4,2	3
4	ବେଲିଂ	34	68,50	23,50	35,25	—
5	ଶେରାକ୍ସି	28	53	26,25	23,25	38
6	ପ୍ରୋଟିନ୍ ଓ ଫାଲାଲା	13	20	9,00	8,00	12
7	ବେଲାରୀ	14	26,25	12,75	12,00	26
8	ବିନ୍	6	11,00	5,00	6,50	29
9	ଗ୍ରେଫାରାକ୍ସି	7	13,00	6,50	5,50	6
10	ପ୍ରୋଟିନ୍ - ବିଲାରୀ	37	70,50	34,30	23,75	60
11	ବିଲାରୀ	49	150,25	58,50	43,50	62
12	ଫାର୍ମେସିଟି	46	105,60	49	40,25	38
13	ବୋଲିମ୍-ରାଯାଲ୍	40	89	49	30,25	—
14	ବେରଦାଲ	8	12,00	7,50	5,00	4

სათამი	შე- უძლებელი ნაცი	შე- უძლებელი ნაცი	შე- უძლებელი ნაცი	სოფლის შე- უძლებელის მთელი შე- მოსახლე	გადასახადი	ძველი ელექტრი ენერგეტიკი
48	142	33	264	6862	79,77	221
34	160	31	73	5774	350,85	131
6,00	34	7	34	1290	51,26	35
34	130	23	360	5701	284,49	109
24,50	92	19	139	5430	449,37	98
6,50	85	10	141	2600	300	61
13	63	1	108	2888	107,88	76
12,00	21	7	7	1549	113,45	21
10,00	25	6	13	1178	62,32	25
18,75	152	24	178	7159	544,12	147
50	201	43	270	12326	1449,29	213
89	191	33	332	6665	1059,2	223
67,5	103	30	200	6,600	26,90	100
4,25	20	4	8	1625	63,05	21



შინიმრეწველობასაც ფშავები მინდვრისა და სა-
ოჯახო მუშაობასთან შინამრეწველობასაც ეწევიან, რომელსაც
მნიშვნელოვანი ადგილი უქავის ეკონომიკაში. აქაური ში-
ნამრეწველობა მეცხვარეობასთან არის დაკავშირებული, რომე-
ლიც იძლევა მატყლის საქმაო მარიაგს და ფშაველი ქალებიც ამ
მატყლისაგან ამზადებენ ოჯახისათვის საჭირო ქსოვილებს. ფშა-
ველი ქალები ხელსაქმეში დახელოვნებული არიან. აქ ყველანი
ხელში ტარ-ფარტენითა და წინდა-ჩხირებით დაღიან და მუშა-
ობენ. ქსოვენ უმთავრესად: ტოლს (შალს), ფარდაგს და წინდებს.



მატყლის ჩეჩეა

სატოლე მატყულს არჩევენ ხარისხისა და ფერის მიხედვით,
შემდეგ ის ორეცხება და შრება. სუფთა მატყული საჩეჩელზე პირ-
ვილად „ფოლად“ გაიჩეჩება, შემდეგ ფოლი მეორე პირად იჩე-
ჩება და „ფარტენად“ იქცევა.

თუ ჭროლა ტოლი იქსოვება, მაშინ შავსა და თეთრ მატყულს ერთმანეთში გადაურევენ და ისე გაიჩეჩება. ფარტენას ტარზე „ასთავენ“ (ართავენ).




ກອງລາ ແລະ ສິນສອ ໂພນໂພ

ტარი საერთებელში ტრიალებს. ძაფდართულ ტარებს ჭარაშე ძახავენ (გრეხენ) და თხორად აცვევენ (ნართი). შემდეგ ფერადი ტოლისათვის ამ თხორებს ხიფებად ამოაცვევენ და ლებავენ. ამი- სათვის ქმარობენ ქიმიურსა და ბუნებრივ სალებავებს. ქიმიურ

ფერებს მით კოოპერაცია აწვდის, ბუნებრივს კი შინ ამზადებენ: უკითელი ფერისათვის ხმარობენ ხაქოლს (ბალახია) და ლებს (მოთეთრო მიწა), მუქი უკითელი ფერი იღებება თრიმლის ხის გულის ნახრშში, შავფერის ათვის ხმარობენ თავშავა ბალახს და რკინის წიდას, იგრეთვე მურყანის ქერქსა და ძალას. მწვანე ფერი ჭრ ყვითლად იღებება და შემდეგ ლილაში ამოავლებენ. ცისფერის მისაღებად ნაცრის ნაღულში ლილას გახსნიან და ეს იძლევა ცისფერს.

შელებილსა და დამზადებულ თხორს საქსოვის ყდაზე გააბამენ. ყდა ხისაა და ყველის თავისი საკუთარი მოეპოვება, რომელიც დერეფანში ან ბოსელ-საბრძელშია გამართული.

შესოველი ქალი ყდას მიუჭდება, იღებს ცხემლას, რომელზედაც საზედაო ბიწარია (ძაფი) დახვეული და ამას თხორში გაატარებს, ცხემლას თან კუდი მიჰყვება, რომ ბეჭვნის დროს საზედაო




ჯარიზე ძალის გრეხა

ძაფი არ გაწყდეს.
შემდეგ იღებს ბეჭე
და ორივე ხელით
თხორჩე საზედაოს
ბეჭნის, რომ ამით ძა-
ფი ძაფზე მავიდეს
და ქსოვილი განმტ-
კიცდეს. ქსოვის პრო-
ცესში თხორს ასწო-
რებენ „სახეზავით“
და გარას-საყვანელა-
თი გარას ასწევ-დას-
წივინ. ერთ ყდაზე
თხუთმეტამდე ტო-
ლი იქსოვება. კარვა
მქსოველი ქალი დღე-
ზი ერთ მეტრ ტოლს
მოქსოვს. ფშავში
ტოლზე დიდი მოთ-
ხოვნილებაა, რომ-
ლისაგან იკერება მა-
მაყაცის სამოსი. ტო-
ლი კარგ ფასადაც
იყიდება და დღევან-
დელ კვალობაზე


200—400 მანეთამდის ფასობს. შეკვეთით ქსოვილში მქსოველი
ქალი იღებს მატყლს, ერბო-ყველს და ზოგჯერ ფულსაც.

ფშავში ქსოვენ იგრეთვე ფარდაგი იქსოვე-
ბა იმავ საქსოვ ყდაზე ერთპირა ხელულად და არა ნაკერეტად.
ფარდაგს ფშავლები ხალიჩას უწოდებენ და ამზადებენ მსხვილ
„საქსლე ბაწარი“-საგან, რომელსაც ფერებში ლებავენ და ამ ფე-
რად ბაწრით იქსოვება ჭრელი ფშაური ფარდაგი. ფერებში სკარ-
ბობს: ღვიძლისტერი (ჟავისტერი), სოსანის ფერი, შავი, ალისტე-
რი, ცისტერი, წენგოს ფერი და თეთრი. ფერადებით ნაკრელ
ფარდაგს ფშავლები „თათრულა“ ხალიჩას უწოდებენ, ფერადზო-



საქსოვ ყდა


ლიანს კი ფშაურს. ზოლიანი ფარდაგის ქსოვა იოლია და იაფადაც
ფასობს, თათრული კი რთული მოსაქსოვია და ძეირად ფასობს.
თათრული ხალიჩის ნაჭრელაში ტონალობა ფერისა შეხამებულია
და ეს სასიამოვნო შეგრძნებას იძლევა. მაგრამ ამ თათრული ფარ-
დაგების ფერადობა და სახეც იცვლება.




გერე
საყვარელი



საბახელი



საგენავი



სახელი

ცხემლა კურა

საქსოვი იარალები

წინანდელ ფშაურ ფარდაგებს ნაქსოვის სიმტკიცესთან ერთად
ხხისიათებს ნაჭრელის რთული გეომეტრიული ფიგურები, გვარ-
კვერკვერა და კივიანი ორშიები. ახალ ფარდაგებზე კი ამ გეომეტ-
რიულ ფიგურალობას ცვლიან ფოთლოვან-ბოგოჭლატოტიანი მცე-
ნარის სახეები. მათი ფერადობაც შედარებით უხამოა, ნაქსოვი
დაბალია და მოუხეშავი.

ფწვავში აგრეთვე გაერცელებულია ხურჯინის ქსოვა და კერ-
ვი. უშაური ხურჯინი იქსოვება ხვეულად და არა ნაჭრეტიდ. მისი
ნაჭრელი და ფერადობა ფარდაგისაგან არ სხვაცდება. ძევლი ხურ-






ფართაგის ქსოვა

ჭინები ნაჭრელია გეომეტრიულ და ჯეარ-კავა ფიგურებით, ახალი კი მცენარის სახეებით.

საფენ-ხურჭინებზე აქ დიდი მოთხოვნილებაა და კარგ ფასებში იყიდება. ფშაურ ფარდაგებს უმეტესად ხევსურები ყიდულობენ ერბოზე და ქერზე და ესეც ფშავლის ოჯახს ერთგვარ შემოსავალს ძლიერს.

რაც შეეხება წინდა-საფუხრის ქსოვას, ეს უფრო იოლი საჭმეა და აქ თითქმის ყველანი ქსოვენ, დაწყებული ექვსი წილიდან—ლრმა მოხუცებამდის. ფშაველი ქალის თქმით, გზას ის წინდის ქსოვით იმოკლებს და მგზავრობისა თუ დასვენების დროს მას მელავზე საწინდე კალათა (პარკი) ჰქიდია და გამალებით ჭაობს. წინდას ჩხირებით ქსოვენ და ფერად „საწინდე ბაწრით“ აჭრელე-




ფრენარი ხალიჩის სახეები



ପ୍ରମେୟର ଶାଲିନୀ

5. ନ. ମହାଲାତକ

ბენ. წინდა იქ्सოვება საკაცო და საქალო. საკაცო წინდა ყელდა-ბალია და დაშიბული, საქალო კი ყელმაღალია და უშიბო. წინდის ნაჭრელი ცვალებადია. წინანდელი წინდები დაშიბულია რთული გეომეტრიული სახის ფიგურებით და ჯვარ-კვებით, თანამედროვე კი ნაჭრელია მცენარის სახეებით. ძველებურ წინდებს ბებრულს უწოდებენ და აქ დღეს არ ქსოვენ და არც შიბავენ. მით უმეტეს, მათი ქსოვის და ნაშიბ-ნაჭრელის ტექნიკა უფრო რთულია.




ხურჭინის ნაწილები

საფუხხარი (ხელთათმანი) იქსოვება და იშიბება წინდასავით. საფუხხარს ზურგი აქვს ნაჭრელი გეომეტრიული და მცენარის სახეებით.

ფშავრი წინდა-საფუხხარი თავისი სილამაზით მთაში ნაქებია და ფშავლები თავიანთ წინდებს გარდა სხვას არ ჩაიცვამენ. ფშავში წინდა კარგი საჩქარია. ქორწილში პატარძლებს წინდები ბოხჩებით მიაქვთ და მაყრებს ამით საჩქარებენ. ამიტომ წინდას აქ ბევრი მუშტარი ჰყავს და 10—20 მანეთამდის ფასობს.

სამწუხაროდ, ფშავის ამ შინამრეწველობის ტექნიკა და შრომა გერ კიდევ პრიმიტივობას არ გასცილებია. ამიტომ მისი პროდუქციის ხარისხი დაბალია და რაოდენობაც ყოველწლიურად მცირდება. ამის ყურადღება დროხე უნდა მიექცეს და ამისათვის საჭიროა ფშავში ჭაუმჭობელული საქსოვი იარაღების შეტანა და ქსოვის მცოდნეობის გავრცელება. ეს კი ხელს შეუწყობს ფშავრი



ფუშაკური ჭინდის აზალი სახელები

შინამრეწველობის განვითარებას, რომელიც ფუშაკის ოჯახისათვის შემოსავლიანი დარგია.

ფუშაკურები ხელოსნობას არ მისდევენ და სხვაგან ქირით სამუშაოზე იშვიათად გადიან. ღარიბი ფუშაკელი მწყემსად და მოჯამავირედ დგება ფუშაკი ან თუშეთში, სადაც ის ცხვარ-საჭონელს აუკრის.

ფუშაკურებს ვაჭრობა არ ეხერხებათ და ეს ხელობა სათავილო-

4. საზოგადოებრივი ზოგა

ფშავის საზოგადოებრივი ცხოვრების დიფერენციაცია ჯერ კი-
დევ XIX საუკუნეში დაიწყო, როდესაც აქ წარმოიშვა კერძო
მესაკუთრე შეძლებულ მეტვარეთა ჯგუფი. ამას მოჰყვა ძველი
თემობრივი წყობილების რღვევა და ფშავში დამყარდა ახალი სო-
ციალ-ეკონომიკური ურთიერთობა. საზოგადოებრივი ცხოვრების
სათავეში მოექცა შეძლებულთა მცირე ჯგუფი, რომელთა ინტერე-
სებს იცავდნენ ხევისბრები და დეკანოზები.

ღლეს კი საკოლმეურნეო მოძრაობასთან ერთად ყოფა-ცხოვ-
რებაც იცვლება. ფშავში შეკრილია საბჭოთა სოციალისტური კა-
ნონმდებლობა და მმართველობის სისტემა, რომელიც ებრძვის და
თანდათანობით სპობს ძველი თემობრივი წყობილების გადანაშ-
თებს. ჩვენთვის საინტერესოა ზოგადად გავეცნოთ ამ ფშაური გა-
დანაშთების ზოგიერთ მომენტი.

ფშაური მოსახლეობის თავდაპირველ და ძირეულ კუთხედ უკა-
ნაფშავის თემი ითვლება და ამ კუნძულს ფშავლები „ფშავის-
ხევს“ უწოდებენ. ფშავლების წინაპართ ამ ფშავის-ხევში უცხოვ-
რიათ და დაყოფილი ყოფილან 11 თემად: გაბიდოური, გო-
გოლიური, უკანაფშავლები, ცაბიური, ჭი ჩო-
ვლი, გოლერდაული, ქისტაური, მათურლები, წითელაური და წითელაური.

შემდეგში ამ 11 თემს მიმატებია ფშავის ხევიდან გასახლებუ-
ლი ჩარგლელების თემი და მთელს ფშავში ითვლებოდა
12 თემი.


რომ ფშავის თემი მართლაც 11 თემ-სოფლისაგან შედგებოდა,
ამას მოწმობს ვახტანგ მეფის „დასტურლამილის“ ერთ-ერთი
ხელთნაშერის მინაშერი, რომელსაც ჩვენ აქ მოვიყვანთ: „მე ალე-
ქსის ძე დავით. მისს უგანათლებულესობის, ჩემს ხელმწიფეს და
ხელმწიფას, ძეს ბატონის შვილს დავითს, ფშავის და ხევისურეთს.
ვახლდი: დიდად შეუალ: და საჭირო გზა ყოფილა კაცთათვის სავა-

— — — — — పుస్తకాలిక

~~~~~ శబదాలు




పుస్తకాలిక



పుస్తకాలిక

— — — — — శబదాలు



శబదాలు



పుస్తకాలిక



పుస్తకాలిక

— — — — — పుస్తకాలిక



పుస్తకాలిక

— — — — — శబదాలు

శాస్త్రములు విభాగం పుస్తకాలిక



თაძოვა და შორა

ლად: მუნ ყოფასა ჩემსა. რაოდენიცა ფშავსა. ანუ სრულიად ხევ-  
სურეთსა შინა სოფელი თვალითა ჩემითა ეიხილე. მათ სოფელთა  
სახელი თვითონეულად ამის უკუც დასტურლამისა ბოლოს აღვწე-  
რე. ვინც ნახოთ, მეც მომიგონეთ: საქართველოს თავადთა და აზ-  
ნაურთათვის მართებულა, რომ იცოდენ, ფშავსა და ხევსურეთს  
ჩამდენი სოფელია. და ან სიხელი რა ეწოდება: სრულიად ეს  
არის:

ქ. ფშავის ხევის სოფელი ეს არია:

|                |               |
|----------------|---------------|
| ქ: უკანა ფშავი | ქ: მათურა     |
| ქ: ახადი       | ქ: გოგოლაურთა |
| ქ: წითელაურთა  | ქ: ცაბაურთა   |
| ქ: ხოშარა      | ქ: უძილაურთა  |
| ქ: წიჩო (ჭირი) | ქ: შუაფხო     |
| ქ: მუქუ        |               |

ქ: აგრეთვე ფშავსა და ხევსურეთს შუა არის სოფელი: ფშავნი და ხევსურნი ორნივ ცილობენ: არა ჩვენია არა ჩვენია: სახელად ეწოდების: ქ. აკუშო: ალიშერა სექდემებრს კვ (26), წელს ჩლპთ (1789). დავით“.

თითოეულ ამ თემს ერთი სოფელი ეჭირა თურმე და აქაურ სოფლებს თემის ეს სახელები დღემდის შეჩენია. მავალითად, გოგოლაურთაში გოგოლაურები ცხოვრობენ, ცაბაურთაში — ცაბაური, ჭიჩოში — ჭიჩოელი, უძილაურთაში — უძილაური, წითელაურთაში — წითელაური და სხვ.

ეს თემები ფშავის ხევის მკვიდრად და მფლობელად ითვლებიან და ყველას აქ თავიანთი წილი უძევთ და აქვთ სალოცავი ხატები. ამ ფშავის ხევიდან შემდეგში ფშავის მომრავლებული მოსახლეობა გასახლებულა მაღაროს თემში და აქედან ერწო-თიანეთსა და დუშეთის რაიონებში. მაგრამ ფშავის ხევიდან გასახლებულ ფშავლებს ფშავის ხევი წმიდა და მადლიან ადგილად მიაჩნიათ და ფშაველი, სადაც არ უნდა იყოს, მაინც არ გამოვა „ფშავის ხევის წილიდან“.

ამიტომ აქედან გასული ფშაველი დღესაც ერთ რომელიმე ამ თემთან გვარ-ჩამომავლობით და ხატ-სალოცავითაა დაყიშირებული. ფშავის ხევის თემებს თავიანთი ხატ-სალოცავები ჰყავდათ. ხატი ითვლებოდა თემის პატრინ-მცარველად, თემი კი ხატის ყმად. მაგალითად, ჭისტაურის თემი შუაფხოს იახსარის ხატის ყმად ითვლება და ამ თემის და გვარის ფშავლები სალოცავად აქ მოღიან. 1

1 „დასტურლამალის“ ეს ხელნაწერი კრუთენის საჩვის კაჯაბაძეს და ამ მინაწერის მოწოდებისათვის შას მაღლობას მოვახსენებ.

გოგოლურის თემის ხატი ქმოდის წმ. გორგია, უძილაურის თემის — კოპალა (ციხე გორობა), ცაბაურების — მთავარი ანგელოზი, უკანაფშავლების — წყაროსთავის წმ. გიორგი, გოდერძაულის თემის (ახადლების) — პირქუში, წოწყურაულის თემის (მუქოლები) — ღვთის მშობელი, წოთელაურის თემის — კოტია წმ. გიორგი, მათურლების — მთავარას გელოზი, და ვიჩოლების მთავარანგელოზი.

მაგრამ ფშავის ხევის ყველა თემის საერთო სალოცავი ლაშა გიორგი და თამარ მეუე იყო და ფშავლებიც ამ ორი მთავარი ხატის ყმად ითვლებოდნენ.

თითოეული თემის სათავეში ხევის ბეჭედი იდგა და სათემო საქმეებიც მას ეკითხებოდა. მთელ ფშავის ხევს კი თავხევის ბეჭედი განავებდა.

ეს ხევისბრები იყვნენ ფშავის ხევის გამგებლები, რომლებიც ხატისა და თემის სახელით იცავდნენ გაბატონებული ჯგუფების ინტერესებს. ფშავის ყველა თემი კი ამ ხატების ყმებად ითვლებოდა.

ფშავის ხევის თემები დროთა ვითარებაში მეკომურებად იშლებოდნენ და დღეს უკვე სხვადასხვა გვარებს ატარებენ, მაგრამ ყველანი მაინც ერთი თემისა და ხატისად ითვლებიან და „ძირათაშვილები“ იწოდებიან.

მაგალითად, ქისტაურების ძმათაშვილებია: ელიზაბეთ და გიორგი ელიზაბეთშვილი, ბადრიშვილი, ჯიხვიშვილი, ქოჩაშვილი, ჯაბანაშვილი, ხუციშვილი და სხვ.

უძილაურების ძმათაშვილები: კოქლაშვილი, ბაზიერაშვილი, ჩორხაური, ლაშვარაშვილი და სხვ.

ცაბაურის ძმათაშვილებია: გოგნელაშვილი, მცედლური, ჰყურუნიშვილი, გედეხაური და სხვ.

თემის მეკომურთა ამგვარი დაყოფა დღესაც გრძელდება და ახალი გვარებიც იქმნება. ეს ფშაური გვარები წარმოშობილია მეკომურთა უფროსის სახელებიდან. მაგალითად, სახელ ჯაბანიდან წარმომდგარია გვარი ჯაბანაშვილი, ელიზაბარიდან — ელიზაბეთშვილი, გოგნელი — გოგნელაშვილი, ბადრი —

ბალრიშვილი, მგელა — მგელაშვილი, ბერი — ბერიშვილი, ჭრელა — ჭრელაშვილი, ხიზანა — ხიზანაშვილი, ბეკურა — ბეკურაშვილი და სხვ.

ამ ფშაური გვარების ჩვეულებრივი დაბოლოება საზოგადოდ შევისწინა (ბობლიაშვილი, მისრიაშვილი და სხვ.) ხშირია აგრეთვე დაბოლოება — ური და ული (მამიაური, თაღიაური, ჩორხაული, გოლერძაული და სხვ.), იშვიათია ძეზე (ქავთარაძე, ზარიძე).



შეშის ზიდვა

უკელა ეს გვარი დღესაც 12 თემ-ხატის მიხედვით არის დაჭვულებული და ამ თემებში შემავალ ძმათაშვილებში ჯერ კიდევ მტკიცედ დაცულია სისხლით ნათესაობის შეგნება და ერთი ხატის ყმობის რწმენა. ამიტომ ერთი თემის ძმათაშვილებში ახლაც აკრძალულია ქორწინება და ერთმანეთის შეყვარება. მაგალითად, გოგოლაურების ძმათაშვილებს: ბუთხაშვილს და ბულალაშვილს არ შეუძლიათ ერთმანეთში ქორწინება და არც სხვა თემში გათხოვილ ძმათაშვილის ქალის რძლად მოყვანა. ქალის გათხოვება თავისივე ხატის ყმაზე აქ არგავნილ დანაშაულად ითვლება.

ამისთანვე, ერთი თემიდან მეორე თემში გადასცლაც თემის მიერ აკრძალული იყო. თემში შემოხიზული უცხო პირის მიღება კი შეიძლებოდა, თუ ხიზანი „გაფიცვის ადათს“ შეასრულებდა. ამისათვის ხიზანს ხატში საქლავი უნდა მიეყვანა, სადაც მას ხევისბერი აფეცებდა ხატისა და თემის ერთგულებაზე. ფიცვის მიღების შემდეგ ის ხატის ყმად და თემის სწორუფლებიან წევრად ითვლებოდა. ამ ფიცვის გატეხა თემის დალატს ნიშნავდა და ხიზანზე თემი შურს იძიებდა.

გაფიცვის ასეთი წესით მიღებული გვარი ფშავში მრავალია. მაგალითად, გორჩემაული ქისტი ყოფილა, რომელიც მესისხლეობის გამო ქისტეთიდან ფშავის ხევში გამოქცეულა და აქ ცაბა-ურთელება ძმად გაფიცვია. წელაური თუშეთიდან გადმოსულა და უკანაფშავლებს გაფიცვია. მეგრელიშვილიც უკანაფშავლებს გა-ფიცვა, რომელიც დღეს აქ ცოკილაურად იწერება. გადმოცემით მეგრელიშვილის წინაპარი მეგრელი ყოფილა, ის თათრების ლაშქარის გადმოყოლია ფშავში, დაჭრილა და უკანაფშავში დარჩენილა. ახალწელიწად დილას ის ხატში მისულა და თემისათვის ძმად გაფიცვა უთხოვდა. უკანაფშავლებს მეგრელი მიუღიათ და ამ გა-ფიცვის სიმტკიცის ნიშნად მეგრელიშვილის გვარს ყოველ ახალწელიწადს ხატში საქლავი უნდა დაეკლა.

ზოგიერთ გვარს თავისი წარმოშობის ძარტორიაც ახსოვს. მაგალითად, ქისტაურების წინაპარი ქისტი ყოფილი ლულ-ჩხორგოედან გადმოსული. ქისტაური სამი ძმა ყოფილა, ქისტეთში კაცი მოუკლავთ და სამიერი საქართველოში გამოქცეულან. ერთი მათგანი მოხევეებში გადასულა და უთქვამს, მე აქ გავიბოტებიო (დავდგბიო) და ამ სოფელსაც გაიბოტენი დარქმევია. მეორე ძმა ხევსურეთში სოფ. ღულში დასახლებულა და-მესამე კი შეუატოში.

წოწურაულისა და გიგაურის წინაპარი ზეიადაური ყოფილა. ზეიადაური ხევსურეთიდან გადმოსული სოფ. მუქოში და აქ ნემსაურისათვის ადგილი უთხოვია. ნემსაური შეძლებული კაცი ყოფილა და მას მთელი მუქო ჰერია. ნემსაურს ერთი გაეი ყოლია და ისიც ოჩონელს (ოჩონა იორის ხეობაშია) მოუკლავს. ოჩონელს მაგარი ციხე ჰქონია და მოხუც ნემსაურს შეილის სისხლი ვერ აუღია. ნემსაურს უთქვია ზეიადაურისათვის, თუ ჩემი შეილის სისხლს აიღებ, მუქო შენთვის დამითმიაო. ზეიადაური გუ-



ახალგაზრდა ფშაველი ჭალა

**ლ**ადი ვაჟკაცი ყოფილი, ოჩონელს შებრძოლებია, მოუკლავს **და**  
**მუქიც** მის დარჩენია.

ერთი სიტყვით, როგორც გაღმოცემიდან და მოხუცთა გამოკითხვიდან გამოირკვა, ფშავში მოსახლე გვარები გაღმოსულან მთისა და ბარის სხვადასხვა კუთხიდან, უმეტეს შემთხვევაში მესის-ლეობრივა და შურისძიების გამო და აქ ფშავლებს ძმიდ გაფიცვიან. მაგრამ გაფიცვასთან თემში დამნაშავეთა „მოკვეთი“

არსებობდა. მძიმე ხათემო დანაშაულობის დროს, როგორიც იყო თემისა და ხატის ღალატი, გვარში პირის გატეხა და სხვა, დამნაშავეს თემი მოიკვეთდა. ასეთ პირს ხმას არავინ გასცემდა და თემ-გარშიც არ გაიკარებდნენ.

მოკვეთილს სიკვდილის დროს არავინ გაეკარებოდა, მას წილ-ქვილისა და სამჭედლოს კარებიც დახშული ჰქონდა. ხატში ხევის-ბერი მოკვეთილს საქლავს არ დაუკლავდა, საჭირს არ გაუკრიდა, სახვეწარს არ „დაუდიდებდა“. მოკვეთილი შეწუხდებოდა, ინანიებდა და შერიგებას ითხოვდა. თუ თემი ამაზე დათანხმდებოდა, მაშინ მოკვეთილს ხატში ხარი და ცხვარი უნდა მოეყვანა, სულისათვის შეეწირა და შერიგება ეთხოვა. ამასთანავე, მოკვეთილი „კდეს“ ამოაგდებდა „და იტყოდა: „ესე იმოვარდეს ჩემობა, ჩემი თესლ-ჯილაგი, თუ ამას იქით კიდევ რამ დავაშავო“. ამასთანავე, ხეზე ჭრეს ამოთლიდა და ხილი დაიძანებდა: ამინ, ამინ.

ფშავური თემური წყობილების მთელი სისტემა დამყარებული იყო შურისძიებისა და სისხლის აღების ადათებზე და ამიტომ თითოეული თემი იბრძოდა თავისი თემის სიმტკიცისა და გაუტეხელობისათვის. სისხლის აღებისათვის მთელი თემი იბრძოდა, რომლის თუღებლობა სამარტვინო იყო სახელოვანი და ძლიერი გვარი სისხლს არავის შეაჩენდა და სისხლის თათოეულ წვეთს სამოთხეც-ცად ინაზღაურებდა. სისხლის აღებისათვის ბრძოლა ძმათაშვილებში სამღეთო მოვალეობას შეადგენდა და ყველანი თავდადებით იბრძოდნენ. მაგრამ სისხლის აღება შივ თემში და ძმათაშვილებში წესად არ იყო და არც მოხდებოდა. არც ძმის, შეილის თუ მამის მკვლელს სისხლს არ აზღვევინებდნენ და პატუხისგებაშიც არ აძლევდნენ, მაგრამ ფშავში ასეთ დამნაშავეს ზიზღით უცემოდნენ და „ცოდვიანებს“ ეძახდნენ.

კაცის მოკველა გვართა შორის იწვევდა შურისძიებას, რომელიც სისხლის აღებით თავდებოდა ან არა და, „დაცის თავის ზღვით“, რასაც ფშავლები „თავსისხლის გადახდას“ უწოდებდნენ.

სისხლის აღების ამ აღათს თემურ საზოგადოებაში თავისი უფლებრივ-ზნეომრივი გამართლებაც ჰქონდა, რადგანაც მკვლელობის დროს გვარს აქლდებოდა მუშა და მებრძოლი ხელი და ამით



ვაჟა-ფშაველას მეულე თამარი

გვარი სუსტდებოდა; და მნაშენიაგან გვარი მითხვდა ამ დანაკლისს საზღაურს, წინაღმდევ შემთხვევაში სამაგიეროს უხდიდა და მოსისხლე გვართა შორის ერთმანეთის ხოცვა რამდენიმე თაობა გრძელდებოდა, სანამ მათ შორის შერიცება არ მოხდებოდა.

ბრძოლაში დამარცხებული ოჯახი ბოლოს იარაღს ყრიდა და შერიცებას ითხოვდა. ამ მიზნით დამნაშავე თხოვნით მიმართავდა გვარის უფროსებს და ხევისბერს და სოლოდა მათ თავსისხლის შეფასებას.



ხარშიშესული თშავლი ქალი

თემის ბურები შეიკრიბებოდნენ სათემო ხატის გალავანთან და აქ ხევისბერის თავმჯდომარეობით შეუდგებოდნენ საქმის გარჩევას და თავსისხლის შეფასებას. ფშაური ადათით ამ შემთხვევაში ყურადღება არ ექცეოდა ადამიანის ვინაობას და ლროსებას და კაცის მოკვლისათვის დაწესებული იყო 80 ძროხა ან 360 ცხვარი. ძროხა შეფასებული იყო 5 მანეთად და ამის კვალობაზე ფულადაც შეიძლებოდა თავსისხლის ანაზღაურება.

ცრილობა-დასახიჩრება და ასოს მოკვეთაც ძროხებით იყო გომოანგარიშეული და ამ მხრივ ფშაური ადათიც ვახტანგ მეფის კანონებს ემყარებოდა. მაგალითად, მთელი ხელის მოკვეთა 15 ძროხად იყო შეფასებული, თითო ხეკისა — 1 ძროხა, ცერისა კი 5 ძროხა და სხვ. ცრილობა იზომებოდა ქერის მარცვლებით, რომელსაც ცრილობაზე ამწერივებდნენ და, რამდენი მარცვალიც მოთავსდებოდა, დამნაშავეს იმდენი ძროხა უნდა გადაეხადა.]

თავსისხლის გარდა დამნაშავეს ზოგჯერ ართმევდნენ იმ ნივთსაც, რომელიც მოკლულის ნათესავებს მოეწონებოდათ და ამაზე უარის თქმაც არ შეეძლოთ. ამის ეწოდებოდა „ა ლ მ ა ნ ი ა“ ან „ყ ი ს ტ ი“.

ალმანიით მოსისხლე თემები ზოგჯერ ერთმანეთს მამულსაც კი ართმევდნენ. მაგრამ ალმანიისაგან თავისუფლი ყოფილა ზოგიერთი სახელოვანი ხმალი, რომელიც ხევისბერისაგან „დ ა რი-ს ხ ე ბ უ ლ ი“ იყო და მისი ალმანიით წაღება არ შეიძლებოდა<sup>1</sup>.

თუ სისხლი ვინმეს ენატანიობით ან, როგორც ფშავლები იტე-გინ, „უ ნ ა-კ ა პ ა ლ ა თ ბ ი თ“ დაიღვრებოდა, მაშინ ენატანის დაზარალებულის ოჯახისათვის „საენო“ ხუთი ძროხა უნდა მიეცა.

თავსისხლის გადახდის შემდეგ ორივე მხარე რიგდებოდა და ამის სიმტკიცის ნიშნად ხევისბერი ხატში სამანს (გრძელ ქვას) ჩასვამდა, საკლავს დაპკლავდა და მოდავე-მოპასუხეს დალოცავდა.

<sup>1</sup> სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, ქართული ქრესტომათია, წ. 1, სუბინაშვილის გმოცემა, 1846 წ. (იხ. კარი თეთრის გარიგებისა, გვ. 400—416).

<sup>2</sup> ასეთი სახელოვანი ყოფილა ფშავში ბათურის ხმალი. ბათურს თავისი ხმალთ სოფ. ბაჩალში (იორჩევა) 19 ლეურ მოუკლავს. ამიტომ ეს სახელოვანი ხმალი ხევისბერს დაულოცა და არაფის შეუძლია ბათურის საგვარეულოდან ამ ხმალს ვალში ან ალმანიაში წაღება (ცაფა-ფშაველი, ფშავლების მცენი სამართალი და საოჯახო წესები, გზ. იური, 1888, № 243).

შემდეგში თუ ამ შერიცებას რომელიმე მხარე დაარღვევდა, სა-  
მანს ისევ ამოილებდნენ და მოწინააღმდეგეთა შორის შურისძი-  
ება და მტრობა ისევ ახლდებოდა.

მესისხლეობასთან თემის ბჟევები სამართლის სხვა საქმეებსაც  
არჩევდნენ და დამნაშავეებსაც სათანადოდ სჭიდნენ. სასჭელიც  
ორნაირი იყო: ფიზიკური და ზნეობრივი. საქმის გარჩევის დროს  
მომჩინანსა და მოპასუხეს მოწმეები უნდა წარედგინათ და თავი-  
ემართლათ.



ფშაველის ოჯახი სოფ. ახალში

თუ რომელიმე მხარეს მოწმე არ ჰყავდა, მას ნება ჰქონდა  
„ხელი მოეჭიდა“ იმ თავკაცისათვის, რომელსაც სოფელი  
დაუნიშნავდა, და მას უნდა დაეფიცა. თუ ეს თავკაცები ხელს არ  
მოსჭიდებდნენ, მაშინ სამართლის გამოსარკვევად „ღვთიურ  
მსჯავრს“ მიმართავდნენ: მდუღარესა და შანთს (ორდალიები).  
ბრალდებულს ხელი მდუღარეში უნდა ჩემყო, ან ცხელი შინთი

ელო და თუ ხელი ღაეწოდა, დამნაშავე იყო, თუ არა და, მართალი.

სწორი ჩვენების მისალებად ხევისპრები მომჩივან-მოპასუხეს ხატში აფიცებდნენ. დაფიცების დროს ხევისპრები ერთ ხელში დაიჭირდა ღვინით ან არყით სავსე თასს და მეორეში დროში ანთბული სანთლით და იტყოდა: „ვინც მართალი დამალოს და არა თქვის, გაუწყრეს ემ ჩვენი ბატონის მაღლი, დაელათი და მმ თასი-ვით დაიკუს იმის ოჯახით (თასს დააქცევდა) და ამ სანთელივით გაქრეს იმის სახსენებელი დედამწის „ზურგზეო“ (სანთელს აქ-რობდა).

ფშაური დაფიცების შესახებ ჩვენ აქ მოვიყვანთ ერთ საყურადღებო საბუთს, სადაც აღწერილია ფშავის ხევის ორი თემის: გაბიდაურთა და წიჩოელთა (ჭიჩოელთა) შორის მამულზე დავა, მათი დაფიცება და ამაზე მეფის განაჩენის დადება:

„წელსა ჩიით-სა (1819), ასრილს კა-სა (29) დღესა. ჩვენ ჭურ მორე კელის მომწერთა: თავადი აბალ ჩოლაყოვი და თავადი გორგი ერისთოვი, აღმოგეირჩიეს მედიატორათ ფშავის კვეში მცხოვრებელთ ფშაველთ: ხახა ხევისპრებმა და ერთობით გაბიდაურთ და ფშაველთ, ერთობით წიჩოელთ და მოგვცეს ორთავ თემის ხალხთ კელშეკრულების წერილი და სმამართლოშიაც დაამტკიცებინეს ესრეთ რ-ლ მამულებზედ აქუნდათ დავა მთისა და ბარსა და, რასაც ჩვენ მათგან მოცემულის კელშეკრულების წერილის ძალით აღმოჩეულ ვართ მედიატორად, ჩვენც ვაწყევით საქმეში შესვლა და გამოიიხა კანონიერად. პირველ ხახა ხევისპრებსა და ერთობით გამიდაურთ შუშანის ვაკეზედ. წერილები მოვსთხოვეთ ან მეფეთაგან ნაწყალობებესა, ანუ მამა-პაპათაგან ჭურლათვანი ნაქონი წერილები და მათ გაბიდაურთ ვერა რომელიმე წერილები წარმოადგინეს, თვინიერ სიტყვის მეტი, ესრეთ რ-ლ ქ შუშანის ვაკე არის მამაპაპით ჯიშშიტაშვილებისა და რაღაც ჩუენს გუარეულობაში აქუსთ ნაწილი ჩუენის გუარისა ჩვენც ამის-თვის ვდებთ წილს შუშანის ვაკეზე, და ვედავებით წიჩოელთ და ბატონის მეფის ერეკლეს ბრძანებით ფაცეულშა გვაქვს გატანილი შუშანის ვაკე თავისის სმბელურებით, რომელიც ამ შუშანის ვაკის სამზღვრებში თვით ჩუენ გვაჩუტნეს და ვაგვისინჯეს ესრეთ: დასაელეთის მხრისაფენ ამ შუშანის ვაკეს სერს იქით ჩუენი მესა-

ჰლერენი არიან? ჩირგ-ლელი, ქისტური და გოგოლაური. ოღ-  
 მოს ცლეთის მხრისებრ არზონხევის გაღმა არის წიჩოელთი, აგრე-  
 სო საჭრულფს გორის სერი რასაც შაპყვება და შამოუვლის ზე-  
 ვით მოებს პირიქით და პირაქეთ მზის ჩისვლისაკენ ფადიაურის  
 გორმდრის, ესენი სულ წირელთ არის, რო ხელი არავის აქს და  
 ამ ფადიაურის გორის მიზნიდამ ერთი ვაკე გორი ჩისლევს და  
 არზო-ხევში ჩიავი; ამ მიზნის ზევით მზის ჩისვლისაკენ, ჩუმი გაბი-  
 დაურთი არის და ამ მოებისა არა რომელიმე მეფეთაგან ნაბოძები  
 წერილი არა გვაქვს და არცა ჩევნი მძმაბაბათი და ისე გვიკირავს  
 შუშანის ვაკე ქსენებულთ ერთობით გაბიდაურთ, რომ გვაჩუმნეს  
 შუშანის ვაკე ჯიმშიტანთი არისო ამთის სიტყვით ჩევნც ჯიმში-  
 ტაშვილებს ვკერთხეთ — იასე ჯიმშიტაშვილსა, იორამ ჯიმშიტა-  
 შვილსა და გლახა ჯიმშიტაშვილსა, თუ როგორ მდულონდათ ამ  
 ჯიმშიტაშვილებს ეს ქსენებული შუშანის ვაკე. და ჯიმშიტაშვი-  
 ლებმა ესრეთ გუაჩუმნეს, რო ეს შუშანის ვაკე ძველადაც ჩუმი  
 ყოფილა. და მეფის ერეკლეს ეამში იმისის ბრძანებით ჩუმი გვი-  
 ფიცას ამ შუშანის ვაკეზე და ფიცით გავვიტანიაო. და ამა მთისა  
 არა რომელიმე წერილი არა გვაქვსო და, როდესაც გავიფიცეთ,  
 ოცდათი წელიწადი არის მას აქეთაო, რომელიც მასსოვარი და  
 იქ დამსწრე ფიცში წარმოადგინეს თიანეთში მცხოვრები ბაცო  
 ძებნიაური და ბაცო ძებნიაურმა ამ ჯიმშიტაშვილების ნათქუამი  
 სიტყუა დაამტკიცა და მეორეს სადაოს მამულის გრძელასი მოვ-  
 სთხოვეთ გაბიდაურთ წერილები და არცა იმისი რამ წერილები  
 წარმოადგინეს ამის მეტი, რა ქუჩხევში ჩუმენა ვსდგვიართ და  
 ბოლოს ჭალაც ჩვენიაო. შემდგომ ამისა პირველ მოესთხოვეთ სა-  
 ბუთები და წერილები ამ ქსენებულის მთის გრძელასი წიჩოელთ  
 და წიჩოელთაც ვერა რომელიმე წერილი ვერ წარმოადგინეს  
 გრძელასი თვინიერ მოწმებისა, ესრეთ რა თიანელთა და ჩარგა-  
 ლელთ ეკითხოს კანონიერის ფიცით, თუ ვის ეკუთვნის გრძელას  
 მამულით; რადგან ამისთანა ვანურჩეველი სიტყვა შემოიტანეს  
 გაბიდაურთ და წიჩოელთ ქსენებულს გრძელაზედ ჩუმი კანონი-  
 ერის გამოძიებით და ფიცით გამოვიძიეთ თიანელთა და ჩარგა-  
 ლელთ უფროს კაცთაგან. რა ეს ქსენებული სადაო ქუჩხევის ბო-  
 ლოს ჭალა გრძელასი ვის ეკუთვნის და ამუ ვინა ფლობს. თიანეთ-  
 ში მცხოვრებელმა ნაცუალმა გოგია გოგიაშვილმა, ბერმა აბრამი-



Թիւզուն Տալուս Խոսրովին

ანთმა, ეკლესიის ყმაშ იასე მათურელმა, ხელმწიფის ყმაშ ლეგი მცხეთელაძემ, ზურაბ მცხეთელაძემ, ხიზანა მოსახლემ, ჯაბანა დულუზაურმა; ჩარგალში მცხოვრებელმა გიორგი ზურაბაშვილმა, ქუმანი რაზიკაშვილმა, ღვთისავარ თებელაშვილმა, გამიხარდი პირქუშაშვილმა, რამაზ ფადიაურიშვილმა და იანვარა ბუნახაშვილმა. ამ ზემოხსენებულთ თიანეთში მცხოვრებელთ შეიძლმა კაცმა უფროსმა და ჩარგალში მცხოვრებელთ ექუსმა კაცმა ესრეთ ალიარეს ფიცექუტშ, რო ეს ქუჩხევის ბოლოს ჭალა გრძელათი პირეელ არის სახელმწიფო ადგილიო და ეს წიჩოელნი დგანან ამ მამულშია, ხმარობენ და ამათი არისო და სახლებიც შიგ უდგათ. და ცხოვრობენ რო მოდავე არავინ გაგვიგონიაო დღეს აქამომდეო.

მეორეს სადაოს მთის, შუშანის ვაკის, საბუთები და წერილები მოვსთხოვეთ წიჩოელთ და წარმოგვიდგინეს ორი განჩენი მეფის ერეკლესაგან ნაბოძები და გადაწყუტილი პირული ესრეთ აცხადებს; წიჩოელთ ჯიმშიტიანნი და გაბიდაურნი შუშანის ვაკეზედ ედავებოდნენ. ჯიმშიტიანთა და გაბიდაურთ ფიცი დავადევით. იმათ თასითა და დროშით დაეფიცნათ. ჩუენ ამგუარი ფიცი არ ვიყაბულეთ, ქრისტიანეთ ფიცის რიგი ჯვარითა, სახარებითა და ხატით არის განწესებული. ამგუარად ფიცი გაბიდაურთ არ ვიყაბულეს და თავიანთის ნებით ასე ფიცი წიჩოელთ მიუგდეს. ფიცი წიჩოელთ კისერზედ აიღეს. შეკერილიყუნენ ოთხმოცდაოთხნი კაცი, და სხუას თემებიდამაც კაცნი დასწრებოდნენ: ახალიდამ თემის უფროსი თილლაური, მათურიდამ პაპი და ქავთარი, ცაბაურთიდამ ძურაული ჯაბანი, გოგოლაურიდამ ჯუღურაშვილი ხარება. ხატი ჩოლოგაურს თევდორეს აეღო, წმინდა სახარება — იანვარაშვილს მამუკას, ჯუარი — ჯუღურა ჯანგირაშვილს და მაჩურა პაპიაშვილს და თასები — ხარებას და ამ ოთხმოცდაოთხ კაცს შემოველოთ თეთრს ქუასა და ხუდიელს ზეით და დაბლა მიჯნაზედ ჩისულყვნენ და შუშანის ვაკეზედ ესე გაეფიცნათ: ამისმა მაღლმა და განმაცხოველებელმან ღთნ რა ფშავის ხევში კაცნი დასახლებულან, მას აქეთ ამ ადგილს არავინ შემოგვილებია, ჩუცნს მეტს კაცს არავის უხნიეს და არავის უთიბაეს და არც არავის ჩუენს უკითხავად პირუტყუთათვის უძროვებია; ჩუცნ გვეჭირა, სახასო მამულია და ბეგარა ბატონისათვის გვიძლევით. რადგან ამ გაუფიცავთ შუშან-ვაკე დარჩათ წიჩოელთ და ჩვენც ხელახალ განაჩე-

ნითა ამით წერილით დაუტკიცეთ და ყოველწლივ განწესებულს  
ბეგარას ჩუმის სარქარს უნდა მთარისევდენ. ოღიწერა სეკდემბრის  
ი (10), ჭერის უბბ (482)-1794 წ.). ეს მამული რო სახასოობს გაუ-  
ფიცავსთ, თუ ვინმე ამ დაუტკიცებულთ გააჭავრებთ და შეოთს რას-  
მე მოინდომებს ჩუმი და ჩევნის გუარეულისა მუხანათი იქნება  
და ოცს ჯორს ჯურუმად წაგართმევთ და გარდავახდევინებთ, ხე-

ଶ୍ରୀଦିଂ ମେଘାଲୟ ରାଜ୍ୟର ପାତ୍ର

ქ. ჩუმი ყოვლისა საქართველოსა და სხუათა დედოფალი და-  
დიანის ძული დარეგან, მისის უმაღლესობის ბატონის ბრძანებას  
იშეს ვამტკიცებთ სკლემბრის იტ-ს (18) ქას უპბ (1794) წ.).

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ჩიტინ ყოვლისა საქართველოს კუთხით მდგრადი მეფის ირაკლის ძე ანტონი მისი უმაღლესობის ბრძანებისა ამის თანახმანი ვართ სეკლებზე ით (19) ჭრა უპბ (1794) ხელჩართული: კათალიკოზი.

ქ. ჩუღან საქართველოს უფლის წული მეტის დე გიორგი მისის  
უმაღლესობის ბრძანებასა დას გამტკიცებთ სეკლემბრის დვ (26),

ମୁଁ ଉପଦ, ଶ୍ରେଷ୍ଠୀ ମେତ୍ରୀଲ୍ ଦିଲ୍ ଗିନାର୍ଗିଲ୍ସା। | ଗିନାର୍ଗିଲ୍

ქ. ჩუმის ყოვლისა საქართველოს მეფის ქ იულონ მისის უმაღლესობის ბრძანებისა ამას თანა ვამტკიცებთ სეკდემბრის თ (19)

მას უპბ ბეჭედი იულონისა. იულონ

ქ. ჩუმის ყოვლისა საქართველოს მეფის დე ილექსანდრე მისის  
უმაღლესობის ბრძანებასა მის გამტკიცებ სეკლემბრის პ (20) ქუ

ელექტრონული

ქ. ჩუმნ ყოვლისა საქართველოსა მეფის ძე ვახტანგ, ოლმას-  
ხან მისის უმაღლესობის ბრძანებისა ამის ვეთანხმებით მსგავსადვე.

|          |
|----------|
| ალმასხან |
| ვახტანგ  |

ქ. ჩუმნ ყოვლისა საქართველოსა მეფის ძე ფარნავაზ მისის  
უმაღლესობის ბრძანებისა ამის ვამტკიცებთ სეკდემბრის კ (20)

ქ' ქს უპბ. ფარნავაზ

ქ. ჩუმნ მეფის ძის ძე დავით ამ განაჩენს ვამტკიცებთ სეკდემ-  
ბრის ზ (7) ქ' ქს თპბ. დავით

ქ. ჩუმნ საქართველოს მეფის ძის ძე იოვანე ამ წყალობის  
წიგნს ვამტკიცებთ. სეკდემბრის კთ (29) ქ' ქს უპბ. იოვანე

ქ. ჩუმნ საქართველოს მეფის ძის ძე ბაგრატ ვამტკიცებთ  
სეკდემბრის კთ (29) ქ' ქს უპბ. ბაგრატ

ქ. მეორეს, მეფისაგან დამტკიცებულის განაჩენში ესრეთ აცხა-  
დებს: ქ. ფშაველში წიჩოელთ და გაბიდაურთ რომ მამულზედ ცი-  
ლაობა ჰქონდათ, სხუა და სხუა რიგის გასინჯულობით ორსავ მხა-  
რეს ოქმები და განაჩენები მისცემოდათ, მაგრამ უფიცრად ვერ  
გაშველებულიყვნენ და შედ იმ განაჩენებისა და ოქმებისა ჩუმნ  
ყოვლისა საქართველოსა და სხვათა მეფემან ირაკლი მეორემან  
მივწერე თუშთ მოურავს დურმიშხანს და თანანეთის მოურავს ქაი-  
ხოსროს: წიჩოელთ და გაბიდაურთ რომ მამულზედ ცილაობა  
აქვთ, ამაზედ ჩუმნგან მოცემული სამართლის განაჩენი ხელთ  
უჭირავსთ, ან თქუმნ უნდა წახვიდეთ იქ და, რომელნიც ამას ქვე-  
ით კაცნი დაგვიწერია, ესენიც თან უნდა წაიყვანოთ და, თუ თქვენ  
ვერ წახვალთ, თქუმნი უმფროსნი შვილები უნდა გაისტუმროთ  
და ესენი თან უნდა გაატანოთ: თუშეთიდან ორი მებალახე და სა-  
მი თუში; ერთი თუში გომეწრიდამ, ერთი წოვადამ და ერთი ჩა-

ლმოდან; და ფშავეიდან; თას-  
ნეთის ნაცუალი გოგია ზიმშა-  
აშვილი, ალავერდის ნაცუალი  
და ხარჭაშნელის ნაცუალი.  
ესენი უნდა ამათს საცილე-  
ბელს მამულში მიხვიდეთ, და  
როგორც ჩუენ განაჩენში სწე-  
რია ხატი, ჭუარი და სახარება  
უნდა ჩაუსვენოთ წიჩოელთ,  
და, როცა თავიანთ მამულად  
ეფიცებოდესთ და იფიცონ და  
ფიცით გაიტანონ, ამაზედ დი-  
დად გაფრთხილებთ, რომ არა  
ქრთმით, არც ხათრით და  
არც სხუა მიჩეზით არ იძლივ-  
ნეთ და ღოთის წინაშე სიმართ-  
ლით და სისწორით მოიქცეთ  
და, თუ სიმრუდით მოიქცე-  
ვით, ჩუმნამც უბრალონი  
ვართ. ღვთის პასუხი თქვენ  
უნდა მისცეთ. და, თიანეთს, ს  
მოურაო, თუ შენ ვერ წახვალ  
და არცა შენი უფროსი შვე-  
ლი იყოს, მაშინ შენი შვეილა  
დიმიტრი გაისტუმრე, ამისი  
დაგვიანება არ იქნება.

ამავ თუ უშიერე უნდა გადას-  
წყდეს ეს საქმე, გაბიდაურნი  
და წიჩოლენი თქუენც უნდა  
შეყაროთ; ეს ასე უნდა აღა-  
სრულოთ. ფშაველნი თერთ-  
მეტი თემნი არიან, ერთი თე-  
მი ხო გაბიდაურნი არა-  
ნ. ისინი გუარეულად უნდა იყუნენ და, ამათ გარდა რომ ათა-  
თემი სხუა არის, ამ ათას თემიდამ თემზედ თითო კაცი უნდა მო-



ფშაველი ქალი

ოყვანოთ და ისინიც იქ უნდა დაესწრენენ და, როგორც ამ განაჩენ-ში ისწერია, ისე. (აღარც) ჩვენგან დაიწერება ამ საქმეზედ განაჩენი და იღარც ჩვენის შეილებისაგან, როგორც ამაშიდ სწერია, ისე უნდა აღსრულდეს ორსავ მხარეს. სხუა განაჩენები, რომელიც მის-ცემიათ, სულ ფუჭი არის ის განაჩენები, როგორც ამაშიდ სწერია, ისე უნდა მონდეს. ამაში რომელიც ნაკლებობასა იქმს, თუ მოხელე იქნება, ამ მოხელეობას აეციცნით და თუ მოხელე არ იქნება თას თუმანს წავართმევთ ჯარიმას. ალბათ სისწორით უნდა მოიქცეთ და ეს ასე უნდა გადასწყვიტოთ. ეს ჩვენი განაჩენი რო მისვლოდათ, როგორც ჩვენ გვებრძანებინა, ისე შეყრილიყვნენ და იმავ ჩვენგან მიწერილის განაჩენის ბოლოსვე მოეწერათ. მის სი-მაღლის ბატონის ბრძანება გვქონდა ჩვენ; თუშთ მოურავს და თი-ანეთის მოურავს, მებალახე საგინაშვილი ზუა, ნათანისშვილი გი-ორგი, ხიმშიაშვილი გოგია, თიანეთის ნაცუალი დათუნა, ალავერ-დის ნაცუალი ბერი, ხარჭაშვილის ნაცუალი დემეტრე, თუში ცა-კარიშვილი ივანე, ღვთისიაშვილი გიორგი, გომეტრიდამ კლიტა-ური დავით. როგორადაც ამ განაჩენში სწერია, წიჩოელთ უნდა დაეფიცნათ. მივედით საცილებელს მამულში, შეიყარენენ წიჩოელნი ას შვიდი კაცნი. აიღეს თავიანთი დროშა, წმინდის ლთის მშობლის ხატი და თასები და თავიანთს მამულს შემოუარეს. მივიდნენ მიჯ-ნაზედ, სახარება და ჯუარი ჩამოართვეს ფიცხელაურს მღვდელს და ამ ხუთის საფიცარით დაიფიცეს, როგორათაც ამ განაჩენში სწერია. მთის კაცნი ფშაველნი, ბატონის ბრძანება იყო, რომ თემ-ზედ კაცი მოსულიყო. მოვედით მე თიანეთის მოურავის შვილი და ნათანისშვილი გიორგი და გამოუცხადეთ ბატონის ბრძანება და ხიმშიაშვილი გოგია. ლაშარის გორაზედ შეყრილიყვნენ და სა-მანზედ დაეფიცნათ, ვინცა წიჩოელთ მიძევესო და ან დღეის იქით ლაშარის-გორის იქით სამართალში მივიდესო, სულ მოვიკვეთოთ და ჯურუმიც გარდავიხდევინოთ. გაბიდაურთ შეეყარათ ეს ხალ-ხი. აღარც ლაშარის საქლავ დაეკლათ, აღარც სანთელი აენთოთ, სანამ არ გაეფიცნა ხალხი თემის კაციდამ. მათურის ხევიდამ ორი კაცი მოპყვა: ქვას ზევით თქვენს სახასო მამულად დაიფიცეს და საბეგროდ ჩვენა გვეჭირაო და ეგრეთვე ტუსიშვილს ქაიხოსროს და ჩოქაშვილს ზაალსაც მოწმობა მოეწერათ, რომ ჩუმშინც იქ და-ვესწარით, რომ წიჩოელთ ასე დაიფიცეს, როგორც ამ განაჩენში

სწერია; რაღვანაც მძღვნი საჩქმუნო კაცი მათს ფიცში დასწრებოდნენ ჩვენის ბრძანებითა და ესრეთ ხელი მოწერათ, ჩვენის ამათგან ხელმოწერილი განაჩენიც დაუმტკიცეთ და ის დიახ დაცველებულიყო და დახვეაზე მიმდგარიყო. ეს წიჩოელნი შემოგვევიდანენ პირი უმეტნაკლებოდ ესრეთ გადავაწერინეთ და უბოძეთ და რომელიც ამ წიჩოელთ ფიცით მამული გაუტანიათ, ის მამული ამათ უნდა დანებდეთ — თუში მოურაო, თიანეთის მოურაო და ნათანისშევილო გოგიავ, ეს ასე აღასრულეთ. ორიწერა ტფილის, ივნისის იტ-სა (18) ქა—უპგ — (483) — 1795 წ. ამაზედ სამართალში ბევრი მიყიდებულ-მოკიდებულობა იყო, მაგრამ ასლი ეს არის.

ბეჭედი მეფის ერეკლესი.

ერეკლე

ჩვენ ყოვლისა საქართველოსა და სხუათა დედოფალი ბატონი, დადიანის ასული პატრიონი დარეჯან ეამტკიცებთ განჩინებასა ამას ივნისის ით (19) ქა—უპგ (1795 წ.). ბეჭედი.

დედოფალ  
დარეჯან

ქ. ჩვენ ყოვლისა საქართველოს ქშ ბარტრიარჩი. მეფის ირაკლის ძე განჩინებასა ამას ვამტკიცებ თიბათების — ქ—(20)—ქა—უპგ

ხელ ჩატული კათალიკოზისა.

კათალიკოზი

ქ. ჩვენ საქართველოს უფლის წული მეფის ძე გიორგი განჩინებასა ამას ვამტკიცებთ ივნისის — იც (18), ქა—უპგ ბეჭედი გოორგისა.

გიორგი

ქ. ჩვენ მეფის ძე იულინ მისის უმაღლესობის ბრძანების განჩინებასა ამას ვამტკიცებთ. ივნისის — 3—(6)— ქა—უპგ. ბეჭედი იულინისა.

იულინ

ქ. ჩვენ მეფის ძე გახტანგი მისის უმაღლესობის ბრძანების განჩინებასა ამას ვამტკიცებთ ივნისის — ქ—(20) ქა —უპგ. ბეჭედი ვახტანგისა

ვახტანგ

ქ. ჩვენ მეფის ძე ფარნავაზ მისის უმაღლესობის გრძელების განჩინებასა ვამტკიცებთ იქნისის — კ—(20), ქა უპგ. ბეჭედი.

**ფარნავაზ**

ქ. ამავე განაჩენის თავზედ მეფისაგან მიწერილი თავის შეილს ფარნავაზთან ესრეთ აცხადებს: ქ. ჩვენო ღვთის წყალობავ, შეილო ბატონო ფარნაოზ. ამ საქმეში თიანეთის მოურავიც შენთან იმყოფე და ერთად გაარიგეთ. გაბიდაურთა, წიჩოელებსა და ჯიმშიტაშვილებს რაც ერთმანეთში მამულში დავა და ლაპარაკი ჰქონდათ ჩვენთან. ესენი სამართალში ბევრჯელ ვალიპარაკეთ, ამათი სხივარი გაგვისინჯავს და განაჩენიც ისევ ამათვე უნდა ჰქონდეთ. საბოლოოდ შეინახონ და ბოლოს რომ განაჩენი დაგვიწერია, რაც ამ ბოლოს განჩენში დაგვიწერია ერთმანეთში მიცემ-მოცემა, თუ ჯურუმის გამორთმევა, სწორედ ასე უნდა გაარიგო. თორემ ნაკლებ საქმეს თუ დაიჭირო, ახლა რომ არა გუცალიან, შემოდგომაზედ იყოს. თუ როდესაც მოიცალოთ, უნდა გაურიგოთ, გაურიგებელს ნუ გაუშვებთ, ამაზედ ჩვენთან ნულაზ ალიპარავებთ. თიბათვის — გ—(3) — ქა უპგ — (1795). ჯერ ხომმოურავი არაეინ ირის. როდესაც მოურავი გაჩნდეს, თან უნდა იახლო; როდესაც მოიცალო, მაშინ უნდა გაარიგოთ ასე, როგორც დაგვიწერია.

**ერეკლე**

ეითარითცა სახით ზემორე ამისსა აცხადებს კანონიერის სამართლით, გამოგვიძებია და წერილებიც მეფეთაგან ნაბოძების, ესრეთ აცხადებდა, როგორადაც ამ განაჩენში ზემორე დაგვიწერია, ეინაიდგან მეფების ნაბოძები წერილები და განაჩენები წარმოგვიდგინეს ერთობით წიჩოელთ, სადაოს შუშანის ვაკეზედ, წიჩოელთათვის ჩვენც ესრეთ გავაჩინეთ, რომელ, რაღაც ნათლად მეფეთაგან გარდაწყვეტილი განაჩენი წარმოგვიდგინეს წიჩოელთ შუშანის ვაკეზედ გაბიდაურთაგან ვერა როგორიმე წერილები ვერა ენახეთ. ესე სხენებული შუშანის ვაკე თავის სამზღვრებით დარჩათ ერთობით წიჩოელთ, რო ხელი არაეინ აქუს და გრძელა-ზედ რათხან სხუა და სხუა სოფლის მოწმეები და მახსოვრები

წარმოდგნენ და გაგვასინჯეს ფიც-ქუბშ, ეს ხსენებული გრძელა თავისის სამზღვრებით სოფლიონის მიჯნამდის თავ და ბოლოს ფშავების დარჩათ ერთობით წიჩოელთ და ამა თრავა ხსენებულის მთების გამოსალები ხარაჭა სახელმწიფოდ ამ წიჩოელთ უნდა აძლიონ.

თელავის უეზდის მარშალი პარულჩიკი თ. აბელ ჩოლოყაშვილი. თელავის უეზდის დიამბეგი და კავალერი გიორგი ერისთავი ორავის !.

ჩვენ არ შევუდგებით ამ საბუთების განხილვის და კომენტარებს, მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტის მიხედვით ფშავლები თერთმეტ თემად ყოფილან დაყოფილი და მეთერთმეტი თემად გაბიდაურნი არიან მოხსენიებული, რომლებიც დღეს ხოშარაში ცხოვრობენ. ჭიჩოელებს და გაბიდაურებს დაგა პერნიათ შუშანის ვაკეზე და მთა გრძელაზე. ჭიჩოელებს მეფის სამართლისათვის მიუმართავთ. სიმართლის გამოსარევევად მეფი ერეკლეს ბრძანებით შუშანის ვაკეზე ორივე თემს უნდა დაეფიცა, მაგრამ არა მხოლოდ ფშავის თემური ადათის მიხედვით ხელში თასითა და დროშით, არამედ აგრეთვე ქრისტიანული ეკლესის წესისმებრ, სახარებითა და ხატით.

ჭიჩოელებიც ასე მოქცეულიან და მათი სახარებითა და ხატით დაუფიცნიათ.

გაბიდაურნი კი მტკიცედ დამდგარან თემურ ადათზე და მეფის ეს წინადაღება არ შეუსრულებიათ და არც ხატითა და სახარებით დაუფიცნიათ. ამასთანავე გაბიდაურთ სამანზე დაურისხმავთ ისინიც, ვინც ჭიჩოელებივით მოიქცეს და ლაშარის გორს იქით სამართალი ეძიოს (ამ შემთხვევაში მეფის კარზე) და ასეთ პირებზე ჯარიმაც კი დაუწესებიათ.

გაბიდაურთა ეს ნაბიჯი აშკარად მიმირთული იყო მეფისა და მისი სამართლის წინააღმდეგ და მეფის სამართალსაც სადაო მამული ჭიჩოელებისათვის მიუკუთვნებია და ეს განაჩენი 1819 წელსაც მაღლაში დარჩენილია.

ფშავის ბჟევები მტკუანს სათანადო სასჯელსაც მიუსჯილნენ,

<sup>1</sup> ეს საბუთი მომაწოდა პროფ. საჩვის კავაშაშემ, რომელსაც მადლობას მოვახსენებ.



სალულე ქვები

ჩომელთა შორის ყველაზე მძიმე ჩაქოლვა და მოკვეთა იყო.

ჩაქოლვით ისჯებოდა წატისა და თემის მოღალატე, თავის თე-  
მის ქალის გამტაცებელი და ნამუსის ამხდელი და აგრეთვე მრუ-  
შობისათვის.

ასეთ ბრალდებულს ხიდის ყურთან ან გზაჯვარედინზე მიიყვან-  
დნენ და ხალხი მას იქვე ქვით ჩატოლავდა.

მოკვეთით ისჯებოდნენ: ქურდები, ხატის დამგმობნი, თემის  
პირის გამტეხნი და სხვ. მოკვეთილს არავინ ხმას არ გასცემდა და  
მას ხატში და თემ-ჯარშიც არ უშვებდნენ.

ამავე ხევისბრებს ეკითხებოდათ ფშავის-ხევის საგარეო საქმე-  
ბის მოწესრიგება და ლაშქრობისა და ზავის საკითხებიც.

ასეთი საქმე ირჩეოდა სათემო ყრილობაზე, ლაშარის გორზე,  
სადაც თავეევისბერის „საბჭეო სკამი“ იღვა და თავეევისბერის  
თავმჯდომარეობით წყლებოდა მტერზე გალაშქრების თუ მასთან  
შერიგების საქმეები.

თემურ წყობილების ახასიათებდა ლაშქრობა და შეკობრობა,  
რომელსაც მეთაურობდნენ შეძლებულთა ჯგუფების წარმომად-  
გნელნი, რომ ამგვარი ძარცვით მეტი ღოვლათი მოეხვევათ. ამ-  
ტომ მეზობელ თემებს შორის განუწყვეტელი მტრობა და ბრძო-  
ლა სწარმოებდა.

— სადა რა მიხვალ, გარიო,  
აღვილ სად იყი მტრიანი?  
— ქისტეთისაკენ მიედიორ,  
კიცნი თქეეს ქონებიანი,  
ბეკარი ბეკარან ცხეაჩ-ძრობა  
და ქალნა ოქროსომიანი.  
— ჩიბვალ და ველაზ ამოხვალ,  
რო თავს არ მისცა ზიანი.  
— მუქარით არ ღვებრუნდები,  
ქალი არა ვაჩ თმიანი;  
გარა ვაჩ თურმანაული,  
მე ბეკრგან მიქავ ზიანი,  
მიხოცავ ლაშარის-გორსა  
ქისტის ხარები რქიანი.

გიმარჯვებისათვეს საჭირო იყო ციხესიმაგრეები და პირალი  
ვაჟაპობა. გმირობის მოხვეჭა ყველაზე დადი სახელი იყო თემში  
და ფშავლებიც გმირს ასე ახასიათებდნენ:

„ვაჟაპს გული რეინისა,  
აძგარი უნდა ზისანი;  
თვალნი ქოჩებულ შედავნი  
და მუხლნი შავარდნისანი“.

ვაჟა-ფშაველის სილაჩრე სამარცხეინო და გასაკიცხი იყო და  
ფშავლებიც ასეთ ვაჟა-ფშაველის დასცინიან:

კაი ჭმა ლაშქარს მოკვდება  
სწორების მფობინბასა,  
ცუდაი — ბოსლის ყურესა  
ქალებთან ლოგინობასა!

მეზობელ ტომებში ფშავლებს მტრობა ჰქონიათ: თუშებთან,  
ლექებთან და, განსაკუთრებით, ხევსურებთან და ქისტებთან.

ამათ შორის ფშავლებს უმეტესად თურმე ქისტები აწუხებდნენ. ქისტების ლაშქარს ხშირად პირიქითი ხევსურები მოუძღვნენ,  
გადმოდიოდნენ ფშავის ხევში და მოსახლეობას იყლებდნენ,  
იტაცებდნენ მათ ცხვარ-საქონელს, ტყვებს და ნადავლით ჟყანვებრუნდებოდნენ.

ამ ქისტ მეკობრებს ფშავლებიც ვაჟა-ფურად უხვდებოდნენ  
და თავდაცვისათვის იბრძოდნენ. ბრძოლის ამ ეპიზოდებით მდიდარია ფშაური ხალხური პოეზია:

ფშავისკენ ეშანადებიან, იყრება ლლილის ჯარია,  
თინიბეჭმ უთხრა მამასა: „ჩვენ ვიყვნეთ ჯარის თავნია,  
ჩაეიღოთ უკანასულესა, ამოეიტანოთ ცხვარია“.  
— ცერ ჩახვალ, შეიღო თინიბეჭმ, აღვილი მტრისა მხარია.  
— ჩაშ ხოშარაში ჩავიღოთ, გარჩიოთ ქალი, რძალია.  
— ცერ ჩავალ, ხოშარაშია, ხოშარა შეუა ფშავია,  
სხეისას არ გაგვიფრებენ ლშარელის ყმანია.  
— მაშ მათურაში ჩაეიღოთ, მოქლედა სტრიან გზანია.  
— ცერ ავალო მათურაშია, არა ჰქონ ცხენის გზანია.  
— გოგოლაურთას ხო ჩავალო, ჩაიგიბული ჰქონ გზანია.  
— გოგოლაურთას ცერ ჩავალო, მაღალნი ჰქონიან მთანია,  
კიბულს არ ჩაგვაცილებენ ლომ-ხეზაურნი ძმანია.  
— მაშ ცაბაურთას ჩავიღოთ, ამოეიტანოთ ცხვარია.  
დეკინენ ცაბაურთას, მაშილეს ბელელო თავია.  
გოგოლაურთათ დაიქცნენ ლომ-ხეზაური ძმანია.  
ფარის-წყალათძირს მოუსხდენ, გაანახევრეს ჯარია  
არ დანებეს ფშავლებმა გადასავალი მთანია,  
შაუკრეს მუჭის ლელესა იმათ სავალი გზანია,

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა, გმირის იდეალი ფშაველის მიხედვით, გამ. ივერია, 1889 წ., № 74.

იქ მოულეს თიხიბეჭარ, თინიბეჭე ჭარის თავით.  
 სახლთ აქეთ გამოეგდა მამამთილს თავის რძალია:  
 — რა უკავ, მამამთილაო, თინიბეჭე, ჩემი ქმარია?  
 — გაცტირე მუცის ლელესა წითლის არაყით მთვრალია;  
 წულებურად მოდის ისარი, თავს მიცელავდა ხშალია,  
 ფრინვების შეწუხებულმა შეიღს ვერ უბრუნე თავია,  
 მოგვდევდეს ლომ-ხეზაურნი, მამქონდის ისრებს ჩემია.  
 თავით კი დარჩა დროშა, ნამტვრევი შების ტარია,  
 ბერავდა დილის ნიავი, უქრიალებდა ქარია,  
 განა ის მარტუა დაჩჩა, გვერდითაც დაჩჩენ ცხრანია,  
 თავს დაპბრუნვდეს არწივნი ლომ-ხეზაურნი ძმანია,  
 უპოვნეს ძლეულთ გიბერი მიმიდაის თმანია,  
 ზედ დაანათეს ხანგრები, დაკაფეს, როგორც მხალია.

(ბლუი გოგონელაშვილი, 65 წლისა,  
 სოფ. გოგოლაურთა, 10. VIII. 1932 წ.).

მაგრამ არც ფშაველები მსხდარან გულხელდაკრეფილნი და თავიანთი ბელადების მეთაურობით ქისტეთში გადადიოდნენ და მათ  
 ცხვარ-საქონელს იტაცებდნენ:

სახელონებას ამბობენ ფშავშია გარაისაა,  
 მხარუე გაიდებს დროშასა ლალის ლაშარის ჭერისაა,  
 საპირიქითოდ მიდანი, ბედს ეძახან ლვოსაა.  
 მარტუა გოგოლაური, გვარს არ ირევენ სხვისაა,  
 ჩადიან, ჩაკოთხულობენ გზასა შა მასტისაა.  
 ელიან დალამებასა, ჩაბრძანებასა მზისაა,  
 ბნელისას გადაიღლიან ქედებსა მოუგისაა,  
 გაუტეხავის მასტი, ჰეხასა დგავდა ცისსაა.  
 გაყვეირდეს ქისტის შეიღები მტვრევასა სიმაგრისაა,  
 მაულის ცხვარი, ძროხანი დგრიალ გაიღონდა შიწისაა.  
 მოსდევენ ქისტის შეიღები, ტუვია ამკლეჩდა მიწისაა,  
 კორცად არავის გვირვა, ძალს დახე ხატებისაა.  
 მოდიან ნასახელაური, გაღმოვლენ საყაჭისაა.  
 ხუთშეაბათ დილის ჩამოელენ, მაბუქებენ მიწისაა.  
 ჩამოელენ ლაშარის გორსა, ჩამინხდიან ბინისაა,  
 ხატის სამლეონა აჩილიან ქარისაა და კრეტისაა,  
 ნიშა ხასს რეზჩე უკუდევენ პირდაპირ თმარისაა.

(უკეუა თურმანაული, 72 წლ:  
 სოფ. გოგოლაურთა, 10. VIII. 1932 წ.).

<sup>1</sup> ქისტების სოცელია.

ფშავლების ეს თარეში აულაგმია ქისტების შელალს მულზე  
თორლვას<sup>1</sup>, რომელსაც ფშავლებისათვის ბეგარად დაუდვია  
კომლზე თითო ტომარა ნაცარი და თითო ბორაის მხარი.

ფშავლები ამ ბეგარასაგან შეწუხებულან და ბოლოს ეს თორ-  
ლვა ფშაველ ჩოთას მოუქლავს:

ანდაქოთ ამოემართნეს მონაცირენი რეანიო,  
მომუშუნებდა თორლვაი, როგორც მანძილა ვარიო.  
— საღარა იყავ, თორლვაი, საღ-რა აუშეი ალიო?  
— ე მანდ ვიყავი მუცუსა, ბეგარას მაუმატეო.  
თქვენც უნდა მაცეო, ფშავლებო, თითო შიშექი ცხვარიო,  
თითო ტომარა ნაცარი, თითო ბორაის მხარიო.  
— სამჭერ გახვეწე, თორლვაო, სამჭერ დაგიკალ ცხვარიო.  
მეოთხედ შემოგახვეწე თეთრი ქორა ხარიო.  
ვიც ხუთერ მოგცეს ბეგარა, მამა უძალლეს შევდარიო!  
გამართარინა ჩოთამ ისარი მჭვარტლიანიო,  
წყალს გამოიმ შშეილდა მოსწია, წყალს გაღმით იქნეს ჩეამინიო.  
სელიმე შაგრჩება, მსროლელო, რა კარგი მუც ძალიო!  
ერთის ნასროლით გახერიტე ჩიხა, პერანგი, ჯაჭვიო.  
— გაგორდი, მუცეს გაზრდილო, თორლვაო გამცვარიო  
გატირეს ორის თვალითა, როგორც ქმარ-მკედარი ქალიო.

აღსანიშნავია, რომ 1918 წელს ქისტებმა ისარგებლეს სამოქა-  
ლაქო ომით გამოწვეული არეულობით და ფშავლებზე ისევ განა-  
ხლეს თავდასხმა და მათი ცხვარ-საქონლის გატაცება. ამისთანავე,  
ქისტებმა ფშავში თავიანთი კაცებიც გაღმოგზავნეს თურმე და  
მოითხოვდნენ ძევლი ბეგარას განახლებას და ბორაის მხარის ნაც-  
ვლად ცხვრების მიცემას.

ფშავის სოფლებს ეცემოდნენ და ტუვებს იტაცებდნენ ლეპი-  
ბიც, რომლებიც ტუვების გამოსყიდვაში ღიღი თანხას მოითხოვდ-  
ნენ.

ლეპებთან ბრძოლაში და ტუვების დაყრევინებაში ფშავში

<sup>1</sup> გაღმოცემით, თორლვა ბატონიშვილ ალექსანდრეს ნაბიჭვარი ყოფილა. დე-  
და ხეესურის ქალი ყოლია და ხეესურეთში აღზრდილა. თორლვა ქისტებს ბე-  
ლადობდა თურმე და ფშავ-ხეესურებისაგან ბეგარას იღებდა. ამ ბეგარაში ა-  
ღლევდნენ კომლზე ტომარა ნაცარი და ისრისათვის ბორაის (ფრიხელია) ფრთას.  
თორლვას მაგარი ციხე დღესაც დაცულია სოფ. მეცცუში.





ପ୍ରକାଶନ କମିଶନ



ଶାଷ୍ଟାର୍ଗଣ୍ଡା

ଶାଷ୍ଟାର୍ଗଣ୍ଡା





6060

સાધુ વિજા



ცნობილია გიგლით და ივანე კოტორაშვილი<sup>1</sup>. ამ რეთვე იღალო და ღაჭაური.

ფშავის ხევი, როგორც ჩვენ აღვინიშნეთ, დაყოფილი იყო 12 თემად. თითოეული ამ თემთაგანი რითიმე იყო ცნობილი და სა-ხელოვანი: გოგოლაურების თემი ნაქები იყო შაირობით და მოს-წრებული სიტყვით, ჭიჩელები — ხვნა-თესვით, წოწკურაულე-ბი — სიბოროტით (მუცელგველიანებს უწოდებდნენ), უკანაფშავ-ლები — სიცეტით, გაბილურები — გულგრილობით, მათურლე-ბი — სიმამაცით, ჭისტაურები — სილამაზით, უძილაურნი — სი-სასტრიკით და ჩარგლელები — ნადირობით.

თემს ეჭირა ერთი სოფელი და რამდენიმე კომლად იყოფოდა. კომლია შეადგენდა მრავალრიცხოვან ოჯახს, სადაც ერთ კერს ქვეშ რამდენიმე ძმათაშვილები ცხოვრობდნენ. ამ დიდი ოჯახის სათავე-ში ფშავში იდგა „ბერო“ (პაპა) და „ბებო“ (ბერდედა). თუ მოხუცებულობის გამო მათ არ შეეძლოთ უფროსობა და ოჯახის გაძლიერება, მაშინ ხნოვანების მიხედვით ოჯახს განაგებდა უფროსო რძალ-მაზლი. ოჯახის ამ უფროსებს „მოთაურო“ უწოდებდნენ და მათ ეკითხებოდა: საოჯახო შრომის მოწესრიგება, ყიდვა-გა-ყიდვა, სესხის გაცემა, ქორწილისა და მიცვალებულის ხარჯები და სსკა. ოჯახში ყველაფერი სიერთო იყო, ქალის „სათავნოს“ გარდა, რომელიც ქალის პირად საკუთრებას შეადგენდა.

რძლებს შორის საოჯახო სამუშაო რიგით იყო განაწილებული. ერთ მათგანს დიხას ახლის ად ირჩევდნენ ერთი წლით, რო-მელსაც სიდიმასხლისო საქმეები ჰქონდა ჩაბარებული. დიმასხლის ეკითხებოდა: სახლის მოვლა, პურის დაფუქვა, სასმელა-საჭრელის მომზადება-განაწილება, სტუმრის დაცვედრა და გამასპინძლება და სხვა. დიმასხლისი ოჯახში ტრიალებდა და ის „საგარეო“ 1-ა მუშაოზე არ გადიოდა. მეორე რძლი მემთეობას ეწეოდა, საძრო-ხეზი იდგა და რძის ნაწარმს ამზადებდა. მესამე მესაქონლეობას ეწეოდა, ის ზაფხულში საქონელს მინდვრად მწევემსაცდა, ზამთარ-ში კი ბოსლებში უვლიდა. ყველა ეს სამუშაო რძლებს შორის თა-

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა, გიგლია, ტ. III, პოემები, 1930 წ., გვ. 17—31; ივანე კო-ტორაშვილის მიმართ, იქვე, გვ. 287.



ვეძის აბაზანის შილება

გით „საწილოდ“ მიპყვებოდა და ყოველწლიურად ერთმანეთს ეცვლებოდნენ და „მესწორეებილ“ ან „მოწილეები და დად“ იწოდებოდნენ.

საწილოს რძლები დედამთილს არ „მიარენდნენ“. მაგრამ, თუ მოისურვებდა, დედამთილს შეეძლო „საწილოს გაძლოლა“ და რძლებისათვის მესწორეობა გაეწია და ოჯახში სრული წილი იეღო.

მოხუც დედმთილს, ჩვეულებრივ, ეძლეოდა ჩაცმა-დახურვისათვის საქმო წილი. მაგრამ თუ მას ჰყავდა დაუქორწინებელი ჭალ-ვაჟი, რომლებსაც აღათით დედის წილით უნდა ჩაეცვათ, მაშინ „მოამავე“ (მომუშავე) დადმთილს რძლებს შორის

სწორი წილი მიეცემოდა და გაუთხოვარ ქალებს კი საწილო ტალ-  
მ არ მიეცემოდა.

უწილ-კერძო ქვრივი საწილოში გათვლილი არ იყო, რომელ  
საც მოხუცებამდის ოჯახში სრული წილი ეძლეოდა. ოჯახის „მო-  
თაურის“ სიცოცხლეში წინათ ფშავში გაყოფა იშვიათი შემთხვევა  
ყოფილა.

ოჯახის გაყოფის დროს უფროს კაცებს დაისწრებდნენ და ისე  
ანაწილებდნენ: მშობლებს ეძლეოდათ სრული წილი და ამასთა-  
ნავე „სამარხად“ 10 ძროხაც. ეს სამარხი, რომელ შეილთანაც  
შშობლები იცხოვრებდნენ, იმას ჩემი მიზანია. უფროსი ძმა საუფრო-  
სოში იღებდა ერთ ცხენს ან 20 ცხვარს. დაუქორწინებულ ძმის  
„საქორწილო“ 5 ძროხა ეძლეოდა. გასათხოვარ ქალს თავის სა-  
თავნოს გარდა ოჯახიდან წილი არ მიეცემოდა. თუ ქალი არ თხოვ-  
დებოდა, მაშინ მას დედის სათავნოსაც იძლევდნენ. უმეტესი დროიდ  
ამოწყვეტილი მეკომურის ქონებას ძმათაშვილები ინაწილებდნენ.

ამ ძველ ადათებზე იყო დაფუძნებული წინათ ფშაური ოჯახი  
და მის წევრთა უფლებრივ-ეკონომიკური ურთიერთობა. დღეს კი  
ეს ჩვევები აქ უკვი გადანაშებს წარმოადგენენ და მოსპობის  
გზაზე შემდგარი, სადაც საკოლმეურნეო მშენებლობასთან მყარ-  
დება ახალი საზოგადოებრივი ყოფა. ძველ მამაპაპურ ჩვევებში  
ფშაველებმა კარგა ხანია მოსპეს სისხლის იღებისა და შურისძიების  
წესები, მაგრამ ზოგიერთ მავნე ჩვევებს აქ ჯერ კიდევ მაგრად  
აქვს ფესვები გამდგარი, რომელთა აღმოსაფხვრელად საჭიროა  
ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება.

ფიზიკურად ფშაველი ჯანსაღია. მოქმედებაში ის მარჯვეა და  
შრომის ამტანი. სიმაღლით ფშაველი შუა ტანისაა, თხელი და სწო-  
რი აგებულების. სახით კი შევგვრემანია და ლამაზი მოყვანილო-  
ბისა. სახის იერით ფშაველი უფრო ბარის ქართველს წაგვის და  
ფიზიკურ სიმახინჯეს მათში იშვიათად შეხვდებით.

ხასიათით ფშაველი თავისიანია და ხათრიანი<sup>1</sup>. საზოგადოება-

<sup>1</sup> ფშაველის ვრცელი დახასიათება მოიპოვება ექ. გ. ოედორაძის წიგნში „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“ (იხ. გვ. 187—191). სამწუხაროდ, ეს დახასია-  
თება კალმიქებით და ყალბით. ფშაველების დასახასიათებლიდ ავტორს ლექსიდე-  
ნებილი ამოუკრებია ადამიანის ყველა უარყოფითი დამანიშვითებელი ეპითეტშ-  
ით: ფლიდი, მულადი, ძუნწი, მატურარი, გადავვარებული და სხვა, რომლოთც

ში ფშაველი ქალი თუ კაცი თამამია და უადგილო მორცხობა და პირის არიდება ფშავში სიმდაბლის ნიშანია. ფშაველი, ამასთან ეს, ალერგიისა და არშიყი. ფშაველი გულჩათხრობილი არ არის, მას უყვარს მხიარულება, შაირობა და დროს ტარება. სტუმრის დახვედრა, მისი პატივისცემა და გართობა მათში მიღებულია.

ქურდობა-ავაზაკობას ფშაველი არ ჩაიდეს და ეს სამარცხევი-ნოდ მიაჩნია. ამასთანავე, ფშაველი შარიანი და მოჩხუბარიც არ არის და ამგვარ შემთხვევას ის შეენებულად გაურბის.

ფშაველი გონიერამახვილია, ტკბილად მოუბარი, ენაწყლიანი და მოლექსე. მას ეხერხება ლექსის „კაფიალ“ თქმა და მოსწრებული სიტყვა-პასუხი. ფშავლებს მოსწონთ კარგი ენიანობა და თავაზიანობა და ასეთ პირსაც პატივსა სცემენ. ფშაველი ქალი თამამია, მარტო დადის, ლაპარაკის დროს გამზედავია და თამამი. ყოველ სიტყვაზე ის ატანს „ჩემს ძმას“: „ვაპმე, ჩემო ძმაო!“

**ფშავლები ქართულად მეტყველებენ და მათ დღევანდელ**

წიგნის ოთხი გვერდია გვარელებული. მეტთხველისათვეს აშერაა, რომ ასეთი დაბასიათება ფსიქოლოგიურად ყალბია და მა შემთხვევაში საქმე გვაქს ფშავ-ლებზე გაბრაზებული აღამინის პირადი ანგარიშების გასწორების ცდასთან.

ამასთანვე, მა დაბასიათების ფერის ექიმია, რომელმაც ფშავი ხური წელი იმილებაჭა. ამიტომ მის დაბასიათებას შეუძლია მეტთხველი საზოგადოება წელილიაში შეიცვალს. მით უშემდეს, ჩეკიში ფშავი ვაუ-ფშაველის დად სახელ-თან არის დავაშირებული და ვავს წარმოშობით კუთხის ასე ზერელე და უპა-სუხისმგებლი დაბასიათება გასაკიცხა.

ფშავლების დაბასიათების დროს ფერის უნდა ცოდნოდა, რომ სოციალ-ზოლიტური ფორმებისა და კლასობრივი ღიურენციას გარეშე რომელი-ჟე კუთხის თუ ხალხის დაბასიათება შეუძლებელია.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში უარყოფითი ტიპები წარმოადგენს მის მცირე ნაწილს ან ჯგუფს და არა მთელ საზოგადოებას. ამიტომ ხალხის ან კუთხის სერთო დაბასიათების დროს ამ უშემორესობის მიხედვით არავის უფლება არა აქვს, მთელი მოსახლეობა უარყოფითი ნიშნებით დაბასიათოს, საღაც უმრავ-ლესობა შერომელი, გამრჩე და ლირსეული მოქალაქეა.

რასავეირველია, უარყოფითი ტიპები ფშავშიც არიან, მაგრამ მათი საბით მთელი ფშავის დაბასიათება გაუმართლებელია. ეჭ. გ. თეველორაძეს თავის წიგნ-ში, სამწუხაროდ, მხოლოდ ასეთი უარყოფითი ტიპები აქვს განზოგადებით მო-ცემული და ისიც გადაქარბებით.

სასურველია, ავტორმა თავისი შეცდომა საჯაროდ ღლიაროს და ამით შეახე-ლოს ფშავლების სამართლიანი გელისწყორმა.

თქმის უკვე არ ახასიათებს კილოკავი, მხოლოდ უქანაფშევის თემაზე მოხუცები დღესაც ფშავერად უქცევენ<sup>1</sup>. მაგალითისათვის ჩვენ აქ მოვიყვანთ ამის რამდენიმე ნაწილებს:

„— ბატარა ყისმათიან ბიჭუყაო მყავის და იმისი სახელი ქა არ დაგისწიავლავ.

— ბიძის შეილო, რარიგადა, ხარ, ქალ-ქალის შეილები რაროგადა გყვან?

— არა, დედილაო.

— პაპაჩემი იტყოდის: იმ სამზეოს არვინ არი ჩემობრივიოდ სიყმის შეილი წყალმა დამირჩო, ქალი კრატა მყვანდისო... და რარიგად ამეიქამდა ი ცოდვის შეილი.

— რა გგულავ, ბიძის შეილო, ხო მოხვალ შინ!

— თოფის ქმა მოედინა.

— რას იქმის?

— დაქერილ გახაიბრდა.

— და იყო წამებულობა.

— აბაბაი, მოდის. რადრა რას მომკის მარტუა.

— აბაბაი, რო აფუქებენ.

— არ ასხავ ეხლა კა.

— კია, დედილამ.

— ჰყინტა ლებიოს მარილს უქამ.

— წინწინ რო დალამულა, იუბნიან წამებულობას, მაშინის ხალხი მიდენილიყო და მოდენილიყო.

— განა ისითავი იყო?

— ალარ უნდა ამიექნა.

— ოთახაი მაგისია.

— მემრე მე მაჩუქის.

— სუყველა წაირლენა, დედილამა.

— უფავრობთ.

— ტოშით (?) ნუ აეამქრობენ.

— ჯერ წელან მოველ.

<sup>1</sup> ა. შინიძე, ქართული კილოები მთაშით ცრებული ი. შეახიშეილის რედაქციით გამოცემული). ტფილის, 1915 წ., გვ. 185—202; მისავე — სუბიექტური პრეფაქსი მეორე პირის და ობიექტური პრეფაქსი შესამე პირისა ქარ თულ ზმებში, ტფილის, 1920 წ., გვ. 154—157.

- იბა რა ვიცი, ეგრემც გრიცვლე.
- დუნია ხალხი ილტოდა იქა.
- ხმამალლა ჩქამობენ და ვერ აგონებენ ერთურთსა.
- გაფავრებული ფშაველი დედაკაცები ასე იწყევლებიან:
- \* — ანტალიიმც ამოუვარდება სახლ-კარჩი!
- დედ-მამა გადაძალლებულო!
- უკლო-უბედომც დაიკარგები, შევის ბედგვირგვინიანიმც  
დამჭდები!
- = სულციცაიანო!
- მკვდარგადაციცაულო!
- ნარ-ეკალიმც ამაუვარდება სახ-კარჩი!
- იაგსარმა და კოპალი დაგლახტოს!
- ჩემი მამის სალოცავმა, პირიშე ფუძის ანგელოზმა დაგ-  
ქრას სამაგნეო ლახტი!
- = სკამ-კერაჩი ნარ-ეკალიმც ამოვივა!
- დღედასალევო და მზედასაბნელებელო!
- უკილო-უბედო, კარგუნახევიმც დაიკარგები!
- გაიწყრეს ლაშარის-ჯვარი და თამარ-დედუფალი
- გმირ კოპალა გრისხავდეს!
- დანელდი და დაბუნდოვდი
- მოღალულმა მზემ სინათლე წუ განახვინოს!
- ჭირსამც წუ მორჩები, გრინიას!
- კარგსამც წუ ანახავ, სიექთესამც წუ შაეყრები!
- ცით მეხდაცმულო, შევ ჭირით წალებულო, სკამ-კერაგა-  
ცოებულო!“

ფიცილი. ყველაზე ძლიერი საფიცარი თემის ხატია და აფ-  
რეთვე ლაშარის-ჯვარი და თამარ-მეფე.

- \* — ემ ცეცხლის მაღლმა!
- ემ დედამიწის მაღლმა!
- მოღალულ მზის მაღლმა!
- ჯარის ქედის მაღლმა!
- პურის ნაწილის მაღლმა!
- თამარ-მეფის მაღლმა!
- ლაშარის-ჯვრის მაღლმა!
- ჩემმა მზემა!

- ჩემის და-ძეგბის შეემა!
- შამჩრეს შთან!
- დაიღომა!
- შთანღომა!
- აგრემც მიშველის კვირა მაღლიანი!
- ჩემი დედ-მამის განათლებამა...“ და სხვა.

ფშაველი ქალი ფიცულობს ძმას და შვილებს, მაგრამ შემარს არ დაიფიცავს, სირცე ილია და ამაზე თემი დასძროს ხატ.

- \* — შენი ჭირიმე!
- შენი ევნესამე!
- ჭირი მოგპარე!
- აგრემც დამიტირებ!
- მიწასამც დამიყრი!
- წერა მოგვადე!
- შენი სატეივარი მე...“ და სხვა.

ფშავლები სწავლა-განათლებას ეტანებიან. ამისათვის მათ ნა-  
ჭი და უნარიც შესწევთ, მაგრამ სკოლების სიმცირის გამო მო-  
სახლოებას საშუალება არა აქვთ ცოდნის მიღების ქს დადი  
სურვილი დაიკმაყოფილოს. წინათ ფშავში ორი სკოლა იყო  
ჩარგალში და მაღაროს-გარში და, რასავეირველია, ამ ორი სკო-  
ლით მხრივ ფშავში დღესაც წერა-კითხვისმცოდნების გავრცელება  
ამ მხრივ ფშავი დღესაც ჩამორჩენილია. უკანაფშავის თემში დღის  
ორი შრომის სკოლაა: შუაფხოში და მუქოში, მაღაროს თემ-  
ში კი ხუთი: მაღაროში, გომეწარში, ჩარგალში, კაწალხევში და  
ხომში.

ქოხსამკითხველოა გახსნილი შუაფხოში და მაღაროსკარში. აქ-  
ვე პარტუჯრედის, კომევშირის და ქალთა ორგანიზაციები, რომ-  
ლებიც აქ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევიან.

წერა-კითხვისმცოდნები მამაკაცებში დაახლოებით აღწევს  
50%-ს, დედაკაცებში კი 20%-ს. ფშავლები სწავლობენ აგრეთვე  
დუშეთში და ტუილისში. სწავლა-განათლების მხრივ დაწინაურე-  
ბულია კიბეთში გახსნულებული ფშავლები და აგრეთვე დუშეთის  
მახლობელი ფშავრი სოფლები.

აღმინისტრაციულ-კულტურულ მუშაობას ფშავეში მიღაროსა და უკანაფშავის თემსაბჭო ეწევა. ორივე თემსაბჭო დუშეთს ქვემით მდებარება და მისი ხელმძღვანელობით მუშაობს. სამართლის საქმეებს განავებს დუშეთის უბნის სახალხო სასამართლო. ფშავლები აქ ჩივიან და დაობენ: ქონების გაყოფა-მითვისებაზე, ვალის გადაუქდელობაზე, პირის დარღვევაზე და სხვ. ქურდობა-ავაზაკობა ფშავლებში იშვიათი შემთხვევაა. რაც შეეხება მკვლელობას და დაკრას, ასეთ შემთხვევებს ადგილი იქნება ქორწილში და ხატში და ესეც ამ ბოლო ხანებში იშვიათად თუ მოხდება.

კულტურულ-ეკონომიკურად ჩამორჩენილ ფშავში ყოფა-ცხოვრების ცუდი პირობებია. ნორმის ცუდი კვება და მოვლა მოსახლეობას არ აქვს. სისუფთავესა და პიგინურ ცხოვრებაზე აქ ნაკლებად ზრუნავენ.

ფშავლები დღეში ჩვეულებრივად სამეცნ ჭამენ: დილის ხალის ჭამენ, მზე რო გადავა, სამხარს და სალამოს — ვახშამს. პურე ულში ჭამენ: ქერს, დიკის, სვილის და მშიალს. გემრიელ პურად ითელება ქერ-დიკა. ყოველდღიურად ფშავლები ქერის პურს ჭამენ. ცარიელი დიკის პურის ცხობა იციან მიცვალებულის „არიგოდ“ და ქორწილში, „საჯაროდ“. სარიგოსა და საჯაროს მარილიანს აცხობენ, სხვას კი უმარილოს. პური კეცხე ცხვება. კეცი თიხისაა და მას აქვე დედაქაცები აქეთებენ და თითო კეცი დღეს 2 მანეთად ფასობს. პური იზილება ხაშიანი. მას კეცხე დააკრავენ და ზედ ნაღვერდალს დააყრიან და ასე აცხობენ. სარიგოსა და საჯაროშე პურს ლავაშებად აცხობენ „ფეჩში“.

საჭმლის მოშხადება და პურის ცხობა დისახლისის მოვალეობაა. ყოველდღიურად ფშაველი, რაც მოეპოვება, იმას ჭამს და საგანგებოდ არ ამზადებს სადილ-ვახშამს. ქერზე ერთი საჭმელი აქვთ და ოჯახის კველა წევრისთვის ერთნაირი საჭმელი მზადდება. ფშაველი არ შესჭამს ცარიელ პურს უსატანოდ.

ნამცხვარში იციან:

ქადა გულიანი და დახვეული. ქადასა და ხმიადს უფრო მიცვალებულის მოსახსენებლად და ხატში „დასაღიდებლად“ აცხობენ. ხმიადს ჭმინდა პურისაგან აცხობენ.

ხაბიზგინა თხელი ნამცხვარია და მას ერბოთი ჭამენ. გიცეულა იგივე ხაჭაპურია ერბოში მომწვარი.

ფშავში ღიდად მიღებულია:

ხინკალი და ამით გულითად სტუმარს უმასპინძლდებიან. ხინკალს ცხვრის ხორცისას აქეთებენ, მაგრამ ამასთანავე იცაა: ხაჭის, ქონის და კარტოფილის ხინკალიც. ხინკლისათვის წმინდა პურის ცომს მრგველად ათხელებენ და ამ გათხელებულ ქერქში დებენ დაქვპილ ხორცს ხაჭა-პილპილით შენელებულს.

პურს სატანით ჭამენ და ხორცეულში იტანენ: ცხვრის ხორცა, ქათამს, ხარისა და ძროხის ხორცს. ღორს არ ჭამენ. ცხვრის ხორცისაგან აქეთებენ ყაურმას. ამზადებენ ყალს (გამხმარი ხორცი). ნანადირევში ჭამენ: კურდლელს, ფსიტს, შევლს, შურთხს, როჭოს, გაკაბს, მტრელს და სხვა. ჭამენ თევზესაც.

რძის ნაწარ მე ბში ჭამენ: ერბოს, ყველს, კარაქს, ხა- ჭოს, ღოს, რძე-ხაჭოს, ხავიწს (ფქვილმოკიდებული ერბო).

მინდვრის ბალანებში მხლიდ აქეთებენ: თეთრა მხალს, თითმავალის, კარტოფილის ჩოშს (ღეროს), ნაცარებათმას, ჭინჭარს, ჩილუნს და თიქნის ყურას. უმაღ ჭამენ ხილხლის ყინა, ხოხნორას, ვაციწვერას, ღუცს, შუპყას, კენკეშას, მუავინას და ჩიდუნას. სოკოებში ხმარობენ მინდვრისას, გულწითელის, წერისწუას (ქამა სოკო); ხისას: კალმახა სოკოს და ქორა-სოკოს. მათ შორის მარტო კალმახა-სოკოს ხარშავენ და ერბოთი ანელებენ, სხვებს კანკვერცხალზე ხალავენ.

მოსახლეობა აგრეთვე იკვებება ტყის ხილით: თხილი, უოლო, მაყვალი, მწარაბალი, ტყემალი, მსხალი, ვაშლი, კაკალი, მარწყვი და სხვა.

ზაფხულობით სველ ლუქმის, „და სა ხ გ რ ე ტ ს“ შეადგენს: რძე, ჩუმა — ხაჭოიანი შრატი, მოხარშული ხორცი. სამარხევო: ლობიო, ცერცვის და ოსპის „დ თ ხ ა ნ ი“, ნიორწყალი და ხმელა პურმარილი.

სიდილს დიასახლისი ამზადებს და კერძაც ის ანაწილებს. პურის ჭამის ღროს ყველანი თავთავიანთ ადგილის სხდებიან. კაცები გერის ერთ პირის „საფაცოზე“, ქალები კი მეორე — „სადიაცო“ მხარეზე. პურსა და სატანს დიასახლისი ხონჩიზე (სუფრა) დააღმაშებს და საღიასახლისოდან სუფრას მამაკაცებს გადასცემს და ერთი მამაკაცი სუფრას ჩამოართმევს, დაილოცება და კაცებს და უდგამს.

პურის ხონჩა დიასახლისმა საკიდლის ზევით მხარედან უნდა შიაწოდოს, ქვევიდან მიწოდება ცუდია, ანგელოზი გარისხდება, ნიშანია დიასახლისის უზრდელობისა და „უწურთნელობისა“. სუფრას მიწაზე დგამენ, ტყავებს გაშლიან და ზედ ფეხმოქცევით სხდებიან. ჩვეულებრივ, ფშაველი სჯერდება ხმელა პურ-ყველისა და პურხაჭოს ჭამას.

სას მე ლში ფშაველები ხმარობენ: ორაყს, ლუდსა და ლვინოს. ფშაველის ოჯახის სირცევილის მომხდელი პური და ლვინო-არაყია. მისი ოჯახის ბედნიერებას თუ უბედობას ლვინო-არაყით ხვდება. ის ორის „რიგ-წესის დასაყენებელი“. სმის ღროს დაილო-ცებიან.

არაყსა და ლუდს შინ აკეთებენ „სულადისას“. ლუდს უფრო „ქვარობაში“ ხმარობენ. თუ მასპინძელს ლვინის ყიდვა არ შეუძლია, მაშინ ლუდს ხმარობენ ტირილში და ქორწილშიც. მაგრამ საზედაშედ რამდენიმე ხელადა ლვინო მაინც უნდა იშოვონ, რომ შესანდობარი დაილოცონ და დალიონ. ხევისბერიმა ქორწილში ლვინიანი თასით უნდა დაადიდოს ნეფის სალოცავი და დედოფლის მამის სალოცავი.

ფშაველის ჩვეულებრივი სასმელი ირაკია. მას ქერისაგან გამოხდიან, ზოგჯერ კი სვილისაგან. ამისათვის ქერი მსხვილად იფ-ქვება. ის გაუცრელი იზილება და კეცებზე ცხვება. გამომცვარ ქერის პურს დაფშენიან და კოდში ჩაიყენებენ, რომელიც რამდენიმე დღე მჟავდება ფორში. შემდეგ მას საარაყე ქვაბში გადაიღებენ, ზარფუშს დახურავენ, რომლის მილი გეჯაშია მოთავსებული, და ადუღებენ.

ლუდი საბატოო სასმელია. ის იხარშეპა ხატობაში. თუ ლვინო არ იშოება, ქორწილში და ტირილშიც ლუდი იხმარება. ლუდი ხატში იხარშება, სადაც სალუდეა გამართული. ლუდი ქერისაგან მზადდება. სალუდე ქერს წყალში ალბობენ, შემდეგ ის შრება და ფარად იქცევა, სალუდე ქვაბში იდულებენ. პირველ ნადურს გამოწურავენ და მას მეორედ ბალაბში ადუღებენ, სანამ არ დაიდულებს, მოდულებულ ლუდს კოშებით კოდში ისხამენ და გრილ ადგილის ინახავენ.

ლვინო საბატიოო სასმელად ითვლები და მას ფშაველები კახეთოდან ეზიდებიან. ფშაველებს სმა უყვართ. სვამენ ხატში, ქორწილში

და ქალებში. სმაში ზომიერება არ იციან და ხშირად ითვრებიან. სასმლის დაძალებაც იციან და კარგი მსმელი აქ მოწონებაშია.

ქალები არ სვამენ და ქალისათვის დათრობა სირცხვილია დედაგაცი სასმელს ცოტათი მოსვამს. ქალის დაძალება კი მთში უზრდელობაა. სმაში ქალები მწდევების როლს ასრულებენ და მსმელებს სინი ყანჩით სასმელს აწვდიან.

თამბაქოს ფშავში ყველანი ეწევიან. ქალისათვის თამბაქოს მთვევა სირცხვილია. მოხუცი ქალები ბურნუს ხმარობენ.

ჯანმრთელობა და მკურნალობა. ფშავის ზომიერი მთის პავა, უცვი მზე და ანკარა წყაროები ხელს უწყობენ აღამიანის ჯანმრთელობას და ფშავლებიც საღი ხალხია. სახადი და მოარული სენი აქ იშვიათი შემთხვევაა. წარსულში ფშავლების ჯანმრთელობის მიზნით მე გადავსინჯ „მეტრიჩესკის წიგნი შუალების წრს გიორგის ეკლესიისა“ 1832 წლიდან, საღაც აღნიშნულია მიღვალებულთა ასეთი სნეულებანი: ცხელება, ხველა, მჭვალი, სახადი, ყელი ტკივილი, საოფლე, ცაგება, დაცდილობა, მჭლევი, წოთელი ქარი, ყბაყურა, ანთება და ყელი ტკივილი. ამ სატკივაროს შორის სიკედილიანობის ყველაზე მეტი შემთხვევაა: ცხელებთ, მჭვალითა და საოფლით.

ხშირია მოხუცებულობით სიკედილი, რომელთა წლოვანება 80—103 წლამდე აღწევს.

დღეს ფშავში მოსახლეობის ნაწილი დაავადებულია უმეტესად კუპ-ნაწლავისა და მუცლის პარაზიტებით (ჭია), რასაც ხელს უწყობს ქერის პურით კვება და საპირფარეშო ადგილის უქოლობა.

ფშავში ერთი საექიმო პუნქტია მაღაროსკარში. აქვე აფთიაქი და რამდენიმესაწლილიანი საავადმყოფო. ზაფხულში მუშაობს ერთი ექიმი, ზამთარში კი ფერშალი რჩება და ხალხს ის მუქრალობს. რასაცეირველია, ერთი პუნქტისა და ექიმის მუშაობა საქმარისი არ არის და მთაში გაფანტული მოსახლეობა გაჭირვების დროს იძულებულია დაბმარებისათვის ექიმბაშებს მიმართოს. ამიტომ ფშავში ექიმბაშების ჯერ კიდევ გასავალი აქვს. თუ ექიმბაშის წმალმა ვერ გასჭრა, მაშინ ავაღმყოფს შეულოცავენ, უკილურეს შემთხვევაში კი ავაღობის ბრალის გასაგებად მკითხავსა და ხატებს მიმართავენ.

ჩვენ აქ მოვიყენთ ამ ფშაური ექიმბაშობით ზოგიერთ სწორ ულებათა წამლობის:

მ უწ უ კ ი ს წ ა მ ა ლ ი. მოწვავენ ოთხეუთხა ბალახს და შაბათ დღეს მოხდილ კარაქში გაზელავენ და სადაც მუწუკია, იქ დაადებენ. მუწუკს აგრეთვე მარილწყალსაც წაუსვამენ. ძირდიდა მუწუკს ტყის მეუკე ვაშლით წამლობენ. მეუკე ვაშლს ცეცხლში შეწვავენ და სე ადებენ. დაჩირქებულ მუწუკს შალარ ბალახით ამორწყავენ. ამ ბალახის ძირს მოწვავენ, დანაყავენ, რეში მოშუშვენ და სე დაადებენ.

ციმბირის წყრული „ბ ე დ ნ ი ე რ ი ს“ მოსარჩენად ხმარობენ გოგრის ყვავილსა და ხავსს, რომელსაც წითელი ფურის რძეში მოაღულებენ და სე ადებენ. ხმარობენ აგრეთვე კურდლის ტყავსა და შენალოც შექარს.

წ ი თ ე ლ ი ჭ ა რ ი ს ა გ ა ნ დასიებულ აღგილს წითელი ფურას რძეში მოღულებულ დანაყილ ბალბას დაადებენ. აგრეთვე წითელი კვიცის პერანგს (ბუდეს) ახმობენ, შემდეგ ილბობენ ყინვარ შაქარში და სე ადებენ.

პ ი რ ჭ ვ ე თ ი ს წ ი მ ა ლ ი. პირქვეთის მუწუკი აღამიანს გამოუკისერჩე, ილლიაში და გვერდებზე. ამისათვის მერცხლის ბუდეს დანაყავენ, მგლის ბილწში (განავალში) და მმარში გაზელენ და მუწუკზე ადებენ.

კ უ ჭ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი ს დროს ქერის ქარის აღულებენ და მუცელზე ცხლად მიიღებენ. კუჭის ტკივილის დროს იტყვიან, რომ კუჭი ჩავარდათ და კუჭის იმოსაწევიდ ქილის მოუკიდებენ. კუჭით სწორულები ჩარგლის ვეძას სვამენ. ეს ვეძა რკინა-გოგირდ ნარევია და საკმაოდ გამოდის. კუჭ-ნაწლავითა და ქარებ-რევმატიზმით დაივადებულნი ზაფხულობით აქ ქოხებში დგებიან და მკურნალობენ. ამ ვეძას ქვაბებში აცხელებენ და აბაზანებს იღებენ.

მ უ ც ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი ს წინააღმდეგ პიტნის ჩიასა და ნიორწყალსაც ასმევენ. თუ ფალარათია, მაშინ ნაცრის ნაღულარში შერის ფქვილს მოუკიდებენ და ამ ფაფას შეაჭმევენ.

ხ ვ ე ლ ე ბ ი ს დროს შეასმევენ თავშავა ბალახის ან კარაზან ბალახის წვენს და აგრეთვე ტაცხვისა და ღუდგულს ყვავილის ჩიას ასმევენ.

კბილის ტეივილის დროს ნიშადურს იდებდნ. აგრეთვე ცწენის კბილს დაფევავენ და პაპიროსივით მოსწევენ. პირში ჩაიყენებენ მარილს და წინწანაქარ (თავ) არაყს.

თვალის ტეივილისას თვალში ქალის რძეს ჩააწველიან. ვისაც ძირძიტა გამოუვა, ის წითელძაფიანს ნემსს თვალებთან ჩამოიყიდებს და მას უჭირის.

ნაღრძობის წამალია სვინტრა ბალახის დანიყილი ძირი.

წელის ტკივილისას სკეს წვენს შესვამენ და ნახარში წიწელზე დაიდებენ.

შეცივებულს ღვია ბალახის ნადულში აორთქმებენ. ავადმყოფს ქვიბთან მუხლის კვერა დააყენებენ, თბილად მოახვივნ და მან ღვიას ნახარშის წვენი უნდა იორთქლოს. ამასთანავე, დუდგშლას ჩაისაც ასმევენ.

გულის რევისას თამბაქოს ღეპუნ. თუ ნასვამს გული სასმლისაგან ერევა, მას დადაღულ არაყს შესამევენ. არაყის დასადაღუდა თავ-არაყს ჭიქაში ჩაასხამენ და შიგ ცხელ რკინას ჩაუშვებენ და ისე იღულებენ. და ამგვარად დადაღულ არაყს ავადმყოფს ცხლად შესამევენ.

დაჭრილის სისხლის შესაჩერებლად ქალალდის ნამწვასა და ხაკოს ადებენ. სისხლის შესაშრობად აგრეთვე ხმარობენ: მგლის-კუდა ბალახსა და გველის ენას. თუ ის გასივდება, მაშინ დააღებენ ძალის ენა ბალახს, ცრრაძარვის ან კლდისღუმას.

გველის მოწომლულს — ხოხნოტა ბალახს დაჩეჩევენ და ნაკედნზე ადებენ, თან მის წვენსაც შესამევენ.

სიცხის დროს ტუხტს (ბალახია) დანაყავენ, ტილოში გამოქრავინ და ავადმყოფს ადებენ. ტუხტის ნახარშს ჩაიგით ასმევენ.

ქარებიანმა ავადმყოფმა თესლიანი ჭინჭრის ცხელი აბაზინა უნდა მიიღოს.

სიმსივნის წინააღმდეგ ხმარობენ ჩალანდრის ბალახს, რომელსაც კეცხე მოაშუშებენ და გასიებულ ადგილზე დააღებენ. მას აგრეთვე საქონლის ნალველსაც წაუსვამენ, მალამოსაც ჭაბუქებენ, რომელსაც ამზადებენ: ჭონის, სანთლის, საქმელისა და კვერცხის ცილისაგან.

## შოთა რეაზანის დამახასიათებელი რეალია

ისტორიის მანძილზე თოთოვულ საზოგადოებრივ ფორმაციას აჩვინათ ამ თავისი გარევეული მატერიალური კულტურაც, რომელიც მოცემულია ქაველებისა და ნაშთების სახით. ამ მხრივ ფშავი ღრმიბია. დღეს ქალაქის კულტურა სპობს ძველი თემური ფასის ნივთიერი კულტურის ნაშთებს, რომლის ნაცვლად იქმნება დღეგანდელი მოთხოვნილების ახალი სადგომები, დგამ-ჭურჭელი და სხვა.

ნივთიერი კულტურის ძველ ნაშთებში პირველად ჩვენ აქ შევხებთ ფშავი ციხეებისა და სადგომებს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ფშავში სათემო თუ საგარეულო ციხე-კოშკები მთლიანად არ შენახულა. აქ არის მხოლოდ მათი ნანგრევები, განსაკუთრებით უკანაფშავში, სადაც ფშავის თემები თავდაპირველად მოსახლეობდნენ.

ამ ძველი ციხე-კოშკების ასეთ სიმცირეს ფშავში თავისი ისტორიული ახსნაც აქვს. უკვევლია, ნაწილი ამ ციხეებისა უნდა დანგრეულიყო XIII საუკუნეში ფხოვლების (ფშავ-ხევსურების) ამბოხების დროს, როდესაც ივანე მხარგრძელის ლაშქარმა, თამარ მეფის განკარგულებით, ეს მხარე დაიპყრო და სიმაგრეებიც დაინგრია. შემდეგში მეფის ხელისუფლება მემბოხე ფშავლებს უკრძალავდა თავიანთი ციხე-კოშკების განახლებას. ამასთანავე, ფშავს გარეშე და უცხო ტომები შედარებით ნაკლებად ეტანებოდნენ და მას უცხოდაც შეეძლო თავდაცევითი ბრძოლის წარმოება. მით უმეტეს, რომ ციხის აგება იოლი საქმე არ იყო და, თუ არა ძლიერი და შეძლებული თემი, ციხეს ვერ აიშენებდა.

თითოვეულ თემს ფშავში თავისი ციხე ჰქონია, რომელშიაც შემავალი მეკომურები იცინებოდნენ და თავდაცევით ბრძოლის აწარმოებდნენ. ასეთი ციხე დაცულია შუალებისა და გოგოლაურ-თას მიჯნაზე „ციხე-გორის“ მაღალ გორაქზე. ციხე-გორის ორი ხევი ჩიმოუდის: ნართულა და თეთრახევა და ორივე ერთვის არაგვი, დღეს დარჩენილია ამ ციხის გალავანი, რომელსაც უკირავს  $14 \times 25$  მ. ფართობი. გალავანი ქვისაა და მშრალად არის ნაგება. ციხე მაღალ გორაქზეა აშენებული და ძნელი ასასვლელია. ჩრდილოეთის მხარეზე მაღალი კედელია იმოყვანილი, რომლის სიმაღ-



ტბილისი მუნიციპალიტეტი

ლე თრი მეტრით, სისქე 70 სმ. სამხრეთით ციხეს ბუნებრივი კლდე ყრავს, რომლის ხარჯებიც ქვითაა მოშენებული. ჩრდილო-დასავლეთის მხარეზე კედლის ძირში და შუაში დატანებულია სა-თოფურები  $50 \times 76$  სმ.

ამ ციხეში შუაფხოსა და გოგოლაურთას თემები ებრძოდნენ ქისტებსა და თუშების ბელადს თილისძეს, რომელიც ფშავებს უბისთავის მთიდან თურმე უტევდა.

ఎంతిప్పు తీపిసి ఉచ్చే-గాలుగాన్ని డాపులుండి సిట్. మ్యాక్సిమిం, నోర్మల్ బైల్సాచ్ సాఫ్ట్‌మాండ డిఫిడి ఫూఅర్టోపి శ్పెట్‌ఱోవ్స్ 50X50 గ. మిసి గాలుగా-న్ని మందాలుండి డా సాతంట్యుఖ్రేబితాా గామార్టుల్లి. గాలుగాన్ని దాసాగ్లే-తిసి మెంట్రోష్ నుండి కుశ్మి వ్యేసి మిశ్సెన్‌బ్యుల్లి. నుండి కుశ్మి నొంగ్-టాడ డాంగ్రోచ్చులుండి డా మతిష్టుల్లి కుశ్మిసి తీపిసింది! అమ ఉచ్చేషి త్వాశేభితాన్ భర్దమల్లాశి గమించి స్థమేళ్ళి బ్రిటిష్‌చుర్చాచ్చుల్ గామిశ్చీ-న్నిం.

సాగ్వార్కుల్లి కుశ్మిసి శించిసి జ్ఞానిం చ్చించి లింపి గామిశ్చీర్ధిసి ప్రించ్ సిట్. అంధించి. ఏస్ ఉచ్చే డల్సి డాంగ్రోచ్చులుండి. డార్హిన్‌నించి మెం-లుండ మిసి సాంచిక్‌వ్యేల్లి. అమ కుశ్మిసి మెపాట్రించ్ గామిశ్చీర్ధి లింపి రిం డా శ్చేంల్లేభ్యుల్లి పించి పుణ్యింపి. గామిశ్చీర్ధిసి అమ ఉచ్చేసి జీస్‌ట్-ల్లో-ఫ్రెబితాన్ ఏర్తాడ అంగ్వేసి గ్రిసిస్తావ్వేబిప్ మ్ట్రింపించ్చేన్ తురిం డా సాల్చించి అమిసి శ్చేసాంగ్ ల్యేజ్‌స్పెం డా త్వమ్ముల్లేభ్యేబి డల్పి డల్పి శ్చేమిం-శ్చుల్లి:

అండ్లి గామిశ్చీర్ధిసి ప్రించ్,  
సాంచిక్‌చిం కార్ మ్ట్రించిసాం,  
మెంగ్‌చిల్డ్‌గ్యాస్ గ్రిసిస్తుంచ్చేన్,  
ల్యాంచి గాంచించిన్ చించిసాం,  
శ్చేంచి కొండ్ గామిచ్చుచేన్,  
ప్యాల్ కొమిచ్చేసి మెంగ్‌చిం.  
— న్ను స్ట్రించి, గామిశ్చీర్ధిసి కొండ్,  
చ్చుంచి మెంగ్‌చ్చుచ్చి కొమిచ్చిసాం,  
అంగ్విల్ వ్యాసి స్ఫోండ్ చింగ్‌చిల్సి,  
అంస్‌చ్చు-ప్రించిసించిసాం,  
శ్చేమింగ్ కొండ్ గ్రిసిచ్చేబి  
మెంగ్‌చిల్సి గ్రిసిస్తుంచిసాం.

సాల్చుచ్చురి గారిమిచ్చిత, గామిశ్చీర్ధిసి ఏసి మాండి ప్రించ్ ల్యేక్కెబితాన్ డా గాంసిచ్చుచ్చితార్చేబిత జీస్‌ట్రేబితాన్ భర్దమల్లాశి డాంగ్రోచ్చుల్లి. అండ్లిసి ప్రిం-చిసి తావ్యాచిమావాల్చి డా గామిశ్చీర్ధిత తించి ల్యేక్కెబిసి మొయ్ గార్లాప్పెబి గాల్చేసిలుండి వ్యాసా-శ్చేమ్‌వ్యేల్సి ప్రోఫ్మి న్గించించి!

క్షేంబ్ ఏసి మొయ్యిచ్చిన్ అమ గామిశ్చీర్ధిసి ప్రించ్ శ్చేమించ్చుల్ కాంల్చు-చ్చి ల్యేక్కెబితి వ్యాసి:

చెత్తించి ఎంచిర్చి కొంచిం, ప్రించ్ శ్చేమ్ కొమిచ్చిసి త్వాల్-శ్చేమ్;  
ప్యాంచి గ్యాంచిం క్రించిం అంచిచ్చిసి కొంచ్చుచ్చిం శ్చేమ్  
శ్చేంచి శ్చేంచి శ్చేంచి శ్చేంచి శ్చేంచి శ్చేంచి.

<sup>1</sup> స్ట్రీ. చెంపిల్ చించి, మతిష్టుల్లేతిం, రీప్యాల్సిం, 1930 న., పృ. 94—97.

შვილთავ ფრანგულებ უკიდუ, შეიძთავ შევაძი ტანწელა,  
დღევზავენენ სამაღლოდ უძირდების მუქარაზედა,  
გზა კარგა გამუსაშავლებ; „შვილობით, შეიღწო, გზაზედა.  
პირიქით რამწმო გადახვალო, ჩაიღლით მათურაზედა,  
ორაგვეზე ჩიბვალო წყლით პირისა, მარჯვნივ გახდებით წყალზედა  
ჰატრა ნიცვათ ავლით, შეძლებით მოელოზედა.

იქ არა გოლერძის ციხე ნაცემი ქვეყანაზედა;  
იქ არა რიც ქალია, ას აქ მომგვარეო კარზედა,

რამწმომ კა მიხვალ ციხესთან, მაშიც შაცევილით ბანზედა!“  
ხახალ გოლერძის ციხეო, ქვა ნუმც დეზულხია ქვაზედა,

შოდიდან ქისტის შვილები, მოგისტებიან კარზედა,  
იქით ქალს გამაიყვანენ, ცრემლი ჩამოსდის თვალზედა.

— ნუ სტირი, ქლო ლამაზ, ცრემლებს ნუ აპნევ გზაზედა.  
წიმიაუვანეს რჯულძალლთა, მასდევს ქისტები ქალზედა,

შემახედა თხისტუანინ, მაღლა მათურის მთაზედა:

— ე ქალ საითო მოგვყაით, ცრემლებ რო მასტის თვალზედა? —  
ქურ გამირჩვება დაასწურა, ამბავსა ქისტას წარზედა,

— ე ქალ ახალით მოგვყაის, შატილს უნდ დავსეთ ფარზედა  
— თუ ე ქალ წაგავკანინოთ, წევრ ნუმც შისწია ყბაზედა!

თხის ტყავინ გადიურებინა, ქავევ გაღიყვა ტანწედა,  
შვილ ქისტმ მერვე უშეველმა ხელებ გაცვლეს ჩმალზედა.

გაუარ-გამაჟარა სუ თაცებ დასჭრა წამზედა,  
აპუარა იარალები, მკედარი მიაღდო მკედარზედა.

ქალ გზაზედ გამაბრუნა: „დათ, შვილობით გზაზედა.“  
თვისის ხმალ წააღდებინა: „შენ მამა იქონის უხაზედა,

ნუ იტყვი ჩემსა სახელსა, მოწაბრე მიღდო გზაზედა,  
ძნელაა მტრის ხელში ყოფნა, ხო იცი თვისი თავზედა.“

იმედი გეონდეს ხობობ, მოგვილენ პირობაზედა.

შემდევ საყურადღებოა სოფ. ჩარგალში ს უ ლ ა კ უ რ დ ლ ე-  
ლ ა თ ნაციხარი. ციხე დანგრეულია, დარჩენილია მხოლოდ მისი  
უქანა კედელი. ციხე ნაგებია დიდი ლოდებისაგან და მნახველზე  
ციკლოპური შენობის შთამეცდილებს ტროვებს. ციხის ფართობი  
6×10 მეტრია, დარჩენილი კედლის სიმაღლე კი 2,50 მ უდრის.  
ციხე ნაგებია მკვიდრად და დიდის ოსტატობით, რომლის ქვის  
ლოდები ერთმანეთზე მჭიდროდ და კოსტიც არის მიყენებული.

ეს ციხე აუშენებია ორ მდის — სულას და ურდღელს. ორი-  
ვენი მამაცი და მეაცრი ყოფილია და ციხის მიღამოში არავის  
თურმე არ აქვთანებდონენ. იმთით შიშით მგზავრნი ხევსურნი გო-  
რებს პირს აუკრავდნენ, რომ ჭორის ფრუტუნს ისინი სულა და

კურდლელის არ დახოცა. სულა და კურდლელის შიშით ჩატვირთვის არემარტვის ლეგენდიც ვერ თარეშობდნენ. თურმე და თათრებთან მთა შრძოლა და გმირული სიკედლი გალექსილია ვაკეს პოემაში: „სულა და კურდლელი“.


სულა და კურდლელას სიკედლის შესახებ არსებობს ხალხური გადმოცემის რამდენიმე ვარიანტი. ერთი თქმულებით, ორივე ძმა შეფერის აფხაზოლებს დაუხოციათ ახალწლის დღეს და მათი ციხეც დაუწვავთ, რაღაც მათმა სიმძაცრემ ხალხი მეტად შეაწყობა და იაღელვაო. მეორე ვარიანტით, სულა და კურდლელა ლეკებს დაუხოცია. მისითვის ლეკებს ასეთი ხერხი უჩმარიათ. ციხის მახლობლად ტყეში დამალულიან და ერთ მათგანს დაჭრილი ირემივით უბლავლია. სულას მართლაც დაჭრილი ირემი ჰერნებით და ტყისაკენ გაქცეულა. მმ დროს გზაში ჩასაფრებულ ლეკებს სულა მოუქლავთ. შემდეგ ლეკები კურდლელას სათიბში დასცემიან და ისიც იქვე მოუკლავთ.

დღეს ეს ნაციონალი ხატად არის ქცეული, რომლის მახლობლიდ  
კვირისა ნიშაა აგიძული.

საუკრადლებოა აგრეთვე სოფ. - გოგოლაურთას მახლობლად დარჩენილი თუშური ჩარდაბიანი სახლის მაცვარი კოშკი. ეს კოშკი აგებულია მაღალი მთის ფერდობზე, გოგოლაურების სათემო ხატის „ქმოდის წმ. გოორგის“ მახლობლად და გადასცერის სოფ. მუქოს. ამ ციხეს გოგოლაურები მიიკუთხნებენ თავიანთ წინაპარ სამ ძმა ლომხევზარელთ, რომლებიც განთქმული ყოფილან ვეჯა ცობით და ქისტებთან გმირული ბრძოლებით. ჭიგრაულები კი ცახეს სთვლიან თავიანთ საკუთრებად და მის აშენებას მიიწერენ გვარის წინაპარს ჭიგრაულს, რომელიც პირიქით თუშეთის სოფ. ჭონთიოდან ფშავში გამოქცეულა რძლის ცდუნებისათვის და აქ გოგოლაურებს ძმად გაფიცვია.

1. B. ମୋହନ୍ ପାତ୍ର, କୃଶ୍ଣପାତ୍ର, ପ୍ରକଳ୍ପିତ, 1933 ଫ., ୩୩, ୧୩୧—୧୩୪.

## ტექნიკური სახლის მიზანი




ტექნიკური სახლის მიზანი.

ენის, საღაც ხატის ნიშია აგებული და მას ციხის წვერ-ანგელოზობით ლოცულობენ.

ფშაური მოსახლეობისა და სოფლის ტიპი დღეს ერთგვარია არის. წინათ, თემური წყობილების დროს, სოფლები აქაც შეჯგუფული უნდა ყოფილიყო თავიანთი ციხესიმაგრეების გარშემო, რომ თემში შემავალ მექომურებს ერთად ეწარმოებინათ თავდაცვითი ბრძოლები. ამგვარი მოსახლეობის კვალი აქ შერჩენილია უკანაფშავის თემში: უძილესურთაში, უკანაფშავში და ახალში, საღაც სოფელი ჭერ კიდევ შეგვუფული და მოსახლეობს. სხვა სოფლებში კი, განსაკუთრებით მაღაროსკარის თემში, მოსახლეობა მთებშია გაფანტული და მექომურები შორი-შორს სახლობენ.

ბინადრობის ასეთ ცვლის თავისი პოლიტიკურ-ექონომიკური გამარტლებაც აქვს. დღეს ფშავების ლეგებისა თუ სხვა ვინმეს შემოსევის შიში არა აქვთ და მიასთანავე, აქაც გლეხობა ეტა-




### გეორგიანიანი ფშავრი სახლი

ნება თავისუფალ მამულებს, საღაც საყანე და საძოვარი აღვილის ფართობი მეტია და თვითონაც შიგვე სახლდება.

ამ მოსახრებით შეკვეთული მოსახლეობა თავიანთ მამულებში გადიან და ამგვარად იშლება ძველი მოსახლეობის ტიპი.

წინათ კი ქისტებისა და ლეკიანობის შიშით თემიდან ცალკე გასვლას მექომური ვერ ბედავდა და განმარტოებული ბინადრობაც შეუძლებელი იყო. მით უმეტეს, რომ ლეკების თარებში მჭიდრო სოფლებიც ვერ უმკლავდებოდნენ და ფშავშიაც ლეკებს არა ერთი სოფელი იუოხრებით. ასეთია, სხვათაშორის, ნისოფლარი აფხ ხუშო, რომელიც ჩარგლის მახლობლად მდებარეობს.

აფხუშოს ჩამოუდის პატარა წყალი იუჯუშურა და შემოზღუდულია მაღალი მთებით: სასოეთ თავი, საშავარდნე, ახუნი, და საშუბი. კოშკებისა და სახლების ნანგრევებიდან აშეარაა, რომ აფხუშო დიდი და მჭიდროდ დასახლებული სოფელი ყოფილა. აქევე მათი ძველი სასაფლაო, საღაც მრავალი ჩაქცეული იქლდა მაა. თავიანთი ფორმით აკლდამები ყუთისებურია და ბრტყალი ფიქალ-ქვითაა ნაგები. აკლდამები დღეს ჩაქცეულია და ცარიელი.



სამართლიანი სახლი.

აფხაზობლან ბილიკი „საპარავის ყელით“ ხევსურეთ-ქისტებში გადაიდის, საიდანაც ქისტები აფხაზოელებს თურმე ეცემოდნენ და ძარცვავდნენ.

აფხაზო შეძლებული სოფელი ყოფილი და მას ლეკებიც არ უსვენებდნენ, ეცემოდნენ სოფელს და ტბვებს იტაცებდნენ. გადაცოცემით ერთხელ ახალწელიწად დღეს აფხაზოელებს ლეკები დასცემიან და სამოცი აფხაზოელი ქსლ-ვისი გაუტაციათ და ერნ-ვალში თავიანთი ბელადისაოვის მიუჟვანიათ. ლეკის ბელადს აქ ტბვები დაუთვლია და გაკვირვებით უთქვამს: „არც ერთი თვეობაში ჩარჩოდია და არც ერთი კოჭლიო“. ლაქაურას მეთაურობით ლეკებს ფშაველები დასდევნებიან და ეს ტბვებიც წაურთმევიათ. მოთა-რეშე ლეკებს აფხაზო და ჩარვალი ხანგრძლივ თურმე ებრძოდნენ:

აქინა თქო ჩარგლელთადათ: „ჩარგალში ცუდი ყმანია...“  
აღსუშოთ კიდეახვამდე სამოც ლექს მოსკრეს თავით,  
აღსუშურაშე გმონინდა სისხლის ტბა ალაზანით,  
წინ მოაქს ფარი და ხმალი, უკან ლექების თავით“.

მურამ აფხუშომ ბოლომდე ვერ შეძლო ლექების გამკლავებით  
და სოფელიც ამოწყვეტილა. დღეს აფხუშოს ეს ნასოფლარი იფ-  
ნის დიდი ხეებითაა დაფარული და სილოცავ ადგილად ქცეულა.  
ექ ხატის ნიშია, რომელსაც ამაღლების მესამე დღეს ხალხი თამარ  
მეფობით ლოცულობს. ხატობაში პირველად ღაჭიურას შესანდო-  
ბარი ისმის, რომელმაც აფხუშოელების ქალ-რძალი ლეკის ტყვე-  
ობიდან იხსნიო.

აფხუშოში დღეს ცხოვრობს ჩარგლიდან გადმოსული ორი კომ-  
ლი ეამიაშვილი. ეს გვარი ფშავში ქსნის ხეობიდან გადმოსული და  
ჩარგალში დასახლებულია. ეამიაშვილი ექ რაზიკაშვილს ძმად გა-  
ფარგვია და მათ დღესაც საერთო სასაფლაო და ერთი ხატის სა-  
ჭარე აქვთ.

ფშავრი სოფლები მცირერიცხოვანია. ამ მხრივ მაღაროს თემ-  
ში უფრო მსხვილი სოფლებია, ვიდრე უკანაშავის თემში. აქაურ  
სოფლებში ყველაზე მრავალრიცხოვანი 50 კომლს არ აღემატება.  
ასეთა სოფ. ჩარგალი და გომეწარი. ყველაზე მცირერიცხოვანი  
კი მიმრიანთვარი და ქუთხია, რომელიც ორ-ორი კომლისაგან შედ-  
გება.

ზოგიერთი ფშავრი სოფელი მაღალი მთის წვერზეა მოქცე-  
ული, როგორც, მაგალითად: უძილურთა, ცაბაურთა, წითელაურ-  
თა და ახალი. ასეთი სოფლები განცალკევებული კუნძულებივით  
მოჩანან, რომლებსაც არაგვის ხეობასთან აერთებს საცალფეხო  
დაკლავნილი ბილიკები. ფშავრი სოფლების დიდი ნაწილი არაგვის  
ხეობაშია მოქცეული და დავაკებული მთების ფერდობზეა მიმო-  
ფანტული. ამ სოფლებში მიმოსვლა შედინებით ადვილია და მო-  
სახლეობაც არაგვის ხეობის დავაკებას უფრო ეტანება.

სოფელს თავისი საზღვარი იქნა და ამ საზღვარზე ჩასმულია  
მიჯნის სამანი. ასეთი მიჯნის სამანი დღემდე დაცულია სოფ. შუა-  
ფხოსა და გოგოლაურთას მიჯნაზე. აქაური სოფლები უმეტეს შემ-  
თხვევაში თავიანთი თემის სახელებს ატარებენ: ცაბაურთა (ცაბა-

ურისაგან), გოგოლაურთა (გოგოლაური), უძილაურთა (უძილაური) და სხვა.

ჩარგალიც გაღმოცემით ადამიანის სახელი ყოფილა, რომელიც ცაბაურთიდან გადმოსულა და ამ სოფელსაც ჩარგალი დარქმევია.

ფშაური სოფლები უგეგმოდ არის ნაშენი. გზები და მოედნები აქ არ არის. სოფლებს ძნელგასავლელი საცალფეხო ბილიკები უკლის. მეკომურებს ეზო-ჯარმიდამო შემოლობილი არა აქვთ. სახლები და სადგომები ერთგვარი არ არის, სჭარბობს ქალაქის ტაპის სახლები, განსაკუთრებით მაღაროს თემში, სადაც იშვიათად შეხვდებით ძეელ, ფშაური ტიპის სახლებს. ასეთი სახლები უფრო უკანაფშავის სოფლებში მოიპოვება: შუაფხოში, უძილაურთაში, ცაბაურთაში, გოგოლაურთაში, ახალში, განსაკუთრებით ბევრია უკანაფშავი.

ეს ფშაური სახლი ორსართულიანია, ნაგებია ქვითეკირისაგან უტალახოდ, შშრალად. სახლის ქვემო სართულში ბოსელია გამარტული, ზემო კი სადგომია. ბოსლის ქერში გამოკრილია ზემო სართულში ამოსასავლელი „საკომი“, ზომით  $1 \times 0,70$  მ. საკომოთ ხსნ მოძრავი კიბეა მიღვმული და ამ კიბით ბოსელში ჩადიან და სახლის ზემო სართულში ამოდიან.

სახლის ზემო სართული ერთ დიდ დარბაზს წარმოადგენს, რომლის ფართობი  $11 \times 6$  მეტრია, სიმაღლე 2,50 მ. მას აქვს ერთ კარი  $2,0 \times 1,70$  მ. სახლი ბნელია და შუქისათვის დატანებულია „საკომი“ (სარქმელი). ზოგიერთ სახლს კედელში ასეთი ორი ან სამი საკომი აქვს დატანებული, ზომით  $40 \times 29$  სმ, საიდანაც სინათლე სახლში შემოდის და კერის ბოლი გარეთ გადის. ჰერთან ეს საკომი კვადრატული ფორმისაა და კერის პირდაპირ ჰერშია გამოკრილი. ჰერის საკომი თავისი კონსტრუქციით ორგვარია: ერთიან სადა და ოთხუთხედი, რომელსაც ბანზე „საკომთკოდი“ (საკომურის კოდი) აყდება. მეორე კი ჰერში გვირგვინითაა გამოყვანილი და მას „მოქცეულს“ უწოდებენ. ამ მოქცეული სახლის ეს გვირგვინი ისეთივეა, როგორიც არის ქართლის დარბაზის გვირგვინი<sup>1</sup>, საიდანაც სახლში შუქი შემოდის და კერის კვამლა ბანიდან გადის.

<sup>1</sup> ქართლის დარბაზი. გ. ჩუბინაშვილის რედაქტირით გამოცემულია: ერთაშემონაბრივი დარბაზი, ტური, 1926 წ., დილომი, წილკანი, მცხეთა, ყარაღაფი და ნიდარბაზე 1927 წ.



თანდურის დაჭრა

ფშაური დარბაზის გვირგვინი გამართულია წინა ბოძე და დედაბოძე. დედაბოძი მოჩუქურთმებულია და სხვადასხვა გვოძეტრითელი ფიგურებითა ნაკრელი. დედაბოძს თავზე აყუდია დათვი, რომლის სიგრძე 1,90 მ, განი კი 30 სმ-ია; დედაბოძის სიმაღლე უდრის 2,92 მ, განი 36 სმ. ამგვარი დედაბოძიანი და გვირგვინიანი სახლი დღეს კარგად არის დაცული სოფ. შუაფხოში. ძველებური სახლი ბანიანია. ბანი დაყრდნობილია ორ დიდ კოჭზე, „თავხეზე“,

რომელზედაც „შოლტებია“ (კოჭები) გამართული. შოლტებზე ფიცარი ან ლასტია დაგეპული და, ხის მასალა რომ არ დაღვეს, ზედ ნაფორებსაც ყყრიან, ნაფორზე მიწაა დატეპნილი. ზოგი სახლის ბანზე საბძელია დაშენებული, სადაც ბზესა და თივსი ინახავენ. საბძლის სახურავი ორფარდულიანია და ყარტითაა (სეილის ჩალა) გადახურული.

მასთანავე, სახლზე მიშენებულია: დერეფანი, კიბე და საქსლე ზედ საბძლით. ბოსელში ზამთრობით საქონელი დგას, საბძელში თივა და პური ინახება, დაბურულ დერეფანში საოჯახო წერილმანი აწყვია, ლია დერეფანზე კი საქმობენ. ზოგან ბოსელს ერთ კუნკულში მიშენებული აქეს ქალის სამშობიარო ოთახიც.

ამ ტიპის სახლებში კერაა გამართული. კერა ოთხკუთხედია და ფუქალის ქვის ჩარჩოში ლრმად ჩამჯდარი. კერაზე საკიდელია ჩამოკიდებული, რომელიც მიმაგრებულია ქერში გადებულ ორ ასალეთხე“ ჭოხზე. კერა მოთავსებულია სახლის საკომთან ან გვირგვინის ქვეშ, რომ კერის ბოლი სახლიდან გავიდეს.

ასეთია ძეველებური ფშაური სახლი, რომელშიაც დღეს ცხოვრება ძნელია. სახლი ბნელია და ნესტიანი, კედლები გაჭვარტლულია. აღამიანს დაგუბებული კერის ბოლისაგან სუნთქვა ეძვრის და თვალები ეცრებლება. ფშავლები კარგად გრძნობენ ამ სახლების უვარვისობას, შლიან მათ და თანამედროვე ტიპის სახლებს ავებენ. ახალი სახლები ერთსართულიანია და მიშური. აქეს კარ-ფანჯრები და აივანი. სახლი მაღალსახურავინია და ზედ ყარტითაა გადახურული. ხშეჩრია აგრეთვე კამიტისა და თუნუქისახურავიანი სახლებიც. სახლებში კერა მოშლილია და ბუხარი ან თუნუქის ღუმელია გამართული.

ფშავლები ქვის სახლებს აგებენ. სააღმშენებლო მასალა — ქვა და ხე-ტუე — აქვთ მოიპოვება. ქვის კლდეში ამტვრევენ ან არავის რიყებზე აგროვებენ და ცხენებით, ვირებით და მარხილებით ეზიდებიან. სახლებს ფშაველი ოსტატები აგებენ. ერთი არშინი კედლის ამოყვანა ერთ ცხვარიდ ფასობს.

ბოსელსა და საბძელს ცალკე აშენებენ. ხშირად ბოსელზე საბძელია დაშენებული.

სახლის შიდა მოწყობილობაც ყველგან ერთგვარი არ არის. ძველებურ კერიან სადგომებში დგამ-ჭურშელიც ძველია და გაჭ-


თარტლული. სახლში ყველაფერი უწესრიგოდ არის მიმოფანტული. ხის კავებით ქერში ჩამოკიდებულია: ცხვრის ღუმები, ტყავი-ბი, გულები და სხვა. კერასთან დგას გრძელი სკამი „ლაჭანი“. სახლის ერთ კუთხში გამართულია ხის განიერი ტახტი. იქვე ტანისამოსის სკივრია. კედელთან რამდენიმე კიდობანი დგას. კიდოზებში ინახება პური და ქერი. არის აგრეთვე სასმელ-საჭმლის შესანახი „ქარადა“. ა.

სახლის გამანათებლად ოყის ჩრაქეს ხმარობენ. ჩრაქე არყოს გამხმარი ჭერქია და მას კვარივით ეკიდება. ხმარობენ აგრეთვე თუნუქის ჭრაქებს. ოჯახში სახმარი ჭურქელი ხისაა. აქეთ სპილენძის საჯალაფო ქვაბები და წყლის საზიდი სპილენძის თულუხები. ამ თულუხებით წყალს ქილები ეზიდებიან. მამაკაცი წყალს არ მოიტანს, სირცხველით.

ახალი ტიპის სახლებში დგამ-ჭურქელიც შეცვლილია. განსაკუთრებით მაღაროს თემში, სადაც ფაბრიკული ავეჯი და ჭურქელი თითქმის უველა ოჯახშია შესული. აქ შეხვდებით ქალაქურად გამართულ ოთახებს: რკინის საწოლით, სკამ-მაგიდებით, სარკით და სხვა. ქილიძის ამ ნაწარმოებს აქ აწედის მოსახლეობას შუაფხოსა და მიღაროსკარის კონკრეტულიც.

საწოლი და ლოგინი წინათ ფშავში არ იცოდნენ და ზოგან დღესაც არა აქვთ. წვებიან მიწაზე ან ტახტზე გაშლილ ტყავზე და ფარდაგზე. დედავაცები წინათ წვებოდნენ ჩალაჩიაგებულ მოწნულ წინში. ფშავლები ტანისამოსიანად წვებიან და ზედ ტყავს იფარებენ. თავებიშ დაჭრილ ტყავს იდებენ და ისე იძინებენ. ხელ-პირსაც იშვიათად იბანენ. მაგრამ ამ ბოლო ხანებში ფშავლებს ამ შერიც დაწინაურება ეტყობა. ზოგიერთ ოჯახებში უკვე ლოგინია გამართული თავის საბან-ლეიბით და ბალიშებით. სისუფთავესაც უფრო მისდევენ, ხელ-პირსაც საპნით იბანენ და სიგებ-საცვლებსაც ირეცხენ.

ტანსაცმელი. ფშავლები იმოსებიან ფაბრიკული ქსოვილით. დეგილობრივი შალისაგან იქრება მამაკაცის ჩიხა და დედავაცის ჭუბა. მოხუცები ატარებენ „ჭიგრიან“, თალზი ფერის ტანისამოსს, ახალგაზრდობა კი „ლალაფერს“ (მხიარულს). საცვალებები ქალები იცვამენ გრძელსა და გვერდებიაჭრილ ფერად პერანგს. ამ პერანგს გულზე ფერადი აბრეშუმის „სამხრე“ იქრია, რომელ-



ბერანგის ნაჭრელი

საც ნაპირზე შემოვლებული იქვს მაშინთ ნაჭრელი „პერანგის ზენა“ და ომოჭრილია რამდენიმე სალილური. პერანგის საყელო მაღალია და ფერადი ძაფითაა ნაჭრელი. საყელოს ნაპირზე გრებილი იქვს შემოვლებული და წინ გვარედინად ლილები და ფულები იქერია. ასეთ პერანგს „ყელლილიანს“ უწოდებენ. პერანგი წითელი ან ალისფერია, იყრება სატინისა, შეძლებულები კი აბრეშუმელისა ატარებენ.

პერანგზე აცვიათ „საგულე“. ეს მოქლე და გრძელსახელოიანი ზედატანია. საგულე შავი სატინისა, წინ გაჭრილია და მისი ნაპირები მანქანითაა დაგვირისტებული. საგულე შეძლებია ფერადი მძივებით და ვერცხლის წვრილი ფულებით.

საგულეზე იცვამენ მეორე მოქლე ზედატანს „პალტოს“, რომელიც წელშია გამოყვანილი, საჩჩილიანია და აქვს გრძელი სახე-ლოები. ეს ზედატანი წინ გიხსნილია და საყელო-ნაპირები გად-

მოწეული აქვს. მკერდზე აკერია მწვანე თიკვის არშია, რომელზე-დაც დილები და აბაზიანებია დაკერებული. ქვეშ იცვამენ ნაოჭიან წითელ ან ლურჯ კაბის. კაბი განიხრია და ქვეშ არშია აქვს მოკერებული. კაბის წინ იფარებენ შავ სატინის „ფასტამალს“. მისი ბოლო ფერადი ძაფითაა მანქანით ნაჭრელი, რომელზედაც გამოსახულია ვარსკვლავისა და ჯვრისმაგარი სახეები. ფასტამალს ქვეშ მოკერებული აქვს ნაოჭიანი არშია — „შაყრილი ნოჭვა“. ფერადი ფასტამალი ლილებითა და ფერადი მძივებითაა შემცული.

წელზე ქამარს იქრავენ. წინათ ვერცხლის ბალთიან ქამარს ატარებდნენ, დღეს კი ტუავის ბრტყელ ქამარს იქრავენ, რომელიც იკრის (ძველი გიმნაზიელის თუ რინიგზელის) ბრტყელი თითბრის ბალთით.

ამ ტანსაცმელზე იცვამენ იგრეთვე სარჩულიან ქათიბს. ქათიბი წინ გახსნილია, უკან წელშია გამოყვანილი და ნაოჭიანი.

წინათ ქალებს „ფ ა ფ ა ნ ა კ ი“ სცმიათ. ფაფანაყი მოკლე და წელში გამოყვანილი ყოფილა და მას სახელოც გაჭრილი ჰქონია. შინაურობაში დედაფაცები წინათ ჯუბასაც თურმე ატარებდნენ. ჯუბას ბოლოში შალის არშია — „ქუჩუმო“ ჰქონია შემოვლებული.

თავზე ქალები იხურავენ „თავჩითას“ და ქიშმირის მოსახვეებს. თავჩითას სამკუთხად მოკეცავენ და ისე იხურავენ, რომლის ორ ყურს შუბლზე გინისკვავენ. თავჩითას ყურებზე ზოგჯერ შებმული აქვს მძივები და თეთრი ფულები. თავჩითას მოხდა და თავშიშველი გავლა ქალისათვის სირცეგილია.

წინათ ქალებს ჩიქილა ხურებიათ. ჩიქილა სამკუთხედია და მას ბოლოში „ფესვი“ (ფოჩი) აქვს შემოვლებული, რომელიც დედაგაცს კოჭებამდე თურმე სწვდებოდა. ჩიქილაზე ხელსახოცს მოხსევდნენ, დღესასწაულში კი ქიშმირის შალსაც მოიხსევებდნენ. ამ გრძელჩიქილიან ქალებს სცმიათ გრძელტორა წითელი შარვალი, რომლის ტოტი მოქარებული იყო და მას „ბ ა ბ თ ა-ქ ა რ გ ა ს“ უწოდებდნენ. ფეხზე ფშავლებს აცვიათ ჭრელი წინდები და ქალამნები. ამ ბოლო დროს წულასაც ატარებენ. ფერად ტანსაცმელს ატარებენ გაუთხოვარი ქალები და ახალპატარძლები. გათხოვილები და ხანშიშესული ქალები შავ ტანისამოსს იცვამენ და სამკაულებსაც არ ატარებენ.

გისათხოვარი ქალები და პატარძლები ყელ-გულს იმკობენ: ყელის ჯაჭვით, ვერცხლისფულებიანი შიბით და მძიეს „ფარცხათი“. ყურებზე და ხელის თითებზე იქეთებენ საყურეებსა და ბეჭდებს. წინათ ფშავლები ბრტყელ სამაჭურებს — „ზალტებსაც“ თურმე ატარებდნენ.

მამაკაცებს აცვიათ „სამხრე“ დაჭრელებული ფერადი პერანგი, სამხრე ერთ- ან ორენიანია, ნაჭრელია ყვავილოვანი და გომეტრიული ფიგურებით. საყელოზე პერანგს ლილები ჯვარედინად აყერია.

პერანგზე კაცები იცვამენ წინგაბსნილ მოქლე საგულეს. საგულე უსახელოა და ნაპირგადმოწეული. იცვამენ რამდენიმე სხვადასხვა ფერის საგულეს, რაც შეძლების მაჩვენებელია. საგულე სარწულიანია და ტანზე გაწყობილი. ამ საგულეზე იცვამენ მოქლე ახალუხს, რომლის გულისპირია „კავაჯიჯი იტა“ სახითაა ნაჭრელი. ახალუხს ჯიბეში უდევთ ნადობის დაჭრელებული სათამბიქო, რომელიც მძივ-ღილებით არის შემკული.

ახალუხზე იცვამენ გრძელ და ნაოჭიან ჩოხას. ზამთარში ბეწვიაბრუნებულ ტყავს ატარებენ. ავრეთვე ტოლისაგან შეკერილ ქულაფასაც იცვამენ. თავზე ხურავთ ჭიათულიანი ქუდი. ეს ქუდი გრძელებულია ცხვრის ტყავისაგან იკერება და წოპიანია. ზოგიერთები ნაბდის თუშურ ქუდსაც ატარებენ. წელზე იკრავენ ვერცხლის ბალთიან ქიმარს, რომელშიც ხანგალს იქეთებენ.

ფეხზე იცვამენ ჭრელ წინდას და ქალამანს, კანჭებზე უკეთიან ტოლის პაჭიშები.

ტანისამოსს ქალები კერავენ. საკერავი მანქანა აქ ხშირია და მისი ხმარება თითქმის ყველამ იცის. ქალები გავარჯიშებული არიან ხელის მანქანით საგულე, სამხრე და სათამბაქოს დაჭრელებაში.

ფშავლებს კოხტად ჩიტა და მორთვა უყვართ, განსაკუთრებით ქორწილში და ხატობა-დღეობებში. ამისათვის ერთი ხელი ახალი ტანისამოსი ყველას აქვს შენახული, რომ ქართბაში ლაზათიანად გავიდეს.

ეს ფშავრი ტანსაცმელი მთიულურს წააგავს. განსაკუთრებით მამაკაცის ჩიტმულობა ფშავრი და მთიულური თითქმის ერთიდა-

იგივეა. რაც შეეხება ქალისის, აქაც ტანისმოსის ფორმა და კონკრეტულია ერთგვარია, მხოლოდ მთიული ქალები საგულეზე ვერც-ლის ფულებს უკვე ორ იყერებენ და არც შიძებს ატარებინ!

## ჩალეზრი ჩემულებანი

ფშავის საზოგადოებრივი ცხოვრების გასაცნობად საჭიროა, პირველ ყოვლისა, მისი ზნე-ჩემულებების შესწავლა, რომელშიაც მოცემულია სოციალურ ურთიერთობაში შემუშავებული ხალხის ზნეობრივი და უფლებრივი ნორმები. ამ მხრივ ფშავი საყურადღებოა, სადაც დღემდე დაცულს თემური ყოფის დამახსიათებელი ჩვევები. რასაყვირელია, ცროთა ვითარებაში ამ მამაპაპურ ჩემულებებს მთით წარმომშობი სოციალ-ეკონომიკური პირობები კარგი ხანია გამოეცალა და ყველაფერი ეს დღევანდელი ფშავის სინამდვილეში მხოლოდ წარსულის გადანაშთს წარმოადგენს.

საკოლმეურნეო მოძრაობასთან და სოციალისტურ მშენებლობასთან ფშავში იქმნება საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალი ნორმები და ძველი თემური ადამ-ჩვევების ნაცელად მყარდება ახალი ყოფა. ფშავლები ამ მხრივ დღეს ფორმაციის ხანაში იმყოფებიან, სადაც ძველ ყოფის თანადათანობით ახალი ცვლის, მაგრამ ძველი ადამ-ჩვევები ხალხში ჯერ კიდევ ძალაშია, რომელსაც იცავს საზოგადოების ჩამორჩენილი ნაწილი. ახალგაზრდობა კი უფრო ახალ ყოფის ეტანება, ძველს უსულგულოდ ასრულებს და მას შეძლებისდაგვარადაც ებრძვის.

ამ ხალხურ წესებში პირველად ჩვენ აქ შევეხებით ქალ-ვაჟის ტრადიცია და ქორწილის წესებს.

და ამ თბილება. თემურ ფშავში დაძმობილების ადათი მტკიცებ უკიდული ვაჟკაცს ძმობილი უთუოდ უნდა პყოლოდა, რომელიც მათთან კირში თუ ლხინში განუყრელი და თანამებრძოლი იყო, საცოლის მოტაცებისას და ოჯახის ნამუსის დაცვაში. დაძმობილებისათვის არსებობს „ფიცერ ცხლის ჭამის“ ადათი. როდესც ორ ვეს ერთმანეთის ხათრი და სიყვარული აქვს, სად-

<sup>1</sup> სერ. მაკალათია, მთიულეთი, ტფილის, 1930 წ., გვ. 104—111.

მე დანიშნულ ადგილს შეიყრებიან და აქ ერთმანეთს ძმობის ეტყვიან. ამისათვის იღებენ ჭიქით არაუს ან ლუდს და შეიცემობს ჩათლიან. საპატიო მოხუცი ან ხევისბერი იმოგებს ამ საქმისს და იტყვის: „თქვენს ძმობის გაუმარჯოს და კეთილი იყოს. ერთმანეთის დანდობა და სიყვარული გვინდეთო“.

ძმობილები იმოგებენ ჭიქის, სამ-სამჯერ შესვამენ და ერთმანეთს ეტყვიან: „ჩემი დედა შენი დედა, ჩემი და — შენი და, ჩემი ძმა — შენი ძმა, ჩემი ცოლი — შენი რძალი“-თ. ამის შემდეგ ძმობილება დანდობილი სიტყვა არ უნდა გატეხონ, რაც თემში დიდი სირცხვილია.

მეთი დაძმობილება წინათ ქალ-ვაჟმაც იცოდა და მათ ნადობ-ნაძმობს ეძახდნენ და ერთმანეთი და-ძმასივით უყვარდათ.

დობილობა ქალებმაც იციან და ამ მიზნით ორი ქალი ერთმანეთს დობის ეტყვის და სიყვარულიც აქვთ.

ფშაველი ახალგაზრდობა ჩადგება თუ არა მოწიფეულობის ასაქ-ში, ქალვაჟთა შორის დაწყება რომანტიკული ტრუიალება და გარტაცება. ახალგაზრდა ფშაველში სიყვარულის ეროტიკა გამახვილებულია და ქალ-ვაჟთა შორის სქესობრივი ლტოლვაც ძლიერია. ამიტომ ჩვენს მთივლებში ფშავლები ყველაზე რომანტიკული ხალხია და ეს რომანტიკა მოცემულია წაწლობის წესებსა და ლექ-სებში.

წაწლობი. ფშავლებში წაწლობა წინათ მიღებული წესი იყო. თემურ ფშავეში თავისუფალი სიყვარული და შეულლება თემური დღითით იქრძილული იყო, მაგრამ სქესობრივი სიყვარულის გონიობამ თავისი ძლიერი გაძოვლინება ამ წაწლობაში პოვა; რომელიც ქალ-ვაჟის ერთმანეთის ტრუიალზე და სიყვარულზე იყო აღმოცენებული. ამიტომ, როდესაც მოწაწლე ფშაველს ეკითხებით, თუ რათა წვება წაწლობან, პასუხი მუდამ ერთია: „მიყვარს და იმითა ვწვებიონ“.

დღეს ფშავეში, რასაქვირველია, ყველა არ წაწლობს და ამ მავნე ჩვევას ახალგაზრდობის შეგნებული ნაწილი იძაგებს და აშეარად გაუჩინს.

შეყვარებული ქალი ვაჟს ეძახის წაწლოს და ნაძმობს, ვაჟი კი მას წაწალს და ნადობს. წაწლებს ფშაველი მოლექსეები ზოგჯერ ძნა-ქმარასაც ეძახიან:

დახე, ძმა-ქმარაშ რა მიყო,  
ცასაფარგვებს სულითა  
რადა გამცვალა სხვაზედა  
და კინ უწვება მხარზედა?  
მშ ჩემის დაღონებაზე  
ხატ მოუგრიბის კისერსა.

თუ ვაუს ქალი მოეწონა, ან ქალს ვაური და მათ ერთმანეთს  
ნაღობ-ნაძმობობა გამოუცხადეს, ისინი ერთად წოლასაც დაიწყებენ.  
ახლად შეყრილი წაწლები პირველ ხანში სახლის გარეთ საღმე  
მიმალულ იდგილას, ბოსელში, სხდელში, ტყეში და სამთო ქოხის  
მახლობლად წვებიან. დანიშნულ იდგილზე ქალთან მუდამ ვაური  
მიდის. ვაუთან ქალი არ მივი, სირცხვილია. წვებიან ტანისამოსი-  
ანდ და ერთმანეთს ალერსითა და ტკბილი საუბრით ართობენ.  
დაწოლის თავისი წესი და რიგი იქვს და დანდობილმა წაწალმა ეს  
უძლა დაიცვას. წაწლობა იწყება ქალის საყელოს ღილის შესხით:

პირველი დავწევ წაწლოთან, ფიცხლავ მოვხელე საყელო,  
მძივ შემოსილია საყელოს მოსკოვის ღილი გავხსეხო.

წაწლები ცდილობენ ფეხები და გულ-მკერდი ერთმანეთისაგან  
შოთა ეჭიროთ, მხოლოდ პირი პირთან უდევთ და ქალი ვაუის გამ-  
ლილ მკლავზე წვება. შემდეგ შეიძლება მკერდის მკერდზე მიწე-  
ბება, ლოყის ლოყის ქვეშ მოქცევა და ლოყების ცვლა. მერმე  
ქოცხა და უბეში ხელის ჩაყოფა, დატოლება და გვერდ-გვერდზე  
დაწოლა:

გინჩიდ წაწლოთან წოლა, გაცინებულის კოცნაო,  
ჩაძოხნა მიცულილებისა, საკელოს ჩამოტრტათ,  
მიკრაში უამის გულზედა, როგორც მალმო წყლოლზედა,  
ტკბილად შექცევა სულისა, ქურის ტოლება ქრონედა.

მაგრამ ნაძმობი ნადობს წელქვემო არ უნდა გასცილდეს:

ქვევით ხელს რას მიცაცუნებ, ეს ძუძუნ აქ არა მეონა?  
კოპალის ლაბატნაკრისა ცდენა რიმამ მოგაონა?  
ვაკეაც არა გრცხვენიანა, ვგრე როგორ დაგილონა?

ნადობზე ძალადობა არ იქნება, საქმიანისია ოღნავი ძალადობა, რომ ნამუსიანი ნადობი მაშინვე ადგება და უნამუსო წაწალს შეარცხვენს:

ქალმა თქვა თამარ მეცემა: „ნამდვილად არი: სამი გზა ქალს რომ უთხრა და-ამობა, ნამდვილად შენი და არი, თუ კერ დაინდობ, ვაჟო, შენი ბიჭობა რა არი?

როდესაც წაწლები ერთმანეთს დაუახლოვდებიან, მაშინ ნადობის სახლში წევებიან, მაგრამ ისე ლსტატურად უნდა მოიქცნენ, რომ მშობლებმა არ გაიგონ. მშობლებმა თუნდაც გაიგონ, ზოგჯერ ყურს განვებ მოიყრუებენ. მასთანავე, წაწლებს შორის კარის და კაკუნებისა და სტვენის თავისებური ნიშნებიც კი არსებობს, რომლის მიხედვით ნადობი იგებს ნაძმობის მოსვლის და მას შინ შემოპარებს.

რასაკვირევლია, წაწლების ეს წოლა და ხევნა-კოცნა სქესობრივ ცდუნებისაგან დაზღვეული არ არის და ზოგჯერ სქესობრივ გავშირსაც იჭრება, მაგრამ უთესლოდ (coitus inter ruptus).

არის შემთხვევა, რომ მოწაწლე ნადობი თრსულდება, რაც თემში სამარცხვინო მოვლენად ითვლება. ასეთი წაწალი კერ გათხოვდება, როგორც მეძავი და თემისაგან შერცხვენილი და ნაბუშარიც თვითონ უნდა გაზარდოს. ასეთ ნაძმობს წაწლები უფრთხოან, არცვენენ და ეს გარემოება წაწლებს თავშეეავებას უკარნახებს, რომ ნაბუშრის გაჩენით თემში თავი არ შეირცხვინონ.

წაწლობის წესები დღეს გადაგვარებულია და შერცენილი. მაზე მოხუცი ქალები ჩივიან: „წინათ მალევით წაწლობდნენ და ერთურთს არ გასცემდნენო, ახლა კი გამოაშეარავდა. ახლა ქალები დარუსდნენ, ეშმაკებად ქცეული და უმანკოებაც არ არისო“.

წინათ წაწლობა იდეალური სიყვარულის ხასიათს ატარებდა თურმე და ნაძმობ-ნადობს შორის რაინდული სიყვარული და ტრფობა ყოფილა. წაწალიც ერთი ყოლიათ, რომელიც თავისი ნადობს ჭირში და ლხინში მფარველობდა და ხმლით იცავდა. უცდენად წაწლობა ვაუკაცობა ყოფილია. ნაბუშარს თუ გააჩენდნენ, ნადობ-ნაძმობს ხიდის ყურჩე ხალხი ჩაქოლავდა. მიტომ წაწლო-

ბა ქილს გთხოვების არ უშლიდა და წაწლის ყოლა ქალისათვის  
სახელიც ყოფილა.

დღეს მრავალწალიანობაა და დანდობაც ნაკლებია. ზოგ ნა-  
დობს ხუთი წაწლიც მოუდის. ერთ ნადობთან მოწაწლე ვაჟებში  
ეს იწვევს ქიშპობას და ნადობის დასაკუთრებაში მათ შორის ხში-  
რად ხანჭლებიც დატრიალდება:

დუშმანისამცა ჰყავ, დედაო, ნადობი სხვასთან ზიარი,  
მაა ქლავს ვაჟაცის გულსა, სიკვდილ რა საფიქრელია.

დღევანდელი სახის წაწლობა ხალხში უკვე მოწონებაში არ  
არის და მოწაწლე ქალებს მთხოვარი გაურბის. ქალის გასინჯვა-  
გარიგების დროს ქალის მშობლები ხშირად ტრაბახობენ, რომ ჩე-  
მი ქალი „ნაწოლ-ნადგომი“ არ არისო, ე. ი. არ წაწლობსო. და  
ასეთ ქალსაც მთხოვარი უფრო ეტანება.

წაწლობა ფშავში მიღებულია ძმათაშვილებში, რომლებიც  
ერთი გვარისანი და ხატისანი არიან, აგრეთვე შეიძლება უცხო,  
სხვა ხატისა და გვარის ვაჟთან წაწლობაც. მაგრამ ძმათაშვილებში  
წაწლების შეულლება აყრალულია, უცხოთა შორის კი ასეთი  
შეულლება ნებადართულია.

წაწლებს შორის ტრფობა და სიყვარულია. ისინი ერთმანეთის  
გულის მოვებას ცდილობენ. ნაღობი ნაძმობს ჭრელ წინდებს უქ-  
სოეს, სათამბაქოესა და საგულეს უკერავს და უქრელებს და სხვა. ნაძმობი კი თავის მხრივ მას უმზადებს საქსოვ იარაღებს, საჭრელ-  
წინდე კალათას, თითისტრებს და სხვა. ნადობი ნაძმობს ქორწილ-  
ში ნიფის დად გაყვება, ნაძმობი კი მას მაყრად წაყვება.

წაწლებს შორის სიყვარული ისეთი ძლიერია, რომ ზოგჯერ  
ასინ არ ქორწინდებიან და ერთმანეთს შეაბერდებიან:

თ შენ ჩემო ნაღობო.  
კოშეო ნაგებო ქირითა,  
კარგო მოკრილო იარო,  
ქიანეს ნაღობო ინითა.  
უცხო რამ კაბა გაცვადა,  
გადოილი ხაზ ილითა,  
ცავ წმიდავ ვარსკვლავითა,

შეკვეთის დამსახურობით,  
 შენთანამცი ყოფნით გამოსლო  
 შენთანამცი წილა-ძილით,  
 უკვდაცებისა წყარო ხარ,  
 ნადენო ღერის მილით.  
 ნეტავი ჩიტად მაქცეა,  
 უბეში ჩიგიძერებოდი,  
 ეკრუხლისამცი თასად მაქცეა,  
 რო ლეინით აგვესებოდი,  
 დაფერილი მქნა წილადა,  
 შემსეამდი, ზაგერგებოდი,  
 ან მქნა ეკრუხლის სათითე,  
 რომ ხელშე ჩაგდებოდი,  
 ან შენი ნაშელის ყანა მქნა,  
 რომ ფხნებ ზაგერგებოდი.  
 ან შენი ნანდაური მქნა,  
 ცოცხალს არ გაგეურებოდი.

ხთისო კულალაგიშეკლა  
 სოფ. ახალი. 1932 წ.

ასეთ შეყვარებულ და შინ დაბერებულ წაწლებზეა ეს ლექსიც  
 გამოთქმული:

ჩარგალს დაბეკრდა ქალები, ხეთი დაბერდა შინაო,  
 გვერდსა ჰყავთ ყველას წაწლები, ძუძუებზედა სძნაო,  
 შენ რალს ფაქრობ ნეტარა, შე მარტიანო თინაო?

ასეთ შემთხვევაში თუ შშობლებმა ძალა დაატანეს და შეყვა-  
 რებული ნაძმობს მოამორეს და გაათხოვეს, ნადობი ქმრის ხელ-  
 შიც შეიცდება ნაძმობთან იწაწლოს და ამ ნიადაგზე აქ მრავალი  
 უსიაროებო შემთხვევა, იჭვიანობა კი ფშავლის ოჯახის სენია.

წაწლობა საზოგადოდ იციან: მეაში, მუშაში, ქორწილში და  
 ხატობა-დღეობებში, განსაკუთრებით: ლაშარში, ციხე-გორში და  
 თამარ-მეფეში, სადაც ხატის ქალ-ვაჟებიც კი წაწლობენ. ამ შემ-  
 თხვევაში წაწლობა ფშაველს წმინდა მოვალეობადაც მიაჩნია და  
 ამბობს, რომ: „წაწლობა ლაშარის ჭრის ყმას მაუდის და ფეიონ  
 ლაშარის ჭვარის ქალები ყოლიაო“. ამაზე ეს შაირიც კით-  
 თქმული:

ან ლაშარობას მოგვეალ, ან ციხე-გორიბაშია,  
წაწალთან დამატებითოდი, მოგვიდის სწორობაშია.

წაწალმა უთხრა წაწალსა: „წავიდეთ წმინდა შიოსა,  
მოგვიდეთ შენი წაწალი, თუ წოლა მოგაშემოსა“.

თამარ მეფის ხატში კი არ იქნება, ღამის მთეველმა წაწლებმა  
რომ არ იწაწლონ.

წაწლობა მდიდარ პოეტურ მასალას იძლევს ფშაურ რომანტი-  
კულ პოეზისა და ფშავლების შაირ-სიტყვაობაც ამ წაწლობის  
ეროტიკითაა გაეკლენთილი.

ეს ფშაური წაწლობა წარსულის საყურადღებო ნაშთია, რო-  
მელსაც თავისი ისტორიული გამართლება და მეცნიერული ასსნაც  
აქვს.

კავკასიის ადათების ცნობილმა მკელევარმა მ. კოვალევს-  
კიმ წაწლობის წესები დედისუფლების — „მატრიარქატის“ —  
ნაშთად აღიარა და ამით წამოაყენა კავკასიაში დედამთავრული  
ოჯახის არსებობის თეორია<sup>1</sup>. მხოლოდ წაწლობის ეს წესები ენ-  
დოგამიური წარმოშობისაა და არა ეგზოგამიური, როგორც ამას  
კოვალევსკი თავის დროზე ამტკიცებდა<sup>2</sup>. ამასთანავე, შესაძლებე-  
ლია წაწლობას კავშირი ქვენდეს სამღვთო როსკიპობასთან, რო-  
მელიც დაკავშირებული იყო ქალ-ღმერთის ადგილის დე-  
დის კულტან.

ერთი სიტყვით, ფშაური წაწლობა დღეს უკვე მავნე ჩეეულე-  
ბაა, რომელიც ახალგაზრდობას სქესობრივად რყევნის, არღვევს  
ოჯახში ცოლ-ქმრულ კავშირს და ამით ძირს უთხრის ფშაველის  
ოჯახის კეთილდღეობას. მით უმეტეს, რომ სიყრმიდანვე წაწლო-  
ბას შეჩვეული და მასში გაწაფული ქალი თუ ვაჟი ქორწინების  
შემდეგაც ვერ იშლის წაწლობას და ეს ოჯახში დიდ უსიამოვნე-  
ბას იწვევს, რადგანაც ქმიარი ცოლს წაწლობის ნებას არ იძლევს  
და, თუ ვინმესთან მოასწრო, ცოლის წამებას საზღვარი არ ექნება.

<sup>1</sup> M. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. I, гл. 229; т. II,  
гл. 96—101.

<sup>2</sup> ს. მაკალეთი, ფშაური წაწლობა და ხეკსურული სწორფრობა, ტფი-  
ლისი, 1925 წ., гл. 23—25.

ამიტომ იმ ნიდაგზე ფშავები ცოლ-ქმრის გაყრაც ხშირია და მიით ფშაველის ოჯახიც ქვეითდება, რაღაც მისი ოჯახის უკონიმიერი კეთილდღეობა უმთავრესად ქალის შრომიაზეა დამყარებული. ამას ფშავლებიც დღეს კარგად გრძნობენ და თავიანთ ქალებს წაწლობას უშლიან, მოწაწლებს იძაგებენ და გარეუნილებს უწოდებენ. მაგრამ წაწლობას ახალგაზრდობას ჩამორჩენილი ნაწილი ჯერ კიდევ მისდევს, რასაც ხელს უწყობს აგრეთვე უკონიმიერი პირობებიც. ზაფხულობით ფშაველი ქალი საქონელს უდებია, აյ ის მემთეობას ეწევა, განმარტოებულ ქოში ცხოვრობს და წაწლებიც აქ მიუღის. ამიტომ, თუ არ ძლიერი ნებისყოფის ქალი, ძნელია სეტ პირობებში წაწლობასაგან თავდაცვა. ამ შემთხვევაში შშობლების მეთვალყურეობაც ძნელია და უშედეგო ამას გამო ქალი ჩადგება თუ არა 15—16 წლის ასაქში, ფშაველი ცდილობს მაშინვე გაათხოვოს, რომ ამით ის გადაარჩინოს წაწლობის მავნე და ოჯახის ამაფორიაქებელ წესებს:

ნეტავ რად არ გამათხუებ,  
მიმაჩიმო, ღეთისავარო?  
განა ბატონო-და ვარ,  
ქალი ოცი წლისა ვარო,  
თორი ძმა-ქმარის შევიწავე,  
ქალ ისითა ჰეკისა ვარო.

წინათ კი წაწლობა საშიში და საძრახი საქმე არ ყოფილია და ფშავლები ქალებსაც უფრო გვიან თხოვებდნენ. ქალს დედ-მამის სახლში შეეძლო 20—30 წლის მდგრადი იყო სქესობრივი ცდუნები—საგან და წაწლებს შორის არსებობდა მეგობრული რომინტიკა და რაინდული დამეკილებულება. იმ დროს ქალს ასეთი ნამშობა სჭირდებოდა, რომ მას ნადობი მოტაცებისაგან თავის ხმლის დაცვა და მთაში განმარტოებული მემთე ნადობი ტუბილი აღფრისათ და შაირსიტყვაობით გაერთო.

ამასთანავე, გასათხოვარი ქალის მამის სახლში მეტ ხანს დაზინდნა ოჯახისათვის სასარგებლო იყო, რაღაც არ ის თავისი შრომით ხელს უწყობდა ოჯახის კეთილდღეობას. ქალი თავის სათავ-ნოსაც იმზადებდა და, კინ კი მეტ ხანს რჩებოდა, სათავნოც უშთა-

სი ჰქონდა და მას კარგი მოხველი ეტანებოდა. მიიტომ ვინც 25 წლიდან თხოვდებოდა, მას მოწონებაც მეტი ჰქონდა: „დიღხეს მამის სახლში ნამყოფი ქალიაო“, იტყოდნენ თურმე.

ამ მიზნით მე გადავათვალიერე „მეტრიჩესეის წიგნი შუაფხოს წის გიორგის ექლესიისა, ჩიკო (1829) წლის“, სადაც სისძლო ქალის წლოვანება 16—30 წლით განისაზღვრება, ვაჟისა კი 20—40 წლიამდე. მათ შორის, უძეტეს შემთხვევაში, სისძლო 20—30 წლისაა და სასიძლო კი 25—35 წლისა. მის შესახებ ჩვენ აქ მოვიყვანთ ერთ მეტრიკულ ამონაშერს:

„ჩიკო (1829) წელსა, ნოემბერსა გ (3) შუაფხოს ბაღრის შეილმა კი (25) წელს იქორწინა პლ-თა (პირველითა) ქორწინებითა ფშავის მცხოვრების საღირაშვილის გამიხარდის ქალს ქალთამზესთან კდ (24) წლის, გვირგვინი უკურთხა მღვდელმა იოანე ხუცურაულმა“.

\* სხვადასხვა თემის ფშაველი იხალგაზრდობა ერთმანეთს ხატობა-დღეობებში და ქორწილში ხვდებიან, სადაც ისინი მორთულ-მოქაზშულები თავს იყრიან და დროს ცეკვა-თამაშში ატარებენ. აქვე ხდება სისძლო-სასიძლოების დაზვერვა, მხოლოდ ერთი პირობის მტკიცე დაცვით, რომ არ შეიძლება ერთი თემისა და ხატის ყმის ქალ-ვაჟის შეულლება და, ვინც ამას დაარღვევს, იმას თემი მოიკეთს და ფშავის ხევიდან განდევნის. ამასთანავე, არც თავის თემის ძმათაშვილის ქვრივის შერთვა და არც სხვა თემში გათხოვილი ძმათაშვილის ქალის შეიღლის შერთვა შეიძლება და ამას ფშაველები დღესაც მტკიცე იცავენ.

წინათ „მუცლად დაქორწინებაც“ სცოდნიათ. როდესაც მშობლებს ერთმანეთის ხათრი და სიყვარული ჰქონდათ, ხატში პატარა ქალ-ვაჟსაც თურმე ნიშნავდნენ და ასე იტყოდნენ: „ხატი იყოს თავდები, რომ ეს ქალ-ვაჟი ერთურთს არ გავყროთო“.

ქალის გათხოვება-გარიგების საქმე მშობლებს ეკითხება და ამ შემთხვევაში ქალ-ვაჟის ერთმანეთის მოწონება-სიყვარულს ნიკლებ ანგარიშს უწევენ. სისძლო-სანეფოს შერჩევის დროს ფიზიკურ სილამაზესთან ერთად ყურადღება ექცევა ქალისა და ვაჟის შრომა-გარჯილობას. ფშაველის შეხედულებით, ქალი ტანადი და

გრძელთმიანი უნდა იყოს, რომელსაც ჟალ-გულზე ღილაშვილი  
და შიბი მაუხდებათ:

ფანდურო, ცოლი მითხვევ ყელდოლიანი ქალი,  
ჩამოიდეს კერის პირსა, ჩამოიჭიანოს თმანი.

სახით ფშავლებს თვალდახატული და მარწყვიცით ფერიანი ქა-  
ლი მოსწონთ, მაგრამ, ამასთანავე, ის ნამუსიანი და ერაზე მჯდო-  
მი უნდა იყოს: „ყმა გასულ-გამოსული სჯობს, ქალი კერაჩი ნაჯ-  
დომი“—ო. მასვე მოეთხოვება სტუმრის გულუხვი დახვედრა და  
გამიასპინძლება. მაგრამ საცოლეს აჩჩევანში მთავარია მუშა და  
გამრჯელი ქალის შერჩევა: „ქალი თუ გინდა ლამზი, დაქველა  
ქერის მეაშია“—ო. ზირმაცი და უხელთური ქალი ფშავლის ოჯახის  
დამღუპველია:

რა ვამღერო, რა ვამღერო, ლარიბი ვარ ღატაკია;  
არც ხარი მყავ, არც ფური მყავ, არც ცოლი მყავ ფარსაგია,  
ვერც ჩასთხო ფარტენანი ვერც მოქსოვა ფარდავია.

კარგ პატარძალს პატივსა სცემენ და მას „სახლის გვირ-  
გვინად“ სთვლიან. უდედაყაცო სახლი კი, ფშავლების თქმით,  
უანგელოზოა და უბარაქო.

ასეთი სასძლოს შერჩევის შემდეგ ვაკის მშობლებმა უნდა პირ-  
ველად ქალის დედ-მამას მიმართონ და ქალი სიხოვონ. ამ შემთხ-  
ვევაში ქალის მშობლები თავს იკავებენ და „ქალის ბედის და და და“  
კარზე მოსკლას უცდიან, რომ არაერთ ქალის „და და და და“  
არ დაძრახოს.

მთხოვარი თავის მხრივ ქალის პატრონს შეამავალს — „მარ-  
გა ქალს“ — უგზავნის და ამ მიზნით ვაკის დედ-მამა ქალის მო-  
კეთებსთან მიღიან, უმხელენ თავიანთ სურვილს და თუ საპატარ-  
ძლო სხვაზე დანიშნული არ არის, მაშინ მას მაჭანკლობას სთხო-  
ვენ. მაჭანკლიც საჭმის მოგვარებას შეუდგება. თუ ქალის გართ-  
გება მაჭანკლის ერთი ან ორი მისვლით გათავდა, მაშინ ქალის  
პატრონს მეზობლები დასძრახავენ და იტყვიან, ქალი ძალად შია-  
თხოვაონ და ეს თემში სირცხვილია. ამიტომ მთხოვარი ორ წლისში  
უნდა ატარონ, რომ ამით საპატარძლოს გარდიანობაში თავი მო-

იქნ. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში, შესაძლებელია, ქალს სხვა მთხოვარი გამოუჩინდეს და ახლა ეს მოქიშპე შეეცდება ქალის მშობლებს თავისი მაჭანქალი მიუგზავნოს. ამ შემთხვევაში საქმე ქალის მოტაცებაზე მიღება და ფშავში ქალის მოტაცება დღესაც ხშირი შემთხვევაა.



მოტაცებული ქალი (კართან დგას).

ქალის მოტაცება აქ წინათ გავრცელებული ყოფილა და დღესაც ფშაველები ხშირად ცოლს მოტაცებით ირთავენ. ქალის მოტაცებას, რასაკეირველია, თავისი ისტორიული გამართლება ჰქონდა წარსულში: ეს წესი საგვარეულო წყობილების ნაშთია, როდესაც ვაჯს საცოლე უნდა შეესყიდა და შეუძლო მთხოვარიც იძულებული იყო, საცოლე ძალით მოეტაცა. ეს ჩვეულება გადა-ნაშთის სახით ფშავში დღესაც ცოცხალია, მაგრამ სულ სხვა სო-

ცისლური პირობებითაა გამოწვეული. ფშაველი ახალგაზრდობიდან დღეს გაუტენის მცენერისა და მშობლების გარიგებულ პირზე დაკორწინებას და, როდესაც ქალი ასეთ საქმროს წუნობს და ამავე დროს სხვა ვაჟი მოსწონს, ის მას მოტაცებით მიჰყება. რასაკირველია, რაის ძალიდ მოტაცების შემთხვევაც, მაგრამ ეს აქაც იშვიათია.

ჩემს ფშავში ყოფნის დროს მოტაცების რამდენიმე შემთხვევა იყო და დაკითხების ირკვეოდა, რომ მოტაცება ნებაყოფლობითი იყო, იქვე რიგდებოდნენ და ჯვარს იწერდნენ.

მოტაცება ქალის წინასწარი გაფრთხილებით და თანხმობით ხდება. როდესაც ქალ-ვაჟს ერთმანეთი მოსწონთ და ქალს მშობლები სხვაზე ნიშნავენ, მაშინ ვაჟი წაიყვანს მხანაგებს და მოსატაცებელ საცოლეს დაელოდება საღმე საძროხეში ან ბოსელში, როდესაც ის მეთეურია, და გაიტაცებენ. ქალის პატრონმა და სოფელმა მდევარი უნდა გამოუყენოს, გაწუმება და უმოქმედობა სირცეებით. ქალის მომტაცებლებს მმათაშეილები დაედევნებიან და, თუ მდევარი გზაში დაეწია, გაიმართება ბრძოლა და, ვინც გაიმარჯვებს ქალს ის წაიყვანს. ამ შემთხვევაში ზოგჯერ მკვლელობასაც იქნა აღგილი, მაგრამ გამარჯვება უმეტეს შემთხვევაში ვაჟის მხარეზეა და, როცა საცოლეს ოჯახში მიიყვანენ, მაშინ დაიწყება შეუაცების ქალის მშობლებთან მიგზავნა და შერიგებაზე მოლაპარაკება.

წინათ ქალის მდევრებს ვაჟის მშობლები სახლის კარებთან ხარსა და ცხვარს მიაგებებდა, ლაშარის ჭვრის პატივსაცემად უფროი კაცი ამ ხარით კარებში დადგებოდა და მდევარს სთხოვდა ლაშარის სახელით პატივებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მდევარი ვაჟის ოჯახს დაარბევდა: შევარდებოდნენ სახლში და დასამტკრევს ამტკრევლნენ, საჭმელს აფუშებდნენ და აონებდნენ, საქონელს გაიყვანდნენ და ყელს დასჭრიდნენ. მამაკაცები მიიმაღებოდნენ და მდევარს დედაკაცები ებრძოდნენ, მაგრამ ვერას ხდებოდნენ. მხოლოდ ლაშარის ხარ-ცხვრის მიგებების შემდეგ მდევარს დარბევა ეკრძალებოდა, შურისძიება და მკვლელობა არ უნდა ჩაედინა. შემდეგ დაიწყებოდა, შერიგებაზე მოლაპარაკება. იმ შემთხვევაში, თუ შერიგება მოხდებოდა, მდევარი ხარს საპატარძლოს აჩუქებდა, ცხვარს კი იქვე დაპკლავდნენ და შეკამდნენ. წინააღმდეგ შემთხ-

ევგაში, ხარი და ცხვარი მდევრებს რჩებოდა. ამასთანავე, სასიძოს მდევრებისათვის ფულად „საჯარე“ უნდა მიეცა.

ზომტაცებელმა ქალის მშობლებს ერთი წლის განმავლობაში „პატივია“ უნდა მიართეს, რომ ისინი შეირიგოს. პატივის აუღებლობა თემში სირცხვილია და ასეთ მშობლებს სოფელი დაძრახავს, ქალი მოსტაცეს და პატივი არ დასდესო. პატივის რაოდენობა ქალის მშობლებზეა დამოკიდებული. ზოგი ამ „ს ა უ პატ ი ო ჯ ა რ ი მ ა შ ი“ ფულსაც და საქონელსაც იღებს. სანჩ სასიძო ქალის მშობლებს პატივს არ მიართევს, ისინი ქალ-სიძეს არ შეირიგებენ, ქალის მშები და ბიძაშვილები სასიძოს მუქარას უთვლიან და ბოლოს შურსაც იძიებენ.

ამასთანავე, მშობლები ქალს სათავნოსა და ტანისამოს-სამეაულსაც დაუკავებენ და ოჯახიდან აზაფერს მისცემენ. გაიღლის დრო და ქალ-სიძე შეწუხდება და ქალის მშობლებს საუპატიო გარიმა-საც გადაუხდიან. თვითონაც ძლვნით წავლენ და ქალის მშობლების ოჯახში გაიძართება წვეულება, დაიწვევენ მეზობელ-მოქეთე-ებს, გაიშლება სუფრა და აქ ორივე მხარე ერთმანეთს საბოლოოდ ურიგდება. ამის შემდეგ ქალს ეძლევა თავისი სათავნო და ბარგ-ლოგინი.

ამგვარად, მოტაცება აქ დღეს ერთგვარი ხერხია და ქალს ამით საშუალება ეძლევა, დედ-მამის უნებურად თავის მოწონებულზე გათხოვდეს.

„დ ვ ე თ ი ლ შ ი ჩ ა ს მ ა“. მოტაცებასთან ერთად წინათ ფშავ-ში „კვეთილში ჩამაც“ სცოდნიათ. ქალს თუ ორი მთხოვარი გა-მოუჩნდებოდა ერთ-ერთი დასწრებაზე საჯაროდ გამოაცხადებდა, რომ ესა-და ეს ქალი ჩემი-საცოლეა, არაენ შამეცილოს და, ვინც გაბედავს, ახლავე მტრობას უცხადებო. ამის თქმას ვინც პირვე-ლიად დაასწრებდა, ქალიც მასზე უნდა გათხოვილიყო ან სამუდა-მოდ გაუთხოვარი რჩებოდა.

ზოგჯერ თვითონ ქალი თავის თაქს „კვეთილში ჩაისვამდა“ ამ უკიდურეს საშუალებას ქალი განსაკუთრებულ შემთხვევაში თუ მიმართავდა. მაგალითად, როდესაც წაწლის დათმობა უმძიმდებო-და და სხვაზე გათხოვება არ სურდა, ან მშობლები ვინმეზე ძალით ათხოვებდნენ. ზოგჯერ ქალს ორი მთხოვარი გამოუჩნდებოდა, ორივენი ქიშპობდნენ, ქალს მოტაცებით ემუქრებოდნენ და სხვ.

ამ შემთხვევებში ქალი თავს „კვეთილში ჩაისვამდა“, მიღიოდა ხატში და იქ აღთქმს დებდა, რომ ხელს ვიღებ გათხოვებაზე და ქალწულად ვრჩებით. ამგვარად, ის თავს ხატს სწირავდა და ხატის „მოწმინდარი“ ხდებოდა. ამის შემდეგ ქალს ხელს ვერ ახლებდნენ. ეს ჩვეულება ფშაურ ლექსებშიაც არის გალექსილი, საღაც ქალი გმირ თორლვას ეუბნება:

მოგივიდოდი ცოლადა, არ ვიყო კვეთილიანი,  
თავს კი ნურას მაიწონებ, მამა მეცა მყავს ხმლიანი“-ო.

ზოგიერ გადაკიდებული მთხოვარის მოშორების მიზნით ქალი შეუთვლიდა: ჩემზე ხელს თუ არ აიღებ და თავს არ დამანებებ, მაშინ ხატს თავს შევწირავ და შემდეგ, თუ ვაუკაცი ხარ, წამიყვანეო. ამ შემთხვევაში ქალმა იცოდა, რომ თავშეწირულს ხატის შიშით ხელს ვერ ახლებდნენ და მთხოვარი ხატის „მუხანათი“ ვერ გახდებოდა. მაგრამ „კვეთილში ჩასმა“ უკიდურესი და ძნელი საქმე იყო და ქალიც უქმარშვილოდ უბედურად ბერდებოდა. თავშეწირვას ვერც თემის ბჟევები და ვერც ხევისბერები გააუქმდნენ.

ამგვარად, გულაძი და თვითნება ქალი ასეთი ხერხებით ცდილობდა თავიდან მოეშორებინა დედ-მამისა და მაჭანკლის დაძლებით გარიგებული საქმრო, მაგრამ თავის მოწონებულზედაც ვერ გათხოვდებოდა და ის დედ-მამის ოჯახში ბერდებოდა. ასეთი ქალი ფშავში მოწონებაში არ არის და მას თავწევრასა და გავიარდნილს უწოდებენ. მაგრამ, თუ ქალი სუსტი ნებისკოფისაა და დედ-მამის მორჩილი, მას შშობლები მაჭანკლის დასმარებით თვითნებურად ათხოვებენ.

ნიშნობა და ქორწილი. მაჭანკლის ელჩობა და მისელა-მოსვლა ორ წლამდე გრძელდება. ბოლოს მაჭანკალი ქალის შშობლებისაგან მიიღებს „დაიმედებას“, ე. ი. გავრით თანხმობას, რომელსაც ჩეირი მოპყვება „აგრეობის“ თქმა, ე. ი. თანხმობის პირდაპირ გამოცხადება. ამ მიზნით მთხოვარი სასტლოსას ძღვნით მიდის და თან მიაქვს პური თავისი სატანით და არაყი. ქალის შშობლები წესისამებრ ერთხელ კიდევ გაინაზებიან, ქალის დანიშვნაზე უარს იტყვიან და ასე ჭიუტობენ. ისევ გაიმართება თათბირი და ხვეწნა-მუდარი. ბოლოს ქალის შშობლები თანხმდებიან და ამის ნიშნად მთხოვარის პურ-ღვინოს მიირთმევენ. გაიშლება სუფრა,

დაიწვევენ მეზობელ-მოქეთეებს და აქ ორივე მხარე ერთმანეთს „აგრეობის“ ეტყვის და მის სიმტკიცის ნიშნად მთხოვარი ქალის მშობლებს 5—15 მანეთს გადაულოცავს, რასაც „ლიშნის დაჭერა“ ეწოდება.



შეჯვარე ხონჩით და მის შარჯვნივ ნეფე-პატარძალი

აგრეობის თქმისა და ნიშნის დაჭერის შემდეგ ქალი ვაჟის და-ნიშნულიდ ითვლება და აგრეობის გადათქმაც არ შეიძლება. წინათ აგრეობის თქმის შემდეგ ქალს სხვა მთხოვარი თუ გამოუჩნდებოდა და მის დანიშნულს შეცილებოდა ან ქალის მშობლები დანიშნულზე გულს შეიცვლიდა და მას უარს ეტყოდა, მაშინ მთხოვარი ბჭეებს მიმართავდა. ამ შემთხვევაში ბჭეები მხედველობაში არ იღებდნენ ქალისა და მისი მშობლების სურვილებს. ისინი ამას ძიობდნენ, ქალის პატრონმა „აგრეობა“ მიიღო თუ არა. აგრეობა თუ მიღებული ჰქონდა, ქალი მთხოვარზე უნდა მიეცა და უარსაც გერ იტყოდა. აგრეთვე, თუ ორი მთხოვარი ერთმანეთს ეცილე-

ბოდნენ, ქალს ბჟევები იმს აქუთვნებდნენ, ვისაც მისთვის პირველად „აგრეობა“ ეთქვა.

გაიღლის ხანი და ახლა მთხოვარი „გარად“ სასძლოსას მიღის. სასიძოს მიქვე „სახლის სანახავი“ ძლვენი: პური, საკლავი, სასმელი და სხვ. ქალის პატრონიც მთხოვარს თავისი ნამზადისით ხვდება. ქალისს გაიშლება სუფრა, დაიწვევენ მოკეთებს და გაიმართება ლხინი და თამაშობა. მეორე დღეს მთხოვარის მოყვანილ ჭედილას დაქლავენ და სადილს გამართავენ. გაიშლება სუფრა და მოწვეული ხალხი დაჯარდება. სასძლო-სასიძოს ერთად დასვამენ და წინ დაუდგამენ ღვინით სავსე ერთ გობს. ხევისბერი ამ გობს ანთებულ სანთლებს მიაკრავს, გობიდან ყანწებით და კონჩებით ღვინოს ამოილებს და ანთებული სანთლებით საპატიო პირებს მიაწოდებს. ყველანი ფეხზე დგებიან და ქუდს იხდიან. მხოლოდ დანიშნულები სხედან და ხელში სავსე თასები და ანთებული სანთლები უჭირავთ. ხევისბერი წინ წადგება და ასე დაილოცა:

„დიდება შენდა, გიორგი მუხის ანგელოზო<sup>1</sup>, ლაშარის ჭვარო, თამარ დედოფალო! გიორგი მუხის ანგელოზი გწყალობდეთ ერთგან შეყრილ ახალ ყოილთა (იტყვის სასძლო-სანეფოს სახელს) ერთურთს შაგაბერნეს, ერთ სასთაულზე დაგაბერნეს, გქნეთ ეტლიან-ბეტლიანი და ბედიან-დავლათიანი. გიორგი მუხის ანგელოზო, ქალის პატრონს დღეს ქალის ქორწილი აქვ, ხვალ ვაეისა მიეც, ვაეის პატრონს ვაჟის ქორწილს ნუ მაუშლი. დაიცავით, დაიფარეთ ლალის მტრისაგან და მწარე სიკვდილისაგან. უმატეთ ამათ სახლისა ლონესა, გაცსა-გაცრიელობასა, იგრემც გაემარჯვება თქვენს ხმალსა, თქვენს ძალასა და სამართალსაო“. და ბოლოს დაიძახებს: „გაუმარჯოს!“ ყველანი ერთხმად უპასუხებენ: „გაუმარჯოს!“

ამავე დროს, ვისაც ეხერხება და შეუძლია, ზოგი გრძლად და ზოგი მოკლედ, იმეორებენ ხევისბერის ამ მუხის სადიდებელს. სხევები კი ახალდანიშნულებს უსურვებენ ბეჭნიერებასა და დღე-გრძელობას.

1 მუხის ან მუხის ანგელოზის ეს საღიღებელი დაკაუშირებულია იმ მუხასთან, რომელიც, ხალხური გადმოცემით, ლაშარის გორზე მდგარა და ოქროს შიბით ჟეცაში ყოფილი მიბმული.



ନେତ୍ରୀ-କାନ୍ତିକାଳୀ

ამის შემდეგ ირჩევენ თუ „მყეფ ფარს“ — ერთს სასძლოსა და მეორეს სანეფოს მხრით, რომლებმაც უნდა „სანაწევრო“ საჩუქრარი მოაგროვონ და თან შეაქონ, ბოლიში მოხალონ და იონეუნჯონ. მყეფარი სასძლოს წინ ხელსახოცს გაშლის, შესაწევარს, ფულია თუ ნივთი, ჩამოართმეტს, იტყვის ვისია და რამდენი, და თან ასე ოხუნჯობს:

„გააბლათ ჩემი თავი ფოცხვერაშვილმა — ძმაო გამახარე და რძალო ანუკაო, მართალია, ცხვარი დამელია, კიზარალე, მაგრამ იძღვნი კიდევ დამტჩაო, რო ერთი ჯმდაგი გამეცილა და არ გამოვრჩეულიყავ მეზობლებში, სწორ-მტანაგებშით. თან ისიც ვიფიქრე, კაცმა სისწორით უნდა თქვას, დაფარული ეშმავისა არიო, ბეჭინტურის ქალს ავ-კაცს ამბობენ, გამეგონა მოჩხუბარიან და მე, როგორც მწევმი, ნახევრად ხან შინა არა ვირ, თავდანებებული ჯალაფობა მყავ, ამ თავითვე მოვიმაღრიფელო, ჩემზედ კარგი გული ჩაიდგა, ერთი მწერელ-ჩილი (საწყალი) დედაკაცი მყავ, მეზობლობაში ათასჯერ გაუხდება დუღაკაცებს, არ მიმიბნიდოსო!“

შამაუწევია ერთი ოქრო (თუნდ ერთი მანეთი იყოს), დმერთმა აშენოს!

„ააშენოს! ააშენოს!“ — ისმის ჩემები!

მყეფარი სანაწერს სასძლოს გაშლილ ხელსახოცზე დადებს და იხლა მეორეს ართმევს სანაწერს და ისევ ოხუნჯობს.

სასძლომ სანაწერს მომტანს ერთი წყვილი ჭრელი წინდა უნდა აჩუქოს. წინდა კარგი ფერისა და ღირსებისა უნდა იყოს. ყველანი იქვე სინჯავენ წინდის სიაგვარეებს. მყეფარსაც ერთი წყვილი წინდა ეძლევა.

ამ დღიდან სასძლო „შინ მოყვანილ ცოლად“ თველება და მისმ შერთვა არავის შეუძლია. საპატარძლომ კიდევ უნდა იცადოს. ამ წნის განმავლობაში ის ბარგა იმზადებს. მზითვე ფშველებში ამ იციან და ქალის ქრთამზე ლაპარაკიც სირცხვილია. ქალი თავის ბარგა იმზადებს სანახავში მოღებული სანაწეოდან და აგრეთვა „სათავნოდან“.

სათავნოს ქალს პატარაობიდან მიუჩენენ და ამ მიზნით ქალს აძლევენ სიძროხე ხბოს და სანაშენო ცხვარს. თავის სათავნოს ქა-

<sup>1</sup> ვაკ ა-ტ-შ-ა-დ-ე-ლ-ა, ფშველი და მისი წრომისფერო, ტელი ხევისოფელი, ტ. 11, ტფალის, 1911—13 წ. ვე 306.



მაყაჩი ნინალიშვილი

ლი თვითონვე უკლის და ამრავლებს, ნაწელისა და მატყლს ყილის და მონაგებ თანხასაც სარგებელში ასესხებს. სათავნოს შემოსავა-ლილან ქალი საქორწილო წინდებს ქსოვს და ბარგ-ლოგის იმზა-დებს. ქალის სათავნო ოჯახში ხელუხლებელია და მისი მოხმარება თუ დაბარჯვა არ შეიძლება. ამიტომ მშრომელია და მარჯვე პა-ტარძალს კარგი სათავნოც შეაქვს ქმრის ოჯახში ფულითა და ბარგ-საქორწილით.

სახლის სანახავის მიტანის დღიდან საქმრო სასტლოს ოჯახში ხშირი სტუმარია, რომელსაც შეუძლია ღამეც საცოლესთან ყოფნა. თუ ქალს მოტაცების საფრთხე არ მოელის, ჯვრის წერის არ ჩქარობენ და ქორწილსაც ვვიან იხდიან.

გაივლის ხანი და მთხოვარი ქალის მშობლებს „შამაიპირებს“ და ქორწილის დრო და უამს აცნობებს. ჯვრის წერა უფრო კვირაობით იციან და ნეფის ოჯახიც საქორწილო მზადებს შეუდგება. ხოცავენ საყლავებს, ცხვება პურ-ლიაცაშები, იმარავებენ სასმელს და სხვა. ნეფე მაყრებით მიღის დედოფლისას, სადაც მას ქალის მაყრები და მორთული დედოფალი უცდიან. აქ საქორწილოდ მორთულ ნეფე-დედოფალს ტოტებიან ვეირგვინებს თავზე დახურავენ და ბეღნიერებას ულოცავენ. გაიშლება სუფრა და მაყრები მონაყრდებიან. სილამ უამს აიშლებიან და ნეფიონი ჯვრისსაწერად წინათ ქალის სოფლის ეკლესიაში მიღიოდა.

ნეფიონში ვაჟის მხრით არიან: ეჭიფი, მეჯვარე და გაეის მაყარი, ქალის მხრით კი: ქალის ძმა, მდადი და ქალის მაყარი.

დღეს საეკლესით წესით ჯვარს უკავე არ იწერენ და სამოქალაქო წესით „ზაქსში“ ტარდებიან. ჯვრის წერის შემდეგ ნეფიონი თოლების სროლით ნეფის ოჯახში მიღის. წინ ეჭიფი წავა და მიაქვს ცხენზე ავიდებული ქალის სათავონ: ლოგინი, ტანისმოსი, ჭურჭელი, ხურჯინით წვრილმანი და სხვ. სოფელს მიუახლოვდებიან თუ არა, ნეფიონი სროლს ატესს და მით ივებენ მათ მოახლოებას. ნეფის ოჯახში დადგება ერთი მჩიარული ქრისტული და წილითა. ყველანი კრში ვადიან ნეფიონის შესახვედრად.

ღამის წყვდიადია და თოლების ჭექა-ელვით ნეფის ოჯახს მაყრიონი მოაღდა. ნეფიონს ცხენები ჩამოართვეს და ისინი სახლის დერეფანზე დაჯარდნენ. ნეფიონის წინ ნეფე-დედოფალი დაუყენეს და უველანი სახლის კარისიაკენ გიემართნენ. სახლის შიგნით კარებში მორთული „ნეფის დედა“ დადგა, რომელსაც თავზე წოპწობა ფშაური გრძელბეწვა ქუდი ეხურა და ხელში ხონჩა ეჭირა. ხონჩაზე იდგა ერბონარევი თაფლიანი ჯამი და საფუარი (ჩაში). ნეფის დედად ირჩევენ ხანშესულ მანდილოსანს. ის ნეფის ნათესავია და ქვრივი და უშვილო არ უნდა იყოს.

მაყრებმა სახლის კარებთან ხმალი და ხანგალი გადააჭვარედინეს და ნეფე-დედოფალიც ამის ქვეშ გაატარეს. კარებში მიეგება



ଶ୍ରୀମତୀ

ପାତ୍ରିକା

ნეფის დედა ხელში ხონჩით. დედოფალი აიღებს საფუარს და კარის ბჭეს წამცობს, რომ პურადი და „ღალიან-ბარაქიანი“ ხელი მიიყოლიოს ოჯახშით. შემდეგ ნეფის დედა ნეფე-დედოფალს თითით სამ-სამჯერ თაფლს შეალოებს და დაილოცება: „ღმერთმა ტქბილად დაგაბეროსთ და ერთმანეთს შაგაბეროსთ“-ო. ნეფის დედა კუდს მოიხდის და თაფლიან ჯამს მეჯვარეს ხონჩაზე დადებს. ნეფე-დედოფალი სახლში შედიან. მათ წინ მიუძღვება მეჯვარე ხელში ხონჩით, რომელზედაც ჯვრიანი მრგვალი პურია და თაფლიანი ჯამი. ჯვარი ვაშლებითა შემეული. დედოფალს ხელი უკიდია ნეფის წელშე შემოკრული ხელსახოცის წვერზე და, როდესაც ეჯიფი ნეფე-დედოფალს სამჯერ შემოატრიალებს, ნეფიონიც სახლის კერისაკენ გაემართება. წინ ჯვრიანი ხონჩით მეჯვარე მიდის, მას მიჰყვება ნეფე-დედოფალი, შემდეგ ხელში ხმლებით ეჯიფი,



ნეფე-პატარძალი წინ ჯვრიანი სუსტრით

მდალი, ქალის ძმა და ქალისა და ვაჟის მაყარი. სახლში მყოფი ხალხი კერის გარშემო ორპირად დაჭდება და ერთი ვინმე „ჯ ვა-რობის სიმღერას“ დაიძახებს:

„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ლმერთი, დასდევ ბეჭედი ერთად შაყრილთა, დასწერე ჯვარი ახალ ყოილთა, შენ, ქრისტე ლმერთო!“

ნეფიონი და ორპირად მდგომი ხალხი ჯვარობის თითოეულ სიტყვას იმეორებს და ნეფე-დედოფალსაც კერის გარშემო სამჯერ შემოატარებენ.

ამავე დროს პატარძლის ძმა და ქალის მაყარი ხანჯლებით საყიდელს სცემენ, რომ ის ჩამოაგდონ და არ მოეშვებიან, სანამ საყიდელს არ ჩამოაგდებენ. საყიდელი ქალის მაყრების საერთო დაელაა და მის ჩამოწყვეტას და დატყვევებას მათ ვერავინ დაუშლის. ნეფიონის კერის გარშემო მესამე შემოვლისას საყიდელიც ჩამოვარდება და ყველანი ერთხმად დაიძახებენ: „გაუმარჯოს!“

საყიდელს დედის ძმა მხარზე გადაიყიდებს და საყიდელიც დატყვევებულია. საყიდლის დასახსნელად ნეფის ოჯახში ქალის მაყრებს „სახსარი“ უნდა მიართვას. სახსარი ამ შემთხვევაში ღვინო ან არაყია არა ნაკლებ ერთი თუნგისა.

შემდეგ მეფე-დედოფალი გაშლილ ნაბდებზე ჯდებიან, იქვე შოუსხდებიან: ეჭიფი, მეჯვარე, მდადი და ქალის მაყარი. დედოფალს ეჭიფი კალთაში ვაეს ჩაუსეამს და ეტყვის: „ვაუიანიმც იქ-ნებიო“. დედოფალი ბავშვს ჭრელ წინდას აჩუქებს.

მეჯვარის მოვალეობაა, ორი დღე ნეფე-დედოფალს ჯერიანი სუფრით დაუძლოდეს, მდადი დედოფალს უვლის, ტანისამოს-სამკაულს უსწორებს. ეჭიფი ნეფეს ახლავს, რომელიც გამგებელი და ქორწილში რიგის მიმცემია. ყველანი ხანჯლებით არიან შეიარაღებულნი, მდადისაც კი ხანჯალი უჭირავს, რომ ეშმაქმა ნეფე-დედოფალი არ დანავსოს.

ვაჟისა და ქალის მაყრები ორპირად დასხდნენ. დანარჩენი ხალხი კერის თავსა და ბოლოს დაჯარდა. ყველას წინ ცალკე ხონჩები დაუდგეს და მეღვინეებიც დაუყენეს. მეჯვარემ ჯერიანი ხონჩა ნეფე-დედოფალს წინ დაუდგა და დაიწყო ვახშმობა. ჩამოარიგეს ლავაშები, ხორცი, ყველი და ყანწებით სასმელი. გაიმართა სმა და

შაირ-სიტყვეაობა. ქალისა და ვაჟის მაყრები ერთმანეთს ასე ალექს-  
სებენ:

ჩენ კი გვინახავს მაყარი. ჩამოეიდოდეს გამწყრალი.  
ხელში ეჭირნეს ჩოხანი, ჩამოხეული, საწყალი.

დაშლილსა ფეტვის მარცვალსა რა დაკრეფს წიწილის მეტი,  
ჩენი დედოფლის მაყართა რა დაპლევს სიკედილის მეტი.

მდადას ქათმის საბუდარაში ჯიჯილო ჩამავებია  
ჩენი ეავების დამწყველსა ჩიქილა გამავებია.

ოცდახუთი წლის ჩინქარაო, სულ შენ დაგცინის ქვეყანაო,  
ცოლი გუავ ჯამიგირზედა, გინდა იმისი მოყვანაო.

ქორწილია და მშადობა, ნეტავი მომცა მდადობა,  
ეჭიბონ დუღუგლებოდი, მაგრამ არა აქვ დაწლობა.

ლმერთო, ნუ მოშლი ამ სახლში ლხინსა და გახარებასა,  
ვაუბის ქორწილობასა, ქალების გასტუმრებასა.

ამ შაირობის დროს საქმე ჯობნაზეა და, რომელ მხარეზედაც  
უფრო კაფიად მთქმელი და გონებამახვილი მოშაირეა, ის იმარწ-  
ვებს.

ზოგჯერ ეს გაშაირება მწვავე ხსიათს იღებს, შეურაცხყოფაზე  
გადადის და ქალისა და ვაჟის მაყრები ერთმანეთს ხანჭლებით და-  
ერევიან, შესაძლოა მოშაირე წუთისოფელსაც გამოასალმონ. სახ-  
ლის დერეფანზე ლხინია გაჩაღებული, უკრავენ გარმონს და თამა-  
შობენ. შუალამე რომ გადავიდა, ზოგი სვენებას მიეცა და იქვე  
წაიძინა. ნეფე-დედოფალს კი ღამე არ უძინიათ.

გათენდა კვირა დილა. მეზობლებმა ქორწილის ხალხი თავიანთ  
ოჯახებში ხინკალზე დაიწვიეს. ნეფე-დედოფალი და ზოგიერთი  
საპატიო მაყარი მეგვარემ მიიპატიეა. ნეფის ოჯახი ქორწილის სამ-  
ზადისს შეუდგა. დიასახლისები ფუსფუსებენ: ზოგი ფლავის  
ბრინჯს არჩევს, ზოგი ხორცს ხარშავს, ჭურჭელს რეცხავს და სხვ.  
ჩქარა ნანადირევი ქათმებით მაყარიც მოვიდა. ქალის მაყარი ქათ-  
მებს ხოცავს და ეს მათი საკუთრებაა. დიასახლისი მათ ხელადა  
არაყს მიართმევს და დახოცილ ქათმებს ჩამოართმევს.

ხინკლობილიან ახალგაზრდობა ნეფის ბანზე თანდათანობით მოგროვდა და გაიმართა ცეკვა-თამაში. უკრავენ გარმონს და ლეკურს ფშაურიად თამაშობენ. მოცეკვავე ვაჟს ქალები რიგით გაეთმაშებიან და საქმე ვაჟის გამძლეობაზეა. კარგმა მოთამაშე ვაჟია რამდენიმე ქალი უნდა გაითამაშოს და არ მოიქანცოს.

ზოგი ფანდურსაც უკრავდა და მონოტონურ პანგზე ფშაურ ლექსებს მღეროდა. ნაშუადლევს სახლის ბანზე ქორწილის სუფრა რა გაიშალა. ძირს გაშალეს ტყავ-ფარდაგები და ხონჩებით დადგეს პურ-ლავაშები, ხორცი, ყველი, ტიკებით კი ღვინო და ორავი. შუა სუფრაზე ჩადგეს ერთი ქვაბი ლუდიც. კაცები და ქალები ცალ-ცალკე სხდებიან. ნეფე-დელოფალს კაცების რიგში სვამენ. მათ გვერდში უსხედან: ეჭითი, მდადი და ქალის ძმა. ხევისბერი ლუდიან ქვაბს ანთებულ სანთლებს მიაკრავს. ის ნეფე-დელოფალს და უფროს კაცებსაც ანთებულ სანთლებს ჩამოურიგებს. ყველანი დებიან, გარდა დედოფლისა და მდადისა, ქუდებს მოიხდიან და ხევისბერი ხელში ანთებული სანთლით და ღვინით სავსე თასით „ახალ ყოილთ“ ასე დაამწყალობებს:

„გაუმარჯოს ხელმწიფე ლაშარის ჭვარს მუხის ანგელოზს, სწყალობდეს წაღმართ-წაღმართის პატრონს, წაღმართი კეთილად მოუხდინს, რანც ერთად შაუყრიან!

გიორგი მუხის ანგელოზი სწყალობდეთ ერთად შაყრილ ახალ ყოილთა, ერთურთს შააბერდნენ! შენ მიანიჭე წულმრავლობა, ღალიან-ბარაქიანობა, ვაჟით ვაჟიანი, სამჯერ ვაჟიანი, ორჯერ ქილიანი.

ქალის პატრონი ხვალ ვაჟის ქორწილს დაასწარ, ვაჟის პატრონს მუდმივ ვაჟის ქორწილს ნუ მაუშლი, ახადე მტრის ხელი, მოაშორე სიკვდილის ძმა, მიეც შემოლგომა ღალიან-ბარაქიანი, ზამთარი წულიან-ბურიანი, ზაფხული სიხარულისა.

ვაჟის მაყრებო, მუდმივ ვაჟის მაყრებიმც იქნებით, ქალის მაყრებო, დღეს დის მაყრები ხართ, ვაჟის მაყრებიმც იქნებით.

გაუმარჯოს ხელმწიფე ლაშარის ჭვარს, შეიწყალოს ლაშარის ჭვრის პიროფლიანნი.

მდადო, დედოფლი გაგიშაროს, ეჭითო, შენს ნეფეს გაუმარჯოს!

უკელანი შესძახებენ: „გაუმარჯოს!“-ო.

ხევისბერის წარმოთქმულ მუხის საღიდებელს მოკლედ და დას-წრებაზე იმეორებენ: ეჯიფი, მეჯვარე და ქალის ძმა. ეინც „მოქ-რით“ და მკაფიოდ იტყვის, ის გამარჯვებულია.

მწდებები სავსე ყანწ-ჯიხვებით ყველას სასმელს აწვდიან. ეინც შესვამს, ცარიელს იქვე გააგორებს. მღადი ნეფე-დედოფალს სამ-ჭერ შემოატრიალებს და იქვე დასვამს. წინ დაუდგამენ ჭვრიან სუფრას. ყველანი სხდებიან და პურის ჭამას შეუდგებიან. დაიწყე-ბა „ზღვნობა“. ძლვენი ხონჩით მიაქვთ და ზედ აწყვია, ვის რა ემე-ტება: საკაბე და საჩიქილე ფართალი, წინდები, ფული და სხვა. ნეფე-დედოფლის წინ მყეფარი დადგება, ძლვენს ჩამოართმევს, იტყვის მეძღვნის სახელსა და გვარს და მას ენამაბვილიანი ოხუნ-ჭობით დაახასიათებს.

ნეფის დამ ან მისმა ბიძაშვილმა ნეფე-დედოფალს „მაშხალა“ უნდა მიართვის. მაშხალა პატარა ხის სუფრაზეა გამართული. მაშ-ხალის წევრზე ჭვარია გამოსახული, ტოტებზე წიმოცმულია წითე-ლი კერცხები და ვაშლები, ზედ ჰყიდია აბრეშუმის ძაფი, ჭრელი წინდები, საფუხხრები, თეთრი თავსაქრავი და სხვ. მაშხალის სუფ-რაზე აწყვია საკაბე ფართალი და ხინკლები.

ამ მაშხალს მყეფარი ჩამოართმევს და იტყვის:

„ნეფის დამ გაახლა ჩემი თავი, ძალიან გამეხსარდა შენი გვირ-გვინონსნობაო, მინდოდა, დიდი რითომე შემოგწევიყავო, ხარითა და ფურითა, მაგრამ ეს ვერ შევძელ და ეს მაშხალა და ფარჩა შენთვის მომირთმევითა“.

მყეფარი სიტყვას ამთავრებს: „თქვენ გაბეჭნიეროთ და ის ღმერთმა ააშენოს!“

ყველანი უპასუხებენ: „ააშენოს, ააშენოს!“

ამავე დროს მყეფარი მამაკაცებისაგან სანაწეო ფულსაც იღებს, წამატებით იტყვის და ნეფე-დედოფლის წინ გაშლილ პირსახოცზე დადებს. ძლვენი პატარძლისაა და მის სათავნოში შედის, სანაწეო კი ნეფისა და მისი ოჯახის საქუთრებაა.

გაშლილ სუფრას ხელში დიდი ხონჩით „მერიგე“ ჩამოუკლის და ყველას მოხარშულ ხორცს ჩამოურიგებს. შემდეგ წვნიან ჭა-მებსა და ლავაშებს მიიტანენ.

ქორწილი გაჩაღდა. დაიწყო მხიარული სიმღერა და შაირსი-ტყვაობა. გაიმართა ცეკვა-თამაში. მოთამაშებს ნეფის და ყანწით

სასმელს ამჟევს. ამგვარად დაიწყო მაყარში შეჯიბრი: ცეკვაში, სიმღერა-ლექსობაში. შეზარხოშებული მაყრები გაიძახოდნენ: „ხი-დის ქვეშ, ვაჟის მაყრებო, ხიდის ქვეშ, ქალის მაყრებო“. ეს შეჯიბრი ზოგვერ ჩიტუბით თავდება ხოლმე.

ქორწილის მესამე დღეს „საწალ მართო“-ს გადაიხდიან. დაიყვლის საკლავი, გაიშლება სუფრა, სანთლებს აანთებენ და ხევისბერი „მუხის სადიდებლით“ დაილოცება. შუადღისის ნეფიონი ნეფე-დედოფალს ადლეგრელებს და მეჯვარე გვირგვინის მოხდას შეუდგება.

მეჯვარე მარჯვენა ხელში ხმალს დაიქერს, მარცხნაში ხანგალს და მათი წვერით გვირგვინს ჭერ მეფეს მოხდიან და შემდეგ დადოფალს. გვირგვინმოხდილი ნეფე იმ წამსევ უნდა გაიქცეს და მიიმალოს. თუ მაყრებმა ნეფე დაიჭირეს, სახსრად ერთი ხელადა სასმელი უნდა მიიტანოს და თავი ისე დაიხსნას. ზოგვერ გვირგვინა-ანდილ ნეფეს ლაფითაც თხუპნიან.

გვირგვინის მოხდის შემდეგ ქალის მაყრები მოითხოვენ სამაყროს და სამდაღოს. ქორწილის პატრონი ძლიერებს ერთ ქათამს და ფულს. აღებულ ფულს მაყრები სანახევროდ უნაწილებენ მდაღსა და პატარძალს.

ამის შემდეგ დაიწყება „სალილედ“ ქალის მოტაცება. ამ მინნით ქალის მაყარი სოფელში დატრიალდება, რომ ვინმე გაუთხოვარი ქალი გაიტაცონ. ქალები იმალებიან და, თუ მაყრებმა ხელში ვერ ჩაიგდეს, მაშინ მცირეწლოვან გოგოს გაიტაცებენ. ქალის პატრონი მაყრებს გამოეკიდება, მაგრამ „სალილეს სახსრად“ სანამ ერთ ხელადა არაყ არ მიართმევს, მანამ გატაცებულ ქალს ვერ დაიბრუნებს.

ამით ქორწილი თავდება და მაყარი მასპინძელს ემშვიდობება. მასპინძელი სტუმრებს კიდევ ეპატიუება და ხურჯინში საგზალსა და სასმელს უწყობს.

ერთი თუ ორი კვირის შემდეგ სიძე-პატარძალი ქალის ოჯახში ძლვნით მიღიან და ამას „გიდლის წალება“ ეწოდება. ამისათვის აცხობენ ერთ დიდ ქაღას და 12 კვერს. მივლენ ოჯახში, ქალის მშობლები დაიწვევენ მეზობელ-მოკეთეებს და ამ ქადაგვერით უმასპინძლდებიან. გამობრუნებისას ნეფე-პატარძალს ქალის ოჯახი გამოატანს ასეთივე ქადა-კვერებს, რომლითაც ახლა

ვაკის ოჯახი უნდა გაუმისპინძლდეს თავიანთ მეზობელ-მოკეთეებს.

ახალ ჯვარდაწერილ ნეფე-პატარძალს საწირ-სანთლით პირველად ქმრის სალოცავ ხატში გაიყვანენ, საღაც მას ხევისბერი და-ამწყალობებს, შემდეგ კი ქალის მამის სალოცავში მიღიან და თან უნდა წაიღონ „გას ა მ ყ ვ ა ნ თ ქ ა დ ა“ საწირ-სანთლებით და მათ აქაც ხევისბერი ამწყალობებს.

მათურლები თავიანთ პატარძალს, როცა ხატში პირველად გაჰყავთ, მძინარე მათურლაში აბანავებენ. ეს იციან მარიამ წმინდის ხატობაში (მარიამობა) სოფ. მათურაში. პატარძალს ჯერ ხატში ალოცებენ და შინ გამობრუნებისას ვინმე მოკეთე უფროსი დედა-კაცი პატარძალს იქვე წყალში ჩააყენებს და ხატს შეახვეწებს. შემდეგ ის პატარძალს წყალში ჩასაწვენად ორჯერ მოხრის და მე-სამეჭერ კი პატარძალი წყალში ჩაწვება ისე, რომ წყალმა მას ზედ უნდა გადაუაროს. მორთული პატარძალი ტანისამოსიანად ჩაწვება და წყლიდან ამოსელისას მან ტანისამოსი არ უნდა გაიშუროს და არც ცეცხლზე გაიშროს და შინ ისე წავიდეს, რომ ის ხატმა არ დაამიშეზოს.

სოფ. მუქმში ამავე მარიამობას სიძის „ქვაზე მობმა“ იციან და ამ ქვას „სასიძეო ქვას“ უწოდებენ. ეს ქვა ღლესაც და-ცულია სოფ. მუქმს ეკლესიასთან და როცა ხატობას წოწურა-ულების ახალსიძეები მოვლენ, ხატობის მეორე ღლეს ამ ქვაზე ერთი მოხუცი გადაჭდება და ქვას სიძე ორივე ხელით მოეჭიდება. სიძეს ორივე ხელს მოხუციც მაგრა დაუკერს, რომ ქვას ჩაჭიდებული იგი ჩეარა არ მოწყვიტონ. სიძეს უკან წელში ორივე ხელით მოებმის რამდენიმე ახალგაზრდა და მას უკიდან ეწევიან, რომ ქვას მოგლივონ. სიძე უძილიანდება, მაგრამ ბოლოს მას მაინც მოგლეჭენ, ხელში აიტაცებენ და საჯდომით ქვაზე სამჯერ ახლიან.

ფუშავში ცოლ-ქმარი ერთმანეთს სახელს არ ეძახის და შემთხვევის დროს „პეო კაცო“-თი უძახიან. ცოლ-ქმრული კავშირის ერთი აუცილებელი პირობათაგანი ფუშავში ცოლის ნამუსიანობაა. ამიტომ მრუშობისათვის და ოჯახის დაგდებისათვის ქმარი ცოლს წინათ „გაახაიბრებდა“, ე. ი. მოსჭრიდა ცხვირს, თმის და ბერა-თითს, რომ ხელსაქმობა არ შესძლებოდა. კაცი თუ ცოლს დაიწუნებდა, „სამწუნებრო“ 5 ძროხა უნდა მიეცა და სათავნოც დაებრუნებინა. მაგრამ ქალს თუ ვაჟი ჰყავდა, მას ქმარი ვერ დაიწუნებდა

და ვერც ოჯახიდან დაითხოვდა. „ზოგჯერ ქალი ქმარს სწუნობდა და მოიგონებდა, ხატი „მაშმინიძებსო“, ქმართან წოლას მიშლისო და ის თავს „კვეთილში ჩაისვამდა“. ასეთ ცოლს ხატის შიშით ქმარი ათავისუფლებდა, მაგრამ მას გათხოვება და სხვასთან სქესობრივი კავშირის დაჭრია ეკრანალებოდა.

ქვრივი ქალის და ისიც შვილიანის გათხოვება ფშავლებში მოსაწონი არ არის. ქვრივ დედავაცს, სანამ ქმრის სახელზე იყო და მის კერაზე ცეცხლი არ გაექრო, ქმრის ქონება არ ჩამოერთმეოდა. მას შეეძლო ოჯახს გაყროდა და ქმრის წილი გაეტანა. თუ ქვრივი გათხოვდებოდა, მაშინ მას წილი ჩამოერთმეოდა, თუ არადა, მემკვიდრეც რომ არ ჰყოლოდა, სახნავ-სათიბი არ „დაეხუთებოდა“. გათხოვების მოსურნე ქვრივი „ქმრეულთას“ სამი წელიწადი მაინც უნდა დარჩეს, რომ ქმარს წირვა და „რიგი დაუყენოს“, შევები გაიხადოს და შემდეგ კი შეუძლია მამის სახლში ან ნაოხეავებში ღაბრუნდეს და იქიდან მეორედ გათხოვდეს, მაგრამ „საჭვრივო“ მაინც უნდა გადაიხადოს. მა მიზნით გათხოვილი ქვრივი საქლავით და პურ-მარილით პირველი ქმრის ოჯახში მიდის და აქ სურას მიცვალებულის „სახელს შესდებენ“, მას შესანდომარს დალევენ და მით ოჯახსაც პატივს დასდებენ.

დანიშნულ ქალს საქმრო თუ მოუკვდა, ის ვალდებულია მის ოჯახში წავიდეს, დაიტიროს და იქ წლამდის დარჩეს. შემდეგ ის მამის სახლში ბრუნდება და თხოვდება.

ახლ ჯვარდაწერილებს ფშავლების შეხედულებით შეილი რო წლამდის არ უნდა გაუჩინდეს, რაც მთაში მოწონებაშია. სამ შვილზე შეტის ყოლაც მიღებული არ არის. მაგრამ უშვილობა კი მათში უბედურებაა და პირველი შეილის შეძენა და ისიც ვაკისა ოჯახის ბედნიერებაა, რომ ვაკის შეძენით თემსოფელში თავი მოიქონ.

პატარძალს შეილი ღროზე თუ არ გაუჩინდა, მის შვილიერობას პირველიდ ქმრის გვარის ხატს შეეველდებიან, შემდეგ კი ქალის მამის ხატს და იქ საწირ-სანთლებით მიდიან. ამან თუ არ გასჭრა, მაშინ შეილიერობას ევედრებიან ცაბაურთის მთავარინგელოზს და ბოლოს ხახმატის გვარს. მა მიზნით მიდიან ხევსურეთში, მიაქვთ სამხედრო საწირი და აქ ხახმატის გვარს ეხვეწებიან პატარძლის შეილიერობას და მას იქვე მწევრის საფლავზე „შეახდენენ“.

იმ შემთხვევაში, თუ უშვილო ქალს ხატებიც ვერ უშველიდნენ,



მებოსლე ქალი

წინათ ფშაველს „ბედის გულისად“ შეეძლო მეორე ცოლი შევრთო და ამ მეორე ცოლისაგან შეძენილი ვაჟი ვალდებული იყო მამის პირველი ცოლი ისე შეეზახა და დაემარჩა, როგორც თავისი „ალალი დედა“.

მშობიარობა, ფშავში თვიურიანი და მშობიარე ქალი უწმინდურად ითვლები და ქალი ამ პერიოდში თჯახილან იხინება. ყოველთვე ქალი მენატრუაციისა ან „წილოვანების“ დროს ცალკე ქოხში ან ბოსელში გაღის და იქ განმარტოებით 7 დღე-ღამე დგება. მებოსლე ქალს, რა რიგი შემთხვევაც არ იყოს, არ შეუძლია სახლში შესვლა და საქმიანობა. გაჭირვების დროს მებოსლე მეზობელს დაუძახებს და მას დახმარებასა და ოჯახის მიხედვის სოხოვს, თვითონ შორიდან შესცემის, რადგანაც ხალხის რწმენით, მებოსლისა და მშობიარის საჯალიაფო სახლში შესვლა, სახლი

„შელახის“, გააუმჯონდურებსო, მასზე ანგელოზი და ხატი გაწყრება და დაგვმიხეზავს.

მებოსლე ქალი ქორწილისა და ტირილის დროსაც ვერ შევა ოჯახში. ის ცალკე ზის და შორიდან შეპყურებს. მებოსლე ქალის მოტაცებისას, სანამ ქალი არ გაიბანება, მას სასიძოს ბოსელში ან ქოხში ათავსებენ. ზოგჯერ თვიურიანი დიასახლისა თჯახში მუშაობს, თუ ის მარტოხელაა და წვრილშეიღიანია, მაგრამ შინ მაინც ვერ შევა და ვერც პურს გამოაცხობს.

ამ მხრივ მშობიარე უფრო მძიმე მდგომარეობაშია, რომელიც ჯერ სამშობიარო ქოხში იხიზნება და ორი კვირის შემდეგ აქედან ბოსელში გადადის. ქოხი მიწურია და ის წარმოადგენს ყორისაგან ნაეგბ პატარა ოთახს. ბანიც მიწურია. ზაფხულში ზოგან ლასტის ქოხსაც აგებენ. ქოხში მშობიარეს თან შეაქვს, რაც სჭირდება მოლოგინების დროს. მას თან აქვს ხანგალი და ღორის კბილი „მაცილის“ (ეშმაკის) წინააღმდეგ. ფშავლებს სწამთ, რომ მშობიარეს ეშმაკი დარაჯობს და ცდილობს მას ბავშვი გამოუცვალოსო. მაგრამ ეშმაკს ხანგლისა ეშინიათ და ხანგლით შეიარაღებულ მშობიარეს ვერ მიუდგებათ:

ეშმაკმა თქო: „საცა თბილი საბანია, ნახე ჩემი ბაბანია,  
საცა ხმალი შეშველია, მე იქ ვერას გოშველია“.

ქოხში მშობიარე განმარტოებული წევს და ლოგინობის დროს მას არავინ მიეშველება. მხოლოდ ქოხის გარეთ ბებია ქალები რჩევა-დარიგებას ძძლევენ. საჭმელ-სასმელსაც ქოხის სარქმლიდან აწედიან.

მშობიარე ბავშვს თვითონ აიყვანს, ჭიბს დანით მოსჭრის და ბავშვს შეახვევს. მაგრამ მელოგინეს მშობიარობა თუ გაუჭირდა, მაშინ ქმარი ბანზე ადის და თოფს გაისცრის. შემდეგ, ვისაც გველბაყაყი გაუყრია, ის მივა, მშობიარეს წყალს შეასმევს და ეტყვის: „გველ-ბაყაყი გამიყრია, დედა-ძენი გაიყარენით“ (სამჯერ). ზოგჯერ მშობიარეს თევზის კუდის ნაბანს შეასმევენ, „თვალისას“ შეულოცავენ, სევს წვენს შეასმევენ და გულმუცელზე ცხელ ნაცარს ადებენ. უკიდურეს შემთხვევაში ხაბმატის ჭვარს შეეხვეწებიან: „შენ უშველე, ხახმატის ჭვარო, შენ დააშველე აშექალი, ხო-



ბავშვის კვება იყვანში

შექალი, სამძიმარი და საღობილოს გამოგიცხობ და სანთელ-სა-წირით შენ კარზე მომირთმევით“.

მშობიარე თუ მოკვდა, მაშინ მოკეთე ვინმე დედაქაცი ქოხში შევა და მიცვალებულს გასულრავს. კაცები ცხედას გამოასვენებენ და სოფლის სასაფლაოს მოშორებით ცალკე დამარხავენ. მსულირავი და მესაფლავები, სინამ არ გაინათლებიან, ოჯახში ვერ შევლენ.

მელოგინე ორი კვირის შემდეგ ქოხიდან ბოსელში გადადის, საღაც მან კიდევ ხუთი კვირა უნდა დაპყოს. საქონლის ბოსელში იჩეცხება და სუფთავდება. შემდეგ აიაზმის წყლით გაინათლება და ოჯახში შედის. მაგრამ ოჯახში თუ ვინმე ხატის მოწმინდარია, მელოგინე იქ ორი თვეც ვერ შევა.

ბოსლობის ეს წესები ზოგიერთი ფშაველის ოჯახში დღესაც

დაცულია და ხატ-ანგელოზების ცრუ შიშით ფშავლის ქალები დიდ ტანჯვას განიცდიან.

მართალია, ბოსლობას წარსულში თავისი სოციალური გამირთლება და ახსნაც ჰქონდა, რომელიც დაკავშირებული იყო იდამი-ანის მაგიზმის პრიმიტიულ რწმენასთან! და ბოსლობის მაგვარი ჩვეულება საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სტადიაში ყველგან გავრცელებული იყო. ჩვენს მთიელებში ბოსლობა შედა-რებით კველაშე მტკიცედ ხევსურეთშია დაცული.

დროა ამ მავნე ბოსლობას ბოლო მოეღოს და ფშავში სამშო-ბიაროს გახსნით მელოგინე ქალებს აღმოჩინოს კულტურულ-ჰიგიენური მოვლა და დახმარება.

ბავშვს მშობლები „აქვანში“ ზრდიან სამ წლამდის და ძუძუს ზოგვერ ოთხ წლამდის აწოვებენ. აქვანი ფიცრისაა, უბრალოდ გაეთებული. აქვანში ბავშვს ქვეშ ჩალას (ყარტს) უგებენ. შიბაქს არ ხმარობენ და შარდი ჩალაში იღერება. ამიტომ ყარტსაც მალ-მალ უცვლიან. ავთვალისა და მაცილის წინააღმდეგ აქვანშე ლო-რის კბილს ჩამოჰკიდებენ.

ფშავლების რწმენით, ლმერთი კაცს ბერს ან უბედობას დაბა-დებიდანვე დაუწესებს და „უმწერლოდ კაცი არ კვდებაო“. ეს კი დაბადების საათზეა დამოკიდებულიო. ბავშვის დაბადების დროს ანგელოზი თუ კარგ გუნებაზეა, „კაცის ბოლოს“ კარგად დასწერ-სო, თუ გაჯავრებულია, მაშინ დაბადებულის სახელსა და „ბედ-ბოლოს“ ვად ჩასწერსო. ამიტომ, ხალხის აზრით, აღამიანს „წერა-მწერელი“ დაბადებიდანვე დამკუვება და უმწერლოდ კაცი არ მოქ-ვდებათ.

ამასთანავე, ფშავლების უმრავლესობას დღესაც სწამთ „მე-თვეური“. ერთ თვეში დაბადებული ორი მეზობელი ბავშვი, ხალხის წარმოდგენით, ბედში ერთმანეთს ეჯიბრებიან და ერთურ-თის დაჩავრას სცდილობენ. ამის ასაცდენად მეთვეურები გისა-ყარ გზაზე მივლენ, მესამე პირი ორივეს ბავშვებს ჩამოართმევს და ერთიმეორეს შეუცვლის და ძუძუს ისე მოაწოვებენ. ამით თითქოს ისინი იღბლით და ფიზიკურადაც თანასწორდებიანთ. წი-ნააღმდეგ შემთხვევაში, ერთი ამ ბავშვთაგანი გაილახება, დაბე-

1 სტრად შავალათია, მთიულეთი, ტფილისი, 1930 წ., გვ. 121—132.

ჩავდება და მოკვდებათ. ამიტომ ერთ მეთვეურს ბავშვი როდესაც დაეჩაგრება, მაშინვე მეორეს დააბრალებს და იტყვის: „მეთვეურ-მა-გამილახაო“.

წინათ ბავშვს მღვდელი ნათლავდა და სახელსაც საეკლესიო კალენდრის მიხედვით ოქტომბერი. მაგრამ შინაურობაში ბავშვს მეორე სახელს ფშაურს არქმევდნენ.

ფშაური კაცის სახელები: ახალი, ადუა, არჩემა, არგალა, ბათირა, ბაჩია, ბახა, ბანჯურა, ბაია, ბაქური, ბატარა, ბახალა, ბარდანა, ბალია, ბაბო, ბაცო, ბიჭური, ბიჭუა, ბლუი, ბოიგარი, ბუდური, ბუჭუა, ბუთხია, ბუთლა, ბუთულაი, ბეწინა, ბერიძე, ბერი, ბეწინტური;

გაურჯელი, გამიხარდი, გიგა, გოზია, გოძია, გოდერძი, გოგო-თური, გოდორა, გლეხუა, გულბათი, გეჯურა;

დათვია, დათუნა, დარჩია, დოჯური, დედურა;

ვაეიკა, ვაჟიძე, ზაზა, ზარავანდა, თათო, თორლვა, თილლური, თინიბექი, თირუზან, თურქუა, თურმანი, თვარელი, თუშა, იანვარი, იმედა.

კარახელი, კაცრილი, კახი, კირკილი, კიძო, კვირიკა, კუდურა, კურდლელა, კუნძა, კუწი.

ლომი, ლეგუშია, ლეგუა, ლეგა, ლუბა, ლექვია, ლექია;

მაჩურა, მარტია, მამუკა, მოკლია, მგელა, მთვარელა, მჭედელა, მურლული, მღვდელა, მოჯაბრე;

ნადირა, ნიბლუა, ნინია, ნებიერი, ოსა, ობლია, ოთია, პაპილა, პაპი, პატარიქ, ჯანგირა, ქულაკი, რაიბული, რუსა, რამაზ:

სალირა, საღულა, სორექა, სოსანი, სესელა, ტატო, ტილურა, ტრუკა, უგემური, ურჯუკა, უქეუა.

ფოცხვერი, ფრუშკი, ფშაველა, ფუნჩია, ფუნჩია, ქეთარი, ქორია, ქომსი, ქურსიკი, ლალო, ლერენა, ლეთისავარ, ყიშილა, ყიდულა, ყოვაი, ყვირილა, ყაყიჩი.

შაბურა, შიბუხა, შულლია, შეთე, ჩალხა, ჩარგალი, ჩაქუნა, ჩუქერა, ჩხინთა, ჩუნთი, ციფო, ციხელი, ცირიკა, ძაღლია, ძუგარი.

წიქა, წიწიკა, წოწეური, ჭიპურა, ჭუჭა, ჭრელი, ხარიკა, ხაღუა, ხახა, ხაწე, ხარება, ხაზიარა, ხიწვია, ხეჩია, ხევისბერა, ხიზანა, ხოხორა, ხუმარა, ხუზაური, ხუტი.

ჯარია, ჯაბანა, ჯულურა, ჯლუნია, ჯლუნა.

ქ ა ლ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი : ორმინდა, ანუკა, ბატარქეალი, ბე-  
ბია, ბროლა, გულექანი, გულსუნდა, დედუკა, დედუნა, ლუთა,  
ვიტოლამშე, თიკანა, თეთრუა, ქუპა, ქუპა, ქმება, ქუპუტა, ლელა.

მაშუკა, მანია, მეწყინა, მზექალა, მზევინარი, მზეთანდარ, მიყ-  
ვაჩა, მინდურ, ნანა, ნათელა, სანათა, სამუკა, სანდუა, სალია, ფა-  
რანგოზი, ქალთათავი, ქალთამზე, ქალიკმა.

შვენა, შამანდუხი, ციკო, ცუკანა, ძუბა, ხოშექა, ხორეშანი,  
ხორამზე, ხოშია, ჯვარია.

ფშავში მეორე სახელის დარქმევა დაკავშირებულია აგრეთვე  
მიცვალებულის სულის „შემომბრუნვის“ რწმენასთან. ბავშვი თუ  
ჰიტორიულია და მტირალა, ფშავლები იტყვიან, ბავშვს მიცვალე-  
ბულის სული „ენუკვის“, რომ მისი სახელი დაარქვანო. ამიტომ  
მშობლები ამ მიცვალებულის სახელის გამოცნობასაც შეუდები-  
ან. ზოგჯერ ბავშვის დედას სიზმარში რამდენიმე მიცვალებულის  
სული მოეჩენება, რომლებიც ერთმანეთს ეჭიშებიან თურმე  
თავისი სახელის დარქმევაში. მაშინ დედა ამ სულებს კენჭს უყრძს.  
ამისათვის ბავშვის დედა მიცვალებულთა სულის რაოდენობის მი-  
ხედვით აიღებს ტყვიას ან კვერებს და სათითაოდ მათი სახელის  
ნიშანს დაადგებს და შემდეგ ყველას ერთად გააგორებს, რომელიც  
გაასწრებს, იმისი სახელი ბავშვს „ენუკვისაო“ და მის სახელსაც  
ბავშვს არქმევენ. ამგვარად გამოიცნობენ „სულის სახელს“ და  
მას სუფრას დაუდგამენ, რომ ის იყოს ბავშვის მფარველით.

მაგრამ მშობლები ასეთი ხერხით ზოგჯერ ვერ იგებენ სულის  
სახელს, მაშინ ისინი ამის გასავეგბად სულის მკითხავთან მიღიან  
და თან მიაქვთ კერძები, სანთელი და ფული. მკითხავი დაიღვამს  
წყლიან ჯამს, სანთლებს აანთებს და მოიხსენიებს იმ მიცვალებუ-  
ლთა სახელებს, რომელთა სახელის გაგება და დარქმევა უნდათ  
„სამშეოში“. ბოლოს მკითხავი ერთზე შეჩერდება და იტყვის იმ  
სულის სახელს, რომელიც ბავშვს „ენუკვის“ და ურჩევს იმისი  
სახელის დარქმევას. ხალხის რწმენით, მიცვალებულის სული საი-  
ქიოდან „მოსახელეს სწყალობს“, პატრონობს და ეხმარებათ. მო-  
სახელე კი, ვისიც ადგილი დაიჭირა სააქაოს, იმისი მამგონე და  
პატივისმცემელი უნდა იყოსო, რომელიც მას მუდამ სუფრას უდ-  
გამს და „სახელსაც შასდებს“.

ფშავში იციან აგრეთვე „თიკუნი“ სახელის დარქმევა. კაცის

თიქუნი სახელია: კრინტა, ბრტყელი, ჯვინდლახი, კუჭაპე, ვირულ-ლა და სხვ.

ქალისა: გერა, ღევჰავი, ალიკუდა, სალესველა, ბუწუწა, წეწ-ლანა და სხვა.

ფშავში ბავშვები პატარაობიდან ეჩვევიან შრომას. აქაური ბავ-შვები ოჯახში ქსოვენ, საქონელს მწყემსავენ და მინდერის მუშა-ობაშიც შველიან თავიანთ მშობლებს. მაგრამ ამ შრომასთან ბავ-შვებს გართობა ნაკლები აქვთ და ფშავი ღარიბია საბავშვო სათა-მაშობით.

საბავშვო სათამაშოებში ფშავში გავრცელებულია: ჩილიკა-ობა, ქანაობა (ციგაობა), ბუშეაობა (გუნდაობა), ქუდმაურობა (ქუდის გატაცება), ფრინაობა (ჭოხზე ან თოკზე გადახტომა), შვილდისრობა, გუგუსტიაობა (თოკზე ქანაობა), ჭიდაობა, თოფიკაობა, — ღუდგულის ჭობის გულს მოაცლიან პირში ჩვარს ჩაუტენიან და ისკრიან.

გაქცევა. ჭობის მიწაში ჩარჭობენ და ზედ ქუდს წამოაცმე-ვენ. შემდეგ მიგნას შემოხაზიავენ და მოთამაშენი ქუდისაკენ გაიქ-ცევიან. ვინც პირველად მივა და ქუდს იიტაცებს, ის გაძარჯვებუ-ლია.

ჭირიჭამიობა. ერთი მოთამაშე თავს მეორის მუხლებში ჩამალავს და ხელებს ზურგს უკან გაშლის, მიდიან და მას ხელზე სცემენ, ვისაც ის გმოიცნობს, ანლა ის უნდა დაჯდეს და თავი ჩა-მალოს.

შიგჭიდილა. წრეა და შიგ ჭიდაობენ. წაქცეულის თავი ვის პირისპირაც მოექცევა, ახლა ის უნდა წამოხტეს და წამქცევს და-ეჭიდოს.

ტირილისა და გლოვის წესები. ფშავში ჭერ კი-დევ სწამთ ბედისწერა და ზოგი ცრუმორწმუნე ფშაველი თავისი „მწერლის“ მოლოდინშია, რომელიც მისივე რწმენით ადამიანის სიცოცხლეს განავებს და მას წუთისოფელსაც ასალმებს. ამიტომ უბედურ შემთხვევებს ზოგიერთი ფშაველი ამ მწერელს მიაწერს და მწუხარებასაც მოთმინებით იტანს.

მძიმე ივადმყოფობის დროს ფშავში იციან „ყელის მოხვევა“ და ამისათვის ავადმყოფთან მიიყვანენ ხარს ან ცხეარს. ივადმყო-ფი მას ყელზე ხელს მოხვევს და ლაშარის ჭვარს შეევედრებიან:



პატარიშვილის სამიერი გაფეხინი

„დიდებულო წმ. გიორგი, შენ უშევლე, შენ უმეშელე იტუვან  
ავადმყოფის სახელს) შენ სახელად და ამ კაცის სამეშელოდ“-ო და  
სხვა. ხარს აქაზე ჭდეს უკეთებენ და შუბლს კი სანთლით ში-  
ტრუსევენ. ხატობას ამ ხარს ხატში მიიყვანენ, ხევისბერი დამწყა-  
ლობებს და იქვე ლაპკლავენ.

მომაკვდავ ადამიანს ხელში სანთლოს მისცემენ, თავთან წყალს,  
ხმიალს და მარილს დაუდგამენ და სახლში სულს ისე დალეჭს.  
მიცვალებულს მესამე დღეს ასაფლავებენ და ამ დღისათვის ნათე-  
სავ-მოკეთებსაც დაიწვევენ. მიცვალებულს პირს მოპარსავენ,  
რომ ბეჭვი საღლავში არ ჩაჰყვეს, ახალ ტანისამოსს აცმევენ და  
კუპაში ისე აწვენენ.

წინათ კუბი აქ არ სცოდნით. მიცვალებულს ნაბადში გამოაჩ-  
ვედნენ და საყაცით სამარის კარამდის მისავენებდნენ. მიცვალე-  
ბულს გულზე ადებენ: ხანჯალს და დისა თუ ბიძაშვილის მოჭრილ  
ნაწინაც.

სანამ მიცვალებულს მიწას არ მიაბარებენ, მთელი სოფელი  
უქმობს. ტირილის დღეს მიცვალებულს სახლის დერეფანზე და-  
სცენებენ, ხახლის კარებში ულელს გადებენ, რაღვან ის მის მსა-  
ხური იყონ და ოტყვიან: „ამ ულლის მადლო, შენ მიეცი საიქიოს  
მაგის სულს შეღავთო“-ო. ცხედრის გრძემო დედაკაცები სხდე-  
ბიან, კაცები კი ჯოხზე დაყუდებულები დგანან. თუ მიცვალებული  
მამაკაცია, თავთან დაუყენებენ შეკაზმულ „სულის ცხენს“, რე-  
მელზედაც ხურჯინია გადაკიდებული შეგ პურით, კველითა და არა-  
ყით. ცხენზე მიკრულია ნაბადი და მათოახი. კირისუფალს ამ შემ-  
თხვევაში ცხენი თუ არა პყავს, მას ნათესავი აძლევს. სულის  
ცხენი გაუკაცხე იციან, ქალზე კი იშვიათად.

ტირილის დღეს მოკეთებს მოაქვთ: „მკედრის პატივია“: ხმია-  
დები, არაყი, ფული და ზოგს საქლავიც მოჰყავს. ტირიან მოთ-  
ქმით.

მხოლოდ ქმარი ცოლს მოთქმით ვერ დაიტირებს — სირცევა-  
ლია. ტირილის დროს სახის დაკაწვრა და თმის გლევა არ იციან.  
ნიშნად დიდი მწუხარებისა, ქალი ნაწნავს იქრის: ძმაზე, ბიძა-  
შვილზე და ნათლიაზე.

მოტირალი კუბოსთან მივა, აიღებს ხანჯალს, მუხლმოყრით მის  
ტარზე დაიყრონობა და მოთქვამს. სხვები კი ქვითინებენ. მოტი-

რალი გულზე მჯინს იცემს და, მიცვალებული თუ მამაკაცია,  დაიტირებს:

„კარგო ვაჟკაცო, დაიხსენ ცელ-ნამგალი, გამოსადეგო სოფლი-სა, არ მოსაშლელო ყოფნისა. ცოლ-შვილი გაწირეო ცოდვითაო, ცხოვრება საჭმელადა ქვეყნისადა, თავის სახლ-კარი და ცოლ-შვილი დასწირე ბეჩავნი სხვათა ხელთა შამხედავნი, მაგრამ ვინ რას მისცემს შენ ცოლ-შვილთა, მარჩილნი არიან ბეჩავნი.

სარტყელ-ხანგარო, გამარჯვებაო, შენის პატრონის მაგივრად, ბეჩავნი შენი შამხედვარნი, ცოლ-შვილდაწიოცებული, ადე, მაულევ ცოლ-შვილთაო, არც ვინ მაუმქის, არც ვინ მაუხნავს შენ ცოლ-შვილთაო.

მთაბარ დაგრჩება ყმირადა; ვის რა დარჩება შენი ცოლ-შვილი, ან შენი თოფი, ან შენი ცხენი პატრონის მაუხმიარებელი; ოხრადამც დარჩება, ტიღლადა!“

მოკლულ მიცვალებულს ასე დაიტირებენ:

„ძმაო, გამარჯვება შენი! შენიმც თოფ მამცა ტიალი, ან შენ ხმალ გალესილი, ანამც მაჩვენა შენი მომქლავი გული შუაზე გალეწილი. ანამც მაჩვენა დალუპვილნი, ტყვიისა შუაზე გახვრე-ტილნი“ და სხვა.

ახალგაზრდა ქალს ასე დაიტირებენ:

„მოსულო ბულულასავითა, ჩაბანებულო მზესავით; დასწირე ბეჭ-სახეხავნი, წინდა-კალათა დაგიქანდაო, მთაშიიც წასვლა მაგინ-დება, ფურ-ძროხის მოელა-მოწველა. რაღ დასწირე ქმარ-შვილი, შენს შვილს ვინ მაუვლის და დაიყამქრებს, ტანთ ვინ დაუცვლის“... და სხვა.

ერთ მოტირალს მეორე შეცვლის და ის სხვა ჰანგზე და შინა-არსით დაიტირებს. ზოგი მიცვალებულს „ჩაატირებს“ და მას სთხოვს „სულეთში“ (საიქიოში) ყური უგდოს და პატრონობა გაუწიოს მის მიცვალებულს.

ტირილს როცა მორჩებიან, კაცები კუბის სამჯერ ასწევ-დას-წევენ და შემდეგ სამარისავენ წაასვენებენ. მიცვალებულს კუბოში ჩაუდგამენ არყიან ან ლვინიან ბოთლს, აგრეთვე ჩაატანენ თეთრ ფულს, თამბაქოს, პურს, თხილს და კაფალს.

სამარე ფიქალი ქვეთაა ამოგებული და. როდესაც კუბოს ჩა-უშევებენ, ზედ სიპ ქვებს დააფარებენ და შემდეგ მიწას მიიყრიან.



სატირელი (წიშანი)

სამარტეზე იციან „საფლავის კუბოს“ დაშენება. ეს კუბო კუთხე-დია, თავი პირამიდული მოყვანილობისა აქვს და ზოგიერთს ასეთი წირწერიანი ქვაც აქვს დატანებული:

„საფლავსა შინა მღებარე გარ მარტია ყეინიშვილი ვიყავ ა — ის (60) წლისა მიეტაღე ჩიპ-ს (1880) იანვრის კესა (25) მხილ-ვილნო გთხოვთ შეწობა მაღირსეთ“.

ამ „ძუბოსთან“ ერთად დღეს აქ გავრცელებულია გრძელი და მთლიანი საფლავის ქვა, რომელზედაც თვით მიცვალებულია გა-მოსახული თავისი სამუშაო იარაღით. მაგალითად, გამოსახულია ქალი საკერავი მაქანით, მაკრატლით და ზედ ამოჭრილია ასეთი

წარწერა: „განისვენებს ნინო მახარეს ასული, ბიჭური ბალრიშვილის მეულე, შობ. 29 წ., მიიც. 1923 წ., მაისის 7-სა, გთხოვთ შენდობასა“.

ფშავში ეს საფლავის ქვები წარწერებით და შაირ-სიტყვაობით ღარიბია და ეპიგრაფიკაში ფშაური ლექსი გამოყენებული არ არის.

სასაფლაოდინ დაბრუნებული ჰირისუფალი ცრემლებს მოიბანს, რომ ცრემლი ოჯახში არ შეყვეს. ამ ღლეს იხდიან „თა ვ ზ ე-რი გ ს“ (ქელებს) და აქვე ხდება მიცვალებულის „ს უ ლ ი ს ა ჩ ს ნ ა“-ც. თუ მარხვაა, თავზე რიგს სამარხო საჭმლით იხდიან, სულის ახსნა კი გახსნილებამდრმა გადაიდება, რადგანაც სულის ახსნა მხოლოდ საკლავით შეიძლება.

მაგრამ სულის აუხსნელობა არ შეიძლება, რადგანაც ფშავლების რწმენით მიცვალებულის სულს საიქიოში მისავალი გზა დაეკიტება.

ამიტომ, თუ ხსნილია, სულის ახსნასაც თავზერიგში საკლავით გადაიხდიან. ხალხი სახლის ეზოში დაჯარდება. „მ რ ი გ ე გ ი“ ჟველს ჩამოურიგებენ: ლავაშებს, ქადა-ხმიაღს, ხორცის „წ ი ლ ო-ბ ე ბ ს“ (ნაკრებს) და ყანწით სასმელს. ქალები და კაცები ცალკე სხდებიან და მათ თავიანთი მრიგეები ჰყავთ. სვამენ მიცვალებულისა და მისი „მგებრების“ (ე. ი. იმათი, ვინც მას საიქიოში მიეგებებიან) შესანდობარს. ჰირისუფალი ცდილობს, ეს თავზერიგი სახელოვნად გადაიხადოს, რომ არავინ დასძრახოს: „მკედარი კარგა ვერ დამარხოთ“. ამიტომ ის ხარჯებს არ ერიდება და მიცვალებულის სულის ცხონებისათვის ცდილობს მეტი სასმელი და საჭმელი დახარჯოს.

მაგრამ მიცვალებულის ვალი ამ პირველი რიგით არ თავდება და ჰირისუფალმა მიცვალებულის წლისთავამდის საქთი რამდენიმე რიგი უნდა გადაიხადოს. ამისათვის მიცვალებულს ოჯახში „ლ თ გ ი ნ ს“ ან ს ა ტ ი რ ე ლ ს“ უდგამენ, რომელზედაც გაშლილია მიცვალებულის ტანისამოსი და ქალის მოქრილი ნაწნავები. მიცვალებულის ლოგინი გამართულია სახლის ერთ ქუთხეში ტახტზე ან მაღლა გამართულ ფიცრზე. აქვე უდგია ხელადა არაუი ან ღვინო, წყალი, ბური და თხილ-კაკალი. სატირელის პურს წმინდისას აცხობენ. ერთი პური მოგრძო ფორმისაა, რომელზედაც გომეტრიული სახეა გამოსახული, სხვა კი კვერებია.

ამ სამეცნ-საჭმელს მიცვალებულის ლოგინზე ყოველ მესამე ლეკტორის და ნამცხვრებს ბავშვებს აქმდება.

მკედრის ლოგინი ოჯახში წლამდის უდგიათ, ის ყოველ შეძალს გარეთ გამოაქვთ და ტირიან. სამძიმრისათვის მოსულებს მკედრის ლოგინს კარებში მიაგებდებნ და მას გარეთ დაიტირებენ. ჭირი-სუფალი როგორც სხვა მიცვალებულის სატირლად მიღის, თან მიაქცის მკედრის ლოგინიდან ჩაიმდე ნივთი და ამით იქ „ჩატირებს“.

მიცვალებულის დასაფლავების 3—7 დღემდის იხდიან „შვილის რიგს“. იმ მიზნით, რომ მიცვალებულის სულს ეშავი არ დაეპატრონოს, ამისათვის თხის დაპელავენ, აცხობენ შეიდ ქიდას, ხმიადებს და სხვ. ნეთესავებიც ამ დღეს პატივით მოღიან და მიცვალებულს შენდობას ეტყვიან.

ამასთანავე, დისახლისი მუდამ დღე სადილ-ვახშმობის ჭინ სუფრას მიცვალებულის „სახელს შასდებს“ და ასე დაილოცება:

„ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მაღლი შენდა, ღმერთო, შენის მოცემით, ელურსამეთის მაღლითა, შაუნდნეს ჩვენ მკვდართა ძევლთა და ახალთა; თქვენამც მოვიდათ, ჩვენო მკვდარნო; დადგმული ტაბლა, ანთებული სანთელი თქვენ სულს უნათებს და თქვენიამც სულს იაღებს. ეს სუფრა, როგორც ღვთისაგან გაჩენილ-ვარიგებული თქვენთვის დაგვიდგამ და თქვენი ნებობა იყოს და იმასამც დაიწვევთ, ვინც ჩვენ მოვინებას ელოდეს და ჩვენ ვერ მოვიგონებდეთ, ჩვენს სახლს ბარაქას აძლევდეს და მამგონე არ ჰყავდეს. თუ ვინ სუფრაზე გმიშვილდესთ, სუფრაზედამც დაიწვევთ თქვენის ნებითა, თქვენის წადინითა, ოხრისა და უპატრონოს სულს გაიკითხავდეთ“.

სახელის შედების დროს ხელში უჭირავთ ნაღვერდლიანი რკინის საფხეველი, რომელზედაც საქმეველი იწვის და მას სუფრის თავზე შემთავლებენ.

მიცვალებულის პატრონმა შობა-ალდვომას და ბზობას მსხვერბლი უნდა გაიღოს. ამისათვის შობა-ალდვომას ცხვარს დაპელავენ და შესანდობარს იტყვიან, ბზობას კი თევზს „გასჭრიან“. ფშავლების რწმენით, ასეთი მსხვერბლის გაღება აუცილებელია, რომ მიცვალებულის სული თვისი ცოდვებისაგან საიქიოში არ დატუ-საღდესო.

გაივლის ორმოცი დღე და მიცვალებულს „ორ მოცის

ჩ ი გ ს“ გადაუხდიან. მოვლენ ნათესავ-მოკეთები და მიცვალებულის ბულის ლოგინს დაიტირებენ. მეოთხე რიგს — „ბ ა ლ ა რ ჭ ო-ბ ა ს“ — სულიშმინდის მოფენას უხდიან. ჭირისუფალი შაბათს საფლავზე გავა და იქ საქლავს დაჰკლავს. მოდიან მოკეთები ბატქ-ნებით, მეზობლებს მოაქვთ „ქადაპურები“, არაყი და ზოგს ამის სანაცვლიდ ფული. ხალარჯობას მიცვალებულის ლოგინს საფლავზე გაიტანენ და ისე დაიტირებენ. შემდეგ ოჯახში ბრუნდებიან და იქ ქელები იმართება. ოჯახიდან რამდენი სულიც არ უნდა იყოს, კველას თავითონთი ნაწილი ქადა-პური, ფლავი და ხილი უნდა მი-ეცეს და, რაც გადარჩება, თან წაიღონ.

ხალარჯობის რიგს დედაკაცები მეთაურობენ და ტირილში პირველობენ. ამ დღეს ისინი მგლოვიარე ოჯახებს რიგით დაუვალიან და, ვისაც მიცვალებულის „სატირელი“ უდგია, გამოიტანენ, ტირიან და შემდეგ ხალარჯობის ქელებს მიირთმევენ.

მეხუთე რიგი იციან ხორცის შაბათს (კველიერის წინ), მეექვსე „სულთა-ქრეფაში“ (დიდი მარხვის ორი კვირის შემდეგ). ეს მიცვალებულის დღეა და შაბათ დღეს იხდიან. აცხობენ დაჭრელებულ ხმიადს და პატარა ქვერებს — „სასრაველა“-ს. ამზადებენ „დონ-ხანს“ (პური, სიმინდი და ლობიო არეული). სასრაველა ქვერებს ბავშვები ნიშანში დგამენ და შვილდისარს ესვრიან.

მეშვიდე რიგი „წ ე ლ -თ ა თ ბ ა“ არის. ამ წლისთავზე ჭირისუფალმა დიდი ხარჯი უნდა გადაიხადოს და შემდეგ „სატირელიც“ აღლოს. წლისთავზე მგლოვიარე მამაკაცები თავმოპარსვას შეუდგებიან და თან იტყვიან: „ხვალ სალენინდ მოგაპარსვინოთ ღმერთმა თავიო“. ამ დღეს ნათესავ-მოკეთები „პატივით“ მიღიან. საქლავებს დახოცავენ და მიცვალებულს ნიშანშე უკანასკნელად დაიტარებენ. ამის შემდეგ „სატირელს“ აიღებენ და სულის ცხენსაც დაეცუროთხებენ. ჭირისუფალი ამ ცხენსა და მიცვალებულის ტანისამოსს წინათ თავის ბიძაშვილს ან სხვა ვინმე ახლო ნათესავს აჩქებდა, შეიძლებოდა პატრონს ცხენი დაეტოვებინა, მაგრამ ტანისამოსი კი უკველად უნდა გაესაჩუქრებინა. დღეს კი არც ერთს არ იმეტებენ. თუ მიცვალებულს ასეთი ახლობელი არ აღმოაჩნდებოდა, მაშინ ჭირისუფალი სულის ცხენსა და ტანისამოსს ხატში ღრალში ჩადგამდა. ჭირისუფალი სულის ცხენს ვერც გ-უიდა და ვერც გადაცვლის და ის შინ ბერდება.

წლისთავზე „სატირელს“ რომ აიღებენ, დაბალში ჩადგამენ მიცვალებულის ტანისამოსს, წინდებს, ფეხსაცმელს, კედილს და ზოგჯერ ხარსაც დააყენებენ. ლაბალზე ნიშნისათვის ხმიას ან ფიცარს ჩადგამენ, რომელზედაც პატარა ქაღალდია მიქრული ან წრეა შემთხაზული. განსაზღვრულ მანძილზე თოფოსნები დგებიან და ნიშანზე ესვრიან. ვინც პირველად მოახველებს, ლაბალში ჩადგმული ნივთიც მისია. რამდენი თოფი გავარდება და მეტ ტყვიასაც შესანდობარი იცდება, იმდენად მკვდრის სულისათვის სასიამოვნოა.

ლაბალისა და „შესანდობარის“ ჩადგმა იციან აგრეთვე „ხალარჯობა“-სა და ხატობაში. მაგრამ ფშავში არც ამ წლისთავის გადახდით თავდება მიცვალებულზე მზრუნველობა. ოჯახი მას მუდაში იგონებს სუფრაზე „სახელის შედებით“, გამსაჟუთრებით მთავარ დღესასწაულებში. ამ მიზნით ფშავლები თავიანთ მიცვალებულს ყოველ ახალწელიწადს სამ სუფრას უდგამენ. ერთს ოჯახის მიცვალებულებისათვის, მეორეს ოჯახის მეგობარ მიცვალებულებისათვის“, „რომელიც მოგონებას მოგვეყლოდეს და ჩენ კი ვერ მოეგონებდეთო“, მესამეს „ოხრის“ სულისათვის, რომელსაც საძაოს ნათესავები არა ყავს და ვერვინ მოიგონებს.

წინათ ფშავში „თავდამარხვაც“ სცოდნიათ. მას იხდია და უპატრონო და უმემკვიდრო მოხუცი, რომელიც სიცოცხლეში ვე იხდიდა ქელებს და იყენებდა ყველა რიგსა და წესებს. ქელებში ცოცხალ მიცვალებულს ყველანი შენდობას ეტყოდნენ, თავდამარხველი თავის ქელებს ვერ შეჭამდა. დღეს ეს წესი კარგა ხანია მივიწყებულია.

ფშავლების რწმენით, ზვავში ან წყალში ჩამხრჩვალის სულს ეშმავი დაეპატრონებაო და ამიტომ მისი სულის დასახსნელად უბედური შემთხვევის ადგილზე წაიყვანენ თხასა და შავ ქათამს და ხელუკუმა დაპკლავენ. იქვე მიცვალებულს შენდობას ეტყვიან ან და ჯვარსაც ჩასვამენ.

შორეულ კუთხეში ან ომში მიცვალებულზე იციან „საფლავის მოწერა“ — შემოხაზვა — და ჯვარსაც ჩასვამენ ან პატარა სასახლეს ააგებენ და წლისთავიმდის სანთლებს უნთებენ. მაგრამ ასეთ მიცვალებულებისაც „სატირალ ლოგინს“ უდგამენ და ყველა რიგ-

ჩარჩობს გადაუხდიან, რომ მიცვალებულის სულს საიქიოში ეშმა-  
კები არ დაეპატრონონ.

ფშაველების წარმოდგენით, საიქიო ქვეყნის შუაგულშია და მას „შავეთში“ ეძახიან, რომელსაც შუაში ხევი ჩამოუდის თურმე და შიგ ცეცხლმოდებული კუპრის მდინარე მიღისო. მდინარეზე ბეჭ-  
ვის ხიდია გადებული და ხიდზე მართალი უკებლად გადის, ცოდ-  
ვილი კი ვარდება და კუპრში იწყისო. საიქიოში კაცის მაღლი პრ  
იკარგება და იქ ზვალაფერი ზომითა და წონით არისო. ცოდო-მად-  
ლიც იწონება და ამის მიხედვით მიცვალებულის სულიც განის-  
ჭებათ:

„შავეთში სადამ ჩავედი ჩემის მიმინოს ცხენთა,  
შამომყვენ მოქიშპებები, მოლალატენი ენითა,  
სასწორზე შავიყარენით, მე მართალ მოველ ბევრითა“.

ჩვენ აქ მოვიყანთ ერთ ლექსს, სადაც მოცემულია ამ შავე-  
თის ფშაური წარმოდგენა:

„რა იცის წუთისოფელმა, შავეთს რა სამართალია?  
შავეთს ხარი ხნის ცალარქა, ბარაქა მესტუმრისია.  
შენ რომ ქრთამს ეშურებოდი, მეც ალარ მოგიშემლია;  
მოვიდეს ჩვენი მწერელნი, ჩვენ გვექნდა სამართალია;  
ზუაზე ბეჭვი გაშვერტას, ეგ არი მაქრატელია;  
ვაი ამ ბეჭვის ხიდზედა რა ძნელი გასავლელია,  
შეეშ შევი წყალი გამოდის ზედ გაუგდია პერია;  
ზეგ ჭოჭოსტის კუთხეს რა ძნელი შესასვლელია,  
ცოდვანის შეამრნებენ, გზას ნარ-ეკალი პტენია;  
ზეგა დგა კუპრის ქვევრები, დუღს და ამოდის ცხელია;  
გარშემო ეშმაკებ უდგა, ძირში ანთია გენია.  
კაცის კაცის მოლალატესა ჩაუყვეს ენის წევრია,  
მამამ შესჩივლა უფალსა, ეგ ლიდის ცოდვის მქნელია;  
ხელი პერეს, შეგა ჩააგდეს, მანდა ბირ შესატერია.  
თან ეშმავ გადაუთლეს, რომელიც უფრო შტერია;  
კარგა მევექე, ეშმაკო, მაგისი სული შენია;  
მალ-მალ ჩასხი პირშია ნადული კუპრი ცხელია;  
კაცისა მკვლელიც ეგ არის, ნათლის შემგმანელია.

ძაგრამ მართალი და უცოდეელი შავეთში ზოლხის წარმოდგე-  
ნით ნეტარებაშია:

შევერთს რა გვიტარს უკლოთა? წინ შეუძირ გვიღდგა სასოლისა;  
თეთრის ტარიფის სახლ გვიღდგა, შეი კომლი ბრუნავს საქმიანობა  
სიაშ გვიღდგა საქვერებელი, არ გვიპავ ცოდნა-მაღლისა.  
წინ გვიღდგა ოქროს ტაბაყი, სალალებელით ბალლის;  
ზედა დგას ჭიქის ჭურჭლები, საესე ნაფრთხის სისმლითა.  
გვერდით რომ წარაპ ჩამოლის, პირის საბანი ჭალ-რძლისა,  
გვერდით გვიმავის ცხენები, დაყარჯულები, ლაგმითა.

ამიტომ ჭირისუფალი ფშავში ცდილობს მიცვალებულს წესი  
და რიგი არ დააკლოს, საიქონში ყველაფერი შეუსრულოს, რომ  
მიცვალებულის სული საიქიონში არ დაიტანებოს და მან ოფას არ  
ვენოს. მის გამო მიცვალებულზე როდესაც ცუდ სიზმარს ნახა-  
ვნ, მიზეზის გასაგებად მაშინვე „სულის მყითხავთან“ წავლენ.  
სულის მყითხავი კი ხალხის წარმოდგენით მყვდართა სულებს ჰყავთ  
ტუსაღად დაჭერილი და იმან უნდა გამოიტანოს სულების სურ-  
ვილი ან „პირის ქარი“-ი.

სულის მყითხავი სანთლებს აანთებს და გაშტრდება. შემდევ  
ის დაიწყებს სულის სახელით ბოდვას. ჭირისუფალი მას ყურს  
უგდებს და იგდებს, თუ რა წესი და რიგი უნდა შეუსრულოს მიც-  
ვალებულს ან მისი ტანისამოსი ვის უნდა აჩუქოს და სხვა.

## 7. ცრუმორჩმუნეობა

თითოეულ საზოგადოებრივ ფორმაციას ახასიათებს თავისი  
რწმენა და იდეოლოგია, რომელიც ადამიანის სოციალ-პოლიტი-  
კური ყოფის განვითარებასთან მუდამ ცვალებადია.

ფშავის ისტორიული წარსული თემობრივობას არ გასცილებია  
და მის რწმენასიც ახასიათებს თემური ცრუმორწმუნეობის გადა-  
ნაშთები.

ასეთია, სხვათა შორის, მაგიურობა, როდესაც გაუთვითცნო-  
ბიერებელი ადამიანი სხვადასხვა მანიპულაციების შესრულებით  
ცდილობს საქონელ-ჭირნახულის გაბევრების და ოგანის კეთილ-  
დღეობის მოპოვებას.

ზოგი გულუბრყვილო ფშაველი მაგიურობის ცრუწესებს დღე-

საც ასრულებს, რომლის იღწერას ჩვენ ახალწლის მიგებებით ვი-წყებთ.

„წელწადი“-ს შესახვედრად ფშავლები წინადლითვე ემ-ზადებიან და ამ დღეს „ლიტანიად დღე“-ს უწოდებენ.

საახალწლოდ ხევისძერები ხატში მიდიან, იქ წმინდობენ და ხატს ღამეს უთენებენ. წინათ ხატში ხევისძერებისათვის თემს „სათეო“ უნდა მიერთმია. სათეო შობიდან იწყებოდა და ლიტანია დღემდის გრძელდებოდა. სათეო ხუთი დღე სკოდნიათ და თემს თავის ხატში ხუთი საკლავი უნდა მიეყვანა. ამ სათეოს თემში შე-მავალი მექომურები რიგით იხდიდნენ და ამის მიხედვით ხუთ-ხუთს კომლს ყოველწელს სათემო ხატში რიგით თითო ცხვარი, ორი ქადა, ერთი ხორცია და მეორე ერბოსი, შვიდი ხმიადი, შვიდი კვერი, ერთი სტილი (იწონის ორ კვერცხს) სანთელი და ერთი ჭორის ბარგი შეშა უნდა მიეტანა.

ხევისძერი ამ საწირს მიიღებდა და თემს ამჟყალობებდა, ხში-რად ხევისძერი საწირს სინჯავდა, ხელში ჩხირი თურმე სჭერია და ამ ჩხირით ქადას გულს უსინჯავდა, თუ ქადა კარგი გულიანი არ იქნებოდა, პატრონს უკან უბრუნებდა და კარგს მოსთხოვდა.

ხატში ხევისძერებს სასწორიც ჰქიდებიათ, რომელზედაც საკ-ლავის დუმას თურმე წონიდნენ. თუ დუმა ორ კილოზე ნაელები გამოვიდოდა, პატრონს უკანვე უბრუნებდნენ და ხევისძერი მას ორ დაამწყალობებდა. მაშინ ეს დანაკლისი სათეოს მიმტანს ერ-ბოთი უნდა შეევსო. ვინც სათეოს არ გაიღებდა ან მას წესია-მებრ არ შეასრულებდა, ხევისძერი მას დაარისხებდა.

ლიტანიადღეს ფშავლები ოჯახის დასუფთავებას აღრიანად შეუდგებიან, რომ ოჯახს უსუფთაობა არ „დაეკვებოს“-ო. საკი-დელზე ქვაბს ჩამოკიდებენ და გამჭმად ხორცს ხარშავენ; ლიტა-ნიადღეს ოჯახი ქვაბშეუკიდელი არ უნდა დარჩეს, რომ ოჯახს ბარაქა არ გამოელიოს. საღამოს მიაქვთ ნედლი ხის ნეკრიანი ტოტები და კარის ბჟეში შეაწყობენ.

ფშავლების რწმენით, ლიტანიაღამეს ციდან ანგელოზები ჩა-მოდიან და ახალწელიწადს ვინც უნდა მოკვდეს, სწერენ და, ვინ როგორ ტანისამოსში დაიწერება, სიიქიოში ისე წავით.

ამიტომ ოჯახში ღამითვე შეუდგებიან ახალი ტანისამოსის ამო-

ლაგება-მომზადებას, რომ ახალწელიწადს ახალ სამოსში მიეგო-  
ბონ.

ვახშმის შემდეგ ოჯახის დიასახლისი ბედისკვერების ცხობის და-  
იწყებს. ბედისკვერები თანასწორია გარდა ერთია, რომელიც ხუთ-  
ჯერ დიდია და „ხარის გოგა“-ს უწოდებენ. თითოეულ ბედისკვერზე  
„სათავონ“ ნიშანია დასმული, რომელიც პატრონის შრომა-საქმი-  
ანობის დამახასიათებელია: მეცხვარისას ცხვრის ფარა, მეძროხი-  
სას — ძროხა, გუთნისდედისას — სახრე, პურის თავთავი და სხვა.  
ხარის გოგაზე კი გუთნის ნიშანია გამოყენილი. ეს „სათ ა ვ-  
ნ თ“ ნიშნები წერტილ-ხაზებითაა გამოსახული და კვერის გამო-  
ცხობის დროს ყველანი თავიანთ ბედის კვერებს გულის ფანცქა-  
ლით უცერიან, რადგანაც ხალხის რწმენით, ვისიც ბედისკვერი  
გაფუვდება, ის სამზეოში იმატებს და ბედნიერიც იქნებათ. ბედის  
კვერი თუ ჩითოთქა, ცუდია და ეს პატრონის უბედობის ნიშა-  
ნიათ.

ლიტანია-საღამოს ოჯახის უფროსი კაცი ხატშიც მიღის, რომ  
ხატს წელიწდობა მიულოცოს. ყოველ შემთხვევაში, თემი მო-  
გალეა, ხატში ამ დღისათვის ორი კაცი მაინც გაგზავნოს. ხატის  
ეს მექვლეობა ზოგიერთ თემში მორიგეობით იციან, ზოგან კი  
ხატში კომლზე კაცი მიღის და თან მიაქვს „საქაცო“-დ მამაკაცზე  
თითო სანთელი, ხმიადები, სასმელი და ხშირად საქლავიც მიჰყავთ.

ხევისძერი სანთლებს აანთებს და ღამის მთევლებს ამწყალო-  
ბებს. შემდეგ ვახშმობენ. დაანთებენ ცეცხლს და თბებიან. ცეცხლ-  
ში ერთმანეთს ქულებს ჩაუგდებენ, ზოგი ქუდს თვითონაც ჩაიგ-  
დებს და გატრუსულს აიტაცებს.

მამლის პირველი ყივილისას დიასახლისი დგება, ჭალაბს ნაყ-  
რად ხმიადს გამოუცხობს და ერთმანეთს წელიწდობას ასე ულო-  
ცვენ:

„დიდი გიმატოს ლმერთმა, ახალმა წელმა, ახალით წლის გამო-  
ცვლამა“-ო. თბილ ხმიადს დიასახლისი ხონჩაზე დადებს და მის  
გეოს პირზე მიდგამს, გარშემო თაფლ-ერბოიან ჭამებს შემოუმწ-  
ერივებს. ოჯახიდან ერთი წყალზე წავა, თან „ნაყრს“ — ყველსა და  
პურს წაიღებს. იქ წყალში ჩააგდებს და სამჯერ იტყვის: „წყალო,  
ნეკრი მოგრძანე, ბედი გამომაყოლეო“. ამ წყალსაც დიასახლისი  
სუფრასთან მისდგამს, სუფრას სახელს შესდებს და ასე დაილო-

ცება „ლმერთო“, დიდება შენდა, ლმერთო, მაღლი შენდა, ლმერთო, უფლა შენი გიჩენილია, შენ გიბარივართ ცოცხალნიც, მკვდარი-ცა; შენის დიდებით, შენისავ მოცემითა, შეაწყალოს (იტყვიან მრცვალებულთა სახელებს). თქვენამც მოგივალისთ, როგორც ჩვენ გავიმეტებავ, თუ ვისად გინოდესთ, წილსამც დაუდებთო, ძალად კი ნუმც ვან შეგეცილებათ“. ამის შემდეგ დიასახლისი ოჯანის წევრებს თაფლა და ხილს შეაჭმევს, „დააბერებს“ და ერთმანეთს ეტყვიან: „ევგრემც ტებილად დამიბერდით“. გაღმოიღებენ ხმიადებს, წვნიან ჯმებს და საუზმობენ. ოჯახი უცდის ხატის ღამისთვეულების გამობრუნებას, მეკვლეს შემოსვლას და ოჯახიდან არავინ გადის. დიასახლისი ქვებს ჩამოჰქიდებს და ხინკლის ქოებას შეუდევიან.

ხატში ხალწელიწადს დილას მეკვლეებმა ხატის დარბაზს უნდა შეუკვლიონ:

„ლმერთმა გაგაძლიეროს, ჩვენო სილოცავო, ყმები გაგიმრავლოს, ზიანი ნურსა მოგცეს, მტერი დაგმარცხოს, ზიანი ნურსა მოგცეს, კეთილად მოგიხლინოსთ ჩემი მეკვლეობა შენა და შეს კმათა“-ო.

შემდეგ ხევისბერი ლუდიან ჯამს გამოიტანს. შიგ პურის ლუქმებს ჩაყრის და იქ მყოფთ ხალწელიწადს მოულოცავს, თოვლისაც მიაყრის და ეტყვის: „ასე თეთრად დამიბერდითო“. ისინიც უპასუხებენ: „ევგრემც შენ შენიანთო“. მეხატებს ხევისბერი ლუდში გაფულებული პურის ლუქმებით „დააბერებს“ და ეტყვის: „ასე აფულებითა“-ო. შემდეგ ხევისბერი „ხატის სამეკვლეო“ საქალავს დაკლავს. რომელსაც მოხარშავენ და იქვე შექმანენ. ჩქარა ღამისთვეულები შინ წასასვლელად იმშლებიან. ყველას ქუდებს მოხდიან და ნაბდის ქვეშ დამალივენ. ხევისბერი გამოვა, ნაბაღში ხელს შეყოფს, და, პირველად ვის ქუდისაც გამოიღებს, ის ხატის მეკვლეა და სოფელში პირველად ის უნდა ჩავიდეს. ხევისბერი მეორე ქუდისაც გამოიღებს და ამ ქუდის პატრონი კი „ჯარის დედაა“, მეხატებს უნდა გაუძლვეს და სოფელში ჩაიყვანოს. მეკვლესა და ჯარის დედას ხშირად თოვლში იბურთავებენ და გუნდებსაც ესრიან.

ხატიდან გამობრუნებისას ოჯახის უფროსი ხატის მეკვლეთა შორის ერთს რომელიმეს ოჯახის მეკვლედ წამოიყვანს, თუ ის

პირი კარგი ფეხისად მიაჩნია. შეკვლედ შინაური ას იქნება. იწვევ-  
ვენ მეზობელს, ვინც კარგი ფეხითა და ოვალით არის ცნობილი.  
შეკვლეს სახელით გმოძახება ას იქნება. მას სახლის კარეჭზე  
სამჯერ მიუკავუნდენ, ზოგჯერ ქვასაც ესვრიან და ამ ნიშნით შე-  
კვლე გაძლის და სამეცვლეოდ წავი.

დიასახლისი კარის ზღურბლთან შეკვლეს სახალწლო ხორჩი  
მიავებებს, რომელზედაც ილავია ნილი, ხარის გოგი, თაფლიანი  
ჯამი, პურ-ყველი, ხინკლები, თეთრი მატყლი და სხვა. შეკვლე  
იღებს „ხარის გოგის“ და კარის ზღურბლიდან სახლში სამჯერ  
შემოაგორებს. ბედისკვერი თუ „წალმა დადგა“ და ის მხარე, რო-  
მელზედაც ხარ-გუთანი და საოჯახო საქმეებია გამოსახული, ზევით  
მოექცა, ეს ნიშავს კარგ მოსავალს და ოჯახის ბარაქიანობას, წი-  
ნააღმდეგი შემთხვევა კი ოჯახისათვის ცუდი მომასწავებელია.  
შემდეგ შეკვლე სახლში შემოდის და ისე დაილოცება:

„ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა, კარგამც მოგიხდებათ ჩემი  
შეკვლეობა, დიდი გიმატოს ღმერთია, ახალის წლის გამოცვლა  
გიმატოთ თავის კაცით, საქონით“ და სხვა.

წინათ ფშაველი შეკვლე ასე დაილოცებოდა თურმე: „გწუ-  
ლობდეთაო ლაშარიო, ხახმატიო, გმირ-კოპალეო, ბერ-ტადურიო,  
გუდანიო, იახსარიო. გწყალობდეთაო მაღალი ღმერთიო, იმ დიდი  
ხელმწიფის დავლათიო: თაობითაო — დასტურ-ხელოსანთაო, აქ  
მყოფ დარბაისელთაო, მხვევსაო და მხვეწსაო; სიხარულად გაგო-  
ხადოსთაო ზღვნობაიო, ყმობაიო; გიშველოსთაო, ლალის მტრისა-  
დაო, მწარის სიკედილისადაო, უზიანოდ შევინახოსთაო: კაცითაო,  
ქალითაცაო, საქონლითაცაო; კაცა მოგიმატოსთაო, სოფელ აგი-  
შენოსთაო; მსჯელთა მსჯელობა ნუ დაგიყარგოსთაო, დასტურთ  
გწყალობდესთაო; მშეიღობით დაღებულ ულელ მშეიღობით გადა-  
გაღებიოსთაო; მემუხელესა მუხლებ შეგარჩინოსთაო, მტრზედ  
მოგახმაროსთაო; ლვინიანებსა ხელთ გაამოსთაო, მრავალ ახალ-  
წელ გავითენოსთაო. მე გლოცენითაო, თქვენსამ კვნესამეო, მლეთი-  
სამ-კი პირითა დაილოცებითაო“<sup>1</sup>.

ამზე შეკვლეს უპასუხებენ: „ეგრევ შენ შენიანად, ღმერთია

<sup>1</sup> მ ე ვ ე ლ ვ, სახალწლოდ (ფშავერი დალოცვა), გაზ. ივერია, 1894 წ.,  
№ 1.

შენი თავი გვიცოცხლოს, დიდ ხანს აუბნოს შენი ენაპირიო“, მეცნიერებების და კულტურული მეცნიერებების და მეცნიერებების მიმღები მიზანი“ - თ. მატყულს უბეში ჩაუდებს: „ესე თეთრად დამიბერდი“ - თ. მეცნიერებების მიზანი არის მოვა, აიღებს მუგუზზალს, წაჩერებს ცეცხლში და რამდენიც ნაპერშეალი გასცეია, იტყვის: „ამდენი შვილი, საქონელი და კარგი ყოფნა თქვენთვის იყოსო“. შემდეგ მეცნიერებების სუფრაზე დაიწვევენ და უმასპინძლდებიან. წასელისას კი მეცნიერების ჭიბეში თხილდაკალს ჩაუყრიან.

შუადღისას ოჯახში სამ სუფრას დადგამენ და სამივეს ცალკალებების შედებენ: ერთი სუფრა ოჯახის მიცვალებულებისაა, მეორე მოუგონებელი მკედრებისა და მესამე კი უპატრონობის. ოჯახის უფროისი სანთლებს აანთებს, წყალსა და არაყს სუფრასთან მიდგამს და იტყვის:

„ღმერთო, შენი დიდებითაო, ღმერთო, შენის მოცემითაო, ღვთის წესითაო, ელუსამეთის მაღლითაო, ცოცხალნიც შენ გეხვიშებიან, მკვდარნიც შენ გბარიან. თუ საიქაოს ნათქომი საიქიოს სულწმინდას ემსახურებოდეს, თქვენამც მოგივათაო, ჩვენო დედ-მამანო, ჩვენნო მიცვალებულნო, ძველნო და ახალნო.

დიღნო და ბატარანო, ერთმანეთსამც მისცემთ სისწორესაო, ცისამც ნამივით გადაგწვდებათაო, თუ კიდევ მოგონებას ვინმე მოგველოდესო და ეერ ვამბობთ სახელდობრივო, თქვენამც დაიწევთო, მაღლ-ბარიქასამც მოგცემთო, ჯვარსამც დაგვიწერთო კაცსა და საქონსაო, თქვენამც მოგხმარდებათო ე პური და ე წყალიცაო, სანთელიმცა თქვენს გზასა და ინდაფს ანათებსო“.

ფშაველების რწმენით, „სახელის შედებმა“ სახელის შედების ღრის თუ „ხელი არ აუხსნა“ თავის მიცვალებულს „დიდთაც, ცოტათაც, ძველთაც და იხალთაც“, უცხოს მიწვევაზე და უპატრონო სულის გაკითხვაზე, მაშინ მიცვალებულის სულები საიქიოს ვერავის დაიწევენ და მით საიქიოს დღესასწაული უმწარდებათო.

სახელშედების შემდეგ ოჯახი სახალწლო სუფრას მოუსხდება და ყველანი საღილობენ. მხოლოდ ხარის გოგისა და ბედისკვერებს ამ დღეს არ ვამენ და ნათლილებამდის ინახავენ.

ახალწელიწად დიღლის „ნაყრს“ ძროხებს ჩვეულებრივზე იღრე დაუყრიან, რაღგანაც ჰგონიათ, „თუ მგლებმა ფუტურაის აქმეჭა 176

შოთაწმინდას, ძროხები მგლისები იქნებათ”, ამიტომ საქონელსაც ნაყრს აღრევე შეუტანენ და ახალწელსაც მიულოცავენ.

ახალწელიშადთან ფშავში დაკავშირებულია აგრეთვე სხვადა-სხვა ცრუმორწმუნეობანი: წელიწად დილას ოჯახის პატრიონი სახ-ლში ძალს შეიყვანს და იტყვის: „ფეხი შენი, ქვალი ანგვლოზი-საო” და ძალს „ნაყრს“ აჭმევს. წელიწად დილას საბეჭდს დამა-ლავენ — გველი არ იგვესევაო, ძველ ტანისამოსსაც მიმალავენ, რომ მეტენარი არ დაგვეხვიოსო, კარში არ ივლიან, რომ მეზო-ბელმა არ დაგვწყის მოსამართი — გველი არ დაგვეხვიოსო, კარში არ ივლიან, რომ არ გავიძეროთო და მას ფასტამლის კალთით უბერვენ. სახლში წყალ-საც არ დაღრიან, ჭიანჭველა ამოდინდებათ და სხვა.

ფშავლებს სწამთ, რომ წელიწად დილას ყველაფერი „ტხადია“ და სრულდებათ და ამიტომ ქარგა და სასიამოვნოს აქეთებენ: ზოგ-ზოგი ყალით (ციგა) გაცურდება — ქარი მოგვშორდებაო, ზოგი ქანაობს, თამაშობს და სხვა. დაინინება და ჩხუბი კი ამ დღეს არ შეიძლება, რომ ის ადამიანს იმ წელიწადს არ „დაჰკვალავდესო“.

იხალწლის მეორე დღე „კუშატია“ და მას უქმობენ. კუშატ დღეს არ საქმობენ და მისი გატეხაც არ შეიძლება. ამ დღეს ზოგი ჩხირსაც არ გატეხს და ის საქონლის ნეხევსაც არ გადაყრის.

განცხადება დღეს (წყალკურთხევის) დილა იღრიან დიასახლისი ნაყრით წყალშე წავა, ჰურპულს სამჯერ ავსებს და დაღვრის, მიც-ვალებულებს მოიხსენიებს, რომ წყალი მიცვალებულებს მიუვაო. შემდეგ წყალში ყველსა და პურს ჩააგდებს და იტყვის: „წყალო ნაყრი მოგიტანე, ბედი გმომაყოლე საქონ-ცხერისა და ცხენ-ვი-რისაო“. ამ წყალს დიასახლისი სახლში მოიტანს, სუფრას გაშლიან და მას მიცვალებულის სახელს შესდებენ. ხარის გოგას გუთნის დედა ან მეხრე ბოსელში წაიღებს და იქ მას ხარის კისერზე გა-დატეხენ, ნაოთხალს ხარებს შეაჭმევენ, დანარჩენს კი ოჯახის წევ-რები ჭამენ.

ახალწლიდან იწყება ზამთრის მზის შემობრუნება და დღის მა-ტება. გაზაფხულის პირი ახლოვდება და ბუნებაც გაღვიძებას იწყებს. გლეხიც შეუდგება საგაზაფხულო მუშაობის თაღარიგს და ის ზოგიერთი წესების შესრულებით ცდილობს გამოიწვიოს ბუ-ნების განაყოფიერების მეტი პოტენციალობა. ამ მიზნით ფშაველი გლეხი ასრულებს ბერიკაობას ანუ „ბერაკინას“. ყველიერში

სოფლის ბიჭები შეიქრიბებიან და სოფელს დაუვლიან. ერთ მათგანს სახეზე კურდლის თავი უკეთია და, როცა ოჯახში მივლენ, ქარს დაუკაეუნებენ და დაიძახებენ: „ბერავაის კარსაო, გიჭყრიალებ თვალსაო, ჩქარა თუ რას გამომიტან, თორო გიმტვრევ კარსაო“. სახლის პატრონი კარს გაუღებს, ბერავაის შინ შევა და კურდლის თავიანი ვარცლს მიუკაეუნებს. სახლის პატრონი კურდლის თავს სამჯერ ბალანს გამოგლებს, ვარცლში ჩააგდებს და იტყვის: აქ ბარაქი იყოსო. შემდეგ ბერავას აძლევენ: კვერცხს, ხინკალს, ფქვილს და სხვა. ბერავა გამობრუნებისას იტყვის: „ლმერთმა ბარაქი და მაღლი მოგცესო“.

ბერავაის სოფლის გარეთ გადიან. აქ სუფრას გაშლიან და ღრის მხიარულად ატარებენ. შემდეგ ისევ აიშლებიან და ერთს „მთხოვრად“ მორთავენ.

მთხოვარს ძონი აცვია და წინ მიდის, მას ქმარი მისდევს, უკან კი დანარჩენები მიჰყვებიან, ვითომც მათი შვილებია. მივლენ ოჯახში და დედა დაიძახებს:

„ოჯახის პატრონებო, ამდენი ბალი მყავის, სიმშილით მეხოცება და რამე მომეცით“—ო.

დიასახლისი შეეკითხება, ამდენი ბალი რათა გყოლია? ი, ამ ჩემი ქმრის ბრალიაო, ქალი ეტყვის და თან ქმარს ხელით უტევს.

ქმარი კი მას ეარშიყება და საკოცნელად იწევს. ქალი ქმარს ტუქსავს, ქოხს უღერებს და ეუბნება, რა გინდა, განა საქმაოები არა გყავსო?

ბავშვები იძახიან: გვშიან, გვშიან, გვშიან. დიასახლისი მათ ასაჩუქრებს.

გაზაფხულის პირზე ბუნების გაღვიძებასთან ზამთრის პერიოდში მიძინებული და დამშეული მინდვრის მავნებლები თაგვები, მგლები, ჩიტები და სხვა იღვიძებენ. ეს დამშეული მავნებლები, გლეხის ნათესსა და საქონელს ეტანებიან, ამიტომ გლეხი მათ დაოკებას ცდილობს სხვადასხვა რიტუალის შესრულებით.

თავკ-ჩი ტოუქმე ც ფშავლები უქმობენ დიდმარხვის პირველ ორშეპათს. ამ დღეს დიასახლისი ფაფას მოამზადებს, ბავშვი სახლის ბანზე ივა და დედას საკომიდან ჩასძახებს:

შეილა: — დედაც რასა იქ?

დედა: — ჩიტო ფაქასაო.

ჩიტი რალისაო?

შეილა: — სხეათ ფანისაო.

შემდეგ ბავშვი კართან მივა, დედა ნათოტით ფაფას მიაწოდებს და ამ ფაფას ის ღობეზე შედებს, რომ ჩიტებმა ჭამონ, დანარჩენს კი თვითონვე შეჭამენ. შემდეგ ბავშვები ჯოხებს აიღებენ, ზედ შეაბამენ ჩერისაგან გაყეთებული ჩიტისა და თაგვის გამოსახულებას და ამით სახლს შემოურბენენ, თან ჯოხესა სცემენ და იძახიან: „ანგელოზო, შინ შემოდი, თაგვო, ჩიტო, კარში გადიო“. შემდეგ გაიტანენ და ჩუმად სხვის საჟომში ჩაავდებენ.

წინათ მეთაგვ-ჩიტები ამ ჯოხებს სოფლის გარეთ წაიღებდნენ და შორს სოფლის სახლებას იქით გაიტანდნენ, ან სხვა სოფლის ადგილში გაპერნდათ და იქ დაავდებდნენ. ამის ერქვა „თაგვ-ჩიტ გალალვა და გაშეება“ სხვისი სოფლის სახლებარზე გასულ მეთაგვ-ჩიტებს იმ სოფლის მეთაგვ-ჩიტები რომ შეხვდებოდნენ, ხშირად ჩხუბი იმართებოდა თურმე, რადგანაც არც ერთი მხარე თავის ადგილში თაგვ-ჩიტის გაშეების ნებას არ აძლევდა.

„მ გ ე ლ თ უ ქ მ ე“-ს დიდშარნვის პირველ შაბათს უქმობენ. ფშავლების თქმით, ღმერთს მელისათვის ერთი დღე ურგუნებიათ და ეს დღე კაცმა უქმად უნდა შეინახოსო. ვინც გატეხავს, იმისი ცხვარ-ძროხაც ღვთისაგან მგლისათვის დალოცილიათ. ამიტომ მგელთუქმე ძლიერი უქმეა, მეტადრე მწყემსისათვის, რომელსაც ხშირად „ეხედვება“ მგელი და აზარალებს.

მგელთუქმეში დიასახლისი აიღებს „გურჩის“ — სანაყ ქვას და საგარცხელს და მიაკრავს დედაბორძს, რომ ამით მგელი დაიხუთებაო, ზედ ანთებულ მუგუზალსაც დაიხლოს, რომ მგელს პირი დაეთუთქოსო. ზოგი ცხელ კიცხე ცერცვესაც მოხსლავს, „მგელს პირი დაეწვესო. აცხობენ აგრეთვე მგელთკვერებს. მგელთკვერა მგლის სახისა და მას თვალები შავი ცერცვის ან ნახშირისა აქვს ჩასმული. ზოგი მგელკვერას ყელზე წნელის მიგვარ რამეს შეაბამს, ვითომც მგელი დაბმულიათ ამ მგელთკვერებს ბავშვები ნიშანში ჩადგამენ და ისრით რამდენჯერმე უნდა დაკოდონ და მერე კი შეუძლიათ შეჭმა. ვინც პირველად ისარს მოახვედრებს, დაიძახებს: „მგელი მოგვალიო“. დაუკოდავი მგლისკვერის შეჭმა არ ვარგა, ეს მგლის გამარჯვებას ნიშნავს.

წირ ჩილთუჭქმეს ქალები უქმობენ, რომ ჩირჩილმა ნარ-  
თი არ დასჭრასო და არ გააფუჭოსო. დილით დიასახლისი ცოტა  
ნართს აიღებს კედელში ჩისლებს და იტყვის: „ჩირჩილო აი ეს  
ჭამეო“.

კუდიანების დღე-დღი ფშაველებმა იციან ვნების კვი-  
ჩის ორშაბათს. კუდიანები, ფშაველების აზრით, ეშმაკების მოცი-  
შულები არიან და აღამიანს მტრობენო. ღმერთი და ეშმაკი წი-  
ნაპირველად დაძმანი ყოფილანო. ღმერთი დას გაუჯავრებია, შე-  
უჩივენებია ის და განუშორებიან. ამის შემდეგ ღმერთის და ეშმა-  
კად ქცეულა და ის ღვთის მოქიშედ და მონაძლევედ ქცეულაო. დედაკაცი ეშმაკი გაუჩინია და ამტომ კუდიანობაც დედაკაცის  
ხელობააო. კუდიანი ეშმაკთან გაზიარებულიაო და თავისი სულაც  
ეშმაკისათვის შეუწირაესო. ეშმაკი თავის კუდიანს სიცოცხლეში  
ბევრ შემწეობას თურმე აძლევს, მაგალითად, საქმარისია კუდი-  
ანმა სამუშაო იარაღი ღამე ხელუკულმა დასძოს და ღმერთი არ  
არ ახსენოს, რომ უხილვად ეშმაკი მივიდეს და მას საქმე გაუკე-  
თოსო და ამგვარად კუდიანის საქმეც ბარაქიანად კეთდებაო.

კუდიანი, ხალხის რწმუნით, ყოველ ვნების კვირას, ორშაბათ  
ღამეს ეშმაკებთან თურმე დაიარება, რომ ყველაფერი მისგან გაი-  
გოს, რაც წლის განმავლობაში სოფელში უბედურება უნდა მოხ-  
დესო და ეს ყველაფერი კუდიანებმა იციანო. კუდიანთლამეს კუ-  
დიანები აიღებენ კერის ქვეშ ქოთანში დამალულ წამალს „კვინ-  
ტილა“-ს, ამოიცხობენ ილიაში, ცოცხზე გადაჭდებიან და სახლის  
ერდობან გაფრინდებიანო. კუდიანები და ეშმაკები გზა-გასაყრელ  
ძიგილის იკრიბებიან, საღაც თაობირი იმართება, თუ იმ წელი-  
წადს ვინ სად და რომელ ოჯახში მოკედებაო. შემდეგ ეშმაკები  
და კუდიანები ფერხისას თურმე გააბამენ და მღერიან. ბოლოს  
ეშმაკები კუდიანებისაგან „ყალანს“ (ბეგარას) მოითხოვენ და მათ  
„წილს უყრიან“. ვისაც წილი შეხვდება, იმ კუდიანმა ეს მსხვერპ-  
ლი უნდა გაიღოს და მას იმ შემთხვევაში არავითარი ლოცვა-  
კურთხევა არ შეველისო. წილრგებულ კუდიანს იმ წელიწადს ვინ-  
მე უნდა მოუკვდესო.

ამის შესახებ ჩვენ აქ მოვიყვანთ ფშაველი დედაკაცის ნამ-  
ბობს:

„ერთ დედაკაცს კუდიანდლე-ღმეჩი საკიდელზე იუვლავ, წა-  
180

სულა, ეშმაკებჩი, იმათ კბილ-სავარცხალად მეფე ჰყოლია, იმეებს გაუკეთებავ ყალანი, სუკველის ქვე უსროლავ იმისათვის კბილები, როგორც დიდ ქვას მიარტყამდნენ, ისე დიდი მოუკვდებოდა იმ დედაქაცს. სულ ჰეთია შეილები და არ უთქომის, კუდიანთ ვარო. მემრე ერთი შეილი დარჩიმია, იმასაც აუკლავ საკიდელზე. მისულა და იმის დედა ფერხისაში ებაო. იმასაც აულავ დიდი ქვა, უსროლავ, მიურტყამ, კბილებჩი, წამოსულა შინა.

უთქომს დედაქაცს: აბა რაღა ვწენაო, ერთი შეილი მყავის და მაგის ვერ მოგცემთო და ერთს თვალს მოგცემთო. როგორია? ისრეო, ქალმებს რო დაუწყებს კუთებას, მე ბუზად ვიქცევიო, ხან ერთ თვალში მივაჭდებიო, ხან მეორეში და ჩეირას იქრავს თვალშიო. იმის დედას პური უზელავ, იმას ქალმები უკეთებავ, მციულა ბუზად, მისჯდომია თვალში და დაუდვავ ჩხირი შტოლზე და ისე დაუჭერავ ი დედაქაციც მაუჭერავ ხელი, მენა ვარ, შვილო, მენაო, კუდიანიო».

ეშმაკების ყურის დაგდება და მათი ნების გაგება არა კუდიან-საც შეუძლია, თუ ის შეასრულებს „მისნობის“ წესებს.

ამ მიზნით ოთხშაბათ ღამეს რამდენიმე კაცი წავა გზა-გასაყარზე, მისნად დაჭდება და ეშმაკების საუბარსა და სიმღერას ყურს დაუგდებს. მისანის იარაღი და რაიმე რეინეული არ უნდა ჰქონდეს, დუგმაც კი უნდა იისნას. მისნებში ერთი „სიყრმის“ შეილი უნდა ერიოს, ორერმე ეშმაკებისაგან თურმე ვერაფერს გაიგდენ. მისნები ქალამანს უკულმა იცვამენ, ზურგშექცევით მიდიან და პირუკულმა სხდებიან (პირი დასავლეთით) ეშმაკები ქვებს გამავარცხებენ თურმე, მაგრამ განძრევა და ჩუჩუნიც არ შეიძლება, რომ ეშმაკები არ დაფრთხენ და მისნებიც ვერაფერს გაიგდენ.

ეშმაკები მოვლენ და ფერხისას დაუკლიანო და იმ წლის უბე-დურ შემთხვევებსაც მისნებს მოაჩვენებენ. თუ იმ ღამ ვარცლი აჩქამდება, ქალი მოკვდებაო, თუ იარაღი — კაციო. სეტყვა იქნება, თუ მოუსავლობა, სიმშილი და სხვა ზველაფერი, ეს მისნებს ნათლად ეჩვენებათო..

ამ ეშმაკებისაგან თავდაცვის მიზნით კუდიანთდღე-ღამეს ფშავლებს მოაქვთ თხილის, ასკილის და მუხის ტოტები და სამივე ხის თოთო ტოტს სახლისა და გომურის კარების თავზე მიაკრავენ, აგრეთვე საბურე ბეღელში და სახლის საკომჩედაც დაწყობენ და

თან თითო ნახშირსაც ჩაატანენ. საქონლის ბაგაში კი რეინეულსა და ნიხშირს ჩადებენ. ზოგან ტყემლის ოთხ ტოტსაც მოჭრიან და კერაზე დადებენ, რომლის ნახშირით სახლის კუნძულებს ჯვარს დაუსვამენ და ცოტას პურპელ-ავეგშიც ჩააგდებენ. საღმო უამს ტყემლის ამ ოთხივე ნიგზურს ოთხივე მხარეზე გადაისცრიან და ღრუვიან: „კუდიანო იქითაო“.

ხუთშაბათ დილით ოჯახის უფროსი დიასახლისი დგება და უძრავი წყალს მოიტანს. ამ წყალში გახსნის ვაშლისა და ტყემლის ნახშირს და ამით ოჯახის წევრებს ასხურებს: „ჯვარი გეწეროსთ, თვალივი კაცი შაიკრას და თქვენ ვერ გევნოთაო“. შემდეგ ის ბამბის ფითილს ყველას სათითაოდ მარჯვენა ხელის მაჯაზე შეაბამს, რომ ამით ეშმიერ დაებას და ადამიანი ვერ დანაცხსოს.

ამ დღეს ფშავლები უქმობენ. მხოლოდ უძრახად დამდგარი დედაქაცი საქმობს, თუ ის იმ დღეს თავს უძრახად შეინახავს და არავის დაელაპარაკება, ხუთბაშათს მუშაობა მხოლოდ შეკედლებს შეუძლიათ და ამ დღეს მუშაობა ხალხის რწმენით მათთვის სავალ-დებულოც არის, რომ მიზაპულმა ამირანმა ჯაჭვი არ აიწყვიორს და მჟედლები არ ამოხოცხსო. ფშავლების თქმით, ამირანის ჯაჭვი გოშია ლოგავს, ცვეთს მას და გაწყვეტაზე თურმე დაიყვანს, მაგრამ დიდ ხუთშაბათს მჟედლები კვერს დაკრავენ თუ არა, ჯაჭვი ისევე მოჰლდებათ.

ყველა ამ მავნებელთა წინააღმდეგ წესების შესრულების შემდეგ ფშაველი გლეხი მინდვრის სმუშაოზე გადის. როცა გუთანს პირეელად გაიტანენ, ფშავლები ხარს წითელი ძაფით ნაცარ ან ნახშირგამოკრულ ჩვარს კუდზე შეაბამენ და კისერზე ბალანსაც შეკრევენ. ყანაში ხმიადიც მიაქვთ, და მიწის მოხენის დაწყებამდე გუთნისდედა კარგ მოსავალზე დედამიწის მფარეველ ანგელოზს შეევედრება, ხმიადს გუთანზე გატეხენ და იქვე შექამენ. შემდეგ სათესლედან ერთ მუქა თესლს იღებენ და მას ხატის მამულის თესლში გაურევენ და ყანის მოხენასაც შეუდგებიან. ხენა-თესვის რომ მორჩიებიან, ყანაში გრძელ ჯოხს ჩაირკობენ, მას თავზე გრძელი ბალახის თავთავს უკეთებენ, რომ ასეთი თავთავიანი ჭირნახული ამოვიდესო.

ჯეჯილი როცა ამოვა, თემი თუ სოფელი „ნაკვეთ დღეს“ აწესებს, რომ ყანა სეტყვამ, გვალვამ და ნიაღვარმა არ გააფუჭოს.

ნაკვეთ დღეს ფშავში დაწესებულია: ორშემათი, პარასკევი და შაბათი და თოთოვეულ თემს შეუძლია ერთი ამ დღეთაგანი ნაკვეთ დღეს იორჩიოს.

ნაკვეთი დღის დასადგენად სოფელი იქრიბება ქვირიას ან აღგოლის დედის ხატთან, სადაც ხევისბერი დაილოცება და ნაკვეთ დღესაც დააწესებს. ხევისბერი ყველას გააფრთხილებს, რომ ეს დღე ჭირნახულის აღებამდის წმინდად შეინახონ, რათა ხატმა სოფელი არ დაამიზნებოს და ჭირნახული არ განადგურდეს.

ამის შემდეგ თუ ვინმემ ეს „ნაკვეთი დღე“ გატეხა და იმუშავა, იმის ხევისბერი ხატში დაარისხებს, აიღებს არაყს ან ლუდს, მიწაზე დააქცევს, სანთლებს გააქრობს და იტყვის: „ვინც ნაკვეთი დღე გატეხა, მისი თჯახი ასე დაიქცეს და გაქრესო“. ზოგან ნაკვეთი დღის გამტებს სოფელი ცხვარს ან ძროხს დაუკლავს და ამით ჯავრს ამოიყრის. მაგრამ თუ თჯახს ან მის რომელიმე წევრს ნაკვეთ დღეს რაიმე გადაუდებელი სამუშაო აქვს, მაშინ შეიძლება სოფლისა და ხატის სახლვარს იქით გასვლა და მუშაობა, რასაც ფშავლები „საუქმოდ სიარულს“ უწოდებენ. ზოგიერთ სოფლებში, მაგალითად, შუაფხოში და უძილაურთაში, ნაკვეთ დღეს მუშაობენ, მაგრამ ამისათვის ხატს საღმრთოს უნდიან.

ნაკვეთ დღეს ფშავლები ერთმანეთთან მიღიან და ღროს საუბარში ატარებენ, რასაც იქ „ფეხნობა“ ეწილება.

მაგრამ ჯეკილი რომ გაიზარდოს და ამისათვის მას ჰქონდეს ზომიერი ნამი და სითბო, ფშავლები ევედრებიან ცა-ღრუბლის პატრონს დამასტეს. მისი ხატი მღებარეობს მათურ-ხევასა და არაგვის შესართავთან. აღდილი გაშლილია და დავაკეცული. გვალვისა ან ავდრონის ღროს ფშავის — ხევის თემები საერთო ხარჯით გაიღებენ ერთ კურატსა და ერთ ცხვარს და დაშასტეს ამ ხატში თავს მოიყრიან. თუ კურატი არ იქნება, მაშინ ფშავის ხევის თითოვეულმა სოფელმა ერთი საკლავი უნდა მიიყვანოს. ხატში ხევისბერი დამასტეს წმ. გოორგის შეევედრება, თუ გვალვაა, ცის ნამის მოცემას, ავდრონისას კი — ტაროსიან ამინდს.

მაგრამ, ამასთანავე, სეტყვისა და ნიაღრის ასაცდენად ფშავში მარიამობისთვის ერთ-ერთ დღეს უქმად ინახავენ და წმ. ელიას ევედრებიან, დაბურებული ყანა სეტყვამ და ნიაღვარმა არ გაანადგუროს. ფშავლების რწმენით, ელია და ზაქარია შეილებია იობი-

სა და მათ იციან ჰექა ცისაო. ელია და ზაქარია ცაში ეშმაკების  
თურმე ებრძვიან და მათ მეხს ესვრიანო. მაშინ ეშმაკი სეტყვას  
აკეთებს და დედამიწას დაუშენს. ეშმაკი მეხს გაურბის და ის  
ზოგჯერ ადამიანს ამოეფარებაო. მაშინ ელია და ზაქარია ღმერთის  
თურმე შეეკითხებიან, რა ვჭნაოთ? ღმერთი ეტყვის — დაპქარით  
და მერე ენახოთ. ამიტომ, ხალხის რწმენით, ეისაც მეხი მოპქ-  
ლავს, ის ცხონებულია. ეშმაკს სულის ჩაბერვის მეტი ყველაფერი  
შეუძლიაო.

მელვარეობის უშემში სოფლის მეკომურები სამღვთოს რიგით  
იხდიან. სამმა კომლმა უნდა გაიღოს ორი ცხვარი, ერთი ციკანი  
და სასმელი. პური და სატანი ყველას თავიანთი მიაქვთ. ქვრივ-  
ობოლს ამ სამღვთოში წილი არ უდევს. ხატში მეკომურებს საწი-  
რად მიაქვთ სანთელი და კვერები. ხატში ხევისბერი დაილოცება  
და ქარატეს შუამდგომლობას შესთხოვს, რომ ელიამ მათი ყანა  
სეტყვა-ნიაღვრისაგან დაიფაროს და ელიას ამისათვის ციკანს უკ-  
ლავენ.

სეტყვის წინააღმდეგ ფშავში სამღვთოს სამ ხატში იხდიან:  
ქარატეს ნიშთან, უბის წვერზე, ქუთხის ღვთისმშობელში და მე-  
სამეს კი მაშარის ნიშთან, სადაც იხსენიებენ მაშარის მფარველ  
ანგელოზს. თითოეულ ამ ხატში სამ-სამი საკლავი იხოცება და  
მათში ერთი ციკანი უნდა იყოს. საკლავი თუ ორია, მესამის სა-  
ნაცვლიდ კლაპტარი უნდა ჩაიდგას.

მაგრამ დამწიფებულ ყანას ხშირად ქარიც იფჟებს და გულუ-  
ბრყვილო ფშაველი გლეხი სექტემბერში „მექარობას“ უქმიბს.  
ამის შემდეგ სოფელი შეუდგება ჭირნახულის მომქის სამზადისს,  
რომლის წინ სოფელი ისევ ხატში შეიკრიბება ადგილის დედის  
ნიშთან და აქ „გუთნის სამღვთოს“ გადაიხდიან და ნაკვე-  
თი დღეც აიხსნება. ამის შემდეგ ყანის მეას შეუდგებიან.

პური რომ გაილეწება, ერთ კოდს გადარწყავენ, რომლისაგან  
ქადა-პურებს აცხობენ და ამით ხატს კირგი მოსავლისათვის მად-  
ლობას უხდიან. განიავებულ პურის შურქელში როცა მოათავსებენ,  
შიგ ნახშირს ჩატანენ, ბარაქა ექნებაო. ბოლოს, წლის მოსავალს  
რომ მიიტანენ და ყველაფერს დააბინავებენ, გიორგობისთვეში,  
ფშავლები „სახლის სამღვთოს“ იხდიან. დაიკვლის საკლა-  
ვი და ღმერთს შეეხევეწებიან, ოჯახს სარჩო კეთილად მოხმარდესო.

სეთივე ცრუმორწმუნეობაა დაქავშირებული საქონლის მომ-  
რავლებასა და ოდამიანს ჯანმრთელობასთან. საქონლის მომრავ-  
ლებას ევედრებიან კვირიას, რომლის ნიში აქ თითქმის ყველა სო-  
ფელშია. ამ მიზნით იხდიან „ხარების სამხვეწროს“, გამოაცხობენ  
ქადას, ხმიადს, სამ პატარა კვერს და ამ საჭირს არყოთ მიიტანენ  
კვირიას სახარბაქეს ნიშში და ხარების გამრავლებას ევედრებინ.

ვისაც ხარი უნდა გაიჩინოს და არ ებედება, სახარე ხბოს პატ-  
რონი კვირიას ხატს შეუთქვამს და ამ ხბოსაც იმის სახელზე ყურს  
აუხევს და სახელსაც „კვირიას“ დაარქმევს. ამ შეთქმული ხარის  
გაყიდვა შეიძლება, მაგრამ მის სანაცვლოდ პატრონმა სხვა ხარი  
უნდა ჩააყენოს, თორემ მას ხატი დამიზეზებს.

ძროხებისა და ფურების შევლა-გამრავლებას გარიამობას  
ღვთისმშობლის ხატს ევედრებიან. ამ ღლეს უქმობენ, აცხობენ ქა-  
დას, მას ხატში ხევისბერი ამწყალობებს და ძროხების გამრავლე-  
ბას შესთხოვს. ფურის გამრავლებას აფრეთვე ევედრებიან ხამა-  
ტის ჯვარს, რომელსაც ფურის სამხვეწრო საღობილო ცხრა კვერს  
უცხობენ. დედაქაცი სანთლებს აანთებს და ხევისბერულად ასე  
დაილოცება: „გიორგი ხახმატის ჯვარი, შენ უშველე, დასწურე  
ჯვარი, დასდე მადლი და ბარაქა ჩვენს ფურ-საქონელს, ავსა და  
ცუდა ნურას მოგვარევენ, დალონებასა“—ო.

ხელად მოგებული ძროხის პირველად შედღებილ კარაქს — „ნა-  
თვარს“ — შეანახავენ და მარიამობას ამ კარაქიან ქადას გამოაცხო-  
ბენ და სინთლე-საწირით ხატში მიიტანენ. აქ ხევისბერი დაილო-  
ცება და ხატს ეხვეწება ძროხის კარგად წველის. კარაქი როცა არ  
შეიდღვიბება, ქადა-საწირით ღვთისმშობელს ევედრებიან, თუ ამან  
არ გასჭრა, მაშინ „სულწმინდის სუფრას“ (მიცვალებულის სულე-  
ბის) დადგამენ და სახელს შესდებენ. ამისათვის აცხობენ: ქადას,  
ხმიადს და ხაჭო-პურს, ანთებენ სანთლებს და იტყვიან: „თუ რო-  
მელიმე სულწმინდა მოგვიძიროდეს, მოგონებას მოგველოდეს,  
ჩვენ ვერ ვიცოდეთო, ღმერთმა შენ ხელთ ნებასა ქნასა, თუ ვის-  
თვინ გემეტებოდეს, შენ მისცემ სისწორესაო“.

ამ შემთხვევაში ზოგჯერ ნათვალავის შემლოცავ დედაქაცხაც  
მიმართავენ, რომელიც ხელში ნახშირით ძროხის რძეს შეულო-  
ცავს, და, ამანაც თუ ვერ უშველა და რძე არ შეიდღვიბა, მაშინ

შეითხავთან მიღიან და ის იტყვის. ხატისა თუ სულიშმინდის მზ-  
ჟეზია.

ოჯახის კეთილდღეობის სახლის ანგელოზს ეველერებიან. მა მიზ-  
ნით დაისახლისი აცხომს ქადას და სამ კერძს, მიგა სახლის უუ-  
რესთან (ცუთხეში), სანთელს აანთებს და სახლის ანგელოზს სთხოვს  
ადამიანის გამრავლებისა და კარგად ყოფნას. შემდეგ კერძს იქვე  
ჟღელში შედებენ და ქადას ოჯახშივე შეკამენ.

ყვავილ-ბატონების ფშივლები ანგელოზად თვლიან და ყვავი-  
ლიან ავალმყოფს სიმღერითა და ფანდურით ართობენ. ოჯახში  
უქმობენ და არავინ საქმობს. არც სახლის ბანზე დღიან, რომ ან-  
გლოზები არ დაფრთხებონ. ავალმყოფს წინ თეორეულს მოუფე-  
ნენ, რომ ზედ ბატონებმა ითამაშონო. ავალმყოფი თუ შეწუხებუ-  
ლია, მაშინ ხახმატის ჭვარსა და თამარ მეფეს შეევედრებიან:  
„თამარ დედოფალო, შენ გეშოვება წიმალ-საწამლელი, შენ მთარ-  
ჩინე და შენ გეშმახურებითო“.

ფშავლებს ავი თვალი და მისი მავნებლობაც სწამით და ამის  
წინააღმდეგ შელოცვებიც იყიან.

თვალის ლოცვა. ასა სახელი ლეონისაო, მამისაო და ძი-  
საო. შაგილოცავ თვალისასა, ავგულისასა, მეშურნე-მეჯაბრისასა. ვინ იყო შენი მთვალავი: თვალშივი იყო, თვალჭრელი. შენ მთვა-  
ლავს თეალში ნაცარი, გულზე ლახვარი, კარით მეხი, საქმით ცი-  
ცხლი.

გამოდი, ავის ავთვალო, თორემ გამოგიყვან, გამოიდა, გამო-  
იშალა, შავი კლდე, შიგ გამოვიდა შავი რაში, ზედ იქდა შავი  
მხედარი, ტანზე ეცვა შავი ჩოხა, წელზე ერტყა შავი ხმალი, თან  
შემოყვა შავი გველი, შემოუქნია შავი ხმალი, გაწყდა გველი,  
გასქდა იმისი თავ-გულიო, ვინც შენ ავის თვალ-გულით დაგსინ-  
გოსო.

გაქრა ქარივითა, გაიირა წყალივითა, შენ ჭვარი გეწეროსო. შენ  
ფეარდაუწერელს ჭვარი ნუ დეეწეროსო, ისე გახმეს მისი წელი,  
როგორც მაღლა ხარის წვერი, ისე გაღნეს მისი თვალი, როგორც  
წყალში მარილიო“.

შელოცვის დროს ხელში ნახშირი უჭირავთ და მას დანით ფხე-  
ჟენ და უბერავენ. შელოცვის დასასრულს ნახშირს ფეხით გასრე-  
სენ, წყალში გახსნიან და ავალმყოფს ამით ასხურებენ. ავთვალ-  
მარილი

ნაკრაგს აგრეთვე შეაბამენ: ურძენა ხის შძიეს, ტყემლის ნახშირს ლურჯ ჩივარში გამოჭრულს და სხვა.

თ ი ა ქ რ ი ს ლ ო ც ვ ა. ძაღლი მყვანდა ტაუსიო, პირაღმართოზე გაუშვიო: ჯამი მქონდა ზიარიო, კოვზი უფრო თავისიო, დალოცვილო თიაქარო, ყმაწვილი გაუშვიო.

ს ე ნ ც ე ც ხ ლ ი ს ლ ო ც ვ ა. უღლითა და მარტოუღლითა მგელი შეება ხარადა, გველი აპეურადა. გაწყდა გველი, გასკდა მგელით, ამოვარდა სენცეცხლარის ძირით.

სენცეცხლარი კანის ავალშეოფობათ. აღამიანს კანი ეწვის და ექავება.

ს უ რ დ თ ს ლ ო ც ვ ა. ცრინტა შავკარ, შავბაჭიჭე, შავ ძიღლას გადავკიდე, შავი ძიღლი ხიდს გავარდა, ცრინტა (სურდო) წყალში ჩამივარდა.

შ ა კ ი კ ი ს ქ ა რ ი ს ლ ო ც ვ ა. ქეძილა შამოჩვეულა ჩვენის ბაკის ბოლოსათ, ისრე ხრავდა ძვალსათ, როგორც ხარი თივასათ, წმინდა გიორგიმ დაწყიოს გაიპარა დიღლისათ.

ბ ე დ ნ ი კ ი ს ლ ო ც ვ ა (საქონლის ყვაეილი). სახელო სახელთა, მამითა და ძითა და სულითა წმინდითა!

შენ ხარო ბედო-ბედნიერო, ტანად ტურფაო, მშვენიერო, ქარისა ქარო მაგალო, სირმასაგულიანო, სად დაიბადე, სად დაიარსე?

— თეთრი მთის ძირსა, შავი ზღვის პირსა, გამოვყევ ქარსა მხვივანსა, მოვყევ წყალსა მხვივანსა, დავიძალე ცხენის ნატერფალზედა, ხარის ნაჩლიქიარზედა.

ავდებ, ავიღე თავი, დავდგი თეთრი კარავი, დავუყურე სოფელთა, სოფელ-კარნი აყოვდენ, როგორც იანი, ვარდნი;

ჩავედ, ჩავუყურე;

ვეცი ცხენის ფაფარსა, მაულე მუხლი მავალი;

ვეცი ხარს კისერსა, მოვგლიჭე ქედი, გავუტეხე ძვალი, ამთვარიდე ტვინი;

ვეცი ვაჟა-ქ ულვაშ-კოკორას, ჩამოვთიბე თმა-ულვაში, მაულუ მუხლი მავალი;

ვეცი ქალსა, ჩამოვთიბე თმა და ღილი, ივატირე ქრისტეს დედა მარიამი. შაუტია ქრისტემა უფალმა:

— რადა სტირი, დედავ მარიამო!

— რადი ქსტირი, ქრისტევ უფალო, ღვთის ნათლულო, ღვთის ნათლულო, ნაკურთხო! რა იქნება სიმისცნის, სიმტკიცნის წამალი?

— ავიღებ ოქროს ყავარჯენს, შამაუვლი ხმელეთს, ვკითხავ წამალისა.

შაუტია ბედმა-ბედნიერმა, ტანად ტურფამ, მშენიერმა.

— რას ჰქითხულობ, ქრისტეო უფალო, ჩემს წამალსა, სთხოვე ჩემს მაარსებელს, ჩემს გამამშვებელს უფალო.

ახლა კი ვბრძანებ ჩემს წამალს ჩემის პირით, ქრისტეო უფალო: ააყვავონ ჩემნი გზანი ია-ვარდითა, თეთრის ხარით, თეთრის ცხევირითა, ახლა კი ვიყრი ყოილს, ვიწერ ჯვარს, დავტებები და დავშაქრდები:

იყო პირველად ჩემი წამალი ვოვრის პირის მზე შაქრით შადე-დებული.

იყო ჩემი წამალი ბადალი ბალახი, ბალბა ბალახი.

იყო ჩემი წამალი ირმის ხუთო, ირმის წუნქლიო, პირის სალ-ბობიო, ფსიტის კუდიო.

იყო ჩემი წამალი იფქილის ფქვილიო, შავის ქათმის შვილიო, შაქრით შადედებული მალამო და გაკეთებულიო. წითლის ფურის ნაწველი, ბალბა ბალახი, კურდლის ტყავი შაქრით, თაფლით მა-ნანდადებული.

დამილბეს ფეხის ნალნიო, ვერცხლეული არა რა ყოფილა ჩემი საყიდრისით სურიელზედა, ხორციელზედა.

დავგმზავრდი შავის ზღვისაკა, თავის მეუფისაკა. შამამეყარნენ ტყის მხეცნი, ბაყოტნი; შემამაშალნეს სიკედილის წარბინი, შამამ-ზავთეს და გაღუნებინე, გამოვაბრუნენ წყეულნიო, ვიყრი ყოილს, ვიწერ ჯვარს, დავტებები, დავშაქრდებიო. არე და აწიმლე, ღმერ-თო და ჩემო გამშვებელო!!

ზოგიერთი ცრუმორწმუნეობა დაკავშირებულია ბუნების მოე-ლენებთან. მაგალითად, ფშაველი როდესაც ახალმთვარეს დაინა-ხავს, მაშინევ დაიწრუნებს და იტყვის: „შენ — ღიანი, მე — ძმი-ანი, შენ — ქიჩილი, მე — თმიანი, შენ — თხიანი, მე — ცხვრიანი“. გაზაფხულზე ადრე დგებიან და ნაყრდებიან, რომ გუგულმა არ

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა, ფშაველის ამაოდ მორწმუნეობანი, გან. „ივერია“, 1888 წ., № 223.

დაგვძლიოსო. შემდეგ გუგულის ხმა თუ შოესმათ, იტყვიანა: „მძლევარი-ღა დაგძლიე, მრავალჯერამც დაგძლევო თავის და ძმებითაო, თავის მოქეთებითაო, თავის კარგად ყოფნის ჯანითაო“.

ფშავლებს სწამთ აგრეთვე ას ოთხამ ღ რ ა ლ ი: ხელის გული რომ აქავდეს, ვინე მომივაო;

საწერე (საულვაშე) რო აქავოს, წვერიანი ვინამ მოვაო;

ცხვირი რო აქავოს — სასისხარი მეუბნებაო;

ფეხები რო აქავდეს — საღ-რა წავალო;

მარტხენა ყური როცა გამწივის — მარტხად ვინამ მახსენებსო;

მარჯვენა ყური როცა გამწივის — ვინ-რა მლოცავსო;

შლოკინი — სხვის მიერ ხსენებას ნიშანეს;

ვაბზმის მზადებისას ცხვირი (დაცემინება) კარგი ნიშანია, ვაბზმის შემდეგ კი ცუდიო;

როცა ლოყა ექავებათ — სატირელი მეუბნებაო.

ასეთივე ცრუმორწმუნეობაა დაკავშირებული ზოგიერთ მოჭმედებასთან, რომელთა ასრულებას ფშაველი გაურბის:

ორი ჭოხით სიარული არ ვარგაო — დედა მოგიკვდებაო;

ცალფეხა პურისქიამა არ ვარგა — დედა მოგიკვდებაო;

დედლის ყივილი არ ვარგა — მაუკვდება ვინამაო;

ძალლის ყმუილი არ ვარგა — სიკვდილს ნიშანესო;

ცაცხლი რო ნაღვერდალი დაჭდეს — სტუმარი მომივაო;

ჯამჩი პური რო ჩავარდეს — მშეირი ვინამ მოვაო;

ძროხას რო რქაში ქვა მოარტყას — ერბოსა ვჭამო;

ფშავლების რწმენით, წყალში ჩავარდნილს ეშმაკი პატრონობსო და მიიტომ, ვინც იმას გამოიყვანს, ეშმაკიც იმასთან წავაო. და რომ ეშმაკი არ წაყვეს, იმ ადგილზე, საიდანაც იმოიყვანეს, „ხელწმინდა კაცმა“ შავი ქათამი უნდა დაპქლას და შიგ ჩააგდოსო. ამის შემდეგ მას ეშმაკი მოშორდებაო.

„მ წოლელი“ — მაჯლაჯუნას წინააღმდეგ ფშავლები ხანგალს ან დანის თავთან დიღებენ, ზოგი იმასთანავე თავთან „ბაწარს“ შემოხაზივს და შიგ ჯვარს გააცეთებს, რომ ამით მწოლელი მოიშოროს.

„მოძახურა“ ფშავლების რწმენით ავიქარი ან ავსულია და, მძინარეს სანამ არ გამოალვიძებს, სახელს თურმე ეძახის. თუ ვერ გამოალვიძა, მძინარე უკნებელიაო, მაგრამ თუ გამოალვიძა, მაშინ-

ევ უნდა დაიძახოს: „რომელი ხარ? რომ სად წახვალ, შვიდ მამამდრო აღარ მოხვალ!“-ო. ამ სტყვების შემდეგ ივ სული გაქრებათ და მძინარეც უფნებელი დარჩებაო. მაგრამ მძინარემ თუ უთხრა, რა გინდოო, ავისული ეტყვის: „შენი გულის ხიმედო მინდაო“ და ამას კიდევაც შეასრულებს.

ფშაველი ფრჩილის ნაკვეთს, თმის ნაქრეს და პირის ნაპარსს არ გადააგდებს, ეშმაკი დაეპატრონებაო, ამიტომ ან დაწვავს ან შიფრარულ ადგილის გადააგდებს.

ფშაველის რწმენით, ვინც კატას მოკვლავს, იმან საიქიოს ცხრა საყდარი უნდა აშენოსო, ვინც კატის მოკვლას გამედავს და მის ფეხებს თან ატარებს. იმას ხატი ვერაფერს დააქლებსო, „ხატი არ შიულვებაო“.

ფშაველებს ნადირობა უყვართ და პერნიათ, ნადირს თავისი სა-კუთარი პატრონი ჰყავსო. ნადირობის დროს ის ევედრება ამ ნა-დირთა პატრონს, რომელიც წარმოლდენილია პატარა ქალად. თუ სანადიროდ წასული ნადირს ესერის და ააცდენს, მაშინვე იფიქ-რებს. რომ თოფი შეკრულია ავთვალისავან ან გაუწმინდურებუ-ლიაო. მრტომ სანადიროდ მიმავალი მებოსლე ქალს არ გაეკარება, თოფს არ ესვრის კატას, ყორანს, და ძალს, რომლებსაც თოფის შეკვრა შეუძლიათ.

მონადირეს მისალმებისას ეტყვიან, ხელი მოგიმართოსო და, როცა ბრუნდება, ეტყვიან: „ნადირ კიდევ გიზღოს, მოჰქალ ხელი მოგიმართოს“-ო. ნანადირებს ამხანაგები ინაწილებენ, მაგრამ უცხოსაც შეუძლია წილის ჩადება. ტყავს მხოლოდ მონადირები ყოფენ და ამას „საისრე“-ს უწოდებენ.

#### 8. საკულტო აღგილ-სამლოცველოები და მათთან დაკავშირებული რიტუალი

ფშაველები ოფიციალურად ქრისტიანებად ითვლებიან, მაგრამ სინამდვილეში ისევ წარმართულ წესებს ასრულებენ.

ქრისტიანობა ფშავში აღრე შესული (IV საუკ), მაგრამ მის მოძღვრების ხალხში ლრმა ფესვები ვერ გაუდგამს და ეს კუთხეც ქრისტიანული ძეგლებით ღარიბია. მართალია, ფშავში ვე უკვ

გაუქმებული ქრისტიანული ეკლესიებიც არის: „შუაფხოში, მუქოში, თამარ-მეფეში, ჩარგალში და მაღაროს ყარაში, მიგრამ მათთ ხნოვანება მე-19 საუკუნეს არ სცილდება!“


სამაგიეროდ, აქ დაცულია წარმართული დროის ხატის „საბრძანისები“, სადაც ხალხი წინათ ლოცულობდა და ხატობა — დღეობებსაც იხდიდა.

ფშავლების თქმით, მათი ხატები ლეთისშვილები არიან და მათ ღვთისაგან საყმო აქვთ ნაბოძებით. ფშავლების ეს ხატები ოდესაც „ხორციელნი“ ყოფილია და ფშავში უცხოვრიათ, შემდეგ ეს მაღლიანი და უცოდეველი ხორციელნი დახოცილია და ანგალოზებად ქცეულანო. ზოგიერთ მათგანს, მაგალითად: კოპალის, იახსარს და პირქუშს ღვთისა და აღამიანის მტრება დეკურძები უცხოებათ თურმე და ამისთვის ისინი ღმერთს დაუჯილდოებია და „სულწმინდებალ“ უქცევია და ყმად ფშავის ხევი უბოძებიათ. ამიტომ ფშავლები თავითონ თავს ამ სულწმინდაღეცული ხატების ყმებად თვლიან.

ყველა ეს ხატი, გარდა ღმერთისა, ემორჩილებიან და ლოცულობენ კვირიას და მისი თანაშემწენი არიანო. ხატებს თავითონ მსახურნი „მხაგანნი“ ანუ დობილები ჰყავთ, რომელებსაც ხატი თავის ურჩ ყმებს დასასჯელად მიუსვევს. ამიტომ მხაგანის მოსამადლიერებლად ფშაველი დედაյაცები „სადობილო“ ხმიადებსაც აცხობენ.

ხატს თავისი „საბრძანისი“ ადგილი აქვს, სადაც ის ღამე ზეციდან ჩამოფრინდება და დგებათ. ხატის საბრძანისი წმინდად და შეუვალ ადგილად ითვლება, რომელიც მუხისა და იუნის ხეებითა დაჩრდილულია. ხატის ეს ხეივანი ხელშეუხებელია. ხატის საბრძანისი და მისი ნაგებობანი ფშავში ყველგან ერთვარია. ხატის ადგილი ჩვეულებრივი ოობებ-ყორით არის შემოზღუდული. მისავალში ფიქალ ქვისაგან კვიდრატული ფორმის სასანთლეა აშენებული და შემდეგ სისარე. ხატის საზარე გამართულია თაღიან ათხ ბორზე. ყველ საზარეს აქვს პირამიდული ფორმის სახურავი და ზედ აყულია ფილთაქვის ფორმის შირიმის მოგრძო ქვა. ახალ

<sup>1</sup> ფშავის საეკლესო ნივთები და ხატ-ჯვრები აღწერილი და გადაღებული აქვთ. პ. უვაროვს (იხ. პ. უვაროვა, Посэдка в Пшавли, Хевсурши. Св. Вентию. Материалы по археол. кавказа, т. X. 1904 г., гл. 1—14).



საზარე სოფ. შეიცხოვი

საზარეს კი ხშირად თუნტქის გუმბათი აქვს და ზედ ჯვარიც უკა-  
თია. ხატის საზარეში ზარები ჰქიდია.

ხატის შუა მოედანზე ხატის ნიშ-საბრძანისია მოთავსებული.  
ნიში ქვის ფიქლისაგან არის მშრალად ნაგები, ოთხკუთხედია და  
წინ პატარა თახია აქვს გამოჭრილი, რომლის სახურავიც პირამი-  
დულია. იქვეა ხატის „მკვრივი“ ან ხატის საგანძუროს „სა-  
მილევი“. მკვრივი ოთხივე მხრივ შეკრულია, ნაგებია მკეიდრად  
და შეუვალია. მისი ჩერულებრივი ფართობი  $2 \times 2$  მ უდრის და თა-  
ვისი ფორმით ეს შენობაც პირამიდულია.

სამალევის ახდა არ შეიძლება და ვინც ამას ჩაიდენს, ის კვლება ან გიყდებაო. სამალევიდან წალებულ ნივთს ხატები უკანვე მიტრანინებენო და დამნაშავეს ხატები სიშმარში სცემენო.

ამის შიშით ცრუმორწმუნე ფშაველი სამალევს ხელს ვერ ახლებს და, თუ შემთხვევით ის წარწყდა სამალევიდან გამოტანილ ნივთს, მპოვნელი მაშინვე შინ გაიცემა, იარაღს მოიტანს და მას ამოიღებს, წინააღმდეგ შემთხვევაში სამალევს ეშმაკი გადაეფარება და ის დაიყარებეაო.

უკანაფშავში წყაროსთაველის ხატში, ხალხის თქმით, მდიდარი სამალევია დაცული, ზედ ოქროს თვლებიანი კვიცია გამოქანდაკებული.

ხატშივე ხატის ბელელი, რომელიც ერთ პატარა ოთახს წარმოადგენს და აქვს ერთი შესავალი ქარი. ამ ბელელში ინახება ხატის მამულიდან აღებული ჭირნახული. მის მახლობლად მოთავსებულია „სახარბაკე“, სადაც ხატისაღმი შეწირულ ხარკურატებს თურმე ათავსებდნენ. სახარბაკე ბოსლის მაგვარი ქვიტკირის გრძელი შენობაა. ხატის გალავნის ერთ მხარეზე სალუდე ა გამართული. სალუდე წარმოადგენს მიწურ გრძელ ოთახს, რომელშიც მოთავსებულია სალუდე დიდი სპილენძის ქვაბები თავისი ხელსაწყო-იარაღებით. ამის მახლობლად საბეროა, საღაც ხატობის წინ ხევისბერები და მოწმინდებები დგებიან და წმინდობენ.

ხატის გალავნის გარეთ საფარე ა გამართული. თითოეულ საგვარეულოს წინათ თავისი საგარე პქონია, საღაც ისინი ხატობას დგებოდნენ და ღამეს ათენებდნენ. ხატში ინახება ხატის განძეულია ვერცხლის ჭურჭელი, ხატ-ჭვრები, დროშები და სხვა.

ხატს აქვს საკუთარი მამული და ჰყავს. კულტის მსახურნიც, რომლებიც ხატის ქონებას განაცემენ და სამღვთო წესებსაც ასრულებენ.

კულტის მსახურთა შორის პირველია ხევისბერი. მას მოწმინდართა შორის თვით ხატი ირჩევს. ამ მიზნით ხატი ქადაგ-მეთხატს ანთებული სანთლის აახით თურმე გამოეცხადება და თავის ნებას უმელივნებს. მაგრამ თუ თემი მოისურვებს, მკითხავს თვითონ შეუძლია ხატის გამოწვევა და მას შეეკითხოს ამა თუ იმ ბირის ხევისბერად ირჩევის შესახებო. ხატის არჩეულ კანდიდატს

ხევისბერობაზე უარის თქმა არ შეუძლია, მას ხატი დამიზებული სო. სახევისბერო პირს ხატი ზოგჯერ დაავადმყოფებს ან გააქადაგებს და მანამ ის ხევისბერია არ შედგება, არ მოჩებაო. ამიტომ არჩეული მოწმინდარი იძულებულია ხატის ბრძანებას და ემორჩილოს და ხევისბერიად წავიდესო.

ახლად არჩეული ხევისბერი ხატში მიდის, ზვარავიდ კურატი მიჰყავს და იქ მისი სისხლით ხელ-მხარი უნდა გაინათლოს.

წინათ კი ამ შემთხვევაში ხევისბერს ცხრა საქლავი უნდა და ექლა, 8 ცხვარი და მეცხრე კურატი. ხატში ახლად არჩეულ ხევისბერს თავხევისბერი დამწყალობებს და კურატის სისხლს მას ჯვარულად წაუსვამს: შუბლზე, გულზე და ორივე ხელზე.

ხევისბერობა ფშავში მემკვიდრეობითი არ არის, მას ირჩევენ ხატის ნებით და მკითხავის მითითებით. მისი არც გადაყენება შეიძლება, თუ არა რამე განსაკუთრებული შემთხვევა, და ხევისბერი სიკვდილამდის ხევისბრობს.

ხევისბერებში პირველია თავხევისბერი, რომელიც ყველაზე უცუცესია და უფლებამოსილი. ფშავის ხევში ერთი თავხევისბერია, რომელიც ლაშარის ხატშია და მას ყველა ხევისბერი ემორჩილება. თავხევისბერი წინათ სათემო საბჭოში თავმჯდომარეობდა, რომელსაც თავისი „საბჭეო სკამიც“ ედგა. ის განსაკუთრებული პატივითა და გაეღლენით სარგებლობდა და ლაშქრის „მ კადრე“ წინამდლოლი იყო. თავხევისბერის სამყოფი ლაშარში იყო, რომელიც წირში თუ ლხინში თემს ხელში ლაშარის დროშით წინ მიუძღვდა.

ხევისბერმა ხატობის წინ რამდენიმე კვირა უნდა იშმინდოს. ამისათვის ის საბეროში დგება და იქ განმარტოებული ცხოვრობს. ხევისბერს არ შეუძლია ჭამოს ღორისა და ჭათმის ხორცი და არც კვერცხი. ამასთანავე, წილიწადში ერთხელ ხევისბერმა ხატს საქლავი უნდა დაუკლას და მისი სისხლით ხელ-მხარი გაინათლოს. ჭალის ბოსელსა და მებოსლე დედაქაცს ხევისბერი ვერ გაეკარება ხატის დამიზების შიშით. და თუ ვინმემ შეცდომით ასეთ უშმინდურ ოჯახში შეიწვია, მაშინ მასპინძელი ვალდებულია გაუშმინდურებულ ხევისბერს ხელ-მხარი უნათლოს და საქლავი დაუკლას, წინააღმდეგ შემთხვევაში ფშავლის ოჯახს ხატი დაამიზებებსო.

ხევისბერმა მელოგინის ახლოს თუ გაიარა, მაშინ მელოგინის

ქმარმა მას ცხრა ცხვარი უნდა დაუკლას; მებოსლის ახლო გავლი-  
სას კი ერთიდან — სამიმდის. ხევისბერს ბოსელში შესვლა თუ შე-  
ემთხვა, მაშინ შვიდი ცხვარია საჭირო. ყველაფერი ეს ხევისბერმა  
იცის და ის ოჯახში ვერ შევა, რომ არ გაუწმინდურდეს. ამიტომ  
ოჯახში მისელისას პირველად ხევისბერი ბანზე აღის და იქ იცდის,  
სანამ ოჯახის პატრონი მას არ დაარწმუნებს თავისი სახლის სიწ-  
მინდეში. ამისათვის ფშაველს სახლის ბან-ჭერი წმინდად იქვს შე-  
ნახული, რომ იქ ოჯახის საშველად მოვლენილმა ანეგლოზებმა და  
სტუმრად მოსულმა ხევისბერ-მოწმინდარებმა თავისუფლად იარონ.  
ამიტომ სახლის ბანს ყველგან ფშავის ხევში წმინდად ინახავენ და  
იქ არამც თუ მებოსლეს, ბოსლობის ასეში მყოფ დედაკაცსაც არ  
გააჭირანებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ოჯახს ხატი დაამიზეზებსო.

ხევისბერს ეკითხება ხატის სამსახური და მისი რიტუალური  
წესების შესრულება. ხატობის წინ მან უნდა სისხლით ასხუროს  
ხატის კურჭელი და ავეჯი. მხევწარ-მლოცავს ის ამწყალობებს, სა-  
წირს ის იღებს და საკლავსაც ხოცავს. ხატში შეიძლება რამდენიმე  
ხევისბერი იყოს. ეს ხატის ნებაა და თითოეულ მათგანს ხატში თა-  
ვისი საქმე აქვს მიჩნეული. ხევისბერი ხატის სამსახურისათვის  
ჯამიერის არ იღებს, მას ეძლევა საკლავის „ნას ხე პი“: ნახვა-  
რი ცხვარი თავისი თავ-ფეხით, კურატის თავი და ბეჭი. ტყავის  
სანირად ხევისბერი ფულს იღებს და, ვინც ამას არ გაიღებს, მას  
ხევისბერი დაარისხებს ან მოიკვეთს. ნამცხვრიდან ხევისბერს ეკუ-  
თვნის ქადის მეოთხედი და ხმიადის კვერები.

წინათ ხევისბერს დიდი სახოგადოებრივი წონა და გავლენა  
ჰქონია და თემიც მისი რჩევა-დარიგებით მოქმედებდა. მას ებარა  
ხატის მამული, განძი და დროშა, უფლება ჰქონდა თემის უღირსი  
წევრი დარისხა და თემ-ხატისაგან მოეკვეთა.

ხევისბერების ეს უფლებამოსილება დღეს უკვე შეიქმნა  
და ხალხს ნაკლებად სწამს ხატის ძალა და ხევისბერის ლოცვა-  
კურთხვა. ძველი ხევისბერები თითქმის იღიარ ირიან, ახლები ვა-  
ურბიან გახევისბერებას და კულტის მსახურთა ეს კასტა დღითი  
დღე მცირდება.

ხევისბერს ჰყავს თანაშემწე „დასტურად“ წოდებული.  
დასტურიც ხატში მსახურია. ხატში აქ ორი დასტურია, რომელსაც  
რიგით ერთი წლით იჩჩევენ. დასტურის აჩჩევა იანვარში იციან.

ის ხატის „მიერთობა“ და ვალდებულია იმ წლის განმავლობაში ხატში იდასტუროს. დასტური ხევისბერის ხელქვეთია და ის ხატის საბრძანისა და მის თას-განძეულს ყარაულობს. მასვე ეკითხება ხატის მამულის დამუშავება, ნაღის შეყრა და გაძლოლა. ხატის ჭირნახულის გალერივა და დაბინავებაც მისი საქმეა. ხატობას დასტური ლუდს ადულებს, პურს აცხობს და ხორცის ხატშაცს. ზეარა-კის დახოცვაში ხევისბერის ის შეველის, საწირ-სანთლებს აბინავებს და სხვა. ხატობის წინ დასტურიც წმინდობს და ქალსა და მებოს-ლე დედაკაცს არ გაეკარება. დასტურს ეძლევა საკლავის მხარ-ტყავისა და ქადა-კვერების ნაწილი. წლიური სამსახურის დასა-რულს დასტური „საყეინო“ ლუდს დაამზადებს და ამით ხატის მადლობა უნდა გადაუხადოს.

მოწმინდარი ხატის მიერ „დაკერილი“ რამდენიმე ქალი და კაცი, რომლებსაც მოწმინდობებს უწოდებენ. მოწმინდარს ხატის მიერ დაჭერას მკითხვევი თურმე ამცნობს და მოწმინდარიც ხატის ნებას უნდა დაემორჩილოს, თორემ მას ხატი ავად გახდისო. მოწმინდარ-მა ხატს ერთი საყლავი უნდა დაუკლას და მისი სისხლით ხევის-ბერმა მას ხელმხარი უნდა გაუნათლოს. მოწმინდარი, როგორც ხატისაგან დამონავებული, მას უნდა ემსახუროს. ის კერ მიეკარე-ბა მებოსლეს და ვერც ღორისა და ქათმის ხორცის შევამს, ხატი დამიზეზებსო. მოწმინდობები და ხევისბერები ხშირად ცალკე ქო-ხებში ცხოვრობენ, სადაც შესვლა მხოლოდ მამაკაცს, მოხუცას და პატარა ქალებს შეუძლიათ. ბოსლობის ასაკის ქალი კი მათ ვერ მიეკარება.

მოწმინდარ დედაკაცს არ შეუძლია სხვის ბოსელში შესვლა და მისი სარგებლობა. მას ცალკე ბოსელი აქვს გამართული, საღაც სხვა კერ შევა. მოწმინდარი დედაკაცი ქმართან არ დაწევება, ხატი არ მიხდესო, არც ძროხების ბაგაში შევა ხბოს მოგების ღრის და არც ახალ დაბადებულ ხბოს მოუვლის, ხატი დამიზეზებებსო.

ფშავლების ჩრდენით, მშობიარეს უწმინდურება მის მოწმინდარ ნათესავამდის უწევსო და ამის გამო მშობიარე ვალდებულია მა-საც ხელ-მხარი გაუნათლოს. როცა ოჯახში ბავშვი შეეძინებათ, მშობლები ხატის დარბაზში გასულ შორეულ ნათესავ მოწმინდარ-საც კი უნათლავენ ხელ-მხარსა, რომ ხატი არ გაწურეს და ბავშვი

ავად არ გახდესო. ხატის მოწმინდარს შეუძლია ოჯახი ჰყავდეს, მაგრამ თავი და სახლ-კარი წმინდად უნდა შეინახოს.

თავის სიწმინდით მოწმინდარი დედაკაცი მოწმინდარ მამაკაცს ვერ შეედრება. მოწმინდარ მამაკაცს შეუძლია ხატში მისელა და მომსახურება. თუ ხევისძერი ივად გახდა, მაშინ დარბაზს მოარულ ერთ მოწმინდართაგანს, წლოვანებით უფროსს და სამსახურში დიდხანს ნამყოფს შეუძლია ხევისძერობაც გასწიოს.

მაგრამ მოწმინდარ დედაკაცს სხვა ქალებთან შედარებით ის უპირატესობა ეძლევა, რომ მას შეუძლია ხატს მიუახლოვდეს, ხევისძერის კილოთი დაილოცოს, ხატის სახელი ახსენოს, მის თასს ხელი შეახოს და სასმელი იმით დალიოს.

მოწმინდარ ქალებს შორის ისეთებიც არიან, რომლებიც ხატს სიყრმიდანვე დაუჭერია, „დაუმონავებია“, რომ მას ქალწულად ემსახუროს. ასეთ ქალებს „ხატის ქალებს“ ეძახიან. ხატის ქალად გახდომა მყითხავის რჩევით ხდება. როცა ბავშვი ივაღმყოფობს, მშობლებს ეს ხატის მიზეზი ჰგონიათ და მყითხავთან მიღიან. ზოგჯერ მყითხავი ეუბნება: ბავშვი ხატის დაჭერილია და მოწმინდრად უნდა დააყენოთო. ისინიც ამას ასრულებენ. ხატის ქალი არ თხოვდება და ქალწულად რჩება. მას აქვს თავისი „განმარტოებული“ ბინა, სადაც სხვა დედაკაცს ნება არა აქვს შევიდეს.

ხატის ქალები მოწმინდარ დედაკაცებზე მაღლა დგანან და ხატის მახლობლად ითვლებიან. ისინი უდგანან ხატის საქონელს და ერბო-ყველს ამზადებენ. ხატში მათ ცალკე სავარე იქეთ და ყველანი პატივით ეპყრობიან. ხატის ქალები ფშავში წინათ თამარ მეფეს ჰყავდა და ისინი ცხოვრობდნენ ხადხევში (არტანის საზოგადოება) და სოფ. ხუშხევას ტყეში. დღეს ხატს მამული და სიქონელი ჩამოერთვი და კოლმეურნეობაშია გადასული. ახალგაზრდა ხატის ქალები დათხოვდნენ, ქმარ-შეილს მოეკიდნენ და მყულრო ოჯახურ ცხოვრებას ეწევიან.

ერთი სიტყვით, ხატი თავის მსახურთ ვერ „მოწმინდრად“ იქერდა და შემდეგ ამ მოწმინდართა შორის მყითხავის მითითებით ხდებოდა ხევისძერის არჩევანი. ამ შემთხვევაში დიდი იყო მყითხავის როლი, რომელიც ხალხს ხატისაგან ზეშთაგონებულ პირად მიაჩნდა.

მყითხავიც ხატს ყავს დაჭერილიო და ის ხატის ნებას ასრუ-

ლებსო და მიტომ ცრუმორწმუნე ფშაველს მკითხავის ნათქვამი სჯერა და მას მცშინვე ასრულებს. მკითხავს შეუძლია, როცა მო-ისურვებს. ხატი თვითონაც გამოიწვიოს და თავისი პირით ამცნოს ხატის სურვილიო. ზოგჯერ ხატი ადამიანს სიზმარში გამოეცხადე-ბაო, მაშინ ის მკითხავთან არ წავა და ხატის გამხილების თანახმად მოიქცევაო. მაგრამ ადამიანს რაიმე უბრედულება თუ „ექედვება“ და ამის მიზეზი თვეოთონ არ იცის, მაშინ ფშაველის აზრით მკი-თხავს ხატი მოევლინება და იმის პირით ამცნობსო.

მკითხავი მთელს ფშავში ერთი ან ორია და სამკითხაოდ და ხატის მიზეზის გესაგებად ყველანი მათთან მიღიან, თან მიაქვთ სანთლები, ქადაგვერები და ფული. მკითხავი ჭერ სახლს დავვის, შემდეგ აიღებს წყლიან ჯიშს, მიიკრავს მას სანთლებს და თვალებს გაუშტრებას. ჩქარა მოქნარებას დაიწყებს, სანთლებს ჩააქრობს და იტყვის „ხატი მობრძანდაო“. ყველანი მკითხავს შესცერიან და ისიც დაიწყებს ხატის პირით ლაბარის, რომ ამ და ამ ხატისაგან დაჭრილი ხარ და მას უნდა ემსახუროო. თავის მოწმინდრობით მკითხავიც სარგებლობს, რომელსაც კავშირი იქნება გაბმული ხევის-ბერებთან და მათთან შეთანხმებით მოქმედებს და სახევისბერო კანდიდატებიც გამჟავს.

მკითხავთან ერთად ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს ქა-დაგიც თამაშობს. ხატს შეუძლია რომელიმე მოწმინდარი, ან თვეოთ ხევისბერიც გაიქადაგოს. ქადაგი ხატობას მიწაზე დაემხმობა, თავ-ში და გულში ქვას იხლის, ნაკვერჩხალს იღებს და ხატის სახელით წინასწარმეტყველებს. ხალხი ქუდის მოხდით ყურს უგდებს ქადა-გის სიტყვის და შემდეგ ხატის ამ ბრძანებასაც ასრულებს. ფშავ-ლების შეხედულებით, ქადაგ-მკითხავი და ხევისბერები, როგორც ხატისაგან დაჭრილები, სხვაზე მაღლა დგანანო და მათ ხატიც ყველაფერს უგონებს.

ამიტომ ფშაველი იმას ცდილობს, რომ ეს პირები მომადლი-ერებული ჰყავდეს, არ გაარისხოს და ამით „საწყევკრულო“ არ გახდეს.

ფშაური ხატები თავიანთი ღირსებით და ძლიერებით ერთვეარ-ნი არ ირიან და თითოეულ მათგანს განსაზღვრული აქვს თავისი ღეთაებრივი ფუნქცია და სამოღვაწეო არე. ამისდა მიხედვით ფშა-ური ხატები იყოფა: სასოფლო, სათემო და საერთო ხატებად. მათ


შორის ყველაზე პატარა სასოფლო ხატია, რომელსაც ერთი სოფელი ლოცულობს. მასზე დიდია სათემო ხატი და ყველაზე დიდი და ძლიერი კი საერთო ხატია, რომელსაც მთელი ფშავების ხევი ლოცულობს. ფშავლებს თავიანთი თავი ამ ხატების ყმებად მიაჩნიათ, ხატები კი ფშავლებს „ოქროს ღილებად“ თელიან. თავის ხატი ყოველმა ფშაველმა უნდა ილოცოს, რომ ხატმა ის არ დაამიზეშოს.

ფშავლის თქმით ქრისტიანული ეკლესია მათვეის უმნიშვნელოა, სადაც ყველას შეუძლია ილოცოს, თემისა და გვარის ხატში კი ლოცვა მხოლოდ თავის ყმას მოუხდებათ. ხატი თავის ყმას სხვისი ხატის ლოცვასაც არ „გაუთვლისა“, თუნდაც ერთი და იგივე ხატი იყოსო. ამ მხრივ ხატებში ქიშპობაც თურმე არსებობს.

მაგალითად, დედისძმით ხატი მფარველია თავის ყმათა დისწულებისა და თუ იმათ შველა მოისურვეს და მას არ მიმართეს, მაშინ შეიძლება ხატმა საყვედლური თქვასო, განა მე არ შემეძლო ჩემ ყმას ან ოქროს ღილს ეუშევლოთ. ამიტომ ქალი თუ ავადობს, ეხვეწებიან ქმრისა და მამის სალოცავებს, რომ მათი თავმოყვარეობა დააქმაყოფილონ.

სასოფლო ხატი ერთი სოფლის მფარველია და მას მისი მექომურები ლოცულობენ. ეს სასოფლო ხატი ფშავში ყველგან მოიპოვება, რომელსაც „ადგილის დედას“ უწოდებენ და დღეს ღვთისმშობლობით ლოცულობენ. ადგილის დედის ხატის ნიში წვეულებრივი ფორმისაა და ზოგან ის შემცულია ირმისა და ხარის რქებით. წინათ ადგილის დედას ქქონია საკუთარი მამული, რომელსაც ადგილის დედის ყმები ასუშავებდნენ თურმე. ადგილის დედის დაატურები გაზაფხულზე ნაღს შეკრიდნენ და მამულს არწივებდნენ, რომლის წინ სოფელი აქვე სამღვთოს იხდიდა. ამ ყანას ხადი მეტია, მაგრამ კალოზე ძნის მიტანა, გალეჭვია და პურის დაბინავება დასტურების მოვალეობას შეადგენდა.

ამასთანავე, ადგილის დედის ხატთან სოფელი იხდიდა „გუთნისამღლება და თოა“, რომელსაც მხოლოდ მუშები და მხვნელი მთესველები ესწრებოდნენ. აქვე ხდებოდა „ნიკვეთი დღისა“ დადგება და მისი ასსნაც. ადგილის დედის თავისი დღეობა და ჭვარობიც აქვს: ამაღლებას და მარიამობას, სადაც მხვეწარი საწირ-



ხატის ბეღელი

საქართველოთ თავს იყრის და მათ ხევისბერი ამწყალობებს. აღგილის დედის სახელით ფშაველები ფიცულობენ და იწყევლებიან. მონა-დირე ფშაველს საღმე თუ დაულამდა, მაშინ ის აღგილის დედას შეეველება: „ემ აღგილის დედავ, შენ გებარებოდე, შამინახე შენის მაღლით და დავლათითაო“.

იმ აღგილის დედაზე ძლიერია სათემო ხატი, რომელსაც ერთი თემისა და გვარის მექომურები თაყვანსა სცემენ. სათემო ხატის

„სამწყალობნო“ და სამრისხველო ასპარეზი თემსა და თემის ქალიშვილებს არ გასცედება. თემის ხატის ყმები ერთი გვარის ძალაშვილებია და თემის ხატიც მათ მფარველად ითვლება. მიმოტო ავადმყოფი ფშაველი ვეღრებით მიმართავს სამშობლო თემის „მამის სალოცავს“ და აგრეთვე „და დის სალოცავს“. ახალ დაბადებული ბავშვი „სამწყალობნოდ“ პირველად თავის სათემო ხატში უნდა მოიყვანონ. თუ ბავშვი ვაჟია, ორ საქლავს დაპკლავენ: ერთ ბატყანს და ერთ ჭედილას. თუ ქალია, მარტო ბატყანი დაიკვლისო. ხევისბერს ეძლევა ცხვრის მხარ-ტყავი და ერთი წყვილი ჭრელი წინდა. ბავშვის ხატში გაყვანა და სისტელით განათვლა აუცილებელია. მით ის ხდება თემის წევრი, სალოცავის ყმა და ხატის ოქროს ღილი.

სათემო ხატის საბრძანისი ფშავის ხევშია მოთავსებული და ხატობას ფშავის ყველა კუთხიდან სალოცავად იქ მიემგზავრებიან.

სათემო ხატს ფშავში, ჩევეულებრივ, ორი საბრძანისი აქვს გამართული: ერთი საბრძანისი სოფელშია მოთავსებული, მეორე კი რომელიმე მაღალ მთისწვერზეა მოქცეული და ხატობას მხევწარი ამ წევრის სალოცავად მიღის.

სათემო ხატის საბრძანისში აგებულია ფშაური ტიპის ნიშ-სამლოცველოები: ბელელი, მკვრივი, სახიაბაქე, სალუდე, საჭარე და სხვა.

სათემო ხატს თავისი საქუთარი მამული აქვს, ჰყავს ხატისა და კულტის მსახურნი: დეკანოზი, დასტური და მოწმინდრები.

ზოგიერთ სათემო ხატებს თავიანთი ცხვარ-საქონელიც ჰყავდა: პირქუშის ხატს (ახალში), იახსარს (შუაფხოში), ნაკვალესავს (ციხოში), კოპალის (უძილაურთაში) და ცაბაურთის მთავარიანგელოზს.

სათემო ხატი ფშავის ხევში სულ თერთმეტია: გოგოლაურის თემის ხატი ქმოდის წმ. გიორგია, უძილაურის თემის — კოპალა (ციხე-გორი), ცაბაურის — მთავარიანგელოზი, უკანაფშავის — წყაროსთავის წმ. გიორგი, გოდერძაულის — პირქუში, წოწურაულის — ღვთისმშობელი, წითელაურის — კოტიას წმ. გიორგი, მათურლების — მთავარიანგელოზი, ქისტაურის — იახსარი, ხოშარლების — სახუთმეტო (წმ. გიორგი) და ქიჩოელების მთავარიანგელოზი. სათემო ხატობები ფშავში იწყება ზაფხულში, ივლისის პირველი რიცხვიდან (ძველი სტილით) და ერთი თვე გრძელ-

დება, რომელსაც ფშაველები „ს ე რო ბ ა“-ს, „ს ა მ ღ თ ო ბ ა ს“-ა და ათანგენობას<sup>1</sup> უწოდებენ. ხატობა რიგით მიპყვება და ყველა თემიდან ხატის ყმები თავიათი სალოცავებისაკენ მიეშურებიან.

მაგალითად, შარახევლების, მიგრიაულების, ჩარგლელების და აფხუშოელების სათემო ხატი ცაბაურთის მთავარანგელოზია და ხატობას იქ მიემგზავრებიან. მაღაროსჭარი, ხილიანა, გომეჭარი და სხვა გოგოლაურების თემს ეკუთვნიან და ხატობას სალოცავად იქ მიდიან.

სათემო ხატში ზოგან სხვა ხატის ნიშიც არის, განსაკუთრებით ხშირია კვირის ხატი, რომელსაც ფშაველები საქონლისა და ადამიანის გამრავლებას შესთხოვენ.

სათემო ხატებს შორის ძლიერია გოგოლაურთის ქმოდის თავის წმ. გიორგი და უძილაურების კოპალა წმ. გიორგი.

ქმოდის თავის (ადგილის სახელია) წმინდა გიორგის ხატობა 17 ივლის იწყება (ახალი სტილით). ხატის ნიში სოფლიდან მოშორებით ერთ მაღალ მთის წვერზეა აგებული. ხატის ნიში, საზარე და მკვრივი პირამიდულსახურავიანია. საზარეს ყორის გალავანი იქვე შემოვლებული. სოფლის დასავლეთის მხარეზე მოთავსებულია ხეთანის მთავარმოწამე და კვირის ნიში.

ხეთანის მთავარმოწამე, ხალხის წარმოდგენით, ძლიერი ხატია, და მას წინათ თავისი საკუთარი მამულიც ჰქონია. მ მამულზე გოგოლაურებსა და შუაფხოელებს დავაც მოსვლიათ. შუაფხოელებს უჯობნიათ და ხატის მამული ხელში ჩაუგდიათ, ხარ-გუთნით მისულიან და მიწის დამუშავებას შესდგომიან. ამაზე ხეთანის მთავარმოწამე გაჯავრებულია, ამტუდარა დიდი ჰექა-ქუხილი და ნიაღვარს ხარ-გუთანი და ხატის ზარიც წაულია და შიგ არაგვში ჩაუტანია. შემდეგ ეს ზარი გოგოლაურებს ამოულიათ და იქვე ჰიალაში ჩამოუკიდიათ, რომელ ადგილსაც დღეს „ზარის ჰალას“ უწოდებენ. ხეთანის ამ მთავარმოწამეს თავისი ყმები გოგოლაურ-

<sup>1</sup> ათანგენობა დაკავშირებულია საქრისტიანო წმინდანის ათინოენის სსოფ-ნესთან, რომლის თაყვანისცემა საქართველოში გავრცელებული იყო (იხ. К. Кекелидзе, Иерусалимский канонаръ VII в., Тиф., 1921, გვ. 19—20, 288—294).

თას სამჯერ დაულევიაო, მაგრამ ქმოდის წმ. გიორგის ყმები ისევ მიუკიაო.

17 იღლისს შუადღისის ხატის ნიშთან დაიწყო გოგოლაურის თემის მხევრარ-მლოცვამა თავმოყრა. საღლესასწაულოდ მორთულ-მოკაზმული ფშავლები დაბარგული ცხენებით და საკლავებით იორისა და მიღაროს შორეული სოფლებიდან მოდიოდნენ, რომ თავის ხატში ელოცათ და მსხვერპლი შეეწირათ. აქვე მოპყავდათ სალოცავად ახალი პატარძლები, საღაც მათ პირველად საწირ-სან-თლები უნდა მიიტანონ.

სალოცავად მოდიან აგრეთვე სხვაგან გათხოვილი გოგოლაურის ქალები თავიანთი ახალი ნეფით, რომ ხატს ნაყოფიერება შესთხოვონ. ვისაც პირველად ვაჟი შეძენია ან ამ ხატის მიზეზი გამოსვლია, ისიც საწირ-საკლავთ ხატში მოსულიყო.

ხატობა დაიწყო. ხევისბერები და დასტურები ხატის გალავანში გამწყრივდნენ. დედაკაცები ხატისაგან მოშორებით იდგნენ. მათ ეკრძალებათ ხატის საბრძანისთან მისვლა. მამაკაცები მოდიოდნენ საწირ-საკლავით. საწირს შეადგენს ერთი დიდი ქადა და ერთი ხმიადი, რომელზედაც სამი კვერი და კელაპტარი აწყვია. საწირთან ერთად მიიქვეთ ერთი ხელადა სასმელი, ირაყი ან ღვინო. ხევისბერი საწირს ჩამოართმევს, სანთლებს აანთებს, დასტური დროშას დააუდარუნებს და ხევისბერი მხევრას ასე ამწყალობებს:

„წმ. გიორგიმ გაუმარჯოს შენის ოჯახის კეთილ ანგელოზებს, იყოს მფარველი და მცელელი შენის სახლ-ჭალაფის, შენის კაც-საქონის, ოთხფეხ-ორფეხის, კველა კეთილის გულით მომსვლელ-წამსვლელს შენ გაუმარჯვეო“.

ამ საწყალობოს დღევანდელი ხევისბერი მოკლედ ამბობს და ზოგჯერ არც კი ამთავრებს. წინათ კი ხევისბერი გრძელ სამწყალობოს წარმოთქმით თურმე იტყოდა და ასე დაილოცებოდა:

„ღმერთო, წინა ძალი და ბრძანება შენია, შენ გააჩინე და აკურთხე ცანი და ქვეყანან;

დიდება შენდა, კვირიაო კარავანო, ღვთის და მეუღის კარზედ შდგომელო, სიმართლის პასუხის გამცემელო ღმერთთანა და წყალობის გამამტანელო შეეღზე ხორციელთაოების;

დიდება შენდა, ღია თამარ ნეფელო, შემდგომო ანგელოზო;

დიდება შენდა, კოპალაც შეენიერო;

დიდება შენდა მთაწმინდის მთავარ-ანგელოზო, დამასტეს წმინდაზ გიორგით, ხოშარის სახუთმეტო მთავარ ანგელოზო;



დილექტა შენთა, დედაო ლეთისმშობელო, ჭიქის ბატონ-პატიონი, სერტიფიციაციანი, კადეკ ლეთისმშობელო, ყოველთა წმინდათა შუალგომელო, ლალი იახ-სარი, წმინდა გიორგი მეზავრო ანგელოზო, ხახმატის ჯვარი, ლომისის მთავარ მოწმეო.

დიდება კადეკ შენ, დილო ლეთისმშობელო და ქეთ იმისაც და იმათთანა ყველა თანამართალი, ყოველი მოღვა-მოძმენი და მოთანახმენი წმინდანი ანგელოზი.

დილო ლეთისმშობელო (კვირევი)<sup>1</sup> შენ გვიდრებიან ყველანი ამ სამსახურის მომყვანი (მხვეწარს დაასახელებს). შენ ვახეცემინ შენი მართალი და წმინდის გულით მაველრებელი, ყოველნივე შაანახენით წყალობითა თქვენითა. ღერისაც თქვენ შააველრეთ და გამაითხოვთ წყალობა თქვენის ტკბილის ანგელოზებით; თქვენ ნუ მააკლებთ თქვენის ტკბილს მოწყალე წყალობას, ამყოფენით თქვენი ყოველი მლოცველი ტკბილებად, ტანისა და გულის დატეგირებად, მიანიჭე იმათ შენი უხეი წყალის, როგორც იქვენ იტა, თორი წერე ხმელშეით ხორციელთაგან ვერა გვსწავლებათ-რა, თქვენა მრავალებით უტრითა ჩერინი, თვალითა ფართონი, რაცა რა გავირება ესვლებოდეს ლალის მტრისაგან, მწარე სიყვდილისაგანა, ეშმაკისაგანა, მაცდურისაგანა, თქვენ დაიღარეთ თქვენის საფრთველითა.

თქვენ გადაფარეთ თქვენი კაბის კალთაი, თაობით ლონე მაუმატე, კაცა კატრილობა, თქვენ დაიფარეთ ლალის მტრისაგანა, მწარე სიყვდილისაგანა, მაცილისა და ყველა ბორიტისაგანა, ყველა სევდა-საზიანო საქმე მაშორეთ, თქვენ გველრებიან, ყოველი წმინდან და ანგელოზინ უფლისანო, თქვენ მიანიჭეთ შემოდგომა, ლალინ-ბარაქანი, პურიან-წყლიანი, ზამთარი ნებისა, რეგბისა, ზატურლი შემიღობისა; ასადენიც წერ ვერ დავლოცოთ ჩერითა პირითა მოცლი ამ წერის სალოცავის მლოცველინ, თქვენ დალოცეთ თქვენისავე ტკბილის პირითა; თქვენ მოუმართეთ ხელი: მოლაშქრე-მონადირე იყოს შენი მხვეწნელი, ლაშქრობა-ნადირობაში გამარჯვე და ყველა მანადირებინე, მწყებისი იყოს, თქვენივე წყალობა წინ წაუმძლეარეთ, მეგუთნე იყოს, ხარ-გუთან გაუმართე, ნანგან-ნათესს ბარაქა დაუდევნე; ომთლ-ქრისი იყოს, საწყალ-საბრალო, მოენებეში, ძალი კირთ დათმენისა და ყველაზედ წინ წაყვენე; ტყვენი და ტრსალნა ყვენენ თქვენი მოხვეწარი, დაისხენი ყოველ სისწეულისაგან.

წილს გთხოვდეთ, წული მიეცით გასაჩრდო-გასახაროდა, რომ გვული იმათი სჯერდეს და თქვენ გადიდებდეთ. თქვენამც დიდებული იქნებით თქვენის გამნენის დეთისაგან, რომელმაც ცაქვეყყანა გააჩინა და მოძრუნა მზექალის შეუქოთა, წერ ხმელზედ ცოდეილ-ხორციელთ ჩაგვიდგა თვეის უკვდავების სული"-ო<sup>2</sup>.

<sup>1</sup>. დღეს უშავში კვირეს ყველგან ლეთისმშობლობით ლოცვლობენ. მიტომ, საბაც ლეთისმშობელია მოხსენიებული, იქ კვირე ან კვირით უნდა ვიგულის-ხმით.

<sup>2</sup> დავით ხიზანიშვილი, ფშავეთი და ფშავები, გამ. „ივერია“, 1890 წ., № 82.



საყვინო ლულის შესძა ხატში

დამწყალობების დასასრულს საკლავს პირს აღმოსავლეთისაკენ  
უზამენ და ანთებული სანთლით ხევისბერი საკლავს ბალანს შესა-  
ტრუსავს და იქვე დაჰქლავს. შემდეგ ქადას გაჭრიან, მეოთხედის  
ხევისბერი დაიტოვებს, დანარჩენს კი უკანვე უბრუნებს. საკლავის  
ტყავსა და თავ-ბეჭებს წინათ დეკანოზს აძლევდნენ, დღეს კი აღარ  
ემეტებათ.

გოგოლაურები წინათ ამასთანავე იხდიდნენ „საგვარმე-  
ტო“-ს და ამისათვის თემი საერთო ხარჯით ყიდულობდა ქა-  
რატს და მას ხატს სწირავდა.

## სევისბერი გვირს ამწყალობებდა და ხატს გოგოლაუჩების გამრავლებასა და გაძლიერებას შესთხოვდა.

საღმოს ხატის ზარები დაირეკა, მეხატეებმა „ფერის ას გააბეს და მლოცავი ხატის წვერილინ მის საბრძანისში დაეშვა, სადაც მოთავსებულია ხატის ბელელი, საბერო, სალუდე და სახარ-ბაკე. მლოცავი აქ დაბინავდა და მოსვენებას მიეცა. რიცრაუზე ზარი დაირეკა. ყველანი წამოიშალნენ და სამღვოს სამზადისს შეუდგნენ: იხარშება ხორცი, იწვის მწვადები და სხვა. ჩქარა სუფ-რებიც გაიშალა, სანთლები აანთეს, ხევისბერებმა სუფრებს ჩამო-უარეს და სახელი შესძლეს: „ლმერთო, ყველა ცოცხალი და მევდა-რი შენ გაბარიანო, შენ შეიწყალე მავანი, თუ სააქაოს ნათქომი საიქიოს მოღილეს, თქვენსამც ნებას იქნებაო, თავისად გინდა თუ სხვისადაო, ძალითამც ნუ ვინ წაგარმევსო, სულმა ბარაქა მოგ-ცეს მომგონესაო“. ამას მოჰყვა სუფრაზე ერთმანეთის დაწვევა, სმა, შაირ-სიმღერა და ცეკვა-თამაში.

ნაშუადღევს „საყეონო“ ლუდი დადგეს. ამ ლუდს თემის ხატის დასტურები ამზადებენ. წინათ საყეინო ლუდი ხატის ჭირ-ნახულიდან იხარშებოდა, დღეს კი ხატს მამული ჩამოერთვა და დასტურები ამისათვის თემში კომლზე ერთ ლიტრა ქერს აგრო-ვებენ და საყეინოს ამზადებენ. საყეინო ლუდს პირველად ხევის-ბერი ამოიღებს, დაილოცება და შესვამს, შემდევ ყველანი სათო-თაოდ მიდიან, შესვამენ და ფულსაც იქვე ტოვებენ, რომელიც ხატს უნდა მოხმარდეს.

საყეინოს გადახდის შემდევ ხატის დასტური თავისუფალია და თემი იმ წლის სამსახურისათვის ახლა სხვებს ირჩევს. ამით ხატო-ბა თავდება და მლოცავი იშლება.

სათემო ხატებში ყველაზე ძლიერ ხატად ფშავლებს „კოპა-ლი მიაჩნიათ, რომელიც იახსართან და პირქუშთან ერთად „დევ-კირპებს“ თურმე ებრძოდა. ხალხის რწმენით კოპალას მიერ ნახო-ცი დევების სულები ეშმაკებად ქცეულან და ფშავის კლდე-ღრე-ზი მიმალულან. კოპალი დევნის და მუსრავის აფსულებსო და ეშ-მაკებსაც მისი ეშინიათ. ამიტომ ფშაველს როცა რამეზე შეეშინ-დება, მაშინვე იტყვის „მიშველე, გმირო კოპალეო“ ან „დაგწყვი-ლოს გმირმ კოპალემაო“.

გაღმოცემით ფშავის-ხევი დევ-კერპებს პქონიათ თურმე დამო-

ნავებული და ხალხს ძლიერ აწუხებდნენო. ფშაველებს საჭიროა ლეთისშვილთათვის მიუმართიათ. ლეთისშვილთ ამაზე ბქოშა გაუმართავთ, წილი უყრიათ და დევების დასახოცი ლახტი იახსარს რეებიაო:

ლეთის კარზე შავიყარენით ლეთისშვილი სამოცდაცხრანიო,  
გაღმოღვეს სასწორ-ჩარენის: „კვირავ, გვიპირე თვალიო“.  
ქვემოდ ბოლოში ჩამოვე მე ხატი იახსარით.  
ჩახარიგეს ლეთისშვილთა, ვერვინ გაუგდო ქართო,  
გადავხე ერთი ავსწიო, ლმერთო, შენ მომეც ძალიო,  
სამოც ლეთიან რეინასა ქვეშ გაუვლიყ ქართო.  
დევს მოუქნიე საგმირო, კლდეს მოაფარა თავიო,  
კლდე ოთხად გადანათოსე, დევს გამოვსოხარე თვალიო,  
წაწარის ტბაში ჩაგარდა, მიძრნა და მოძრნა ტბანიო,  
ლეთისაგან კვიავ შათვლილი, თან ჩავყევ იახსარიო,  
დევს მოვიგდო ტბაშია, თავს დავამტერიო ფარიო;  
ამოსცლით კელია ამოველ, სისხლით შავერა წყალიო.  
„ხატი დავგრჩება „შავალშია“, შაწუხდენ ჩემი ყმანიო,  
მიყვანეს და (შიგ) დაჰკლეს ოთხექა-ოთხურა ცხვარიო;  
ლეთისაგან ქნა ბრძანება მერე გაიხსნა წყალიო,  
შამოვე ბეღლის კარზედა, შამოვიმერტყენ მხარნიო“.

დევ-კერპებთან ბრძოლის შესახებ ხალხური თქმულების რამდენიმე ვარიანტი არსებობს, რომელიც გალექსილია ვაჟა-ფშაველას „კოპალაში“ და მოთხოვობილია იგრეთვე მისივე „კოპალა და იახ-სარში“. კოპალი და იახსარი ერთად იბრძოდნენ და შემდეგ ორივენი ანგელოზად ქცეულანო და დღეს ხალხს ისინი ანგელოზად ჰყავს წარმოდგენილი. კოპალს დევ-კერპები ციხე-გორის მიდამოში უხოლია და ხალხს აქ მისი საბრძანისი ხატი აუშენებია, იახსარს კი უმოღვაწია შუაფხოში, სადაც მისი ხატი დღესაც დაცულია.

მესამე გმირს, პირქუშს ახადში უცხოვრია. ის ოქრომჭედელიც ყოფილია და მის ხატის თასები თურმე უკეთებია.

ხალხური გაღმოცემით ერთხელ პირქუშს ხოშარასთან ხატ-ქალი ხიხოკურა შეხვედრია და უკითხავს:

— სად მიხვალ, ხიხოკურა?

— შენთან მოვდიოდი, საყურ-ბეჭედი მინდაო.

ამაზე პირქუშს უპასუხნია: შენთან დამაწვინოდი და გავაკე-  
თებო.

— ეს ადვილი საქმეა, — უთქვამს ხიხოეურას.

— მაშინ ისიც ადვილი იქნებაო, — უპასუხია პირქუშს.

დაწოლილიან და ეს გამხდარა მიხეში, რომ ხოშარლები ხატ-  
ქალს თაყვანს არ სცემენ.

იმ ადვილას, სადაც დაწოლა მომხდარა, ერთი დიდი ლოდი  
დევს, რომელსაც „ას აზ ი დ ნ ე ბ ე ლ ა“ ჰქვია, რაც ზიდილსა  
და არშიყობას ნიშნავს.

პირქუშს დევ-კერპებთან ბრძოლაში მისი ძმობილი წმ. გიორ-  
გი წყაროსთავეელი მიშველებია და ახალ-უკანაფშავში დევები ამო-  
უხოციათ. პირქუშის სატრანსისი ახალშია, წყაროსთავეელისა კი  
უკანაფშავში. წყაროსთავეელის ხატში დადგმულ ღაბახზე პირვე-  
ლად სამმა ახალელმა უნდა ესროლოს, პირქუშის ხატში კი სამმა  
უკანაფშაველმა.

კოპალობას ან ციხე-გორობას უძილაურები მკათათვის ბოლო  
რიცხვებში იხდიან (28 მკათათვეს). 1924 წელს ჩვენ შემთხვევა  
მოვგეცა ამ ხატობას დაგესწრებოდით. ციხე-გორა მდებარეობს  
ფშავისა და ხევსურეთის საზღვარზე, დავაკებულ ხევში და იგნის  
ტყით არის დაფარული. ფშავის თემებიდან მოღიოღნენ მორთულ-  
მოქაზმული მლოცვები, ღაბარგული ცხენებით, ცხვრებითა და  
კურატებით. ცხენებზე გადაკიდებული ხურჯინის ერთ თვალში  
ბავშვი იყო ჩისმული, მეორეში კი ბატქანი და ხშირად ბავშვის  
ტირილს ცხვრის ბლავილი უბანებდა. დილის თერთმეტი საათია  
და კოპალას ხატში მივედით. ხატი ღაბურულია მრავალწახნაგო-  
ვანი თუნუქის გუმბათით, რომელსაც ზედ ჭვარი უკეთია. ხატს  
ყორე აქვს შემოვლებული და შიგ გამართულია: საზარე, საბერო,  
დარბაზი და სხვა.

ხატის ნიშის წინ ხევისბერებისა და დასტურების საჯდომია  
გამართული. ხატის ნიშში სანთლები ენთო და ზედვე მიყუდებუ-  
ლი იყო დროშა, რომელსაც თავზე ჭვრიანი ვერცხლის სფერო  
ჰქონდა გაყეოთებული. ამ სფეროზე აწერია: „დროშა ეს წმ. გი-  
ორგისა შემოვწირეთ ჩვენ უძილაურიანთ თემმა წმ. კოპალასა  
1890 წ.“

დროშა შემოსილია სხვადასხვა ფერის ქსოვილის ნაჭრებით  
208

და ზედ ზარიც ჰქილია. ხატის ნიშის მარცხნივ მიყუდვებული იყო ხევისძერის კვერთხი, რომელსაც თავი ვერცხლის ფულიბით ჰქონდა შემქული. ხატის გალავანზე ეწყო: ირმის რქები, ზანზალავები, თეთრი ქვები, ბამბა, დაზვეული სანთლის კოშტები, ცხერის თავები და რქები.

ხატის ნიშის მოედანზე მხვეწარი ხელში საკლავ-საწირო ირეოდა და რიგში დგებოდა. ხევისძერი ყველას სათითაოდ ამწყალობებდა, საწირს ართმევდა და საკლავს ხოცავდა. დასტურები იღებდნენ ქადაპურებს, სახელაშედ მოტანილ სასმელს ტიკში ასხამდნენ და ხატის მარიანში ეზიდებოდნენ. საკლავის ტყავსა და ბეჭეს ხევისძერს სთავაზობდნენ. მაგრამ მხვეწარს ტყავის დათმობა თუ ეძნელება, მის სფუასურში მან ფული უნდა გადაიხადოს. საკლავის თავისა და ყელიდან შეხსნილ ზანზალაქს ნიშის ყორეზე აწყობენ. სამსკერბლოდ მოყვანილ კურატს კოპალაში ხევისძერი არ დაკლავს, რომელსაც დამწყალობების შემდეგ იქვე ტყავში უშვებენ და შემდევ ხატსავე მოხმარდება.

შზის გადახრისას ხატის მოედანი დაიცალა. მეხატები მინდგრად დაბანაკდნენ, გაშალეს სუფრები და დაიწყო ჩვეულებრივი მოლხენა, სმა და ლექვა-თამაში. ხატში მხვეწარმა უნდა იცეკვოს, რომ ხატი წყალობდესო, ამიტომ წლოვანების განურჩევლად აქ ყველანი თამაშობდნენ.

დალამდა. მლოცვა სკენებს მიეცა, წაწლებიც ერთი ნაბდის შვეული მოთავსდნენ.

ციხე-გორგში წაწლობა მიღებულია და ვინც აქ თავის წაწალათან არ იწაწლებს, მას ხატი არ მოუხდების.

შუალამე რომ გადავიდა, ახალგაზრდა ვაჟებმა მოაწყვეს „მოსილვა“ ან წაწლების „დარბევა“. ამ ჯგუფმა დაუარა ნაძლებში მწოლოაზე წაწლებს და ვისაც მოისწრებდნენ, ართმევდნენ ქუდს, ქამარ-ზანჯალს, ან სხვა რაიმე ნივთს. ატყდა ერთი ჩოჩქოლი, სიცილი და ქალების წივილი. დამრბეველებმა ყველა ეს ნივთი ერთად მოაგროვეს და თენებისას დაიძახეს: ნივთები იყიდება და ვისაც გსურთ, ინებეთო.

ნივთის პატრონს ჯარიმად ერთი ხელადა სასმელი უნდა მიეტანა და ეს ჯარიმა მასთან მოწაწლე ქალს მიძევნდა. ორივენი ხელ-გაყრილები მიღიოდნენ, ქალს სასმელი დამრბევთა ტიკში უნდა

ჩიესხა, რომლებიც მას ლექსავლნენ და წაწალთან წოლაში ჰყა-  
ლავდნენ. ტიკი გაიცხო და ეს მხიარული ჯგუფი სასმლის სმას  
შეუდგა.

შეე ამოვიდა. დასტურმა ზარი დარეკა. ხალხი წამოიშალა.  
უცელიმ პირი აღმოსავლეთისაკენ იძრუნა, პირჯვარი გადაისახეს  
და წასვლის სამზადისს შეუდგნენ. მეორე ზარის ხმაზე მლოცვი  
ხატის ნიშთან მიქუჩდა და ხევისბერმა ხელში დროშით წმ. გიორ-  
გი კოპალს სახელით მეხატენი დალოცა. გააბეს წრე, შივ ხევის-  
ბერი დროშით დადგა და დაიძახეს „ხატიონის ფერხისა“. დამ-  
დერეს მოძახელის კილოთი და ხშირად იმეორებდნენ წმ. გიორგი  
კოპალა მეცხვარეთი მფარველო, უძილურთა გვარის პატრონო  
და სხვა. ფერხისა გაგრძელდა ნახევარ საათს, შემდეგ დაუკრეს  
ფანდური და პირველად ხელში დროშით დასტურმა ითამაშა. მას  
თაოქმის ყველანი გაეთამაშნენ. ბოლოს ხევისბერი ხალხს გაუძლვა  
და მლოცვი ხატის წვერისაკენ დაიძრა, რომელიც 4—5 კილო-  
მეტრით არის დაშორებული. ამ მთას მუჭის მთა ეწოდება და აქ  
„არმის კალოზე“ იგებულია კოპალს წვერის საბრძანისი ნიში.

ხატის სასანთლის თავშე მოთავსებულია სფეროიანი ლითონის  
ფვარი წარწერით: „შამოგვიწირამ ნაუგურს ბაზიერაშვილს, შიო  
გობიაშვილი, ხოსიერ აბრამიშვილი წმ. გიორგისათვის კოპალესა-  
თვის“—ო, ვისაც მდ წვერის ხატან პეტონდა საწირაულიავი შეთქ-  
მული, მას ხევისბერი მწყალობებდა და ბოლოს დაატანდა: „წმ.  
ბერო კოპალო, როგორც დევები გადაყარგე, მა გვაშორე მა-  
ცილ-მაკლებელოთ“.

შეე რომ გადიხარა, დაიწყო სადოლედ სამზადის. დასტურებ-  
მა დიდი ტაშტით „ს ა ყ ე ი ნ ო“ ლუდი დადგეს, ყველანი რი-  
გით მიღიოლდნენ, იხიქებოდნენ, პირჯვარს გადაიწერდნენ და და-  
თხილები ლუდს შესვამდნენ, ფულსაც იქვე სტოვებდნენ. დაირე-  
კა ზარი და მხედლებიც ცხენებზე მოექცნენ. წინ მათ ხევისბერები  
გაუძლვნენ და ფერხისას მღერით ხატის ნიშს სამჯერ შემოუარეს.  
ცხენოსნები გამოსაქცევი მიწნისაკენ წავიდნენ. იქ მხედრები და-  
ირაზმნენ და ნიშნის მიცემისთანავე ცხენები გამოაჭენეს. ხატის  
ყორესთან ხელში ლუდიანი თუნგით ხევისბერი იდგა და, რომე-  
ლი მხედარიც პირველად მოვიდა, ეს ლუდიც მას გადაულოცა.  
ხალხის რწმენით, ხატი ლოლში გამარჯვებული მხედრის მფარვე-

ლი და მწყალობელია და იმიტომ უველანი პირველობის მოხვეჭას ცდილობენ.

გამარჯვებულ მხედარს პირველად ხევისბერი დალოცავს, შემ-  
დეგ ის მხედრებს დაიწვევს და ლუდს იქვე დალევენ.

უძილაურთას გარდა ხატში ცხენების ღოლი იციან იგრეთვე  
აფხუშოში (ჩარგალი) და მათურაში, თოფოსნობა კი ჭიჩოსა და  
ყვარაში. თოფოსნობას ხატში ახლად მიცვალებულის პატრონი  
აწყობს და იქ დგამენ მიცვალებულის შესანდობარსა და ღაბას.

ხატში უცხო სტუმარს ცალკე სუფრის უდგამენ და იქვე უმას-  
პინძლდებიან.

საღამოს ხატის მოწმინდარ-მლოცველებმა ფერხისა შეასრუ-  
ლეს და მეხატენიც დაიშალნენ.

**✓**კოპალის ნიში მაღაროს თემშიც არის, ჩარგლისა და მაღაროს  
შუა, არავის გაღმა. იქ ერთი ღიდი ლოდი დევს, რომელსაც კო-  
პალის ქვის უწოდებენ. გადმოცემით, კოპალის როცა დევ-ერ-  
ბები ქვეთ უხოცია, მისი ნასროლი ერთი ქვა იქ დაცემულაო. იმ  
ნიშთან მაღაროს თემის ფშავლები ლოცულობენ და ხატობასაც  
იხდიან.

სათემო ხატებთან, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, ფშავში არსებობს  
საერთო სალოცავი ხატი „ფშავე ლთ სალოცავად“ წი-  
ლებული. ასეთია ლაშარი სა და თამარ-შე ფის ხატი,  
რომელსაც ფშავის ხევის ჟევლა თემი ლოცულობს და მათ ყმე-  
ბად ითველებიან. ლაშარი და თამარი, ხალხის რწმენით, ფშავის  
ხევის მფარველია და მტერ-მიგნესაგან გვიცავსო. ლაშარი, ფშავ-  
ლის წარმოდგენით გმირი და უძლეველი მხედარია. ის მტრისაგან  
იცავს ფშავის ხევს, ლაშერობის დროს ჯარს წინ უძლევის და მძლე-  
ობის მომცემიან. ლაშარი თავის ყმათ მფარველია, და, გორდა  
ხელმწიფის, თავის ყმათ არავის აყმობსო. ეს უძლეველი მხედა-  
რი ლურჯაზე ზის და თავის ყმათ უხილვად დაპყვები, რომ ის-  
ნი განსაცდელისაგან დაიფაროს:

ლაშარელაი ლურჯასა  
ფაფარი სხვის გიშრისა,  
შაგლება, გამართება,  
კორორ გაქვება ნისლისა,  
თავის ყმათ მიეცელება,  
ხან რომ არ იყოს მისელისა.



ლაშარის ხატი და საშინეურპლო ქარატი

თვითონ ლაშარის ჭვარს ხევისბერი ხელმწიფედ იხსენიებს. წინათ ბატონს ბარიდან ყმა თუ გამოექცეოდა, ფშავში მიეიღოდა, ლაშარის ჭვარს შეეხიზნებოდა და ეყმობოდა. მას ფშავლები, ლაშარის შიშით, ბატონს არასდროს არ დაბრუნებდნენ, რადგანაც გაფიცვას შემდეგ შემოხიზნული ფშაველი ხატის ყმად თვლებოდა და იმის ბატონთან დაბრუნების ნებას ხატი არ აძლევდა. იმ შემთხვევაში, თუ ბატონი ყმის დასაბრუნებლად ძალას იხმარდა, მაშინ ფშავის ხევი ასეთ მებატონეს იარაღით შეებრძოლებოდა. ფშავის ხევი თავის მტერს ლაშარის მტრად თვლიდა და

ლაშქრობაც სამღეთო ხასიათს ატარებდა. ლაშარშივე წყდებოდა ლაშქრობისა და ზევის საყითხი, აქ იყო დიდი ლაშარის რჩოშა და ფშავის-ხევის თავხევისბერი, რომელიც ამ ღროშით ლაშქარს წინ მიუძღვდა.

თამარ-მეფის სალოცავიც დიდია, ის ითვლება „აქ იმ-დ ე-დ თ ფ ლ ა დ“ და მას ფშავლები შესთხოვენ ჯამრთელობასა და კეთილდღეობას. თამარ-მეფეს ფშავლები „წ ა მ ლ ი ს ს ა ხ ს რ ა დ“ ერთ ცხვარს ზედმეტს წირავენ.

მცხოვრიშნავე, აღსანიშნავია, რომ ლაშარსა და თამარის ხატს ფშავლები „მო დ ე - მ თ ძ მ ე თ“ (და-ძმას) ეძახიან და ხალხს ორივე და-ძმანი პერია.

ფშავში ლაშარისა და თამარის პიროვნების გაღვთაებრივება და მარი თაყვანისცემის ხატისა და კულტის შექმნა საყურადღებო ისტორიული ფაქტია, რომლის მსგავსი მოვლენა საქართველოს სხვა კუთხეში ჩვენ არ ვიცით. ამ გარემოებას, რასაკვირველია, თავისი პოლიტიკური სტიმული და ისტორიული გამართლება უნდა პერიოდი წარსულში, რომლის შესახებ ჩვენ უკვე აღნიშნეთ ფშავის ისტორიულ მიმოხილვაში და ამ საყითხს აქ არ შევეხებთ.

ლაშარის ფარი მოთავსებულია ფშავის ხევში, ერთ მაღალ მთის ქედზე, რომელსაც „ხმელგორს“ უწოდებენ. მას ჩამოუდის ლაშარის ბატარა წყალი, რომელიც ერთვის არაგეს. ლაშარის გორი იტყუოთ და ძნელ მისავალი, რომელსაც საქმაო დიდი ფართობი უკირავს. მთის ქედზე ხატია გამართული, რომელიც ყორის გალავნით არას შემოზღუდული. ხატი დაჩრდილულია მუხასა და იფნის ხეივნით. ხატის გალავანი წმინდა და შეუვალია, სადაც სევისბერებისა და ხატის მოწმინდართა გარდა სხვის არავის შესეღა არ შეუძლია. დამნაშავე ან თემისაგან დევნილი პირი გალავნით თუ შესწრებდა და აქ დაიმალებოდა, ის უკვე ხელუხლებელი ჩამოდიდა. რასაც ხევისბერი ხატის გალავანში ჩაიგდებდა, ის ხატის საფურება იყო და მას პატრონი ეკრ წაიღებდა.

ხატის გალავნის გარეთ ხატის სისანთლეა აშენებული და შივ ასვენია წმ. გორგას უბრალო ხატები და ჯვრები. აქ ხევისბერები მხევწირთ ამწყალობებენ, სინთლებს უნობენ და საქლავსაც ხოცავენ, რომლის სისხლი იქვე გამართულ სისაკლოს ორმოში იქცე-

ვა. ეს ორმო ოთხეუთხედია და ფიქალი ქვით არის ამოგებული. ხატის გალავანში მოთავსებულია თუნექის გუმბათიანი საზარე, საზარეში ორი ზარია. ერთზე აწერია:

„შემოვწირე სახლთუხუცესმა ბებურიშვილის ვაპუას მოსახსენებლად ფშვის ლაშარის გიორგის ქვეს ტავ.“ (1628).

ეს საზარესა და სასანთლეს შუა მავთულია გაბმული, რომელზედაც ჩამოკიდებულია ხატის შარები: ყელის ულლები, მუცლის სირტულები, ზანზალები და სხვა.

ხატის გალავანშივე ახალ საზარეს ქვემოთ დაცულია ლაშარის ძველი პრომიდულსახურავიანი საზარე და ხატის ბეღელი. აგრეთვე საბერო, სილუდე, სიხარბაჟე და სხვ, რომელთა ნაწილი უკვე დანგრეულია. ძველ საზარეში სძი საზედაშე ქვევრია ჩაფლული. ეს ქვევრები დღეს ცარიელია. წინათ ლაშარს თავისი ზერები ჰქონია კეტეთში, ამერტაში და იქიდან კულუხს ენიდებოდნენ თურმე.

ლაშარის ამ ზერებს ფშავის თემები მორიგეობით ამჟავებდნენ. თუ ხატისათვის ზერის შეძენა იყო საჭირო, ხევისბერი ქადაგს დასვამდა და იმის პირით ხელს ამცნობდა ხატისათვის ახალი ზერისა და ვერცხლის სასმისის შეძენაზე. ყველანი ფულს იღებდნენ და ხევისბერებიც ზერებს მემამულებისაგან ყიდულობდნენ.

ზოგჯერ საზედაშე ღვინოს ლაშარის ხევისბერს ფშავის მოურაობის მაძებელი რომელიმე აზნაური შეაძლევდა, თუ ფშავისხევის მოურავად მომითხოვთ, ლაშარისათვის ექვსი ჩაფი ღერით მიმირთმევით. გაიმართებოდა ვაჭრობა, და ვინც მეტ ღვინოს შეაძლევდა, მოურობას ხევისბერებიც მას შესთავაზებდნენ.

კულუხის ამ ღვინოს ლაშარობას ვერცხლის დიდ ჯამში ჩაასხამდნენ და ყველა შესეგამდა და ლაშარის ხატს ისინი ფულით ეწერდნენ.

ამ ძეელ საზარეში ჰკილია ორი ზარი და ერთზე აწერია: ქ: ე ს: ე: ზარი: შემოვწირე: მე: ერისთავმა: რევაზ: შენ წმინდას: გიორგის: ლაშას:

ამ ზარს ფშავლები „ერისთავის ეულს“ უწოდებენ და გადმოცემით ის ლაშარისათვის ზურაბ ერისთავს შეუწირავს. ამ ზურაბ ერისთავის შესახებ ფშავის ისტორიულ მიმოხილვაში ჩვენ

უკვე აღნიშნეთ, თუ როგორ იბრძოდა ის, რომ ფშავლები თავის  
ყმებად ექცია. ბოლოს ზურაბს განუშრახავს ფშავლების დიდი  
სალოცავის ლაშარის შემუსვრა და ამ მიზნით ექ გამოულაშქრია. ლაშარის ამ ხელ გორჩე გადმოცემით ბერმუხა მდგარა, რომე-  
ლიც ოქროს ძეწვით ზეცაში ყოფილა მიბმული და მასზე მუხის  
ძნელობი ადიოდ-ჩადიოდა. ზურაბს სცოდნია ამ მუხის მფარ-  
ვილი ანგელოზის ძლიერება, მოუნდომებია მუხის მოქრა, ანგე-  
ლოზის მოშორება და შემდეგ ფშავის იოლად დაპყრობა.

ზურაბის ბრძნებით ლაშქარი მუხის მოქრას შესდგომია, მაგრამ ცულის დარტყმაზე ნაფორი მას ზედვე თურმე ეკვრებოდა და მუხა უფრო მიგრდებოდა. ბოლოს ერთ უკანაფშველს, გვარიდ აფციონურს, ხატისთვის უღალიატნია, ზურაბთან მისულა და უთქვამს, ბერმუხას კატის სისხლი მოუსვი, მაშინვე წაიქცევა და მას ანგელოზი მოშორდება. ერისთავიც ასე მოქცეულა. ძეწყვი მაშინვე გაწყვიტილა და წაქციულ ბერმუხას ანგელოზიც მოშორდებოთ.

მაგრამ ზურაბს ფშაველ-ხევი მაინც ვერ დაუმორჩილებია. და დამარცხებულ ერისთავს ცოდვის მოსანანიებლად ლაშარისათვის ზარი შეუწირავს.

ეს ოქმულები საყურადღებოა და, ეს უიპევლია, წარმართობის ხანას ეკუთვნის, როდესაც ფშაველები მუხსა და მის ანგელოზს თაყვანისა სცემდნენ. ხსმა და განსაკუთრებით მუხის თაყვანის ცემის კულტი წარმართოულ საქართველოში გავრცელებული იყო და ისის გადანაშთებს ჩვენში დღომდე მოულწევდა.

ამ თქმულებით, წარმართობის დროს ფშვალებიც მუხის თაყვანისძიებულები ყოფილია, რასაც აგრეთვე ისიც მოწმობს, რომ ფშვალებში დღემდე დაცულია „მუხის საღილებელი“ საგალობრელი, რომელსაც ხევისბერი ქორწილში წარმოსთვევამს და მას ეკიდდ და პატარძლის ძმა იმეორებენ.

ქრისტიანობის გაღლიერების შემდეგ ის მუხა მოუკრიათ და აქ ლაშარის სახელობის ჯვარი აღუმართავთ. თუ როდის უნდა მომხდარიყო ეს ამბავი, გადავწით ამის თქმა ძნელია. მხოლოდ შე-

1. ଓ୍ଦ୍ଧ. ପ୍ରେସରିଶ୍‌ଟ୍‌ର୍‌ଲ୍ଯୁଗ, କ୍ଷେତ୍ର ମିଶନ୍‌ସାର୍କ୍‌ରେଖା କୁ ମୁହଁନାର୍କ୍‌ଷ୍ଵଳଣିବିଳା ଲୁହାୟରୀ  
(ବେ. ମିଶନ୍ ସଫ୍ଟ୍‌ଏରିଟ୍‌ର୍‌ପ୍ରୋଗ୍ରାମ୍ ସର୍ତ୍ତାର୍ଥ, ପୃ. 1 ପ୍ରକାଶିତ, 1928 ପୃ. 83, 86).

საძლებელია ვითიქროთ, რომ ეს მომხდარია მე-13 საუკუნის დამსახურებულის და როდესაც ფხოვი (ფშავი) დაღოსთან ერთად აგანყდა და თამარი იძულებული იყო მათ დასამორჩილებლად ივანე მხერ-გრძელი გვევზავნა. ივანე ათაბაგმა, როგორც ვიცით, ეს კუთხე დაიპყრო და ხმელგორზე თამარის ნაბორები ლაშას სახელობის ჯვარი დასვენია და ამ სალოცავსაც ლაშარის ჯვარი ეწოდა.

შესაძლებელია, ათაბაგმა აქ მდგარი წარმართული ბერი მუხაც მოაქრევინა და ამით აგრძნობინა ფშავლებს თამარისა და ქრისტიანობის ძლიერება.

ამგვარად, ბერმუხის მოჭრის ეპიზოდს კაგშირი უნდა ჰქონდეს უფრო ამ მე-13 საუკუნის მმებთან, ვიდრე მე-16 საუკუნეში ზურაბის მიერ ფშავის დალაშვირასთან. ყოველ შემთხვევაში, ამ თქმულებიდან ერთი მაიც ირკვევა — ლაშარის ხმელგორზე ბერმუხა მდგარა და მის ანგელოზს ფშავლები თაყვანს თურმე სცემდნენ. ბერმუხის ნადგომ იდგილს ხევისძერები აქ დღესაც უჩვენებენ.

ხატის გალივანზე ერთი რკინის ბორკილი ჰქიდია, რომელსაც „ჯალან დარს“ უწოდებენ. ბორკილის სიგრძე 3,40 მეტრია, წონით კი ორ ფუთამდეა. ამ ჯალანდრის შესახებ ასეთი თქმულება არსებობს: პირიქით ხევსურეთში არლუნის ხეობაში უცხოვრით ჯალაბაურებს. ჯალაბაური ძლიერი გვარია ყოფილი. ისინი ქარმეულობებს მოუძლოდნენ და ფშავის ხევს თურმე აოხრებდნენ. ჯალაბაურნი ისე გავადნიერებულან, რომ ფშავლების გასაფავრებლად და დასამცირებლად ერთი რკინის ბორკილი გაუკეთებიათ ლაშარის ჯრის დასაბმელიდო. მასზე ლაშარი გაფავრებულა, მაგ ჯალაბაურთ ასტატი დაუმიზეზების და ეს ბორკილი თვის ხელით ლაშარში მოატანინო.

ჯალაბაურთა მძლავრობით ბოლოს ფშავლები მოთმინებიდან გამოსულან, მოუსყიდიათ მათი სიძე საგინა და ღალატით ჯალაბაურები ამოუწყვეტიათ. საგინა ფშავში გამოქეცულა, კოფლაურებს ძმად გაფიცვია და მათ თემში ჩარიცხულა, რომლის შთამომავალნი დღეს საგინაშვილებად იწერებიან.

ლაშარშივე უჩვენებენ არხოტელი ხევსურებისა და თუშების სამანს. გადმოცემით არხოტელებსა და ფშავლებს ერთმანეთში მტრობა ჰქონიათ. ერთხელ ლაშარობას არხოტელები გადმოპა-

რულან, რომ ფშავლები ამოეხოცათო, მაგრამ თავხევისბერს ფოცხვერა მახინცაურს ეს ჩქარა შეუტყვია და ორხოტელებიც ფშავლებს დაუტუშალებიათ. მაგრამ ლაშარის ქადაგის ჩაგონებით ორივე მხარე ჩქარა შერიგებულა და ფიცის გაუტეხლობის ნიშნაღებელის 12 ცხვარი და ხარი იქვე დაუკლავთ და ეს სამიანი ჩაუდგამთო.

მეორე სამიანი თუშებს ჩაუსვამთ. თუშები თილიძის მეთაურობით ფშავის ხევს იქლებდნენ. ბოლოს ფშავლებს ხოშარისთან თუშები დაუმარცხებიათ. თილიძეს ფშავლებისთვის შერიგება უთხოვია და ლაშარობას ზეარავად თეთრქორა ხარი მიუყვანია, სადაც ორივე მხარე ძმად გაფიცულა და შერიგების ნიშნაღები იქვე სამიანიც ჩაუსვამთ და თუშებს ლაშარში თავისი საჭარეც გაუმართავთ (ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, გვ. 92, 199).

ლაშარის ჯვარი წინათ თავისი განძეულით და ჯვარ-ხატებით მდიდარი ყოფილა. ამის შესახებ ვახუშტი ამბობს: „აქ ფშავება შინა არს ეკლესია მეფის ლაშარავან აშენებული, რომელსა შინა არიან მრავალნი ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისანი, ჰურპელნი და წიგნნი და უწიოდებენ ლაშას-ჯუარს და აქუთ სასოება მს ზედა ფრიად, რამეთუ ვერც ფშივი, ვერც ხევსური, უკეთუ იშოვნის ოქრო ანუ ვერცხლი, ვერსიად იხმარებენ თვისად, არამედ ზიუძღეს ლაშას ჯვარს“<sup>1</sup>-ო (იხ. მისი, საჭაროველოს გოგრაფია, ტფილისი, 1904 წ., გვ. 139).

დღეს ასეთი განძი ლაშარში არ მოიპოვება. ლაშას აგებული ექლესიაც დანგრეულა და ის მცირედი ხატ-ჯვრები და ღროშები, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ აქ ინახებოდა<sup>1</sup>, დღეს უკვიისც არ არის. ეტყობა, ხატის განძი გადამიალულია და ხევისბერები დღეს ხატობას უდროშოდ და უხატოდ იხდიან.

გადმოცემით, ლაშა გიორგი ერთხელ ფშავის ხევს სტუმრებია, აქ ლაშარის გორჩე ეკლესია თუშენებია და ბერები განუწისებათ. როცა ლაშა ფშავიდან გამოპრუნებულა, თავის დას რუსულაში უკითხავს თურმე, როგორ არის ფშავის საქმეო?

ლაშას ამაზე უპასუხნიაოს: „ეკლესია ივაშენე და შწირველუ-

<sup>1</sup> ლაშარისა და თამარის ხატ-ჯვრები აღწერილი და გადაღებული აქვს პ. უვაროვის (იხ. მისი, Материалы по археологии Кавказа, т. X, 1904 г.).

ბაღ ბურები დავადგინუო. ფშავლებს წაწლობა სცოდნიყო, კინა-  
ლამ მეც დამაჩვიდესო".

ლაშარში წლის განმავლობაში ხატობა რამდენჯერმე იმართება,  
მაგრამ მთავარი ხატობა „ს ე რ ო ბ ა“ (18—19 ივლისს იციან  
ახალი სტილით). წინათ სალოცავად აქ აღმოსავლეთ საქართვე-  
ლოს შორეული ძუთხეებიდანაც კი მოღიოდნენ, განსაკუთრებით,  
კახეთიდან მრავალი მლოცავი აწყდებოდა.

სანამ ლაშარობა დაიწყებოდა, ლაშარის ხევისბერები და დას-  
ტურები ლაშარის დროშებით ხევსურეთ-თუშეთ-გუდამაყარში გა-  
დაღიოდნენ თურმე და იქ ლაშარის ბეგარის აგროვებდნენ. ხახა-  
ბოელ და ირდოტელ ხევსურებს საბეგროდ უნდა გაეღოთ: სამი  
საკლავი, 12 მანეთი ფული და ერთი ქვაბი ლუდიც. ზოგჯერ ხე-  
ვისბერები აქედან ქისტებშიაც გადაღიოდნენ და იქაც ლაშარის  
საბეგროდ კომლზე ცხვარს ართმევდნენო.

ამითანავე, ხატში ლაშარის მლოცავს აქ თითო მუქა ქერიც  
უნდა ამოეტანა. ამ ქერს თავხევისბერი ლაშარის საბრძანისში თე-  
სავდა, რომ ის ხატობას ლაშარის ლურჯს მოუნდებათ.

ახალგვირის ხუთშაბათს კი ფშავის ყველა თემს კომლზე სამი  
აბაზი უნდა ლაშარში მიეტანა. ვინც ამ ბეგარის დროშე არ მი-  
ართმევდა, ლაშარის იასაულები იმის ოჯახს არბევდნენ და, რასაც  
ხელში ჩაიგდებდნენ, ყველაზერთი მიძქონდათ. დარბეულს ბეგარი  
საღამომდის უნდა მიეტანა, თუ არადა ნარჩევი ხატს რჩებოდათ.

დღეს ლაშარის ბეგარის აღარავინ იხდის. ხატი გაპარტახებუ-  
ლია და მლოცავიც შემცირებულა.

1932 წლის ხატობაში ლაშარს მლოცავი ცოტა მოვიდა. მოსუ-  
ლებში უფრო კახეთში გადასახლებული ფშავლები იყვნენ და  
რამდენიმე კაციც თუში.

ხევისბერმა სანთლები აანთო და მხევწარი ასე დაამწყალობა:  
„ხელმწიფე ლაშარის ქვარო, მიეცი სამსახურის შემომწირ-  
ველთა პირგვარი, ლოცვა-ვედრება. დაახვედრე შენი წყალობა,  
წარსულსაც გააყოლე, ქუდოსან-მანდილოსანს გასაზრდო-გასახა-  
როსათ“. შემდეგ დასტურებმა სახაფლაოს ორმოსთან ყელზარიანი  
კურატი მიიყვანეს. ხევისბერმა მას შუბლი შეუტრუსა, ზარი მო-  
სნა, იქვე, ხატის ყორეზე შესდო და დასტურებმა საკლავი დაპ-  
ალეს, რომლის სისხლი ორმოში იქცეოდა.

ზეარაგის სისხლი კი მხევწარს ხევისბერმა შუბლზე ჯვარულად წაუსვა და ხელში სანთლით ერთხელ კიდევ დაიღოცა.

ლაშარში დაიკლა ხუთი კურატი და რამდენიმე ცხვარი. წინათ საქლავი ლაშარობას ასობით თურმე იხოცებოდა.

მიასთანავე, ვისაც ავადმყოფობის გამო ლაშარისათვის ყელუ-ლლიანი მუცელსარტყლიანი მისვლა პქონდა შეთქმული, ის ხევის-ბერთან საწირით მიღიოდა, რომელიც მას ამწყალობებს, შემდეგ ხატის შარნის შეხსნის და ნიშჩე ჩამოჰკიდებს. ხატის ეს უდელი და საჩტყელი რკინისაა, რომელსაც მყითხავის რჩევით ხატისაგან დამიზეზებული ავადმყოფი იქეთებს. რკინის ნაცვლად ზოგი წერ-ლის უდელსაც იქეთებს და ასეთი შარნიანი მლოცავი უფრო კახე-თიდან მოდის.

ვისაც ლაშარობას თეთრებში და ფეხშიშეელა მისვლა პქონდა შეთქმული, ის ხევისბერის დამწყალობების შემდეგ იმ თეთრებს ძევე იხდიდა და ხატის გალავანში ტოვებდა.

ლაშარში ხშირად ხევისბერები ქადაგად დაცემას აქ აწყობდნენ, რომ ხატის სახელით მოეხვეჭათ მეტი ქონება და დოვლათი.

ქადაგად დაცემის დროს ყველანი ქუდებს მოიხდიდნენ და ლა-შარს ევედრებოდნენ:

„დიდი ხელმწიფე ლაშარის ჯვარი! შენ სდგრებაზ ლვთის კარზე და ჩემი ხორციელთა ჩემინის უმცირებითა ღმერტოს თუ რა შეაწყინეთ, ან კირქვ ჰე-ვაწყინეთ, გვიყმენ, გვიმსახურენ ჩემინის ალალის ოფლითა და ნუ შეეცისა-წყინდები.

ღმერტო ლაშარის ჯვარი, შენ ხმალსა და ბატონობას გაუმარჯოსთ“.

ქადაგი ამ დროს ბორგავდა, იქლაკნებოდა და ბოლოს ხმამალ-ლი დაიძახებდა:

„პაიო, ყმანთ ჩემნო, ალარ უგდებთ უფრისა ჩემს ბუქიერთა (ცხვარს), უკბ-შურგვალთა (ცხენებს), ბუღაურთა (ცურატებს), ჩემს ხოდა-ბუქურთა (შამუ-ლებს), არ გამიზიდებინეთ ხარ-მანერთა ჩემს ხოდაბუკურჩით, არ შეკიდენით ჩემნი ღილბერნი (ხალუდე ქვაბები; ლუდი არ მიღულეთ), აღარას უფრის მიგ-დემთ. დაიცადეთო, შეგნანებთო თქევნი უტობა-უმეცრებისათ“ და სხვა.

ხალხი განაბული იდგა, პირგვას იწერდა და გულზე მჯილ იცემდა.

ხალხის დამწყალობების შემდეგ გაიშალა სუფრები, დაიწყო მხა და შაირ-სიტყვაობა:

„ჩვენის ბატონის კარზედა ხე აღვად ამოსულიყო,  
თვეზე დასხმია ყურძნენ, საჭმელად შამოსულიყო

ფშავლებსა ლაშარის ჯვარი ნეტარ არ დაუბერდაო?  
ვინ იტყვის დაბერებასა, ნეტარ არ მაუყვდება?

ეს ლექსი ქისტების ნათქვამიაო, რომლებსაც ლაშარის ჯვრის  
თურმე ძლიერ ეშინოდათ და ბეგარასაც იხდიდნენ.

საღამოს ლაშარის გორა დაიცალა და მეხატენი ლამის სათევად  
არავის ჰიბლაში ჩიბარგდნენ. წინათ ლაშარში საზოგადო წოლა  
მიღებული ყოფილია და ღამის მთევლები წაწლობდნენ თურმე.  
ფშავლების თქმით, ლაშარის ჯვარი ქალთან წოლის არ უშლისო,  
ჩაღვანაც თითონაც მოქეიფე და ქალების მოყვარული იყო და  
ფშავში წაწლობაც ლაშამ დააწესაო.

მეორე დილას კი მლოცვი ქედან თამარ მეფის ხატისაჭერ  
დაიძრა.

თამარის ხატის საპრინცისი ლაშარის გორის პირდაპირ, მთაზეა  
აგებული, არავის გაღმია, რომელსაც „ლელე“-ს უწოდებენ, რაც  
ნიშნავს გდებაველს. ლელე ტყიანია. მას აღმოსავლეთით წაწადის  
ხევი ჩამოუდის. ამ ხევით ბილიკი ტყეში მიდის და თამარის ხა-  
ტიადის დაახლოებით 7 კილომეტრია. ამ ბილიკს ტყის თავში კვი-  
რის ხატია მოთავსებული თავის საზარე, საბერო-სალუდეთი და  
სხვა. აქ ხატობა კვირაცხოვლობას იციან.

თამარის ხატი მოთავსებულია ლელეს ქედზე. აღგილი გაშლი-  
ლია და დავაკებული. ხატის სიქმიოდ დიდი აღგილი უჭირავს. ხა-  
ტის ნიში ყორის გალვნით არის შემოზღუდული. ხატიან ქალებს  
ახლოსაც არ უშვებენ. ხატის გალვნიზე აწყვია ირმის რქები, ზან-  
ზალიავები და სხვა. გალავანშია თუნქვის გუმბათიანი ხატის საზა-  
რე, სასინთლე, საბერო, სალუდე, ხატის ბეღელი და 1910 წელს  
აშენებული თამარის სახელობის პატარა ეკლესია.

ხალხური თქმულებით, თამარის ეს ხატი პირველად გაბიდა-  
ურის თემის დედაყაცს სანათის აღმოუჩენია. სინამ თამარ მეფის  
ეს სალოცავი „თავს იჩენდა“, ლელის გორში გაბიდაურების თეშს

უცხოერია და სანათას თამარის ხატი პირველად იქ ჩვენებია, სა—  
სანთლეც აუშენებია და თამარ მეფე ხევისბერულად უდიდებია.  
სანათას ლელეში მცხოვრები თემისათვის იქნან გადასახლება  
ურჩვევია, მაგრამ ხალხს მისთვის არ გაუკონია და ადგილიდან არ  
იყრილა. თამარის ხატი ამაზე გაჯაერებულა, მათვის ერთმანეთი  
ირმებად მოუჩიენებია და ხალხს მშვილდისრებით თავიანთი თა-  
ვი მოუხოცია.

ზოგი მათვისი გადარჩენილა, მაგრამ მაინც არ გადასახლებუ-  
ლა, სანამ ხატი რომე სასწაულის არ მოგვიჩვენებსო. სასწაულიც  
მომხდარა. უეცრად კალოს პურს თავისთავად ცეცხლი გასჩენია,  
ფიჭვის ტოტებსი და ხარის რქებზე ცეცხლი ხალხს კელაბტარი-  
ვით სჩვენებია, ამის შემდეგ მოსახლეობა ყურილა და ხოშარაში  
გადასულია.

დღეს ლელეში მხოლოდ ერთი პატარი სოფელია — მისრიანთ-  
გარი, რომელიც ორი თუ სამი კომლისაგან შედგება. მისრიანშვი-  
ლის წინაპარი, გადმოცემით, მისრეთიდან ყოფილა და თამარის  
დროს საქართველოში გადმოსახლებულია. მისრიანი იარაღის ოსტა-  
რი ყოფილია. ერთხელ ის თამარის ბანაქში მისულა და უთქვამს:  
„ხმალი მაქვს და ვის გნებავთო“ ხმალი გაუსინჯავთ. იგი საუცხოო  
ხელოვნებით ყოფილი ნაკეთები და თამარისათვის მოურთმევიათ.  
თამარის მოსწონებია მისრის ოსტარობა, იარაღის შეედლად გა-  
ნუწესებია და ლელეში დაუსახლებიათ. მისრიანშვილის გვარიდან  
ერთი ვინე უეცელად მშედლელი უნდა იყოს, რასაც მეითხავის  
პირით მისრიანშვილებს თამარის ხატი უბრძანებსო. ამიტომ ხატის  
შიშით მისრიანშვილის გვარიდან ერთი კომლი დღესაც მშედლად  
დგება. მაგრამ მშედლობა მისრიანშვილმა თავისი გვარის ოსტარი-  
საგან უნდა ისწავლოს, სხვა ოსტარისაგან მშედლობის სწავლას  
მას ხატი უკრძალავსო.

თამარის ხატის მოწმინდრები და მსახურნი მისრიანშვილები  
არიან, რომელებსაც ევალებათ აგრეთვე თამარის ცხვრისა და მა-  
მულის მოელა.

თამარის ხატი ფშავეში ძლიერ სალოცავად ითვლება. მას გრ-  
საკუთრებით ქალები ლოცულობენ და აქიმ დედოფალს უწოდე-  
ბენ, რომელსაც წამლის სახსრად ერთ ცხვარს ზედმეტს სწირავენ.  
ზოგჯერ თამარის ხატს ციკანსაც უკლავენ, თამარს თავის მწევრუ-

ბისათვის მოუნდებათ. თამარის ხატი წინათ მდიდარ სალოცავად თავლებოდა. მის თავისი მიმულები და ზვრები ჰქონია, რომლის ტეგარ-საქონელს ხიტის კაცები და ქალები უკლიდნენ.

ხატის ქალები მხოლოდ თამარსა ჰყავდა, რომლებიც მის საქონელს უკლიდნენ და ყველ-ერბოს ამზადებლნენ. ხატის ქალები არ თხოვდებოდნენ და ქალწულად რჩებოდნენ. ხატში მათ თავისი ცალქე საჯარე ჰქონიათ და თამარის ხატობას ერთად დგებოდნენ. ხატის ქალებს ეხურათ თეთრი ხილაბანდები, წინ იკეთებდნენ თეთრ ფასტამალს, გულ-მკერდს იმკობდნენ ვერცხლის ღილ-შიბებით.

თამარის ხატს დიდალი შემოწირულებაც შემოუდიოდა: ფული, საქონელი, სამკაულები და სხვა. ღელეობას პატარძლები თამარს ჯვარნაწერ ტანისამოსს წირავდნენ, ახალი ნეფეები კი ვერცხლის ქიმარს მიათომევდნენ, რომ თამარს მიეცა წყალობა და ღლეგრძელობა. კახეთიდან მხევრას მოჰქონდა აბრეშუმის ხიფები და ქსოვილები.

გაბილოურის თემის ახალჯვარდაწერილ ქალს ღელეობას ს აწ მ ღ მ რ თ ო საწირი უნდა მიეტანა და თამარისათვის მფირველობა ეთხოვა: „თამარ მეფეო, გვიშეულე, შენი კაბის კალთა და მაფარე“-ო. ზოგ მხევრას სამი თუ ოთხი საკლავიც მიჰყავდა და ღლელობას ზოგჯერ 300 ცხვარზე მეტი დაიკვლებოდა თურმე.

ხატობის შემდეგ მოელი ეს საწირი მღვდლებსა და ხევისბერებს რჩებოდათ, რომელსაც ისინი იყოფდნენ, კახეთში ჩაჰქონდათ და იქ მოვაჭრებზე ჰყიდდნენ.

თამარის ხატს ცხვარ-საქონელი თუ შეუცოტავდებოდა, მაშინ ხევისბერი ქადაგს დასვამდა და ის იტყოდა:

„თამარი ბრძანებს „ბუეირნია“ (ცხვარი) დამაკლესო და ახლა მევ შემისეთო ჩემ სასიხარულოდა“-ო. ხატის დამიზეზების შიშით ცრუმორწმუნე მეცხვარეები ქადაგის ბრძანების მაშინვე ასრულებდნენ, მოჰყავდათ ცხვრები და ხატის ფარაში ურევდნენ.

ღელეში თამარის ხატობა იწყება 19 ივლისს. ლაშიარიდან ჩამოსულ მლოცავს იქ ხვდება ფშავის-ხევიდან მხევრას და შუადღისძის ხევისბერები იწყებენ საკლავ-საწირავის დამწყალობნებას. ხატის ნიშთან მისვლი მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ, ქალები კი მოშორებით დგებიან.

წინათ მეხატენი თავიანთ საჯარეში თურმე დგებოდნენ, რომლის მიჯნის გადალახვი არ შეიძლებოდა. ვინც ასა დაარღვევდა, მას ხატისათვის საკლავი უნდა დაეკლა, რომლის სისხლით ხევის-ბერს მისი კარმიდამო უნდა გაენათლა. დედაქაცებს ერთი საჯარე პქონით, რადგანაც ქალები თემებად დაყოფილი არ ყოფილან და მათ ეკრძალებოდათ მამაკაცის საჯარეში დადგომა.

ხევისბერი მხევეწარს ჩვეულებისამებრ ამწყალობებდა. ზოგ ივალმყოფს „წ ა მ ლ ი ს ს ა ხ ს რ ა დ“ ქადა-კვერები მოჰქონდა და ცხვარი მოჰყავდა, ზოგს კი „ხ ა ტ ი ს ს ა ქ ა დ რ ი ს ი“ — თეთრი მოსახვევი, რომლის ყურჩე „წამლის სახსრად“ თეთრი ფული იყო გამოკრული. ვისაც შეთქმული პქონია: „რომ შენ კარზე შემოვხდები ყელწნელიანი, ფეხშიშველი, პირქვიანიო“, ისიც ასე ასრულებდა. ხევისბერი მხევეწარს ართმევდა საწირს და დაილოცებოდა: „გაყმარჯოს თამარ მეფეს, იყოს მფარველი თავის საყმოსი, თავის ქალ-ქალიშვილისა, დღეს თავის კარზე მდგომელი და მლოცავი კეთილად შამზღვნელი, შამწირველთ, მოსულთ დაახვედროს ტებილი წყალობა, წასულებს გააყოლოს ბედი და კარგა მყოფობა“—თ. შემდეგ საკლავს შუბლი შეუტრუსეს და იქვე დაპკლეს.

ბოლოს სუფრები გაიშალა, ხევისბერებმა სუფრას სახელი შედეს და უველამ შესანდობარი დალია. ამას მოჰყევა სმა და ხევისბერებმა დაიმღერეს:

ლოთისშეილთა ჰყავის წმინდა, თამარი დედოფლალია;  
უფლისგან ჭერინდა ბრძანება, შეერტყა მამის ხმალია;  
მამის სანეცუთ ილო, თითოონ ბრძანდება ქალია;  
ხმელეთ თავისიაღ მაიგოო, იმდენიცა აქვ ძალია;  
შეუა ზღვას ჩადგა სამანი, სამანი რეინის სარია,  
სატაბროო, საბრძანებლადა თამონ ხმელს გორჩევ ბძანია,  
პირდაპირ უდგა გორჩედა ლალი ლაშერის — ფარია,  
თავზე ხურავის გვირვეინი, წელწედ აზტყაცის ხმალია,  
გვერდს უდგა ნისლისუერაო, ტრედიერთა პქონ მხარნია;  
ოქროს უნაგირ ზედ აღვა, ოქროწყლის ლაგმის ტარია;  
დალოცებილ შემზადებულა: „დაუგანტული მყვან ყანია...“  
მიეშეელება ერთგულთა, არ იყოს მისცლის ხანია.

საღამოს ხატიონის ფერხისა შეასრულეს და მლოცვავი დაიშა-  
ლა. წინათ მლოცვავი თამარში ღამისთვევით დგებოდა და წაწლო-  
ჟაც ნებადართული ყოფილა, სადაც ხატის ქალები და ქაცებიც  
თურმე წაწლობდნენ.

ამ თავიანთ სალოცავებს გარდა ფშავლები თაყვანისა სცემენ  
გუდამაყრის პირი იმზე ფუძის ან გელოზე<sup>1</sup>, რომლის  
ნიში ხევსურებშიც არის უკანა ახოში და სიახლოვის გმირ ფშავ-  
ლები იქ უფრო მიღიან. აგრეთვე ლოცულობენ მთიულეთის ლო-  
მისის წმ. გიორგის და ხახმატის ჯვარს. ფშავ-  
ლების თქმით, პირიმზე ფუძის ანგელოზი სულით ავალმყოფა,  
ავჭარითა და სიზმრით შეშინებულს პკურნავსო. ასეთი ავალმყო-  
ფი ფშავლებს კურატული იქ მიჰყავთ და ხატის მის განკურ-  
ნებას შესთხოვენ.

ხახმატის ჯვარის ძლიერებაც ფშავლებს სწამთ და გაჭირვების  
ღროს იტყვიან: „გიორგი ხახმატის ჯვარო, შენ გვიშველეო“. ხახ-  
მატის ჯვარს განსაკუთრებით ქალები ლოცულობენ და უშვილო  
ქალები მას შეილიერობასა და ვაჟიანობას შესთხოვენ. მშობიარო-  
ბისა და თვითურის გართულების ღროს ქალი ხახმატის ჯვარს დახ-  
მარებს შესთხოეს და მას საღობილო კვერებსაც კი უცხობენ.  
ფშავლების რწმენით, ხახმატის ჯვარის რამდენიმე ღობილი ჰყავსა  
სამძიმერი, თამარქელი, ხოშავი, მზექალა და აშექაო. ვისაც ხახმა-  
ტის ხატის კარიდ მისვლა აქვს შეთქმული, ხატობას ის იქ მიღის და  
ლოცულობს.

ამ ხატებისა და საკულტო აღგილების რწმენა და თაყვანის-  
ცემა ფშავეში უკვე შერჩეულია. ხალხს დღეს ნაელებად სწამს ხა-  
ტისა და მის მსახურთა ღვთაებრივი ძალა. იმიტომ ძველი ღილება  
და ხასოება სამუღამოდ გამქრალა და ხატის ნიშ-საბრძანისები გა-  
ძრულია და პარტახი. კულტის მსახურთა რიცხვი შემცირებუ-  
ლი, ახალგაზრდობა ასეთ სამსახურს შეგნებით გაურბის და ჩქარა  
ყველაფერი ეს სამუღამოდ გაქრება.

მხოლოდ მოსახლეობის ჩამორჩენილი მცირე ნაწილი ჯერ კი-  
დევ ეძლოუშება იმ მამაპატურ ძველ ტრუმორწმუნეობას და ზოგ  
წესს აღაულებს. მაგრამ ფშავის მოწინავე და შეგნებული

<sup>1</sup> სერ. მიკალითია, მთიულეთი, 1930 წ., გვ. 159.

ნაწილი, რომელიც დღეს კოლმეურნეობაშია გაერთიანებული, თემსაბჭოსთან და პარტუფერდთან ერთად ებრძევს ამ მავნე და დრომოქმულ ცრუ რწმენას.

## 9. ხალხური პოეზია

მდიდარი და მრავალფეროვანია ფშაური ხალხური პოეზია, რომელშიც ასახულია მისივე ყოფის დამახასიათებელი მომენტები. ფშაველს ჭირ-ვარამის გამოთქმა ლექსად ემარჯვება და თავის სულიერ განცდებს ის ლექსებში აყალიბებს.

ამიტომ ფშავის ყოფა-ცხოვრების გასაცნობად მის ხალხურ პოეზიას უაღრესი მნიშვნელობა ეძლევა. ფშავის საზოგადოებრიობა წარსულში თემურ წყობილებას არ გასცილებია და მისი ძევლი პოეზიაც თემობრიობის სულით იყო გაულენთილი, რომელსაც საგმირო ლექსების სიმჩავლე ახასიათებდა!

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ხალხური პოეზიის თემატიკა და ფორმა იცვლება და დღევანდელი ფშაური პოეზიაც განცდის გადახალისება-გარდაქმნას.

სანიმუშოდ ჩვენ აქ მოვიყვანთ რამდენიმე ფშაურ ახალ ლექსს, რომელშიაც გალექსილია: თავიდი, მღვდელი, ულირსი კომქავში-რელი და ლენინის გარდაცვალება.

## 1. მიგატონი თავადები

უწინ თავადებს კერიათ კახეთის მთა და ბარია, გლეხები ისე უხოცავ, როგორც ნადირსა ცხვარია,

1 ჭევლი ფშაური საგმირო ლექსების ბევრი ნიმუშია შექმნილი და გამოცემული, მათ შორის საყურადღებოა ც. ხ თ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ შექმნილი ფშაური ლექსები (ინ. ივერა, 1887 წ. № 140, 144, 172, 174, 188, 193, 195, 252, 203, 210; 1888 წ. № 239); ც შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი, ახლანდელი ლექსება-შირიმის ფშავშიც და ნიმუშები უმცველი ქალის ლექსებისა (ივ., 1895 წ. № 37); გ ი ფ ა ფ შ ვ ი ლ ი, გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით (ივ. 1889 წ., № 74); მისივე, ფშაველი დედაუცის მდგრადიობა და იდეალი ფშავი პოეზიის გამოხატულებით (ივერა, 1889 წ., № 201); მისივა, ზ ვ ი ლ ი და ახალი ფშაველების პოეზია (მოაბე, 1896 წ., № VI).

კაცებ ულელში უბამის, ბატონი კევრზე მდგარია.  
გლეხი უდელსა ვერ წევდა, განა მანძილა ხარია?  
კევრით გადმოხტა ბატონი ადინა სისხლის ლვარია.

## 2. მღვდელი და გლეხი

**მღვდელი.** უწინ კარგადა ვიყავით, კარგად ცხოვრობდა გლეხია,  
ის უწინდელი ტყავ-ჩოხა სუსველის ჩამოგვეხია.

**გლეხი.** შენ ის გადარდებს, მამაო, ქადები შემოგველია.  
გვემდი და გვგლეჭდი გლეხებსა, შენ იყავ ჩვენი  
მტერია;

ჩვენი ნაშრომი ამაგი ეხლა ხო შემოგველია.

აქ ნამყოფნ საიქიოსა არ წავალთ შაუცდელია,  
ვიძახით ცოველ კუთხეზე: „აღარ გვინდარის მღვდელია“!  
ვინცა მოკვდება, დაემარხავთ, მღვდელი იღარა გვეირია.  
მღვდელი და დიაკვანია ხალხისა არი მტერია,  
ზურგზე უკიდავ ხურჯინი, შიგ უძე ქადა, ყველია,  
ორივე ჩვენი მტერია, ლვინო-არაყის მსმელია.

ლვთისო ლაგაზიშვილი, 25 წლისა  
სოფ. ჩარგალი, 1932 წ.

## 3. უღირსი პომპაზირელი

სამართალ არა პქონია ხმის მიმცემს დიაცისასა;  
დიაც სულ მოლალეა, რატომ არ ფიქრობს იმასა?  
ჩამწერეს კომკავშირშია, იღებს უღმერთოს წიგნაქსა,  
მთავრობას პირად უდგება, იღებს პარტიის ნიშანსა,  
პარტიის ნიშან უდგება მლოცავსა ხატებისასა?  
მხარდამხარ დადგნენ ქალები, კოხტად იწერდნენ პირვეარსა.  
სამჯერ დაეცნენ ჩოქზედა, სამჯერ მოკმიჭეს მიწასა.  
გენახათ, გაჰკვირდებოდით მაგათ ქადების ზიდვასა,  
მართა ყურს უგდებს მძიმედა ქებასა დასტურისასა,

საკლავი და კვლევითა, სისხლით ღებავდა მიწასა,  
 ტებილად ისმენდნენ ქალები ხუცობას ხევისძრისასა.  
 მოლექსეს მოიკითხავდეთ მცხოვრებსა ზენამხრისასა,—  
 ხინჩლაშვილი ვარ დავითო, სახელს არ ვირქმევ სხვისასა.

სოფ. ზენამხარი, 1932 წ.

#### 4. ლენინის გარდაცვალება

გადაიხარა მნათობი, სხივი მთებს ასცდა მზისაო,  
 ნერავ ვიცოდე ქარგადა ამბავი ხმელეთისაო.  
 ვინა მყავ ქვეყნის მცნობელი, ან ბობოქარი ზღვისაო?  
 ამბავს ვაბარებ მოვარესა, ხო არის შორი გზისაო,  
 მაგრამ ლაპარაკ ვერ იცის და ამოღება ხმისაო.  
 თუმც ყველას ხედავს თვალითა, სად ვინ გასცარცვავს ვისაო,  
 სად ვინ წაართომს ერთურთსა გამამაძლარის ჰქვისაო,  
 სხვა ქვეყნად კანონ არ არის ამ ხელისუფლებისაო,  
 ვინა პყავ იმათ პატრონი ამრჩევი სწორის გზისაო?  
 ბურუუაზია იქ არის, დროა მუშების ცრცვისაო,  
 ბევრ მუშა ტირის იმ ქვეყნად, ცრემლები ჩამოსდისაო,  
 უკურებს არემარესა, დრო არსად მოსჩანს ხსნისაო,  
 სიმართლე ჰყავის მონადა ჯიგი ჰქრავს ბორჯილისაო.  
 ვინ არის ქვეყნის დამხსნელი პატრონი გლეხებისაო,  
 სიმართლის გულისათვინა ან ამომღები ხმისაო?  
 მაგრამ ლენინის სიტყვები ფრანგულ ხმალივით სჭრისაო,  
 სინათლეს ნახავს შორიდა, გამკაფავია გზისაო,  
 სამყაროს ვინდა ეწვევა, ვაპმე, ლენინის ჰქვისაო,  
 გლეხების გულისათვინა ან ამომღები ხმისაო,  
 ჭირ-გარმის გამზიარები, შენ იყოს, თუნდა სხვისაო?  
 მორბის, მოქანავს არაგვი, ნაეური კლდეებისაო,  
 გალალებულა გულითა, ცრემლებს აღარა ღვრისაო.  
 მაგრამ დაუდგა მაგასაც ჩქრიალი ტალღებისაო,  
 წყალს ერთვის ცრემლის წყარონი გლეხების თვალებისაო,  
 კარგსა რად მოჰკლავს სიკედილი, შამბრალე იყოს სხვისაო.

„ნუმც გაგვიგონავ, ამბობენ, სიკედილი ლენინისაო!“  
 დასტირის ყველა ჩაგრული, ზღვა მიღის ცრემლებისაო.  
 წუ გეშინიანთ, სიკედილი, ვიცით, ბუნების ვალია,  
 ლენინის ნათქომ სიტყვები წინ მიღის, როგორც წყალია,  
 მის სიტყვებ ალარ მოკვდება, ფოლადის ციხის კარია,  
 არ დავივიწყებთ აროდეს, მინამდე მზე და მთვარეა,  
 მინამდე ჰყვავის სამყარო, ქვეყნად ბუნების ძალია.  
 რაც რამ სიმართლე ვიპოვე, სუ მაგის ნაუბარია;  
 უმჯობეს მანქანებით შრომითაც გაგეიხარია,  
 მაგრამ ფშავისხევს რა უყვათ, რო დაფხაჭნილი მხარია,  
 მანქანა-იარაღების არ არის მოსახმარია,  
 ფერდებზე არის კლდები, ვერც კი მუშაობს ხარია,  
 მოგვეცით ტკბილი კახეთი, ჩვენ აქ რა გაგეიხარია?  
 ერთხელ ფშავლებმაც იხილონ, როგორი არის ბარია,  
 გავიგოთ, ვნახოთ ოვალითა, თავაღებ კიდევ არია?  
 გიამბობთ, ჩვენი ჩარგალი რა ძნელი საცხოვარია,  
 დღედაღამ ტვირთი გვეიდავის, ოფლი ჩამოგვდის ცხარია,  
 მენაც აქ ეცხოვრობ, ჩარგალსა, ემაგის მოუბარია.

ივანე გიორგისძე ბათაშვილი 19 წლის  
 სოფ. ჩარგალი, 1932 წ.

მაგრამ ეს ახალი ყოფა ფშავში ჯერ კიდევ საბოლოოდ გან-  
 მტკიცებული არ არის, ამიტომ ფშავის დღეგანდელი პოეზია თა-  
 ვისი თემატიკით და ფორმით ჭრელია. ძველი საგმირო ლექსები  
 აქ თითქმის მივიწყებულია, გაბატონებულია უკველდღიურობის  
 ამსახველი საყოფაცხოვრებო ლექსები, განსაკუთრებით სჭარბობს  
 სატრუქიალო ლექსები.

ფორმისა და ლექსთაწყობის მხრივ თანამედროვე ფშაური პო-  
 ეზია ქართული ლიტერატურის წიგნურ გავლენას განიცდის.

ჩვენმა ექსპედიციამ ადგილზე ჩიწერა და შექრიბა სამასამდის  
 ფშაური ლექსი და ეს მასალა სათანადო დამუშავების შემდეგ  
 მოითხოვს ცალკე წიგნად გამოცემას. ჩვენ აქ სანიმუშოდ ვათავ-  
 სებთ ამ ლექსების მცირე ნაწილს.

## 5. ფშავლების გალუშრება მითხოვა

მითხოს ნუ მისდით, ფშავლებო, განა ქალაქის ქარია?  
 არ არის ოქრომჭედელი, არც იწურება რვალია.  
 გაიგო ლაშარის-ჯვარმა წელს შემოირტყა ხმალია;  
 შეკაზმა ნისლისფერია, ცხენი ჰყავს ნიავ-ქარია,  
 ოქროს უნაგირ დაადგა, ყელზე ჩაუდვა ზარია,  
 უბრძანა თავის საყმოსა, მთათ შემოავლო თვალია,  
 უჯრედთ ფშავლის შვილებმა, ყველამ გალესა ხმალია,  
 შეგროვდეს ამუგაზედა, მთათ შაუბერტყეს ნამია.  
 ქვანიდის ჭალას ჩაგროვდენ, არ დასწვდა წვიმის ცვარია,  
 შაუდგეს ფარმნის ჭალამა, დახიეს ფარსნის წყალია,  
 გადვიდეს ტერელოშია, მაღლიჯეს ციხის ქარია,  
 გამოაბრუნეს ცხვარ-ძროხა, მაცყვება ქისტის ქარია.  
 ნუ დაიკვეხებთ, ფშავლებო, გიქრისთ დავლათის ქარია,  
 მარცხნისათ უდგა კოპალია, მარჯვნივ ლაშარის-ჯვარია.  
 დედაკაცი რამ მობრძანდა, სთქვეს: „თამარ დელოფალია!“  
 ზღვის აუქნია ლეჩაქი, არ გადმოვიდეს ცვარია.  
 „ლელის გორს დამიკიდოდით ჩემი პატარა ზარია,  
 ზარს დამკრან, ფშავში გაეარდეს, პირს დაიწერონ ჯვარია.  
 სუ იყვნენ დაქუჩებული ჩემი პირქუშის ყმანია!“  
 ემაგის მალექსებელი თუშეთს ვარ თუშის ქალია,  
 ფშავლებო, გამომიგზავნეთ კომლზე შიშაქი ცხვარია;  
 არც მე მოგაკლებთ ქებასა, არ დამეხოცნენ ძმინია!  
 ნუ დაიკიწყებთ, ფშავლებო, თუ ვინ იქ დაკრჩათ შკვდარია.  
 მაშინის მაიგონებდეთ, რო გედგესთ ლუდის ცვარია.

ბლუი გოგნელაშვილი, 65 წ.  
 ს. გოგოლაურთა.

## 6. პილმელი ივანეური

ჭიმლაში ივანეური დლეს ლესაეს თავის ხმალსაო,  
 დედა უცხობდა საგზალსა, მამა უბანდაეს ჭლანსაო.  
 წამუა საფშავლოსაკა, მამიდა-მწერს ჯვარსაო:

„წარმომ გაპყევ, ჭიმლის გიორგი, თავის ყულუმსა ყმასაო!“  
 შაპყვება მამილის შეილი, მასწავლიდა გზასაო.  
 მუჭაის ღელეს შამოხდა, დაგავლებს, ფშაო, თვალსაო,  
 ჩამაცწია ღუნხევსა ცაბაურთ მთიბლის ჯარსაო.  
 ხმალი სცა ყარტაულისა, ფეხქევშ ივორებს მკედარსაო;  
 ჩაივლის ღვთისმშობელშია, დაგრის დარბაზის ქარსაო.  
 შაპყვება ხოშარაული, ღლარა ზოგავს თავსაო;  
 მარტნივ კელაპტარს შაიტანს, მარჯვნივ შაიბამს ხმალსაო.  
 მაუქნექს ივანეური, გაუქრობს კელაპტარსაო,  
 მაუქნექს ხოშარაული, გააგდებინებს თავსაო.  
 თავს მოსჭრის ივანეურსა, შარევს ხატისა კარსაო.  
 ივანეურის ფრანგულსა ქალაქს უსინჯვენ ფხასაო,  
 ირიგებს აზნაურები, ხმალზედა კვეთენ ძვალსაო.  
 „ბასრი ყოფილხარ, ფოლადი, იმით თუ სტრიდი ძვალსაო,  
 ნეტავი შენი მუედელი ვეღარ იქამსა სხვასაო?“

ბლუი გოგნელაშვილი, 65 წლ.  
 სოფ. გოგოლაურთა

## 7. გარაის გალაშპრიბა ჩისტიბზე

- სადა რა მიხეალ, გარაო, აღგილ სად იყო მტრიანი?
- ქისტეთისაკენ მივდივარ, კაცნი თქვეს ქონებიანნი, ბევრანი ხყვანან ცხვარ-ძროხა და ქალნი ოქროსამიანნი.
- თავადა ნაყვენ წამალისა, ბაკნით უდგანან ტყვიანი, ჩახეალ და ვეღარ იმოხეალ, რო თავს არ მისუ ზიანი.
- მუქარით არ დაებრუნდები, ქალი არა ვარ თმიანი, გარა ვარ თურმანაული, მე ბევრეან მიქნავ ზიანი, მიხოცავ ლაშარის-გორსა ქისტის ხარები რქიანი.
- სამშაბათ დილა დაცუნენ, შატილს ომ იქნა ძლიარი, მიღვებ-მოღვება გარაი ლაშარის-ჯვარის ხმლიანი.
- რად ეგრე, ლაშარის-ჯვარო, მტერს უყავ მცირე ზიანი, სისხლით ვერ შამაღებინე ეგ ჩემი ხმალი ცვრიანი?
- მაუდის ცხვარი, ძროხანი, მიწას გამქონდა დგრიალი,

მასდევენ ქისტის შეილები, ნაქები მეომარნია,  
ყურიან სეტყვასავითა, ტყვის მოაქვის ჩქამია.  
გორს აქათ-იქით გადადის ტერელოვლების მკვდარია,  
თან ჩააყოლეს ძალები: „დახარით ქისტის ძვალია!“

სეიმონ თურმანაული, 72 წლ.  
სოფ. გოგოლაურთა, 1932 წ.

### 8. ლეიპიბის დაცემა

თათრების მოედაზედა სამ პირად მოდის ცხვარია,  
კვირობენ თათრის შეილები: „ე ცხვარ ვისილა არია!“  
მათურელთ ბინაზე მიღვა, მწყემსებმ გაუღეს კირია.  
ბერიძემ უთხრა წყემსებსა: „ცხვარს მოგვიწყურდა წყალია,  
ჩავრეკოთ ლეკის წყაროზე, დავალევინოთ წყალია,  
ერთ კი მე წავალ მარტოკა, ორნ გამომყევით სხვანია“.  
აღგა, ჩაიღვა საგძალი, თოფს დაუპარა ტალია.  
ჩარეკეს ლეკის წყალზედა, დაალეინეს წყალია,  
დაპჴივლეს, შემოაბრუნეს, ცხვარს მოაძოვეს ხამია.  
თათრების მოლოდინი იქვ, გზაზე უჭირავ თვალია.  
სადილობის ხან მოვიდა, გამოჩნდა თათრის ჯარია.  
ბელადმა თოფი მოუპყრა, გულმა არა ქნა ბწეარია:  
„თოფი არ დამკრა, რჯულ-ძალლო, არ შემიზუხვინო გვარია!“  
უწინ ბერიძემ დასწერა, თათარს მოსტეხა მხარია,  
მემრე ბერიძეს მოარტყეს: „მანძილავ დასხენ რქანია!“  
„ა, თქვენს ბერიძეს, თათრებო, ცდისა არ დამრჩა ხანია!“  
ომია ლეკის წყალზედა, დაბლა წყიმს, მაღლა დარია.  
დაექცა ამხანიგები, ვერვინ უჭირა მხარია.  
ზეითით რაიმ უყუდავ, ბალლია უმეცარია.  
გარდმოშველება სწალიან, ცდისა არა იქვ ხანია.  
ბატარა ხანა გავიდა, მოვიდა ხანჭლის ჩქამია.  
„ემაგას ნუ ჰქონიავთ, რჯულ-ძალლო, გან ეგეც მეომარია!“  
„ემას იმით ვკლიავთ, ბერიძე, შური გვაქვ საძებარია, —  
ნაშოვნის მაგიერადა შენ გვათრევინე მკვდარია.

ცხრა შევდარი წაგვალებინე, მოგვყავის „შვილი-რვანია“. ბერიძის მამას მურღვასა, საწყინოს ეტყვის მხარია: „ვაჲ, თუ მამიკლეს ბერისძე, თავზე დამხურეს ცანია!“

## 9. სალდათობა

წუხელა ვნახე სიზმარი, დილა რომ გათენდებაო,  
შველა სილდათში მიედიგართ, აბა შინ ვიღა რჩებაო? რომი  
გამურდა ფილხელი, უერთოდ ოლარ დგებაო.  
ბევრ ვაშქაცა კლაგს ტკვიაი, გუბი და გუბი დგებაო,  
აიწევს ასადგომადა, მაგრა ველარა დგებაო,  
სულსა ლევს უწადინოდა, სამშობლო ენატრებაო.  
თავს დასტრიალებს ყორნები: „სულ როდის ამოხდებაო“.  
თვალთ დასთხრის უქჩერებელთა, ველარა ნახიეს დედაო,  
ბევრისა დედა შეხდების ტირილით საფლავზედაო.  
ჭერნაჟამ აჯილდასავით შინ ჯალაბთ ალარ ჰედებაო.

ალექსი ლოსეურაშვილი  
სოფ. უძილაურთა, 1932 წ.

## 10. სალდათის ცხოვრება

შარს გამბობთ, სწორებო, მადლსა ვახსენებ ღვთისასა,  
ფშავით მომწერეთ წერილი, გადმოაყოლეთ ცისკარსა.  
ახლა რუსეთით მე მოგწეროთ ცხოვრებას სალდათისასა:  
ორმანინანახევარს ვიღებთ ჯამაგირს მთელის წლისასა,  
ლეგა ტოლომანს გვაძლევენ, ჩექმასა კამეჩისასა,  
მინდვრად ვართ გამწერივებულნი, ვაყენებთ თოფის ლიშანსა.  
გავხედათ გრანი ცაზედა მოსავალს ჩვენი მტრისასა,  
მტრის მოსელა, ჩვენი დახვედრა ელვასა ჰვავის ცისასა,  
გააქვის კაცის თავ-ფეხი ტყვიასა ზარბაზნისასა.  
დაბლა გამამუენს პალტოსა ლამაზის აფიცირისასა,  
დაიძახებენ რუსები: „სული ღმერთს, ლეში მიწასა!“

დაიცათ, იაპონლებო, არც კი ჩვენ ვაცდენთ ლიშანსა,  
პირდაპირ გვიდგა ჭარები, ფარებსა-მგავის ცხვრისასა.  
პირდაპირ დაეცემიან, გააწითლებენ ქვიშასა.  
დამართეს პარახოდები, წამოგვივლიან ზღვისასა.  
ვერცაით ზღვაზედ წაუვლენ ჩვენის ზარბაზნის ლიშანსა.  
დღეში წყალისა ვსვამთ ერთხელა, პურსა ვჭამთ თითო მისხალსა;  
წინდაწინ წაგვაყენებენ ნამსახურს ხუთი წლისასა;  
საჩუქარს გვაძალადებენ, ფულით გვისებენ ქისასა.  
გვერდში მომარტყეს ტყვიაი, ნამტვრევს ვაიტნს ძვლისასა.  
თან კი ვერ გადამიყოლა, ვერც გულს აგრილებს ყმისასა.  
ხუთით გატენილ თოფი მაქვ, ჭავრს როგორ შავჭამ მტრისასა?  
ოთხი კი კარგად ექსროლე, უჭერდი გულის ფიცარსა,  
მეხუთე დამრჩა, უსროლი, ძნელადა ვხედავ ლიშანსა.  
სახეს არ ვიყავ ცნობილი მე ჩემის პაპისასა,  
მოვიდა, ხელი ჩიმავლო, ძალს მავედრებდა ღვთისასა;  
ხელში ეჭირა მაჟარი, შუქს აყენებდა მზისასა.  
მხარილლივ ხმალი ეკიდა, წვერ უწვდებოდა ქვიშასა;  
როგორლაც ამბავს მიამბობს ძველებურ ჭარებისასა,  
კარგად ვერ გამოვიტანე, ვიტყოდი სიმართლისასა.

პავლე რაზიკაშვილი 37 წლ.  
სოფ. ჩარგალი, 1932 წ.

## 11. მიღუჩნი ვართანა

ინოს-ძირ შამოვიარე, დუქანში დამხედა ვართანა,  
უცხო კაცს ეგონებოდა, ძმა თუ მისულა ძმისთანა.  
რაც არ მენახვა ჩემს დღეში, ისეთი მსვა, მაჭამა;  
დახლში სამ გადაეფარა იქით ჩოთქ გაღმოაჩქამა.  
გაუსვა სალოეა თითი, გააქან-გამოაქანა;  
ხუთის მანეთის ფულისა ერთ აბაზილა დამრჩილა.  
ავიღე, ისიც გადუგდე: „მაგის შინ წამლებ შამრცხვალა“  
ჩოთქო, მოგიკვდეს გამკეთე, ვინაც გაგუთხა, გავთალა,  
აგასხა წინდის ჩინიზედა, ოთხსავ კუთხეზე გაგჩარა.

შეჩენ სუბებიან ჯალაფნი: „სახლში აღარა შაგვრჩა-რა,  
თორმეტის ფურის ნაწველი შენ მუცელმ შასვა, შაქამა!“

## 12. სიცვარული და სირცხვილი

პაკლემ თქვა ჩიტუაშვილმა გაცინებულის პირითა:  
„ვიცინი, ცრემლი ჩამომდის, როგორც მდინარე მილითა.  
დათა ქვეშ დავდგი სასწორი სამი ლერწამის წბილისა,  
სიყვარული და სირცხვილი ორივ ვეწონე იმითა.  
სიყვარულ მეტი მოვიდა სირცხვილზე სამის წილითა.  
სირცხვილმა დამწვა თვალები, სიყვარულმ მამკლა ძილითა.  
ნეტარ ველარა გნახავა, მზევ იმოსულო დილითა?“

## 13. მწყემსის ჩივილი

პირველად ვიტყვი შაირსა საწყალის გლეხის შვილია,  
სხვის მწყემსადა ვარ ნამყოფი, ობლობით გამოზრდილია.  
ქისტების მომიჯხედა ვარ, ჩვენის გრანიცის პირია.  
ოხერო, ფშავის არეო, კლდეებით შამოსილია,  
შთანი იყვავდეს მწვანედა, ხემა დაისხა ხილია.  
წამოეფინა მთის წვერთა ნისლები ამოშლილია,  
გული მაქვს ბოროტიანი, არ მეძინება ძილია,—  
ჩემი მზე ბრუნავს უკულმა, თვალებში მიღვას გრილია.

პაკლე თათარიშვილი  
სოფ. ქუთხი, 1932 წ.

## 14. სირცე დილი

სიკვდილმ თქვა, ზღვა-ზღვა წიმოველ, ზღვა ჩქვეფით შემოვიარე,  
ფშავის ხეეს გადაუხედენ, ყოოდეს, როგორც იანი,  
ჩივემზადე და ვერ ჩაველ, ხატი ჰყოლიყო ძრიალი.  
გორგი შემომეყარა ქორ-შავარდენი მხრიანი:  
ჩივსურებ გაღამისწავლა და იქ გავფრინდი მხრიანი.

గొవ్వెల డా స్టే కొక్కాట్టే, రంగంరుపు నాల్చెగ్గించి తిప్పాని.  
భేజరిసా డ్రెడా గార్టిన్ఱ్, భేజరిసా ప్రమలి తమించి,  
భేజరిసి కీసిల్-షిస్టడ్ శొవ్పెయిడ్ కిర్కిసాథ్ నోర్క్రూమ్లించి.  
భేజరిసా తంఫ్యి శొవ్పెయిడ్ స్ట్రామ్బంల్చి ష్ట్రేజ్క్రూమ్లించి.  
భేజరిసా కారి మొవ్వొశ్ర్య్, భేజరిసా స్టేజ్ మ్లొంచి,  
భేజరిసా ల్యాప్టెల్సి డావోజ్ర్ల్, భేజరిసా స్టేజ్ నొంచి.  
భేజరిసా ల్యూర్ఫా గ్యాష్ట్రో ఇంలాంస్ నోర్-ఢొంల్చి,  
భేజరిసా జ్యూడి గ్యాజ్టింఱ్ డింలాథ్ త్వాంత్వొల్చించి.

### 15. వీచికాపిస్ సికిషణిణి

కొర్గాంస్ అంబంధ్ సిక్కెఫిల్సా ఉడ్చెఫిల్స్ గొప్పాప్రిసాసా,  
గాప్పెపిర్లుఁడ్ కొర్గాల్లెల్లెంది త్రింకిల్సా ఇమిసి డిసాసా.  
ప్రమలిసా గ్లామోస్ గాప్పెపిర్లుఁడ్, భేష్ట్సా అర్ నీర్కీసి తమిసాసక  
గాప్పెపిర్లాన్ క్రెచ్చిసి క్రింబోసా, క్రేచ్చిసా గాప్పా ప్రిసాసా.  
ప్యూర్మింతా త్వెల్లిందా మిస్కెవ్లాసా, ల్యైంటా-ఎత్సెర్లిందా మిష్టిసా  
ఇ త్రింల్-ట్రెచ్ కొర్గెంది తింపిసి అర్ స్క్రోమ్చెన్ స్క్రోపిసాసా,  
ప్రాత్రికిన్నిసి మంల్పండిన్సిం డిల్పెంబ్సా స్తోప్లిం త్విసాసా.  
ఎలాం మంగించాత, నెంక్రేపం, శ్యుఫ్స్ ఇమాల్పెం మెంసాసా,  
ఎంట వ్యెలాంక్రొన్ షామ్రోం, బ్రులాంకా క్రాంగి మ్రుంసి కాంసా.  
క్రేంచ్ అంజ్ షామ్రింగాల్సి గార్త, రంగంరుపు ఉప్పుర్రెంత స్క్రోపిసాసక.

### 16. పింకిం ప్రెషిం

శ్యుక్ ట్రై పింకిం స్టుడిం, మ్రె శేన్సి క్రెచ్చిన్ని జ్యూర్లిం,  
శ్యేసా ల్యూర్ఫాథ్ గ్లాంగ్పెర్లింక్ క్షూడిం,  
ఏన గొవ్వెల సామ్మెంగింపంిం గాంగ్పాపింట్రుణ్ జ్యూడిం.

### 17. ఆంబిల్సి ప్రెచ్చిం

ఏజ్వెన్సి క్రింకింమ్చె, స్ట్రింక్రేపం, స్ట్రింక్రేపం గ్రెంచ్ప్రాల్చెతం,  
ఎక్కు బ్రుమ్మింగాంగ్త శింకాంచ్చె, క్రేమ ఎంగిల్సి కొమింబార్జెతం,

ლამე ქურდულად მავლიეთ, ჩემ ნაბად წამატარეთო,  
ჩემ მამა-პაპათ გვერდზედა სამარე გამითხარეთო.

## 18. ჩალის მოტაცება

მათურით ქალ წამოვიყვანეთ, ჩვენც კარგანი ვართ თქვენაცა,  
ალბათ ჩვენქ წამოვიდოდა, უყურეთ ბედისწერასა.  
მამამთილ იოსტი ჰყავ, განა იშურებს შეელასა  
დილით საბჭოში მიუა, ახერხებს ხელის წერასა.  
მათურელთ ქალი წავართვით ვაშვაცს მოვაკვარეთ ქერასა,  
შესძლებენ შუაფხოელნი მათურელთ გულის ჯეგვნასა.  
ამბობდა თავმჯდომარეი: „აჭარბებთ ცუდად ქცევასა!“  
ეს ხომ ფშაური წესია, ესრე მოგვიდის ყველასა.  
ქალს უნდა მოტაცებაი, წესს ვერ დაესტოვებთ ძველასა.  
მათურელთ არ მოაგონდება, თუ შევსძლებთ მაგოდენასა.  
კაც-შუაქაცში ჩავდგები, ტებილი დაუბნებ ენასა,  
თუ მაინც არ დაიჭრეს, მაშინ უტირებთ დედასა,  
მათურელთ ვაყურებინებ ყუჯის თოფის ხელისა,  
ყუჯის რა შეედარება, მგელსა ჰგავის და ჯერანსა“.

გიორგი ელიზბარაშვილი  
სოფ. შუაფხო, 1932 წ.

## 19. შრელათ მართა

წუხელა ვნახე სიზმარი: ვიყავ არგაის მთასაო,  
იქ მივე ჭრელოს კარზედა, იქა ვმართავდი ტართაო.  
ხოშარას ემზადებოდა, ქალი იცვლიდა ტანსაო,  
გვერდით იოსებ ეყუდა, ერთადა გწერდით ჯვარსაო.  
ქალო, ხოშარას წამოდი, შენ ჭრელათ ქალო მართაო,  
ლამაზ ქულაგას ჩაგაცომ, ერთ ნაოჭიან ტყავსაო.  
ყელზე ვერცხლის შიბს ჩაგიდებ, დაბლა იშერდეს კალთაო,  
ვერცხლის სარტყელსაც გრუდი, წინ ხელისოდენ ბალთაო.

სიამონებით იცხოვრებ, შინ ჩქამი მოდის წყალთაო,  
შეშას მარხილით მოიტან, შააბომ თავის ხართაო.  
სამთხოვარაოდ არ წახოლ, წისქვილს თავისას დაპუქო,  
თუ ჩემი არვისა მართებს, მე ვალ არვისი მმართაო.  
მეც მაღე დაგესალმები, გადაგაფარებ თვალთაო.

### სატრაიბილო ლექსიზი

20.

ბოტი ვარ თომაის შევილი, თელავში ჩამიქვ .ქარაქი,  
უნდა გავყიდო ფულზედა, გამოვიცვალო ხალათი.  
ხუთმანეთიანს ჩაუდებ, კისერს მომპარსავეს დალაქი,  
იქით ლეჩურში წამავალ, ქალთამზე მომწონს თალათი.  
თან თვალად-ტანად კარგია, მოსაწონია ჭალათვთი.  
გადმომყევ, ქალო ქალთამზე, დასთმე ლეჩურის ალაგი,  
ნახნავ-ნათესიც ბევრი მაქე, გუთან თავისად შავიბი.

21.

ნეტავი, ქალო, მე და შენ ერთმანეთს დაგვატოლაო,  
რომელნიც მეტი მოიცეთ, მაქრატლით გაგვასწორიათ.  
მე კი ძალიან მიყვარხარ, შენ კი აროთა გვონაო;  
მე შენთვის კვლევა მწალიან, შაკრულო ვარდის ქონაო,  
შენის მეტ არავინ მიყვარს, შენ ვენაცვალე სწორია!  
აროთ ჩამილის მუქითადა შენის გულისთვი ბრძოლაო.

22.

ბატარა ქალამ დამჩეიია ბატარა ბოსულაშია,  
დამალეინა დლეჟამნი საეინძის მოხელვაშია;  
ისეთი ჰქონდა ლოყები, როგორც წიოელი ვაშლია;  
იმის გულისთვის ბარიდან შორს მივდიოდი მთაშია.  
ოლომც იმას კი ჩემდ ეთქვა, ჩავვარდებოდი წყალშია,  
ოლომც კი დავწოლილიყავ, შავერეოდი ზლვაშია.

ლამაზო, შენმა სურვილმა ჩიმამილივნა დღენია;  
 მუედ, თქვენ კარზე მუაგდე ჩემი ფეხთეთრი ცეკვია.  
 ილიშნე, გელიშნებოდეს, კალში გედგა ქსელია,  
 მარჯვენა ხელში გეჭირნეს ბეჭ-სახესავნი ჭრელნია,  
 რო შამამეგდე ცხენზედა, რას დამაკლებდა მტერია? —  
 შელზე ხმალი მრტყავ ფრინგული, მხარზე თოფი მძე ჭრელია.

შენი ჭირიმე, ნადობო, თვალჭრელო, ყვითელთმიანო,  
 შორითავი გცნობ ისრივა, წითელ კაბანი გცვიანო.  
 შენთან წამოსვლა მწადიან, ახლო გზან მამიდიანო,  
 როცა მოვივალ, ლამაზო, უკან არ დამატრიალო.  
 შენ პირი და ჩემ პირი ერთმანეთს გაეკვრიანო,  
 შენი სული და ჩემ სული ერთურთში აღ-ჩადიანო;  
 მაგ შენის სიყვარულითა თინთან დღენ მელევიანო.

— სად გაგაოხუოთ, ქილიო, ნეტარ სად შაგრთოთ ქმარია?  
 — ახადი მამწონ, დედაო, ახადის მთა და ბარია,  
 იხლოს წყალი და წისქევილი, იხლოს ხატ-ხატის კარია,  
 ლამაზ-ლამაზი ბიჭები, არ მაშორდება თვალია,  
 ლამაზ-ლამაზი ქილები, ხმატებილი საუბარია.  
 მდიდარი ხალხი იქ არი, ბევრი ძროხა და ცხვარია.  
 არ გაეთხოვდები სხვაგანა, თუნდა გაბედოთ ძალია,  
 მაინც იქ წავილ მაინცა, იქ არი ჩემი ქმარია.

ბევრია გამოსადევი, ძმობილო, ჩემი ნათქოში,  
 ბევრჯელ დავწირე მთაშია თავდანებებულ საქონი,  
 ბევრჯელ ბოსლის კარ გავაღე, ბევრჯელ ავხადე საკომი,

ბევრ ქალა გამუაღვიძე ტყავის-ქველაში ნაწოლი.  
სუყველას ნადობს გაძლევდა, მე რაცა მქონდის ნაშოვნი,  
იმისთვის მეხარბებოდა ჩემი ნაქონი-ნაყოლი.  
როცა გათხოვდა, წაგიდა, მერე ამიკრა სასწორი,  
ჩემქ აღარც კი იხედება, იშოვნა თავის პატრონი,  
ისე მედიდგულებოდა, იტყოდი, არის ბატონი.

### 27.

— ნეტავი შენა, ძმობილო, რა ყინჩ ნადობი გყავისა,  
გაზრდილი ლერწმის ტანხედა, დილის ცისკორსა ჰევისა,  
მაგასთან წოლამც მაღირსა, მაგისთვი გაშლა მკლავისა.  
— თქვენაცა გყავისთ ქალ-რძალი, ჯერ კი არ მამიცლავისა.  
რო გაანათებს, მანდა ვარ, შუქი ენქენის მთვარისა.  
მეც გავთლი საგრეხელასა, გამართვაც ვიცი ტარისა.  
მე ის არ დამეიწყებია, ამოყრა მინდა ჯვერისა, —  
ერთხელის ფეხშიშეველი მარბინე ტურათ კარისა.  
ეხლაც მეტყობა ისრივა ნაერავი ჭორის ნალისა.  
წმიდა გიორგიმ დასწყევლოს კაცი ფშაურის გვარისა,  
რო არა ესაქმებოდეს, გავლა სწალიან კარისა,  
ქალებთან წოლა სწადიან, გაღება ბოსლის კარისა.

### 28.

ნეტავი დამიწუნებდეს, დამანებებდეს თავსაო,  
ვივლიდი ლაშარ-ღელესა, ხალხს დიავლებდი თვილსაო,  
ვერც მაშინ შავხდებოდია ჩემის გუნების ქმარსაო?

### 29.

ფშავლის ქალი ვარ ლაშაზი, გაზრდილი ლერწმის ტანხედა,  
წითელ კაბა მცვავ ჩითისა, ბაღდადი მხურავ თავზედა.  
მე ვეძებ კაი ჭეილსა, რო გავიგორო მკლავშედა.  
შენი ჭირიმე, ნაძმობო, არ გაგცვლი სხვადასხვაზედა,  
შენა გაქვ ბევრი ამაგი, ნაშრომი ამ ჩემ თავზედა,  
ბევრჯელ წამიხვე ღამითა ფეხების ანდით გზაზედა,

ბევრჯელ ძილ გამაფრთხობის, მამიხველ ბოსლის კარზედა,  
ბევრჯელ ადულდა, წაწალო, შენ ლოყა ჩემ ლოყაზედა.  
არ მავიშუდები, გნაცვა, მაინც შენ გეტებ კვალზედა,  
შენ ვერა გხედავ, წაწალო, ცრემლები მომდის თვალზედა.

### 30.

— გუშინ ვინ იარებოდი, ლალო, მაგ კარგი ცხენითა?  
თაქ რად არ შემოიბრუნებ, ყანას რად მამკევ ცრემლითა?  
— ქალავ, რად ისე გეგონა, გუშინ რო მედიდებოდი?  
ასე გაგიაზდევ სურვილის, ნემსს კუდად იეგებოდი.  
პატარა ნარისჩიტასა თვალში ფხად ჩაეგდებოდი.  
— მოვისამც ვიყო პერაზგი, რომ გულშე გაგიაღნებოდი,  
ან ვიყო ვერცხლის ბეჭედი, ნეკაზე ჩაგედებოდი,  
ან ვიყო თასი ვერცხლისა, რო ლვინით აგევსებოდი,  
დამლევდი, შენი ჭირიმე, რა ტქბილად შაგერგებოდი,  
ანამც ძმა ვიყო მოწილე, ვამე, არ გაგვურებოდი.

### 31.

ქორო შე ქორის მოქლულო, ლეგა მიმინო მთისაო,  
ვინ შეგილება მხარ-ბეჭი წითელი ატლასითაო.  
ქბილებ ვინ გაგაყრევინა, ქბილები ბროლივითაო?  
რა კარგად დაგიტირებდი, ხათრ არა მქონდეს ქმრისაო.

### 32.

— ჩა კა სტუმარ მომიხველ, ჩემო ძმობილო ტონაო,  
ქალთან კიოთა გწიადიან, მაგრამ არა გაქვ წონაო.  
— აბა თუ წონა არა მაქვ, შენსამც ქალს დამატოლაო,  
შენ კუდოს თავზედ დაგაგდო, ჩუფჩუფ არ გაგაგონაო.

### 33.

მე რად მალექსებ, ხიშვაო, სილექსო მამაშენია,  
ჯერ მამაშენის ქორწილი, ახლა წაწლობა შენია.

ჩადიხარ მუდამ გუდრუბში, გზაზე დალიე ცხენია,  
გახვევავ კაბალახა, სირმაიანი, ჰერელია.  
ძიმართან სიარულშია გზაზე დალიე დღენია,  
ისე მალი-მალ იარე, გზაზე მოგიკვდა ცხენია,  
ეხლა მე რალა გამბო, თუ თითონ არა გცხვენია.

### 34.

და წმინდავ, მასკვლავიანო, მზევ, მოფენილო დილითა,  
შენ ჩემო დიდო იმედო, კოშკო ნაგებო კირითა,  
შიგ უკვდავების წყაროო, ნადენო ოქროს მილითა.  
შენ ჩემთვის მოვის პერანგო, გულზე შაყრილო ღილითა,  
შენთან ყოფნითამც გამაძლო, შეიდი დღე-ღამე ძილითა,  
მემრე კი მომქლა საწყალი, სრულ მე რათა ვარ ჭირითა?

### 35.

ქალებთან წოლას რად უშლით ბეჩავსა შათუხელასა?  
ქუჯეგაის შეილს უყურეთ, რა კოხტად არბენს ცხენასა!  
ჩამოუხედნებს თამარი, ცხენ-მხედარსა ხდის წერასა,  
მესამეს მიხს უყურეთ, ნადირათ მხარში-ბრტყელასა,—  
დავალის ქუჯეგათასა, არ ეპუება ძნელასა.  
დაწება დარეჯანთანა, უბეში ჩაყოფს ხელასა,  
ბიძა ძოძიას არ არცხენის, ძუძუს უპირებს კბენასა.  
მეოთხე კუტაველაი, ნალახთ რომ ვერა ხელავსა,  
დავალის ცაბიურთასა, ცალფეხს აბიჯებს ცერადა.  
მეხუთე თუშაისშეილი, კოხტად იქეთებს წვერასა,  
ბებერი ჰყავის ნადობი, ვერ უსუფთავებს ცერადა.  
მეექესე ჭანგირათ მიხა, ჰყავის მექათმე მელასა,  
რაწამს რო შემობინდდება, წამოვა ჭარიათასა.  
ემაგის მოლექსებელი ვათრევ ბეჩავის ცხენასა,  
თავადაც ქერა ბიჭი ვარ, მონდავსაც შევხედი ქერასა.

### 36.

ფოცხვერმ ჩაიკაფიავა ნელა-ნელა, სიცილითა:  
„ერთის ქალის სურვილი მკლავს, ვერას ვამბობ სირცხვილითა.

ჩემს სახლ-კარზე გზანი ხქონან, გარმოჩენდება კინკილითა,  
ბატუნის ტყავენ მძივლილიანნი, გაპინტულნი მძივ-ლილითა.  
მე მაგის მეტ არვინ მომწონ, სულ-გულ მაგან მომიხიბლა,  
შავის თვალ-წარბისა არი, ცოტა წმინდა პირ-ქბილისა.

37.

ჩემ დაბბარებულ უთხარით მა გამრიელსა ძმობილსა:  
რომ წვება ხატის ქალთანა, როგორა ბედავს იმთვენსა?  
მა ხატის ქალთან ნაწოლსა ხატ მაუგრიხავს კისერსა.

38.

მოდი, თუ მამავალი ხარ, მამწყინდა შენი ლოდინი,  
თუ ამაღამაც არ მოხევ, მიწამ დაგიგოს ლოგინი!  
მარტუანი ვარ ქალაი, შენ გელოდები ცოდვილი,  
ერთმანეთსამც ჩაატოლა შენი და ჩემი თორპილი.  
მაშინის დავისვენებდი, ჩემდ იქნებოდა ქორწილი;  
შენის სურვილისაგანა, ეს არი, ვკვდები ცოდვილი.  
ამაზე მეტი არ არი, წყურულიც რო მქონდეს ორპირი?  
მოდი, ვაკაო, გენაცა, შენთვი მზას არი ლოგინი.

39.

ქალმა თქვა: ახალგაზრდასა სიცილით შევეყვარები,  
მოაქლეინებ სურვილსა, ახლოს არ გავეკარები.  
ჩერ მაუკილავ თვალებსა, მემრე კი გავეპარები,  
შორილან დავწოვ, დავდაგავ, წავილ და დავემალები,  
ისე გაუხდი საქმესა, რო ეთხრებოდეს თვალები.

40.

ნეტავი, ქალო, დაგვაძლო ერთურთის სიყვარულითა!  
ჩეენ მოგვათავსნა ერთადა, ჩეენი სულითა, გულითა,  
როგორცა ცხოვრობს ხვეყანა ცეცხლითა, წყლითა, პურითა.

შენა ხარ ჩემი წამალი, გამმრთელებელი წყლულისა.  
სიკვდილის მონახევრეო, ჩემო ჩამდგმელო სულისა,  
ამამხდენელო ისრიგა საფლავში დაშვებულისა.

#### 41.

ავამეჟ, ჩემო ნადობო, სადარა იმყოფებიო?  
ყოალო მთათა შვენებავ, ვისის ეშითა სტკენებიო?  
ვის გაუცინებ, ლამაზო, მხარზე ვის დაუწვებიო?  
ვის-რა სახლს დაეწყემსები, ვის კერას ჩამოსჭდებიო?  
ლამაზი თეთრ კელაპტარივით ვის ხელში ჩამოსდნებიო,  
მე კია, შენი მგონები, ჰქვაზეით გარდავდგებიო.  
ლამიბაროდი, ლამაზო, თუ კიდევ გავხარდებიო.  
შენის გულისთვის წამოვალ, შორს გზას არ დავზარდებიო.  
ან ღამის სიზმრად ვიქცევი, მოგივალ დაძინებულსა.  
და გარდაგიხსნი წყნარიდა გულს თეთრად გაბრწყინებულსა.  
შენ ლაროვოთ გახსონებარ, მე კი გწერ, როგორც ერთგულსა.  
ეს ლექსი დაუბარებავ, ქალო, შენ დავიწყებულსა,  
უცხო მხარეში ნამყოფსა, ფშავიდან გარდავდებულსა.

იაკობ გორელაშვილი  
სოფ. შუაფხო, 1932 წ.

#### 42.

გულდალონებულ ჩამოვჭე ტანიას ბოსლის კარზედა;  
ჩამამეყარა საგონი, გულ დამრჩა სხვადასხვაზედა.  
სად რა ხარ ჩემო ნაძმობო, ვინ რა გიწვება მხარზედა?  
თამიშობს შენი ლურჯი, დავი ხერილის წყალზედა.  
ტიალ-ოქრადა გაზრდილსა ლაგიმ არ უძლებს თავზედა.  
მაუკვდეს ნადობს შენ თავი, რაად გამცვალე სხვაზედა?

#### 43.

მთვარეო, მთვარის ნალეო, ჭიჩის-თავს მოდი მალეო,  
ორი ლამზი ქალია: ერთი მზე, ერთი მთვარეო,  
ერთი შენ წამოიყვანე, ერთიც მე წამომგვარეო.

შოთარეო, ლრუბლიანჩია ჭოგსა ვერ მიძოვებდიო?  
შეელი დავკარგე დობილი, ახალს ვერ მიშოვებდიო?

ჭალმითა ძოვდა თეთრი თხა, გამოლმა მუცელგიშელი,  
საით მოგიფალ, ქალაო, თუ კი შენც არას მიწველი.

**მ ა რ ი:** აღარ გახსონა, ქალაო, ყვარას რო იყო ქორწილი?  
გამიცედა, ჩემო ნადობო, შენი ნაგები ლოგინი,  
ციხეში დაჭერილი ვარ, ფეხებში მიყრავ ბორჯილი,  
ვერც საით გამოვიპარე, ყარაულ მიდგა თრპირი,  
შენ გონებაში, საწყალი, როსნამდე ვიყო, ცოდვილი?  
**ქ ა ლ ი:** ორშაბათობით მიამზე, ყიზილავ, შენი დაჭერა,  
გამგებსა შენის იმბისას სამ დღე მაცია, მაცხელა.  
დელე-ლაშარსამც გამყოფა, სწორებში შენ თავ მაჩვენა,  
შენი ხმა მაყურებინა, ღვინო გასმია, გამღერა;  
შენთან წოლითამც გამაძლო, ღიმე ქნა, არ გაათენა!

ვიამე, რა მარხედ მიყვარხარ, შენ კი არ მიგდებ ყურსაო,  
დავჭდები, ტირილს დავიწყებ, შამომეყრება გულსაო,  
შემოვიჭირებ სარტყელსა, სამ დღეს აღარ ვსჭამ პურსაო.

მიშლის შიში სიყვარულსა, უცლელობა ნახვისაო,  
არ მოგელის ჩემი გული შორით გადმოძრახვისაო.

ნეტავი, შენი ჭირიმე, სურვილს არ მისცა შიშია,  
როდესაც შაგეყრებოდი, ჩამოგოცნიდი პირშია,  
ხოხობი მოიგრილებდა შენის თვალ-წარბის ჩრდილშია.

## 50.

- ჩემთან გადმოხე, ფრუშეაო, ქალ მოგცა როგორც ეთერი
  - არ მინდა ეთერიითა, გაშაულ იყოს, ჩემფერი.
  - ჩემ ქალ შენ არ მოგეცემა, ყროლი ყოფილხარ, ბებერი
  - ხეხილი მოწიფული სჯობ, რადა ხარ გაუგებელი?
- შენაც მჟედელი ყოფილხარ, ქალიც კარგი მყავს, მჩეჩელი.

## 51.

დილას სამეალში წამუედ, არ იყო გათენებული,  
დავკარგე სათამბაქუ ნაღობის დაჭრელებული,  
დარაიის თიქვისა, ქალაპოტ-შაყენებული,  
ახალი იყო ისრიეა, არ იყო დაძველებული,  
ფულები ქონდა სახსოვრად გარედან დაკერებული.

## 52.

ქალი ქმრისა მწუნებელი ბევრგან გააქანებს გულსა,  
ბევრი ბიჭი მოატყუებს, მემრე გააცინებს გულსა.

## 53.

შენი ჭირიმე, რო გნახე, რო დაგინახე თვალითა!  
რო არ მენახე მომკლავდა უნახველობა თვალითა.

## 54.

ქალმა ოქვა: „ქმარსა შევირთავ, ბედსა არ დავიკარგავო,  
დავკდები წყლისა პირზედა, ლეჩაქსა დავიქარგავო“.

1. ვაჟა-ფშაველა — ფშაველები (მათი ჩეკეულებია, ურუმორწმუნეობა და ხატები), გაზ. ივერია, 1886 წ., № № 34—36; 39, 104; 1888 წ. 174, 223, 243; 1900 წ. № 176: ცნობის ფურცელი 1902 წ. № 1691; 1903 წ. № 2165.

მისივე — გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულობით, ივერია, 1889 წ. № 74; ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაურ პოეზიის გამოხატულობით, ივერია, 1889 წ. № 20; ძველი და ახალი ფშაველების პოეზია, ურ. მოამბე, 1896 წ. № VI.

მისივე — ფშაველი და მისი წუთისოფელი (ეთნოგრაფიული მოთხოვა), ძველი საქართველო, ტ. II, ტფილისი, 1911—13 წ., გვ. 277—349.

2. ხიზანაშვილი დ. — ფშავეთი და ფშაველები (ეთნოგრაფიული მიმოხილვა). გაზ. ივერია, 1889 წ., № № 138—140, 177—179, 183, 211, 215; ივერია 1890 წ., № 79—82; ივერია 1889 წ. № 22, 24—25, 29—31.

მისივე — ფშაური ლექსიბი: ივერია 1887 წ., № 140, 144, 172, 174, 188, 193, 195, 202, 209, 210; 1888 წ. № 239, 274, 45, 48.

3. ფშავლიშვილი — ფშაველთა ცხოვრებიდან, ივერია, 1896 წ., № 37.

4. აფშინაშვილი გრ. — ხალხური ლექსიბი ფშავში ჩაწერილი, უზრ., კვალი, 1893 წ., № 21, 22; 1894 წ., № 14; კრებული 1898 წ., № VII, განკ. III, გვ. 46—54; კრებული 1900 წ., № 1—4.

5. მაკალათი ს. ფშაური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა, ტფილისი, 1925 წ.

<sup>1</sup> მ ბიბლიოგრაფიაში ჩვენ ვათავსებთ ფშავის შესახებ არსებულ მნიშვნელოვან წერილებსა და გამოცემებს. ამას გარდა ქართულ-რუსულ პერიოდულ გამოცემებში მოიპოვება ფშავშე მცირე წერილები და კორესპონდენციები (ხ. ქართული ბიბლიოგრაფია, პეტროგრად, 1916 წ. გვ. 147. ფშავეთი და ფშაველები; დ. ლაგირევ. მეცნიერებების კავკასიონის კულტურული მდგრადი განვითარებისა და განვითარების მიზანის სამსახურის მიერ გამოცემა, 1925 წ. გვ. 1—2).

6. თე დორაძე გ.— ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში,  
ტფილისი, 1930 წ.

7. Иоселиани Пл.—Пшавия, газ. Кавказ, 1872 г., № 134; Нечто о Пшавии и пшавцах (Зап. Кав. отд. Рус. Географ. о-ва, II).
8. Бакрадзе Д.—Мое знакомство с пшавами, Кавказ, 1850 г., № 79, 99.
9. Сослани Д.—Из этнографии Кавказа, Пшавцы, Нов. Обозрение 1886 г., № 754, 760, 761.
10. Эристов Р.—Записки о Тушино-пшаво-хевсурском округе. (Зап. К. О. Р. Географ. о-ва, кн. III).
11. Мачабели М.—Экономический быт государствен. крестьян Тионет. уезда, Тифлис, Губ. (Мат. для изучения экономич. быта госуд. крестьян Закавк. края, т. V, Тиф., 1887 г., стр. 316).
12. Динник Н. Я.—Путешествие по Пшавии и Тушетии (Зап. К. О. Р. Географ. отд. XV).
13. Уварова—Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию, Материалы по археол. Кавказа, Москва, 1904 г., т. X.
14. Ковалевский М.—Пшавы, их религиозная суеверия, общественное устройство и юридический быт. (Законы и обычай на Кавказе, т. II, Москва, 1890 г., ст. 62—101).
15. Хизанишвили Д.—Пшавия и пшавы, Зап. Кав. отд. ИРГО, т. XIII.
16. Первосвящ. Антоний, Епископ Гор., Религиозно-этнографический очерк Пшаво-Тушино-Хевсуретий, Тифлис, 1914 г.

Макалатия Серги Иосифович

Пшавия

Второе издание

(на грузинском языке)

Детюниздат Грузинской ССР

«Накадули», Тбилиси, 1985

ს. ბ. № 1262

რედაქტორი შარინე სოხნეძე  
მსატვრული რედაქტორი შ. დოლიძე  
ტექნიკური რედაქტორი ვ. პარველი  
კონტრ.-კორექტორი თ. შინდაგორიძე  
კორექტორი მ. შველიძე  
გამოჩეული დ. მელიქიშვილი

გადაეცა ისამყობად 28.01.85. ხელმოწერილია დასბუჭილი 4.11.85.  
ქაღალდის ზომა  $60 \times 84\frac{1}{16}$ . გარნიტურა ვენა. ბეჭდვა მაღალი. პა-  
რობითი ნაბეჭდი თაბახი  $14,41 + 8$  გვ. ჩასაკ. სალებავგატარება  
16,75. საბ. ქაღალდი № 1. საალრ.-საგამომცემლო თაბახი 12,61.  
ტირაჟი 20.000. შეკვ. № 138.

ფასი 75 კპ.

გამომცემლაბა „ნაკადული“, თბილისი. მარჯანიშვილის 5.

Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის  
ფაქტობის საქმითა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის  
კომინისტი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Грузинской  
ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли,  
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

75 J.M.